ცოცხალი ისტორიები

კამილა ნურიტდინოვა (გოჩაძე): «ჩვენ წინუბნიდან გაგვასახლეს»

1944 წლის 14 ნოემბერს ჩვენ ერთ დღეში გაგვასახლეს წინუბნიდან. უმნიშვნელო რაღაცების გარდა, სხვა ვერაფრის წაღება ვერ მოვასწარით, რაც კი ჩვენთვის ძვირფასი იყო, სახლში გადავმალეთ. მამამ გვითხრა: «სად წაგვიყვანენ, ალბათ გერმანელები ახლოს არიან და ჩვენი ევაკუირებაც ამიტომ ხდებაო»... ამ დროს ჩემი უფროსი ძმა კაზიმი ომში იყო, ჩვენს სამშობლოს იცავდა - საქართველოს და სსრკ-ს ჩვენს სოფელში მამაჩემი მდიდარი, პატივსაცემი ადამიანი იყო. თანასოფლელები ყოველთვის ჭკუას ეკითხებოდნენ ხოლმე. საბარგო ვაგონში რომ ჩასხეს და გზას გაუყენეს, არავინ იცოდა სად მიჰყავდათ, ლაპარაკში მამაჩემს ჰკითხეს: «მერე როგორღა იქნება ჩვენი საქმე, რა გველის?» «არაფერიც არ გველის, გაგვასეირნებენ და უკანვე ჩამოგვიყვანენ. ჩვენ არანაირი ბრალი არ მიგვიძღვის, არაფერი საიმისო არ ჩაგვიდენია, რომ რამე ცუდი დაგვმართონ. აი, ნახეთ, მამაკაცები ომში არიან. მივდივართ მარტო ქალები, მოხუცები და ბავშვები». ასე ამშვიდებდა ის მათ, არადა ამ დროს თვითონ კვდებოდა. შეიძლება წინასწარ გრძნობდა, რომ ეს გასეირნება ათწლეულობით გაგრძელდებოდა. ამ წელს 14 ნოემბერს გადასახლებიდან 60 წელი შესრულდება. ამ გზაზე ბევრი ჩემი თანასოფლელი მოკვდა, ომში კი რამდენიმე ჩემი ბიძაშვილ-მამიდაშვილი დაიღუპა. ჩემი ძმა კაზიმი ცოცხალი გადარჩა. ომის შემდეგ ის შუა აზიაში წავიდა ჩვენ საძებნელად, ყაზახეთიდან დაიწყო და იქ ჩარჩა. იმ დროს ჩვენთვის, გადასახლებული მესხებისთვის, კომენდანტის საათი არსებობდა. ერთი სოფლიდან მეორეში გადასვლის უფლება არ გვქონდა. უფროსები ყოველ საღამოს შინსახკომის ადგილობრივ განყოფილებაში ცხადდებოდნენ და ხელს აწერდნენ. ყაზახეთში ძმას ვოლგისპირელი გერმანელების ქალიშვილი მარია შეუყვარდა და მან ის ცოლადაც შეირთო. მარიას ოჯახიც ყაზახეთში გადმოასახლეს. მისი ერთი და და მშობლები კლიმატის მკვეთრი გამოცვლის გამო გარდაიცვალნენ. მარია და მისი კიდევ ერთი და კი ცოცხლები გადარჩნენ, ეს დები ყაზახმა ქალმა იშვილა. მე და ჩემმა ძმამ 27 წლის შემდეგ ვიპოვეთ ერთმანეთი. მე უკვე დაქვრივებული ვიყავი და ექვსი შვილი მყავდა - 3 ბიჭი და 3 გოგო. ჩემმა ძმამ თავისთან, ცელინოგრადში სტუმრად წაიყვანა ჩემი უფროსი ქალიშვილი, რომელიც მაშინ 15 წლის იყო. მას იქ უნახავს, როგორ იცავდა მისი ბიცოლა მარია მაჰმადიანთა წეს-ჩვეულებებს და უკითხავს, ქრისტიანი ასე მკაცრად როგორ იცავ მაჰმადიანობასო. მას კი უპასუხნია, ეს ორი რელიგია ცოტათი თუ განსხვავდება ერთმანეთისგან, ერთიც და მეორეც ერთი და იმავეს ქადაგებენ - სამართლიანობას, პატიებას, მოთმინებას, მოყვასის სიყვარულს, ორივე მოუწოდებს ადამიანს არავის აწყენინოს, არავინ დაამციროს, არ იპაროს, შური არ იძიოს, არ უღალატოს სამშობლოს, მეგობარს და საყვარელ ადამიანს, უყვარდეს ღმერთი და პატივი სცეს მას. ხოლო თუ შენ გწამს ღმერთი, ასრულებ ბიბლიისა და ყურანის მოთხოვნებს, ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი ადამიანი ხარ.

მთელ მსოფლიოში გადასცემდნენ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციას. მე მივხვდი, რომ ის მორწმუნე ადამიანია და იმედი მაქვს, რომ ის სამართლიანობას აღადგენს, ჩვენ, მესხებს, მოგვცემს სამშობლოში ცხოვრების უფლებას, რომელიც მათ 1944 წლის 14 ნოემბერს ჩამოგვართვეს.

ბელგოროდის ოლქი, სოფელი შეინო. №112, 1.08-15.08 2004 წ.

როზა გოჩაძე: «არავის აქვს უფლება წინ აღუდგეს ადამიანის დაბრუნებას, რომელსაც უნდა თავის სამშობლოში იცხოვროს»

მე 1955 წ. 4 მაისს დავიბადე. ჩემი სახელი და გვარია როზა გოჩაძე. დავიბადე უზბეკეთში, ფერგანის ოლქში, ქალაქი მარგელანი, იალტის ქუჩა, 12. დღემდე არ დამვიწყებია ეს მისამართი. მამაჩემი ქალაქ მარგელანის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა. დედაჩემი კი აბრეშუმის კომბინატში მუშაობდა. სამი გოგო და სამი ბიჭი ვიყავით. უფროსი მე ვიყავი. მოგვიანებით ჩვენი ოჯახი ტაშკენტის ოლქში გადავიდა, იქ ნათესავები გვყავდა.

ბებიები და პაპები არ მყავდა. მამის მხრიდან გარდაიცვალნენ, დედის მხრიდან პაპა კი გზაში მოკვდა, როცა ჩვენს მესხებს მესხეთიდან ასახლებდნენ. დედაჩემი გვიყვებოდა ამის შესახებ.

პაპაჩემი (მას ქამალი ერქვა) მდიდარი და პატივცემული კაცი იყო სოფელ წინუბანში (*1944 წ. დეპორტაციამდე ორი სოფელი წინუბანი არსებობდა - სომხური და «თათრული» - ასე უწოდებდნენ მას მეფის აღწერაში, იქ, სადაც მაჰმადიანი მესხები ცხოვრობდნენ. მარტო მაჰმადიანი მესხები გადაასახლეს - **კ. ბ.***).

ჩვენები რომ გადაასახლეს, ყველაფერი დარჩა - ძროხებიც, საქონელიც და ზამთრისთვის შეშაც გვქონდა მომზადებული...

დედაჩემი 9 წლის იყო, ბიძაჩემი – 6 წლის და ისინი უმშობლებოდ დარჩნენ. მათი დედა (ბებიაჩემი) საქართველოში მოკვდა ჯერ კიდევ გადასახლებამდე, ის სოფელ წინუბანშია დამარხული. მამა კი გადასახლებისას გზაში მოკვდა.

დედას რაღაც მოგონებები შემორჩა. როგორ თამაშობდა ბავშვებთან თავის სოფელში, როგორ დადიოდა ქართულ სკოლაში, და ის ჩვენ თვლას გვასწავლიდა: «ერთი, ორი, სამი...» მერე: «პური ჭამე», «წყალი მოიტანე», რაც მეხსიერებაში შემორჩა, რაც ბავშვობაში ახსოვდა, - იმას გვასწავლიდა. მერე ის უკვე რუსულ სკოლაში სწავლობდა...

დედას ახსოვს, როგორ მგზავრობდნენ სატვირთო ვაგონით, როგორ მოკვდა მამამისი გზაში, რაღაც დრო რომ გავიდა... როცა ისინი უკვე მატარებელში იყვნენ, პაპაჩემს უთქვამს: «ერთი ტომარა სიმინდის ფქვილი წამოვიღეთ, რომ ჩავალთ და ძროხას ვიშოვით, რძე გვექნება, და გადავრჩებით. არ იდარდოთ...» - ამშვიდებდა ის ხალხს. ვაგონში ყველა იმედით უსმენდა მას, მერე უცბად პაპამ პური აიღო და მისი თამბაქოს ქისაში ჩატენვა დაიწყო. ხალხი კი ეუბნებოდა: «ქამალ-ამი, ძია ქამალ, რას აკეთებთ?...» მან არაფრი უპასუხა და ნელ-ნელა მოხრა დაიწყო. ყველა შეშფოთდა, ხელი შეაშველეს, მაგრამ ის უკვე მოკვდა.

ეს გზის დასაწყისში იყო, გზაში ალბათ 5-10 დღის შემდეგ. დედა ამბობდა, მან უბრალოდ ასეთ სტრესს ვერ გაუძლო, - მომავალში რა გვეშველებაო...

ასე რომ დედა გზაშივე დაობლდა და ბავშვთა სახლში მოხვდა, ქალაქ მარგელანში. იქ მას ჰკითხეს, ვინ ხარო? და 9 წლის გოგონამ უპასუხა: მამაჩემს ქამალი ჰქვია, მე კი - კამილაო. და ჩაწერეს - კამალოვა კამილა. ის ბავშვთა სახლში გაიზარდა და მუშაობა დაიწყო. იმხანად იყო ე. წ. საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები *(ეს სასწავლებლები საბჭოთა ხანაში დაახლოებით 1960-იან წლებამდე არსებობდა. შემდგომში მათ პროფტექსასწავლებლები უწოდეს - **კ. ბ.***), სადაც მოზარდები სწავლობდნენ მათ რაღაც სპეციალობას ასწავლიდნენ და სამუშაოდ აგზავნიდნენ. და დედა მამაჩემთან მივიდა სამუშაოდ. მამა იმ დროს საამქროს უფროსად მუშაობდა. მამაჩემი უზბეკია. დედაჩემი მესხია. მამას მოსწონებია დედაჩემი და მერე, რაღაც დროის შემდეგ ისინი შეუღლდნენ.

სხვათა შორის, დედა ძალიან ლამაზი იყო, როგორც ყველა ქართველი ქალი. მერე პირველი მე გავჩნდი.

სამშობლოს - საქართველოს შესახებ მაშინ გავიგე, როცა დედა ყვებოდა, როგორი ტერასები ჰქონდათ მათ იქ, მთებზე. ერთ ტერასაზე ერთი კულტურა მოჰყავდათ, ვთქვათ, კომბოსტო, მეორეზე – სტაფილო და ასე იყო ტერასებზე. როდესაც ტერასაზე ბილიკით ავდიოდით ხოლმე, -

გვიყვებოდა ის, ისეთი სილამაზე გადაგვეშლებოდა ხოლმე თვალწინ, შინდის ხეები იდგაო... დედა რომ გვიყვებოდა, ჩვენ თვალებს ვხუჭავდით და ამ ყველაფერს ისე წარმოვიდგენდით ხოლმე როგორც ზღაპარში. ჩვენ იქ დიდი ბაღები გვქონდაო, კარგი ვაშლებიო... როცა გვასახლებდნენ, ერთი სათავსო მარტო ვაშლით გვქონდა სავსეო, - გვეუბნებოდა დედა... დედას მონაყოლით მეც შემიყვარდა სამშობლო.

მე რუსულ სკოლაში ვსწავლობდი. როცა სკოლაში დავიწყე სიარული, მამაჩემი უკვე ქალაქ მარგელანის რაიაღმასკომის თავმჯდომა-რედ მუშაობდა. მერე მე გავიზარდე და მესხს გავყევი ცოლად. ის წარმოშობით ადიგენის რაიონის სოფელ ადიგენიდან იყო. ათი წლით უფროსი იყო ჩემზე. მომეწონა, მერე კი შემიყვარდა კიდეც. და უერთმანეთოდ ვეღარ ვძლებდით. ერთმანეთის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოგვედგინა. მასაც ახსოვდა მოხუცების მონაყოლი, გადასახლებაში მისი პაპა და ბებიაც ჩამოვიდნენ, დედამისიც ცოცხალი იყო.

მაშინ ქმრის გვარი ასე იყო ჩაწერილი – ბინალიევი. საერთოდ კი ისინი თუიგუნაშვილები იყვნენ. ჩვენ მოგვიანებით აღვიდგინეთ ეს გვარი არქივის მონაცემებით.

დედა ამბობდა ჩვენი გვარი გოჩაძე იყო, მაგრამ ბავშვთა სახლში მე პატარა მოვხვდი და მამაჩემის სახელი ვუთხარი. და გვარიც მამის სახელის მიხედვით ჩამიწერეს - ქამალოვიო.

მოგვიანებით, როცა გაიზარდა და თავისიანები იპოვნა, მან გაიგო, რომ გოჩაძეები იყვნენ.

ქმრის ნათესაობამ კი ყოველთვის იცოდა, რომ მათი გვარი თუიგუნაშვილი იყო. ჩემი ქმრის პაპა ყოველთვის ამბობდა ჩვენ ქართველები ვართ, ოღონდ მაჰმადიანებიო, თვითონ ჩემი ქმარი ისტორიკოსი იყო, სკოლის დირექტორი იყო და მან შემივსო ცოდნა ჩვენი ვინაობის შესახებ. შუა აზიაში ჩვენზე ამბობდნენ «კავკასიელები» არიანო. ჩვენები რომ ჩაიყვანეს, ადგილობრივები ასე ამბობდნენ: «ო-ო-ო... კავკასიელები ჩამოიყვანესო». არ არსებობდა არავითარი სიტყვა «თურქი». ეს უკვე მერე გაჩნდა, ბოლო ხანებში, 80-იან წლებში. მერე კი გაჩნდა უცნაური სიტყვაც «თურქი მესხები». ასეთი სიტყვა მანამდე არასდროს გამეგონა.

ფერგანის ამბების შემდეგ სამშობლოში გადასვლა გადავწყვიტეთ. ჩემს ქმარს ყოველთვის მიუწევდა გული სამშობლოსკენ. საბედნიეროდ, ჩვენ იმ ფერგანის ტრაგედიაში არ მოვხვდით, ჩვენ ტაშკენტის ოლქში ვცხოვრობდით. ქმარი რამდენჯერმე გამოიძახეს ოლქის განათლების განყოფილებაში, სთხოვდნენ, ეუბნებოდნენ, ნუ ღელავთ, ეს ტრაგედიები ჩვენამდე ვერ ჩამოაღწევს, მშვიდად იცხოვრეთო. ის იმხანად ახალ სკოლას აშენებდა. ასე უთხრეს ამ სკოლის დირექტორობის ღირსი მარტო თქვენა ხართ, ის ხომ თქვენ ააშენეთო... მაგრამ ჩემმა ქმარმა უთხრა: «არა, მე სამშობლოში წავალ».

მაგრამ სამშობლომდე ჩაღწევა ასე ადვილი არ იყო და ჩვენ აზერბაიჯანში ჩავრჩით. დევეჩის რაიონში, საბჭოთა მეურნეობაში «კონსტიტუცია». მაგრამ ქმარმა თქვა, რადგან აქამდე ჩამოვაღწიეთ, სამშობლოში უნდა ვიცხოვროთო.

სახლი გავყიდეთ, ჩამოვედით. გვინდოდა მუხლი მოგვეყარა მშობლიური მიწის წინაშე, სადაც ის დაიბადა. ეს 1997 წელს იყო, სადღაც მაის-ივნისში.

ჩემს ქმარს ბიძა ჰყავდა - 84 წლის მოხუცი, სახელად რიუშდი. მამამისის თანამებრძოლი. ჩემი ქმრის მამა ჯარში წაიყვანეს. ჩემი ქმარი 1944 წლის 16 ივნისს დაიბადა, 22 ივნისს კი მამამისი ომში წავიდა სამშობლოს დასაცავად. სხვათა შორის, ისიც მასწავლებელი იყო. და უგზოუკვლოდ დაიკარგა. მისმა მეგობარმა კი ომში კონტუზია მიიღო, დაბრუნდა, ჩამოწერეს და დარჩა. ეს მოხუცი ცოცხალი იყო. სწორედ მასთან ერთად გავემართეთ სოფელ ადიგენში. მას სახლები ახსოვდა და გვითხრა თქვენს სახლს გაჩვენებთო. სოფელში დავდიოდით, ხალხს ვეკითხებოდით, მაგრამ ვერავინ გვპასუხობდა. იმათ რუსული არ იცოდნენ, ჩვენ კი – ქართული; ეს მოხუცი კი, რაც ახსოვდა, იმას გვიყვებოდა, მაგრამ ისე აღელდა, თან სულ გულზე იდებდა ხელს...

ვხედავ, - ძველი შენობა დგას, ეს რაღა არისმეთქი, ვკითხე. მაშინ ის პაპა მიუახლოვდა და იმ შენობის კედლებს ხელებით მოფერება დაუწყო... და ჩემს ქმარს ეუბნება, ეს ის სკოლაა, რომელშიც მე და მამაშენი ვსწავლობდითო. და ატირდა.

შევედით და მან გვაჩვენა, რომელ დარბაზში სწავლობდნენ, ცალ-ცალკე ოთახები იყო მასწავლებლებისა და იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც შორი სოფლებიდან ჩამოდიოდნენ, აქ სწავლობდნენ და აქვე ცხოვრობდნენ. სამზარეულოც იყო და იქ იკვებებოდნენ...

რომ გამოვედით, მოხუცმა გვიჩვენა: აი ამ ადგილას იდგა თქვენი სახლიო. მაგრამ სახლი აღარ იყო, დანგრეულა.

ვიდრე ჩვენ დავდიოდით, სოფლიდან რაიონში დარეკეს, იქ ვიღაც ადამიანები დადიან, რაღაცას ეძებენო. და როცა უკვე სოფელს ვტოვებდით, მანქანა მოგვადგა. პოლიციის ფორმიანი ადამიანები გადმოვიდნენ. ერთ-ერთი მათგანი გაგვეცნო: - მე ჯემალ ქებაძე გახლავართ, აქაური

პოლიციის სამმართველოს თანამშრომელი, მზად ვარ გემსახუროთ. რას ეძებთ?

მე ვუთხარი, არაფერს არ ვეძებთ, უბრალოდ მესხები ვართ, აქედან რომ გადაგვასახლეს, ჩემი ქმარი ამ სოფელშია დაბადებული და ამ მიწაზე მუხლის მოსადრეკად ჩამოვედით-მეთქი. ძალიან სასიამოვნოაო, გვითხრა მან. ჩემი ქმარი უკვე ქვევით იყო ჩასული (იქ ბაღი იყო), პაპამისის დარგულ ხეს უნდა მოხვეოდა, კაკლის ხე იყო. მოეხვია, ცოტა ხანს გაჩერდა იქ და ამოვიდა. ძალიან აღელვებული იყო. პოლიციელი ქმარსაც გაეცნო და ჰკითხა, მე რით შემიძლია დაგეხმაროთო? ჩემმა ქმარმა მადლობა გადაუხადა და უპასუხა, არანაირი პრობლემები არ გვაქვსო.

პოლიციელმა კი ჰკითხა: «რადგან მაშინ ძალით გადაგასახლეს აქედან, უკან დაბრუნება აღარ გინდათ?» ჩემმა ქმარმა მიუგო: «და რა, შეიძლება?» მან უპასუხა, კიო. არა, ჯერ ჰკითხა: თქვენ რა, თქვენი სახლების და მიწების დაბრუნება გინდათ?» ჩემმა ქმარმა უპასუხა, არა, თუ სახლები იყიდება, ჩვენ შეგვიძლია ვიყიდოთ, თუ ეს შესაძლებელიაო. პოლიციელმა უპასუხა სახლის შერჩევაში დაგეხმარებითო. დავემშვიდობეთ და წამოვედით. და როცა უკვე ახალციხის ბაზარში შევდიოდით, დავინახეთ, რომ ის პოლიციელი თან გვახლდა. გზაში ვინმეს რომ არ ეწყენინებინა ჩვენთვის. მან ხელი დაგვიქნია და დაგვემშვიდობა: «კარგად იყავითო!»

სწორედ მაშინ იყო, რომ იმედი გაგვიჩნდა, რომ შეიძლებოდა ნატვრა რეალობად ქცეულიყო. თურმე შეიძლება აქ უშიშრად ჩამოსვლა, სახლის ყიდვა და ცხოვრება. მერე ჩვენ გავიგეთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ნებისმიერ უცხოელს უფლება აქვს იყიდოს ქვეყანაში უძრავი ქონება და მშვიდად იცხოვროს.

თბილისში ჩავედით იმის გასაგებად, თუ რა საბუთები იყო საჭირო და როგორ უნდა მოვქცეულიყავით. მაშინ არსებობდა რეპატრიაციის სამსახური, რომლის უფროსიც გურამ მამულია იყო და ის დაგვეხმარა. რაღაც ცნობა მოგვცა, გზაში რომ არ მოგვდავებოდნენ. ჩვენთან ერთად წამოვიდა ახალციხეში, გაგვაცნო მამუკა ხუციშვილის ოჯახი, რომელიც უკვე ცხოვრობდა ახალციხეში. ჩვენ ნივთები წამოვიღეთ.

1997 წლის 3 ოქტომბერს ქალაქ ახალციხეში გადავსახლდით. სახლის ყიდვა გვინდოდა, მაგრამ ფული არ გვეყო... მაშინ ჩემი ქმარი ყირგიზეთში წავიდა, თავისიანებთან, ფულის ჩამოსატანად, ჩვენი სახლ-კარი რომ გვქონოდა.

და მთელი ეს ხანი ერთ სომეხთან, ძია ჟორასთან ვცხოვრობდით ბინაში. მეზობლები გვყავდა: მანუშა, სედა, ესხაფი, მისი ქალიშვილი შუშანიკი.

ერთხელ ისინი სადღაც მიდიოდნენ სანთლების დასანთებად. იქო, ამბობდნენ ერთი საოცავი ადგილია, შვიდი ძმის საფლავებიო. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ამბობენ, რომ ეს წმინდა ადგილია. იქ სანთლებს ანთებენ და სურვილს ჩაიფიქრებენ.

მეც შემომთავაზეს, როზა წამოხვალ ჩვენთან ერთად სანთლების დასანთებადო? ვუთხარი წამოვალ, მაგრამ სანთლები არა მაქვს-მეთქი. მითხრეს, ჩვენ გვაქვს და მოგცემთო. მე კი ვუპასუხე, თუ სანთლებს მე თვითონ ჩემი ფულით არ ვიყიდი, სურვილი არ შემისრულდება-მეთქი. გაიცინეს და მითხრეს, შეგისრულდება, შეგისრულდებაო... სუფთა გულით გაძლევთო. მაგრამ მე მაინც შევირბინე სახლში, ხურდა ფული ავიღე, 20 თეთრი შევაგროვე და მივეცი, თუ გაკეთებაა, ბოლომდე პატიოსნად გაკეთდეს-მეთქი.

მინდოდა, რომ სამშობლოში ჭერი მქონოდა. და ამ დროს, როცა მთელი ჩემი პროცედურა შევასრულე, დავინახე, რომ ჩემმა მეზობელმა მანუშაკმაც მოიდრიკა მუხლი და შესთხოვა: «ძმებო, დაეხმარეთ როზას, რომ სახლი იყიდოს და სურვილი შეუსრულდეს».

ამან ძალიან ამაღელვა, უფრო სწორად, გამაკვირვა კიდეც. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აცხადებდნენ, იქ მესხების ჩასახლება შეუძლებელია, რადგან სომხები მათ წინააღმდეგ არიანო, ესაო, ისაო... მე კი დავინახე, რომ არამცთუ წინააღმდეგები არ იყვნენ, არამედ პირიქით, ისინი კეთილმოსურნეები არიან, გვეხმარებიან, ჩემთვის ლოცულობენ, რომ სახლის ყიდვა შევძლო...

მერე, ერთი თვეც კი არ გასულიყო, რომ კარგი სამუშაო გამომიჩნდა. დავიწყეთ მუშაობა. გავიდა რაღაც დრო, საკუთარი სახლი ვიყიდეთ და იქ გადავედით.

თუმცა მანამდე ბინის გამოცვლა მოგვიხდა. ძია ჟორას სახლი უნდა გაეყიდა და ჩვენ სხვა ქუჩაზე გადავსახლდით - მესხეთის №37-ში. იქ სახლის მეპატრონედ ძია ვოლოდია გვყავდა. ერთხელ ის მოვიდა და გვითხრა: «იცით, ფრიდონ, ერთი კაცი სტუმრად გეპატიჟებათ. თქვენი ნახვა უნდა».

ჩვენ დრო გამოვნახეთ და ძია ვოლოდიამ წაგვიყვანა.

მოხუცებული ავადმყოფი ადამიანი, პარალიზებული ინვალიდი დაგვხვდა. ის იჯდა. როცა ვოლოდიამ უთხრა მესხები მოვიყვანეო, ეს ავადმყოფი ადამიანი ძლივს წამოდგა და ატირებული გადაეხვია ჩემს ქმარს. მე აღარ ვიცოდი რა მეფიქრა. საიდან იცნობს ის ჩემს ქმარს? იქნებ მის

მშობლებს იცნობდა? ეხვევა და თან ამბობს: «მადლობა ღმერთს, რომ ის დღე დადგა, რომ არ მოვკვდი და ვნახე, როგორ დაბრუნდნენ მესხები». მაშინ მე მას ვკითხე: «საიდან გვიცნობთ? განა ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ?» მან მიპასუხა: «არა, უბრალოდ, მე ვიცნობ მესხებს, როცა ეს ხალხი აქ იყო. აქ ბარაქა იყო, ყველაფერი იყო, კარგი ადამიანები იყვნენ. ბაზარში გასაყიდად რომ ჩამოჰქონდათ ხოლმე რამე, ჯერ მოსაკითხს მოიტანდნენ, როცა რამე რჩებოდათ, იმასაც უფასოდ გვაძლევდნენ, გვიტოვებდნენ, შეგერგოთო გვეუბნებოდნენ. თქვენიანები ძალიან სტუმართმოყვარეები და გულკეთილები იყვნენო». ამ ადამიანს ძია ნეჟდი ერქვა. მესაათე იყო. ახლახან გარდაიცვალა.

ამ ამბავმა ძალიან ამაღელვა. იმ დღეებში ტელევიზორში პროვოკაციულ ფილმებს აჩვენებდნენ, ადამიანებს ჩვენ წინააღმდეგ განაწყობდნენ და მე ვფიქრობდი ტელევიზორში ერთს ამბობენ, ადამიანები კი - მეორეს-მეთქი.

როგორც უკვე ვთქვი, სამი თვეც არ გასულიყო მას შემდეგ, რაც ჩვენ სანთლები დავანთეთ, რომ ჩვენ საკუთარი სახლი ვიყიდეთ მებაღიშვილის ქუჩის №2-ში. იქ ჩვენი მეზობლები იყვნენ რეზო და მარინა დურგლიშვილები. მათ ორი შვილი ჰყავთ. ძალიან კარგი მეზობლები არიან. მათ შემდეგ ასია დეიდა (სომეხი), იქით - გიორგი და სონიკო. სონიკო დეიდა გვარად თამარაშვილია. მოპირდაპირედ კი ჟუჟუნა კაპანაძე, იზო და ჟანა და კიდევ კატო დეიდა ცხოვრობენ.

ჟანა სომეხია, ჟუჟუნა, იზო და კატო დეიდა კი - ქართველები. ანუ ჩვენ ქართველების და სომხების გარემოცვაში ვცხოვრობდით, თუმცა ყველაზე ახლობლები ჩვენთვის მარინა და რეზო დურგლიშვილები იყვნენ.

უნდა გითხრათ, რომ როცა ჩვენს საკუთარ სახლში გადმოვედით, ჩემმა ქმარმა ინსულტი გადაიტანა. ისე განიცდიდა, სამშობლოში რომ გადმოსახლდა, ისე აღელდა, რომ... ერთხელაც იყო და მეც ცუდად გავხდი. კარი გავაღე, ის კი მოვასწარი, რომ მარინას გავძახე ცუდად ვარ-მეთქი და წავიქეცი, გონება დავკარგე.

რეზომ და მარინამ მოირბინეს, მათ სხვა მეზობლებიც მოჰყვნენ. ამიყვანეს, საწოლზე დამაწვინეს. ამ დროს სონიკო დეიდამ თქვა: «ჟუჟუნა, შენ ხომ მედდა ხარ, თქვი რა წამლებია საჭირო, თუ ამათ არა აქვთ, მე მოვიტან. უნდა დავეხმაროთ. ძალიან კარგი მეზობლები არიან».

თვალები რომ გავახილე, დავინახე, რომ ჩემი ქმარი იჯდა და ტიროდა, რეზო კი მოეხვია მას და ეუბნება: «ნუ გეშინია, ფრიდონ, ჩვენ შენთან ვართ. როზას გადავარჩენთო».

ძალიან მიხარია, რომ ასეთ კეთილშობილი ადამიანების გვერდით ვცხოვრობ. დილა ჩვენთან ყავის ერთობლივად დალევით იწყება. ხან ერთთან შევიკრიბებით ყავის დასალევად, ხან მეორესთან, ხან ჩემთან. აი ასეთი ოჯახი გვაქვს.

ასე რომ, მე და ჩემი ქმარი ახალციხეში ვცხოვრობდით და ვმუშაობდით, ჩვენი შვილები თბილისში სწავლობდნენ. აი ასე აეწყო ჩვენი ცხოვრება.

მოქალაქეობის მისაღებად რეპატრიაციის სამსახურში განცხადება შევიტანეთ და სამი წლის შემდეგ მივიღეთ მოქალაქეობა. ჰოდა, ვცხოვრობთ სამშობლოში როგორც საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები.

თუმცა თავიდან ახალციხეში სიძნელეებსაც გადავაწყდით.

პირველი სიძნელეები უმუშევრობა და ენის უცოდინარობა იყო. ეს ცოტა გვაშინებდა. მაგრამ არა უშავს. რაღაც დროის შემდეგ მე კითხვაც ვისწავლე და წერაც, და ნელ-ნელა ლაპარაკიც დავიწყე და არა მარტო ქართულად, არამედ სომხურადაც. პარალელურად. «ცავატანემ» ქართულად «გენაცვალეა», «არი სტეღ» - «მოდი აქ», «ნესტი» - «დაჯექი».

მეზობლებიც კარგი გვყავდა. მაგალითად, მაკარი და მისი ცოლი სედა, ესხაპი და მისი ქალიშვილი შუშანიკი. ზემოთ ქალბატონი გუგული ცხოვრობდა, ქართველი. მას ქალიშვილები ჰყავდა - ქეთინო და ლელა.

მათაც ძალიან კარგად მიგვიღეს. იქ ერთი ძალიან ინტელიგენტური ქალი იყო - ელზა, ჩვენ პირდაპირ ცხოვრობდა, ისიც ძალიან კეთილმოსურნე იყო. ჩვენ რომ ჩამოვედით, თავიდან თურმე ვიღაც რაღაც სიებით დადიოდა, უნდოდა, რომ ჩვენს მეზობლებს ხელი მოეწერათ, თითქოსდა არ უნდოდათ, რომ ჩვენ აქ ჩამოვსულიყავით. და მაშინ ქალბატონ ელზას მისთვის უთქვამს: «ყური მიგდე, ყოველ ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს იქ, სადაც მოისურვებს. თქვენ ამგვარი ხელმოწერების შეგროვების უფლება არა გაქვთ. მე ამის წინააღმდეგი ვარ». და ხელი არ მოაწერა. მე მუხლს ვიყრი ისეთი ადამიანების წინაშე, რომლებიც სამართლიანობისა და პატიოსნების მომხრეები არიან.

თუმცა სხვა შემთხვევებიც იყო. ერთხელ ჩემი ქმარი ფოსტაში წავიდა, ახალციხეში კი ბაზარი და ფოსტა ერთმანეთის გვერდითაა. მე ვიდექი და ქმარს ველოდებოდი. ერთი სომეხი ქალი მომიახლოვდა და მკითხა: «შვილო, სახლის ყიდვა თუ მოახერხეთ?» მე ვუთხარი: «ჯერ ვერა, ფული არ გვყოფნის, ახლა ბინაში ვცხოვრობთ. რა თქმა უნდა, ძნელია, საკუთარი სახლი უკეთესი

იქნებოდა». ამ დროს ერთი ახალგაზრდა კაცი მომიახლოვდა (ერთი იმათგანი, დოლარებს რომ ცვლიან) და მეკითხება: «საიდან ხართ?» ტაშკენტიდან-მეთქი, ვუთხარი. «ა-ა-ა, ესე იგი, თურქი მესხები ხართ? აქ ჩამოსვლის ნება ვინ მოგცათ?»

მე მივუგე: «რა, შენ უნდა გკითხოთ?» მან კი მითხრა: «თუ არა მკითხავთ და იყიდით, სახლებს გადაგიწვავთ». მე შევესიტყვე: «ნეტავ, შენ ვინა ხარ, რომ ჩემი სახლები გადაწვა?» ის მეუბნება: «ჩვენ ჯერაც არ დაგვიწყებია, როგორ წვავდნენ თქვენი წინაპრები ჩვენი წინაპრების სახლებს და როგორ აუპატიურებდნენ ქალებს». «თქვენს წინაპრებს კი არ აუპატიურებდნენ და წვავდნენ, არამედ ჩვენს წინაპრებს სახლებსაც უწვავდნენ და ისლამის მიღებასაც აიძულებდნენ. წადი, კარგად წაიკითხე ისტორია, მერე მოდი და ვილაპარაკოთ»,-მე ვუთხარი. მან მითხრა: «მე ისტორია წაკითხული მაქვს, ძალიან ჭკვიანი ვარო». მე ვუთხარი: «წადი, წადი, ჭკვიანი თავს არ იქებს...» და ზურგი ვაქციე.

ერთხელ ის კაცი, პოლიციიდან რომ იყო, იმ სასადილოში მოვიდა, სადაც ჩვენ ვმუშაობდით, დაგვინახა და გვკითხა: «აქ რას აკეთებთ?» ჩვენ აქ ვმუშაობთ-მეთქი, ვუპასუხე მე. «აბა, - გვეკითხება, - როგორა ხართ, როგორ არის თქვენი საქმეები, ვინმე ხომ არ გაწუხებთ, ხომ არ გაწყენინებთო?». მე მას ბაზართან მომხდარი ინციდენტის შესახებ ვუამბე. «ხვალ ბაზარში წაგიყვანთ და მაჩვენებთ, ვინ გითხრათ ეს, - გვითხრა მან და დაუმატა, - არავის აქვს უფლება დაგემუქროთ».

მე კი ვუთხარი, არა, ჩვენ აქ საცხოვრებლად ჩამოვედით და არა იმისთვის, რომ ადამიანები ჩავუშვათ და ვუმტროთ, მე მას ვურჩიე, ისტორია კარგად წაიკითხოს, ის ალბათ შეისმენს ჩემს რჩევას და თვითონვე შერცხვება-მეთქი. თურმე ეს პოლიციელი წასულა, შეუკრებია იქ ვალუტის გადამცვლელები და უთქვამს: თქვენ თურმე ქალისთვის გიწყენინებიათ, მე მინდოდა, რომ მას ეთქვა, რომელმა თქვენგანმა აწყენინა. მან უარი თქვა, ასე მითხრა ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს კარგი ხალხია, ჩვენ აქ მათთან ერთად საცხოვრებლად ჩამოვედით და არა სამტროდო. იმ ადამიანს თვითონვე უნდა რცხვენოდეს თავისი საქციელის.

ამის შემდეგ, როცა კი ჩვენ ბაზარში შევიდოდით, ის ადამიანი თვალს მომკრავდა თუ არა, უმალ ქრებოდა. თითქმის ერთი წელი იმალებოდა ხოლმე ასე. რცხვენოდა, სახეში ვერ მიყურებდა, მაგრამ ერთხელ ვერ შემამჩნია და ჩვენ ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდით. მან სახეში შემომხედა, გაიღიმა, თვალები დახარა და გამერიდა. გზა დამითმო და ამის შემდეგ აღარ დამალულა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს თანასწორუფლებიანი მოქალაქეები გავხდით, გადავწყვიტეთ, ჩვენი მშობლიური, ისტორიული გვარი აღგვედგინა. ჩემი ქმრის, მისი წინაპრების გვარი ტუიგუნაშვილი იყო. მათ თვითონაც იცოდნენ, მაგრამ როდესაც აქედან გადაასახლეს, დედამისი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. უზბეკეთში მას შვილების გვარი ჰკითხეს და მან უპასუხა, ჩემს ქმარს ბინალი ერქვაო. ჰოდა, ადგნენ და ჩაწერეს: ბინალიევები.

ჩემი დედამთილის დედამთილ-მამამთილი ცოცხლები იყვნენ. მათ იცოდნენ თავიანთი ქართული გვარები, მერე არქივშიც დავაზუსტეთ. ჩემი უმცროსი შვილი ჩამოვიდა და არქივის მონაცემების მიხედვით ჩამოიტანა საბუთები. თავიდან ცნობები თქვენგან მიიღო *(ტფილისის სახაზინო პალატა. ფონდი 254, აღწერა 3. ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ოჯახების სიები, 1886 წ. - **კ. ბ.**).* ჩამოიტანა - ჩვენ ჯერ ისევ აზერბაიჯანში ვცხოვრობდით - და გვითხრა: «აი, ჩვენი ისტორიული გვარი». ჩემმა ქმარმა თქვა: «კი, სწორია». და აი, საქართველოს მოქალაქეები რომ გავხდით, ეს ისტორიული გვარიც აღვიდგინეთ. მეც დედაჩემის გვარი ავიღე, ხომ უნდა დარჩეს დედამიწაზე გვარი გოჩაძე...

გაგონილი მაქვს, აზერბაიჯანელი ისტორიკოსი, ვინმე არიფ იუნუსოვი ირწმუნება, რომ თურმე ჩვენ ყივჩაღები ვართ და თურმე აქ, საქართველოში გვაიძულებენ ქართული გვარები მივიღოთ.

ჯერ ერთი, თუ არქივში შენი ქართული ფესვები არ ინახება, გვარს ჰაერიდან ხომ არ აიღებ, მეორეც, ვითომ არიფ იუნუსოვი რატომ უნდა წყვეტდეს თუ ვინ ვარ მე, როცა მე თვითონვე ვიცი, ვინც ვარ.

სამწუხაროდ, ჩემს ქმარს დიდხანს აღარ უცოცხლია სამშობლოში. ის 2001 წელს გარდაიცვალა. 60 წლამდე 4 დღეღა რჩებოდა. მაგრამ გულდამშვიდებული მოკვდა, რომ უკვე სამშობლოში იყო, რომ მისი შთამომავლები მშვიდად იცხოვრებენ მშობლიურ მიწაზე. რომ მათ ვერც კრასნოდარელი კაზაკების მათრახები შეაწუხებს, ვერც ვიღაც არიფ იუნუსოვი აიძულებს ყივჩაღები იყვნენ და ვერც რომელიმე რუსეთელი მთვრალი ადამიანი ეტყვის საიდან ჩამოვიდნენ ეს შავებიო... მჯერა, რომ ის სულდამშვიდებული წავიდა...

ჩემთვის ეს დიდი ტკივილი იყო. მადლობა ჩემს მეზობლებს, ნათესავებს, ისინი მხარში მედგნენ და ძალიან დამეხმარნენ მძიმე წუთებში. ჩემი ქმარი ადიგენის რაიონში, სოფელ ღორძეში

დავასაფლავეთ.

ის მშობლიურ მიწაში განისვენებს. ჩემი დედამთილიც იქ არის დამარხული...

ახლა კი მინდა სხვა რამე გითხრათ. ძალიან ბევრს ლაპარაკობენ პოლიტიკოსებიც და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც, მესხების აქ შემოშვება არ შეიძლებაო (მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ქართულ გვარებს ვატარებთ, ისინი მაინც «თურქ მესხებს» გვეძახიან).

ამასთან დაკავშირებით მე ასე ვიტყვი: თუ არსებობენ თურქი გურულები, არიან თურქი სვანები, არიან თურქი მეგრელები, მაშასადამე, თურქი მესხებიც არიან. არ ვიცი, რაში სჭირდებათ ჩვენს პოლიტიკოსებს ამ სიტყვების - «თურქი მესხები» დამკვიდრება. ამ სიტყვით ისინი აღიარებენ თითქოს მესხეთის მიწა თურქული მიწა იყოს. ჩვენ მესხები ვართ, ჩვენ ქართული ერის განუყოფელი ნაწილი ვართ.

ახლა კი მინდა ჩვენი ტრენინგების შესახებ გიამბოთ. თითქმის ერთი წელია, რაც ისინი გრძელდება. ამ პროექტს ასე ერქვა - «სომხურ-მესხური დიალოგი საქართველოში სტაბილიზაციისთვის». ამ ტრენინგების დროს მესხეთიდან სომხები და საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მესხები - ჩვენი მესხები ჩამოვიდნენ. სომხები კი სამცხე-ჯავახეთიდან იყვნენ, ისინი რომლებიც თითქოსდა ჩვენ წინააღმდეგ არიან.

ჩვენ ერთმანეთი გავიცანით. მე ქალაქ ახალციხეში ვცხოვრობ, თუმცა მათ ასე ახლოს არ ვიცნობდი. ჩატარდა ჩვენი საბაზო ტრენინგები და ბოლო ტრენინგი იმათთვის იყო, ვისაც ტრენერობა უნდა. ჩვენმა ტრენერებმა, შეიძლება ითქვას, 12 ახალი ტრენერი მოამზადეს. აქედან ნახევარი სომეხია, ნახევარი კი ჩვენ ვართ, მესხები. და ამ ტრენინგზე ჩვენ ისე დავმეგობრდით, ისე დავახლოვდით, რომ განშორება გაგვიჭირდა.

ამ ტრენინგებზე კონფლიქტების მოგვარებას გვასწავლიდნენ, ამ მეთოდს ასეც ჰქვია «ძალადობის ალტერნატივა». ჩვენ უბრალოდ ვურთიერთობდით, ყველა თავ-თავის ისტორიას ჰყვებოდა, რაღაც სანუკვარს. ბავშვობაში რაღაც შემემთხვა, მანამდე ამის შესახებ არავისთვის მიამბნია - არც ქმრისთვის, არც შვილებისთვის. ეს ამბავი გულზე მაწვა. იქ ისეთი სანდოობის ატმოსფერო იყო, რომ ამის შესახებ იქ მოვყევი... ისინიც ყვებოდნენ თავიანთ ამბებს. ერთმანეთს ვეხმარებოდით. ვიღაცას რაღაც პრობლემები ჰქონდა, და ჩვენ ერთმანეთს ვურჩევდით, როგორ გადაგვეწყვიტა ეს საკითხი.

თუ ეს უბრალოდ ვარჯიშები იყო ხოლმე, ჩვენ მათაც ერთად ვასრულებდით. ერთად ვჭამდით, ვსვამდით, ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით, როგორც რუსეთის არხზეა პროგრამა, «ვარსკვლავებს» რომ უშვებენ, დაახლოებით ისე იყო; ისინი იმათგან «ვარსკვლავებს» ძერწავდნენ, ჩვენი ტრენერები კი - მომავალ ტრენერებს, რათა ჩვენც შევძლოთ არაძალადობის მეთოდების გავრცელება.

მე სულითა და გულით მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს ორგანიზაციას - «ქართველ რეპატრიანტთა კავშირს» და სამცხე-ჯავახეთის ორგანიზაციას «ახალციხე - ჩვენი სახლია», რომლებმაც ევროპის საბჭოს დახმარებით ეს ტრენინგები ჩაგვიტარეს, ესენი არიან მარატ ბარათაშვილი და რობერტ მურადიანი. და ჩვენი ტრენერები - მარატ ბარათაშვილი, კლარა ბარათაშვილი და ჩვენი ტრენერ-ფსიქოლოგი მანანა კანდელაკი. ისინი ძალიან, ძალიან კარგი ადამიანები არიან. ეს სასარგებლო საქმე იყო.

გამოსათხოვარ ბანკეტზე სომხებმა თქვეს: «ჩვენ არ ვიცოდით სად მივდიოდით, რა იქნებოდა, მაგრამ თურმე სამოთხეში ჩამოვსულვართო» (*იცინის*). მათ თქვეს, პოლიტიკოსები გვეუბნებოდნენ, «თურქი მესხები» ისეთები და ასეთები არიანო (აქცენტი ყოველთვის კეთდებოდა სიტყვაზე «თურქი»), მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ჩვენები, მესხები, მკვიდრი მაცხოვრებლები არიან. ისინიც ადამიანები არიან და მათაც აქვთ თავიანთ სამშობლოში ცხოვრების უფლება, იმის უფლება, რომ იცხოვრონ იქ, სადაც უნდათ.

მე ძალიან მადლობელი ვარ ყველასი. იმ სომხებისაც, რომლებმაც ჩვენთან ერთად გაიარეს ტრენინგები. მათ საკუთარივით აღიქვეს ჩვენი ტკივილი. ჩვენი ცრემლები კი ისე აღიქვეს, როგორც საკუთარი ცრემლები, როცა ჩვენ სამშობლოს მონატრებაზე ვყვებოდით, მათ თვალებიდან ცრემლები სდიოდათ. თითოეული მათგანი გვეუბნებოდა არავისა აქვს უფლება სამშობლოში დაბრუნება აგიკრძალოთო, მოდით, ჩვენთან იცხოვრეთო.

ასეთი შემთხვევაც კი იყო. ჩვენ პატარ-პატარა ჯგუფებად დავიყავით და გვქონდა ასეთი ვარჯიში – ჯგუფის ურთიერთდახმარება პრობლემის გადაჭრაში. და ერთმა ახალგაზრდამ, მესხმა ჩვენი ჯგუფიდან თქვა, ოცნება მაქვს, რომელიც მამაჩემმა ვერ აასრულა, რადგან გარდაიცვალა და მე მინდა ეს ოცნება ავისრულო და სამშობლოში სახლი ვიყიდო *(ტირის),* რისი გაკეთებაც მამაჩემმა ვერ შეძლო. მე ფული არა მაქვსო (ის ჯერ კიდევ სტუდენტია) და მაშინ (თითოეულ ჯგუფში ორ-ორი მესხი და ორ-ორი სომეხი ვიყავით), ამ სომხებმა თქვეს, მოდით, ფული შევაგროვოთ (ვისაც რამდენი შეუძლია)

და სახლის ყიდვაში დავეხმაროთ მას, ოცნება ავუხდინოთო. ვფიქრობ, მარტო ამისთვის ღირდა ამ ტრენინგების ჩატარება.

მიხარია, რომ მესხეთში, სამშობლოში ჩამოვედი, რომ ასეთ ადამიანებს შევხვდი ტრენინგებზე და ასეთი კეთილმოსურნეობა და სიყვარული დავინახე... ვინც არ უნდა იყოს – სომეხი თუ ქართველი... ქურთი, ამერიკელი თუ ინგლისელი, ნებისმიერი: ადამიანი ადამიანი უნდა იყოს.

ტრენინგი რომ დამთავრდა, ჩვენმა ტრენერებმა სიურპრიზი მოგვიმზადეს. ეს იყო პატარა წიგნი, ჩვენი ფოტოებით და ლექსად გამოთქმული სურვილებით. მინდა ამ ლექსის ბოლო სტრიქონები მოვიყვანო: ««ჩვენს კუთხეში, ჩვენს მესხეთში, ცხოვრობს ყველა: ისინიც, ესენიც - «-შვილიც», «-ოვიც», «-ძეც» და «-იანიც», ჩვენ ყველანი ვიტყვით მხოლოდ: «ჯან!» და აი ასე, მიყოლებით, დე, იზარდოს ჩვენმა რაზმმა, მეგობრობით, ძალითა და გონებით, განვამტკიცოთ ჩვენი საერთო სახლი».

მინდა დავამატო, რომ ჩვენთან, ახალციხეში, უკვე გაჩნდა რამდენიმე ჩვენი, მესხური ოჯახი. ყველა ბავშვი ქართულ სკოლაში დადის, ქართულ ენას სწავლობენ. ლექსებსაც კი წერენ ქართულად, ლექსებს სამშობლოზე.

ერთხელ ერთ ქალს შევხვდი. სომეხი იყო. ბავშვობაში ასპინძის რაიონში უცხოვრია, სადაც ჩვენი მესხები ცხოვრობდნენ. მიამბო, ბავშვობაში ჩვენებურ, მესხ ბავშვებთან ერთად ვთამაშობდითო. რამაზანის (მარხვის) დროს, უფროსები დილიდან საღამომდე არაფერს ჭამენ, საჭმელს მხოლოდ საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ ამზადებენ. როცა მათ ეზოში ვთამაშობდით ხოლმე, მოხუცები ამბობდნენ, ჯერ ბავშვებს მიეცითო და გვიმასპინძლდებოდნენო. მშივრები იყვნენ ხოლმე, დილიდან საღამომდე უჭმელები, მაგრამ ასე ამბობდნენ: «არა, ჩვენ ნუ გაგვიშლით სუფრას. ჯერ ბავშვებს აჭამეთ, მეზობლების, სომხების ბავშვებს, ჩვენებს, ჩვენ კი მერეო».

და ასე გვითხრა იმ სომეხმა ქალმა: მე ვიცნობ თქვენიანებს, მათთან ერთად გავიზარდე, ისინი ძალიან კარგები იყვნენ, კეთილმოსურნეები, გულკეთილებიო. მე ვუთხარი, თუ ასეა მოდით, თქვენი მონაყოლი მაგნიტოფონზე ჩავიწეროთ სამახსოვროდ-მეთქი. მას შეეშინდა და გაიქცა. არ ვიცი. მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობენ რაღაც ძალები, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს დაბრუნებას. აი, ეს პროვოკაციული გადაცემები ტელევიზორით... მაგრამ ადამიანები, უბრალო ადამიანები მოდიან და გვიყვებიან, ჩვენი წინაპრები კარგად ცხოვრობდნენ თქვენებთან ერთადო.

როცა გადასახლებაში ვცხოვრობდით, არც ჩვენ გვსმენია, არასდროს გაგვიგია. დედა პატარა იყო, მაგრამ მას ნათესავები ჰყავდა და ისინი ყვებოდნენ, რომ კარგად ცხოვრობდნენ, ის კი არა, ერთმანეთის ნათლიებიც კი იყვნენ. ჩემი დედამთილი ყვებოდა ხოლმე, მამაჩემს ადიგენის რაიონში მეგობარი ჰყავდა, გრიგორიანი, საგუშაგოს უფროსიო. როცა ის მოვიდოდა ხოლმე, ცხვარსა ვკვლავდით, ვუმასპინძლდებოდითო... როცა მამაჩემი მათსა მივიდოდა, ისინიც უმასპინძლდებოდნენო... არ ვიცი, საიდან ჩნდება ეს პროვოკაციული გადაცემები, ვინ არის დაინტერესებული იმაში, რომ მესხები არ დაბრუნდნენ სამშობლოში, არ ვიცი...

მაგრამ ვფიქრობ, რომ არავის აქვს უფლება წინ აღუდგეს ადამიანის დაბრუნებას, რომელსაც უნდა თავის სამშობლოში იცხოვროს.

2004 წ. 9 აპრილი

მასალა მოამზადა კლარა ბარათაშვილმა

ჰადიჯა ომაროვა: «ჩვენ, ყველანი ნამსხვრევებივით ვართ მიმოფანტულები...»

მე ჰადიჯა ომაროვა მქვია. ვცხოვრობ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ მინგეჩევირში.

მე საქართველოს სსრ ადიგენის რაიონის სოფელ ბოლაჯურში დავიბადე 1938 წელს. დედაჩემს ფიარიაჰი ერქვა (*ეს სიტყვა ითარგმნება როგორც «სიამაყე» - **კ. ბ.***). მამას თეიფური ერქვა. მის ძმებს, ბიძაჩემებს, ერქვათ გაფური, სეიფუ-რი. კიდევ «ბიოიუქ ანაც» (*«უფროსი დედა» - **კ. ბ.***) გვყავდა, ის მამაჩემის ბიძის ცოლი იყო. თუმცა საერთოდ, მას გიულფიან-ნენეს (*«ნენე» - «ბებია» - **კ. ბ.***) ეძახდნენ. ბიძაჩემის ცოლს პამბუჭი ერქვა. ისინი ყველანი გადასახლებაში გარდაიცვალნენ.

ჩემს ძმებს გიულალი, ალიზარი, მაჰმუდი და ბინალი ერქვათ.

ბებიაჩემს დედის მხრიდან ალთუნ-ნენე ერქვა (*«ალთუნ» თურქულად «ოქროს» ნიშნავს - **კ. ბ.***). ის საქართველოს ადიგენის რაიონის სო-

ფელ თუთასჯვარში ცხოვრობდა (დედა იქიდან იყო წარმოშობით). ხშირად ჩავდიოდით ხოლმე იქ სტუმრად. ორი დღის შემდეგ, რაც იქიდან სტუმართან ერთად დავბრუნდით, გაგვასახლეს.

პაპას დედაჩემის მხრიდან საერთოდ არ ვიცნობდი, მე რომ დავიბადე, ის ცოცხალი აღარ იყო. თუმცა კი პატარა ვიყავი, მაგრამ მახსოვს, რომ ბიძაჩემის სახლის გვერდით თუთასჯვარში წყარო იყო, ამ წყაროს წყალს ვსვამდით ხოლმე.

კლარა ბარათაშვილი. საერთოდ, როგორ ცხოვრობდით – ღარიბულად თუ მდიდრულად?

ჰ. ო. საკმაოდ შეძლებულად. განსვენებული დედაჩემი ამბობდა ხოლმე, 60 სული ცხვარი, თხები და 4 ძროხა გვყავდაო. ერთი კამეჩიც გვყავდა, მართალია, ის მთიდან გადაიჩეხა, მაგრამ შვილი დარჩა - პატარა ზაქიო... ღარიბები არამც და არამც არ გვეთქმოდა. ყველაფერი საკმარისად გვქონდა, ჩვენი ბაღებიც გვქონდა. რა აღარ გვედგა იმ ბაღებში... ქლიავი, ვაშლი, მსხალი, ყველაფერი - ყველაფერი...

და ერთბაშად ყველაფერი წაგვართვეს, ვაგონებში შეგვყარეს და... (*გულატკიებული ჩუმდება*).

კ. ბ. გახსოვთ, როგორი სახლი გქონდათ საქართველოში?

ჰ. ო. ორსართულიანი სახლი გვქონდა, აივნებიანი. ყველაფერი არ მახსოვს. მარტო ის მახსოვს, რომ ჩვენი სახლი მეჩეთთან იყო და ჩვენს სახლსა და მეჩეთს შორისაც წყარო იყო. სხვათა შორის, რამდენიმე საზაფხულო სახლიც გვქონდა.

კ. ბ. და რას ინახავდით იქ?

ჰ. ო. ამ სახლებში ზაფხულობით ჩვენ თვითონ ვცხოვრობდით ხოლმე. ეს სახლები არ თბებოდა და იქ ძალიან გრილოდა. თუმცა ბეღლებიც და სასაწყობო სათავსოებიც იყო - ისინი მოშორებით იდგა. მთელი ჩვენი საქონელი იქ დარჩა, ბღაოდნენ, როცა ჩვენ გვასახლებდნენ. დღემდე მახსოვს.

კ. ბ. რამდენი ბავშვი იყავით?

ჰ. ო. ოთხი ძმა და მე, ერთი და, ყველაზე უმცროსი.

კ. ბ. მამა?

ჰ. ო. მამაც იყო, მაგრამ ის ხშირად მიდიოდა ხოლმე თავის ძმასთან, თურქეთში.

კ. ბ. როცა გასახლებდნენ, ის თქვენთან ერთად იყო?

ჰ. ო. არა, მამამ მხოლოდ 15 წლის შემდეგ მოგვძებნა.

კ. ბ. როგორ მოახერხა?

ჰ. ო. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. ვიდრე ომი იყო, ის თურქეთში რჩებოდა. მერე კი დაი-

ჭირეს და საბჭოეთს გადასცეს. და 10 წელი მიუსაჯეს. არცკი ვიცი, სად იჯდა... მისმა ამბავმა ჩვენამდე 15 წლის შემდეგღა მოაღწია. მე უკვე გათხოვილი ვიყავი, თუმცა შვილები ჯერ არ მყავდა. და უცბად მატყობინებენ, მამა გამოჩნდაო. ჩვენ ის დაღუპული გვეგონა. მამად მე ჩემს უფროს ძმას მივიჩნევდი.

ბოლაჯაურში ყოფნისას მე ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, გამორჩეული მეგობრები არ მყოლია. ჩემი ძმები მეორე კლასამდე სოფლის სკოლაში სწავლობდნენ. სკოლა აზერბაიჯანულენოვანი იყო (*1930-იან წლებში ბოლშევიკებმა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა «აზერბაიჯანლებად» გამოაცხადა. საერთოდ რეგიონი აზერბაიჯანის კულტურულ ავტონომიად იყო ქცეული - მასწავლებლები, პარტიული კადრები, სახელმძღვანელოები უშუალოდ ბაქოდან იგზავნებოდა. ადიგენში (და ზოგადად, ყველა რაიონში) გამოიცემოდა გაზეთი «ადიგენ კოლხოზჩუსუ» («ადიგენის კოლმეურნე») აზერბაიჯანულ ენაზე, ხოლო თავად ახალციხეში აზერბაიჯანულენოვანი თეატრიც კი იყო.*

მაჰმადიან მესხებში ქართული ენის ამოძირკვა საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიური ამოცანა იყო. მამაჩემის პასპორტში ასე იყო ჩაწერილი: ლ. ბარათაშვილი - «აზერბაიჯანელი».

არადა, დღეს მესხებს ქართული ენის უცოდინრობას აყვედრიან... – ***კ. ბ.***). და სხვათა შორის, მათ მამიდაშენი ნაფია ასწავლიდა (*ნ. ბარათაშვილი - ლ. ბარათაშვილის და -* ***კ. ბ.***).

იქ კი, გადასახლებაში, რომელ სკოლაზე იყო ლაპარაკი, ხალხი შიმშილით კვდებოდა. ბულუნგურში ჩავედით, იქ კი ყველა ფეხშიშველ-შიშვლია, სწავლას ვინ ჩიოდა...

კ. ბ. მოდით, თავად გადასახლებაზე ვილაპარაკოთ. რა გახსოვთ?

ჰ. ო. როცა გაგვასახლეს, მე 6 წლის ვიყავი.

მახსოვს, დილით ავდექით, დედა მჭადს აცხობდა. ვხედავ, ერთ ჯარისკაცთან ერთად ჩვენთან მეზობლის, იორდანის შვილი, ვანო შემოვიდა. მას ყველა ვანიკოს ეძახდა. და მან თქვა: «აბლა (*«დაო» -* ***კ. ბ.***), თქვენ გაგდებენ...» დედა ატირდა. სახლში მე და ჩემი ძმები ვიყავით. მათ ჯერ ისევ ეძინათ, - იმდენად ადრე იყო. მე ისე შემეშინდა, რომ «სიაკიუის» (*საქვი - დაბალი განიერი ტახტი, რომელსაც ოთახის უმეტესი ნაწილი ეკავა, მასზე ზიან, ჭამენ და სძინავთ. საქვი დღემდე შემორჩა მესხების ყოფაში. -* ***კ. ბ.***) ქვეშ შევძვერი. დედამ ჩემი უფროსი ძმა გააღვიძა (ის 16 წლის იყო) და ბიძაჩვენთან გაგზავნა. «გადაეცი, რომ გვასახლებენ და ჰკითხე რა ვქნათ-თქო». მას ეგონა, რომ მამას გამო გვასახლებდნენ, რომელიც თურქეთში წავიდა.

ჩემმა ძმამ ბიძასთან მიირბინა. მან კი უთხრა: «ყველას ასახლებენ. სასწრაფოდ შეაგროვეთ ყველაფერი, რაც კი გაგაჩნიათ». კალო უკვე ჯარისკაცებით იყო სავსე. გამოგვიყვანეს, მთელი საქონელი კი ისე სასოწარკვეთილი ბღაოდა, თითქოს რაღაც ცუდს გრძნობდაო.

კ. ბ. ეს დღე ხდებოდა, თუ ღამე?

ჰ. ო. უკვე დილა იყო, როცა ხალხი ქუჩაში გამოყარეს. ყვიროდნენ «გამოდითო!» და უკან, სახლში შესვლა უკვე შეუძლებელი იყო. თოფიანი ჯარისკაცები იდგნენ, ჩვენს სახლებში რომ ვეღარ შევსულიყავით. გამოგვიყვანეს ამ კალოზე და აღარსად გვიშვებდნენ, არამცთუ ჩვენ ჩვენს სახლებში.

კ. ბ. რამის თან წაღება თუ მოასწარით?

ჰ. ო. რა ვიცი, სამი ხელი ლოგინი წავიღეთ... დედამ ჩემს ძმებს ბოხჩებად შეაკვრევინა ისინი. მერე - ოთხი ტომარა ხორბალი. ფქვილი არა გვქონდა, ის ჯერ ისევ წისქვილში იყო, მალე უნდა წამოგვეღო. მაშინ ჩვენმა მეზობელმა იორდან-ემიმ (*«ემი» - «ბიძა» -* ***კ. ბ.***) გვითხრა: «ფქვილი მოგიტანეთ, თან წაიღეთ, თქვენ ხომ პატარა ბავშვები გყავთ...» და თვითონვე წაიღო ტომრები და მანქანაზე შემოდო.

კ. ბ. რა მანქანა იყო?

ჰ. ო. რა ვიცი, მგონი «სუდაბეკერი»... (*ამერიკული სატვირთო მანქანები «სტუდებეკერები», სსრკმ- აშშ-სგან ლენდ-ლიზით მიიღო -* ***კ. ბ.***). ისეთი უზარმაზარი მანქანები იყო (მე ბორბლების ზედა ნაწილს ვერც კი ვწვდებოდი), ოღონდ გადაუხურავი. თვითმცლელების მსგავსი. იმდენი იყო... ჰოდა, ამ მანქანებში ჩაგვსხეს. მერე კი - ვაგონებში.

კ. ბ. რა, თქვენ სოფელში რკინიგზა იყო?

ჰ. ო. სოფელ კლდემდე მიგვიყვანეს, იქ გადმოგვსხეს და უკვე გამზადებულ სატვირთო ვაგონებში შეგვყარეს.

კ. ბ. რისი წაღება მოახერხეთ?

ჰ. ო. აკი გითხარით... სამი ხელი ლოგინი და ოთხი ტომარა ხორბალი გვქონდა. ოთხი ტომარა ფქვილი და ერთი ხის ზანდუკი კი ჩვენმა მეზობლებმა – იორდან-ემიმ და სოფო-აბლამ მოიტანეს. ზანდუკი სავსე იყო ტყლაპით, ჩირით, «აჩმაც» ჩაედოთ... ჩვენს ეზოში ყველა ჩვენმა ქართველმა მეზობელმა მოიყარა თავი, ჩაბარგებაში გვეხმარებოდნენ. «ალბათ, ვეღარ დაბრუნდებითო...» – გვეუბნებოდნენ.

კ. ბ. არ უხაროდათ, რომ გასახლებდნენ?

ჰ. ო. არა, პირიქით, ტიროდნენ კიდეც, გვემშვიდობებოდნენ, გვეხვეოდნენ.

კ. ბ. თქვენ მაშინ ექვსი წლის გოგონა იყავით და არ გეშინოდათ?

ჰ. ო. რა თქმა უნდა, მეშინოდა. დედაჩემის კალთას ჩავაფრინდი. მაგრამ დედა მამხნევებდა: ნუ გეშინია, შვილო, ყველაფერი კარგად იქნებაო.

კ. ბ. რამდენი ოჯახი იყო ვაგონში?

ჰ. ო. მთელი ვაგონი გაჭედილი იყო, ყოველი ოჯახი ერთ კუთხეში იყო შეყუჟული. 24 დღე ვიყავით გზაში. ვერც ვბანაობდით, ვერც ნორმალურად გვეძინა და ვერც ნორმალურად ვჭამდით. ზოგჯერ წყალწყალა წვნიანს გვაძლევდნენ, კარდალით. ზოგჯერ საერთოდ არაფერს გვაძლევდნენ. ჩვენმა მეზობელმა სოფო-აბლამ, როგორც უკვე ვთქვი, «აჩმა» გამოგვიცხო, კვერცხები მოგვიხარშა. მთელი ცხვრის შეწვაც კი მოახერხა ჩვენთვის. ასე რომ პურითა და ამ სურსათით გავიტანეთ თავი.

დიდხანს მივდიოდით, სამარყანდის ოლქის ბულუნგურშიღა ჩამოვედით, იქ, სადაც წითელი სახლი დგას (*საწყობის შენობა ბულუნგურის რაიონის სადგურ კრასნოგვარდეისკაიას რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე. ის დღემდე იქ დგას -* ***კ. ბ.***).

კ. ბ. ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ გზაში?

ჰ. ო. როგორც ვთქვი, ჩვენთან ერთად ჩვენი «ბიოიუქ ანაც» - გიულფიან-ნენეც იყო (მამაჩემის

ბიცოლა). ის გზაში მოკვდა, საბარგო ვაგონში. და ჩვენ მთელი გზა ვმალავდით მას. ლოგინს ვალაგებდით ზევიდან. სხვაგვარად, ჯარისკაცებს მიჰქონდათ მიცვალებულები და ან მიწაყრილში ყრიდნენ, ან წყალში - სადაც მოხვდებოდათ. მაგრამ ვერავინაც ვერ მიხვდა. ჯარისკაცები მყავს მხედველობაში. მიცვალებულს ვმალავდით და როცა ჯარისკაცები ვაგონის გასაჩხრეკად მოდიოდნენ ხოლმე, ჩვენ, ბავშვები, გვერდით ვისხედით, ლოგინებზე და შიშით ვუყურებდით ამ საშინელ ჯარისკაცებს.

ჯიანშა ომაროვი (*ჰადიჯა ომაროვას უფროსი ვაჟიშვილი*). წარმოგიდგენიათ? ვაგონში ქალი ვკდება და ისინი 20 დღე მალავენ ცხედარს. ხალიჩაში გაახვიეს და ამ რულონზე ბავშვები ისხდნენ, ჯარისკაცებს რომ ვერაფერი დაენახათ.

ჰ. ო. რომ ჩავაღწიეთ, ბიძაჩემმა ეს ბებია 8 მარტის სახელობის კოლმეურნეობაში დაასაფლავა, როგორც წესია. ყველაფერი ისე გააკეთა, რომ ხელისუფალთაგან ვერავინ ვერაფერი გაიგო.

გიულფიან-ნენე ჩვენი უფროსი ბიძის ცოლი იყო - ჯანმრთელი, ლამაზი მოსული ქალი. ჩვენ ყველანი პატივს ვცემდით მას და ვერ დავუშვებდით, რომ აეღოთ და ის უბრალოდ გადაეგდოთ ვაგონიდან, როგორც ამას უშვრებოდნენ ყველას, ვინც გზაში მოკვდებოდა...

კ. ბ. ეს ძალზე იშვიათი შემთხვევაა!

ჰ. ო. როგორც უკვე გითხარით, ჩვენ ბულუნგურში მოვხვდით, იქიდან 8 მარტის სახელობის კოლმეურნეობაში წაგვიყვანეს. იქ ერთი წელი ვიცხოვრეთ. იქვე მოკვდა ბიძაჩემი, მამაჩემის მხრიდან, და საერთოდ, რამდენი ჩვენიანი გარდაიცვალა იქ...

ამ კოლმეურნეობაში ოთხი ცხვარი მოგვცეს. და კიდევ ბრინჯი. მეტი საბჭოეთისგან არაფერი მიგვიღია. უფროსმა ძმამ, გიულალიმ ეს ცხვრები გაყიდა და ბულუნგურში გადაგვიყვანა. რაღაცნაირად გაგვქონდა თავი. ხან შეშას ვყიდიდით, ხან კიდევ რას. მინდორ-მინდორ ჭარხალს ვაგროვებდით ხოლმე, დედა გვიხარშავდა და გვაჭმევდა. ფეხზე რა გვეცვა? ფეხსაცმელი ახლა აცვიათ. მაშინ კი ჩვენი ძმა ბრეზენტის ნაგლეჯებიდან ქალამნის მსგავს რაღაცას აკეთებდა და ამას ვატარებდით... გავიზარდეთ. ასეთ გაჭირვებაში, ძლივს-ძლივს...

მერე ხორბალი დავთესეთ, ცოტ-ცოტას ვმუშაობდით, ასე თუ ისე დავდექით ფეხზე.

უფროსმა ძმამ გიულალიმ ითავა ჩვენი მეურნეობის გაძღოლა, მუშაობა დაიწყო. იმ წლებში ხალხი ქატოსა და ნახერხს ჭამდა - ეს 50-იანი წლები იყო. გიულალი შეშას ყიდიდა, შავ პურს ყიდულობდა და ამ პურით ვიკვებებოდით. ის ყველანაირად ცდილობდა მშივრები არ დავეტოვებინეთ.

დედამ ცოტა ხანს იმუშავა კოლმეურნეობაში, მერე ძმებმა აღარ გაუშვეს სამუშაოდ. გიულალი კოლმეურნეობაში მუშაობდა, ხარებით ხნავდა. მეორე ძმა, ალიზარი, მერგოლური იყო კოლმეურნეობაში, დანარჩენები - მაჰმუდი და ბინალი - მზიდავებად მუშაობდნენ: ურმებით გადაჰყავდათ ხალხი.

კ. ბ. მამათქვენმა ტუიფურმა როგორ მოგაგნოთ?

ჰ. ო. ის თურმე ბოლაჯურში ჩამოსულა და იქ იორდანის ოჯახს უთქვამს მისთვის, რომ ჩვენ ტაშკენტში გადაგვასახლეს. ასე გვიპოვა მან ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა. ათი წელი იცხოვრა ჩვენთან ერთად და სირდარიაში მოკვდა.

კ. ბ. უფრო დაწვრილებით გვიამბეთ მამას, დედას შესახებ...

დ. ო. (*ჰ. ომაროვას უფროსი ვაჟიშვილი*). პაპა ხშირად ჩადიოდა ძმასთან თურქეთში (*მესხეთის სამხრეთ ნაწილი თურქეთში რჩებოდა - **კ. ბ**.*), მდინარეზე გადადიოდა, ერთ-ორ თვეს რჩებოდა მასთან სტუმრად, მერე კი ბრუნდებოდა. იქ შეიტყო მან ჩვენი გასახლების შესახებ და გადაწყვიტა ომის დამთავრებამდე დარჩენილიყო. ომი რომ დამთავრდა, დაბრუნდა. ჩამოვიდა – ჩვენიანები კი აღარ დახვდნენ. მაშინ იყო, რომ დაიჭირეს, 10 წელი მისცეს (ალბათ, როგორც «თურქეთის აგენტს»!). ომი 1945-ში დამთავრდა, ის 10 წელი იჯდა (ჩათვალეთ, რომ არაფრისთვის!..) და მხოლოდ 1955-ში ჩამოვიდა, თავისიანები მოძებნა.

ბებიაჩვენი (დედის მხრიდან) ლამაზმანი იყო. და რაც ყველაზე საინტერესოა, ყოველთვის თან ატარებდა მაუზერს.

კ. ბ. მაუზერს?!

დ. ო. წარმოგიდგენიათ? ქალი და მაუზერი? თუმცა რას წარმოადგენს კავკასიური სახლი იარაღის გარეშე? ამბობენ, პაპას სახლში, საქართველოში, ძვირფასი ხანჯლებიც ჰქონია...

კ. ბ. მაინც რისთვის დაჰქონდა მას თან მაუზერი?

ჰ. ო. რომ არ ასდევნებოდნენ. ერთხელ თურმე კოლმეურნეობის თავმჯდომარე (ის ჩვენიანთაგანი იყო) ასდევნებია. მას აბდულა ერქვა. დედა რომ მუშაობდა, ამ აბდულას ორიოდ უხამსი სიტყვა უკადრებია მისთვის. დედას ეს მამასთვის უთქვამს, მას კარგად მიუბეგვავს ეს აბდულა, ის კი დამუქრებია, მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა შეეხო საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელსო. იმავე ღამეს მამა იძულებუ-

ლი გახდა დამალულიყო... ძმასთან გაიქცა თურქეთში. იფიქრა, ერთ-ორ თვეს ვიქნებიო... ამასობაში ჩვენ გადაგვასახლეს. მაგრამ დედას (იმის გამო, რომ ქმარი გვერდში არ ჰყავდა) მუდამ თან ჰქონდა ეს მაუზერი.

დ. ო. მაგარი ქალი იყო. მამაცი და თავისებური. ლამაზი იყო, მაგრამ ვერავინ ვერაფერს შეჰბედავდა. თავის დაცვა შეეძლო. ერთხელ, თურმე კოლმეურნეობის თავმჯდომარე გადაეკიდა (აქაოდა, ქმარი ისედაც ხშირად სხვაგან მიდის ხოლმეო...), ბებიაც ამდგარა და პაპასთვის უთქვამს, ასე და ასეაო... ჰოდა, პაპა მეორე დღეს თურმე სახალხოდ ეუბნება ამ თავმჯდომარეს: აბა, ერთი, აქ მოდიო... პაპაჩემიც მოსული კაცი იყო, ღონიერი. ისიც თურმე ცმუტვით მიუახლოვდა და უტიფრად ჰკითხა აბა, რა გინდაო? პაპას კიდევ მუშტის ერთი დაკვრით ეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ძირს გაუგორებია და კარგადაც მიუჟეჟავს. ის კი დამუქრებია, როგორ მიბედავ, საბჭოთა ხელისუფლებასო, ესაო, ისაო... ჰოდა, პაპა იმავე ღამეს თურქეთში გადავიდა. ამასობაში კი - დეპორტაცია მოხდა.

ჰ. ო. დედაჩემი მართლაც მზეთუნახავი იყო. უზბეკეთში ქუჩაში თვალებამდე სახემობურული გამოდიოდა. მის სილამაზეს მამაკაცები რომ არ მიეზიდნა (მითუმეტეს, რომ თითქოს უქმრო ქალი იყო). სამაგიეროდ გვერდზე ყოველთვის ეკიდა მაუზერი. ერთი მამაკაციც რომ მიახლოვებოდა, დაუფიქრებლად ესროდა... და ეს ყველამ იცოდა.

კ. ბ. კი მაგრამ, მაუზერი საიდან გაჩნდა თქვენს ოჯახში?

ჰ. ქ. პაპაჩემმა უღელი ხარი გაყიდა (ეს ჯერ კიდევ საქართველოში იყო) და იმ ფულით მაუზერი იყიდა.

დ. ო. ყოჩაღი ქალი იყო ბებიაჩემი. მარტომ გაზარდა 4 ვაჟიშვილი და ქალიშვილი, დედაჩემი. ეს ყველას როდი შეუძლია. მამაკაცის დახმარების გარეშე ასეთი რამ ყველას არ შეუძლია. ის ვაგონშიც მარტო იყო, ბავშვები ბღავიან, ის კი მარტო თავისებს კი არ აჭმევდა, ვაგონში მყოფებსაც ეხმარებოდა. 24 დღე გზაში - ცოტა სულაც არ არის.

კ. ბ. მიამბეთ, როგორ გათხოვდით?

ჰ. ო. არანაირი წინასწარი შეხვედრები არ გვქონია, შუამავლები მოვიდნენ და გამათხოვეს. ჩემი ძმის ცოლი ჩემი მომავალი ქმრის, ილიასის ბიძაშვილი იყო. ერთხელ მე და ის ერთად წავედით მათსას ქორწილში. განსვენებულმა ჯაფარ-ემიმ (ილიასის ბიძამ) რომ დამინახა - ფუმფულა, თეთრი - გამოაცხადა: «ილიასს მივათხოვოთ!.. და მორჩა». და ქორწილი გადავიხადეთ. ქორწილი სამი დღე-ღამე გრძელდებოდა. ყველაფერი ჩვენი წეს-ჩვეულებების შესაბამისად გაკეთდა - დანიშვნაც,» ფარჩაც» (*პატარა ქორწილი პატარძლის სახლში, როდესაც საქმროს საცოლეს საჩუქრებს (ტანსაცმელს, სამკაულს) უგზავნის და ყველაფერს სტუმრებს უჩვენებენ - **კ. ბ**.*). ოქროულობაც მაჩუქეს, ვერცხლის ქამარიც შემომარტყეს წელზე (*მესხი საპატარძლოს საქორწინო ტანსაცმლის აუცილებელი ატრიბუტი – **კ. ბ.***). ისღა დამრჩა ჩემი სამკაულებიდან (*ამოიოხრებს*). ხანდახან ვიკეთებ ხოლმე, ახალგაზრდობას ვიხსენებ... გათხოვებით კი, თვალდახუჭული გავთხოვდი, საქმრო ხეირიანად არცკი მენახა. მადლობა ალაჰს, რვა შვილი გავაჩინე.

კ. ბ. მერე მაინც თუ შეიყვარეთ ილიასი, თუ?

ჰ. ო. რომ არ მყვარებოდა, აქამდე ვიჯდებოდი მის სახლში?

პირველი შვილი რვა თვისა მოგვიკვდა, მერე დაიბადა ჯიანშა – უზბეკეთში. მერე – ტელმანი - უკვე აზერბაიჯანში.

კ. ბ. აზერბაიჯანში როგორ აღმოჩნდით?

ჰ. ო. ილიასი ქირმან-აღას ჩამოსაყვანად წავიდა, მერე ჩვენც ჩამოგვიყვანა.

კ. ბ. ქირმან-აღა ვინ იყო?

ჰ. ო. განსვენებული ქირმანი - ალაჰმა აცხონოს მისი სული! - ილიასის მამიდაშვილი იყო. ის იმხანად ახალგაზრდა, ქალაქ მინგეჩაურში ჩავიდა - ეს 50-იანი წლების ბოლო იყო. ჩვენ კი, ყველანი, მთელი ოჯახი ხუდათში (*აზერბაიჯანის ხაჩმასის რაიონი - **კ. ბ.***) გადმოვსახლდით. მოგვიანებით ჩვენი ოჯახის შემდეგ ქირმან-აღა და ილიასიც ჩამოვიდნენ. ჩვენი ყველა დანარჩენი შვილი უკვე აქ, მინგეჩაურში დაიბადა.

მეექვსე ბავშვი რომ დაიბადა, მე მუშაობა დავიწყე. მანამდე არ მიმუშავია. სამნახევარი წელი საფეიქრო ფაბრიკაში ვიმუშავე, მერე საზკვებაში გადავედი. ქმარი წინააღმდეგი არ იყო, იმ დროისთვის ბავშვებიც წამოიზარდნენ.

კ. ბ. გაგონილი მაქვს, რომ ყველგან, სადაც კი გიმუშავიათ, პატივს გცემდნენ. როგორ ახერხებდით ამას?

ჰ. ო. (*სიამაყით*) დიახ, ასეა! რამდენჯერ დაწერეს ჩემ შესახებ გაზეთებში... ყოველთვის სინდისიერად ვმუშაობდი. რომ იტყვიან, «სუფთა ხელები» მქონდა. არანაირი ქურდობა. კაპიკს კაპიკზე ვამატებდი და ასე ვშოულობდი. ამიტომაც მეუბნებოდა ყველა შენ ჩვენიანი ხარო! ჩემი პატიოსანი შრომით დავიმსახურე პატივი და პატივისცემა.

სხვისი არანაირი ნივთისთვის ხელი არ დამიკარებია. საზკვებაში კი... იმდენი ცდუნებაა,

ძალიან ძნელია.

ერთხელ რესტორნის დირექტორმა (ეს რესტორანი დრამთეატრის უკან იყო) მითხრა: «ჰადიჯა-ჰალა (*«ჰალა» - «დეიდა» - აზერბ. -* ***კ. ბ.***), რაღაც ამ ცვლაში კოვზები ხშირად იკარგება. საღამოთი გადათვალე ისინი». იყო იქ ერთი ვინმე, მასზე ფიქრობდნენ. «კარგი, თვლით ჩაგაბარებთ-მეთქი» - ვუთხარი. დავთვალე, ჩავაბარე. დილით მივედი, ისევ გადავთვალე. ვხედავ, სამი ცალი აკლია. ყველა აღელდა. მე კი ნაგვის ვედროში ჩავიხედე და ვხედავ იქ ორი კოვზი და ერთი ჩანგალია. ამოვიღე ისინი, დირექტორს მივუტანე და ვეუბნები: «ხედავ, ელჩინ, ნაგავში გადაუყრიათ». კი, კი ვხედავ, შენ არაფერ შუაში ხარო, მითხრა. ექვსი წელი ვიმუშავე რესტორანში, ყოველგვარი შენიშვნების გარეშე... დიდ პატივს მცემდნენ. ახლაც კი ასეა, თუმცა დიდი ხანია, აღარ ვმუშაობ. ხდებოდა ხოლმე, რომ მივდივარ ქალაქში, მოდის მანქანა და ჩერდება – ჩემი ყოფილი უფროსები გადმოდიან, მოწიწებით მესალმებიან და გზას აგრძელებენ. აი ასე მაფასებდნენ ჩემი პატიოსანი შრომისთვის...

კ. ბ. ახლა სად არიან თქვენი ნათესავები?

ჰ. ო. ეჰ, იმდენი ნათესავი მყავს, გვერდით კი არავინაა!.. *(ამოიოხრებს და დუმდება).* ზოგი უზბეკეთშია, სხვები რუსეთში არიან, სად უნდა ვიპოვო? გუშინ ძმისშვილმა დამირეკა, ისე მენატრება, გული მიკვდება. ვიღაც ხაჩმასშია, ვიღაც – როსტოვში, როგორ უნდა ვნახო ისინი, სული რომ მოვითქვა? გუშინ ილიასის ბიძაშვილმა დამირეკა, ისე გვენატრები, არ ვიცით, რა ვქნათო. მე ვუთხარი, ჩვენც შენს დღეში ვართ-მეთქი.

სხვადასხვა მხარეს მიმოვიფანტეთ ყველანი, ნამსხვრევებივით და არავინ გვიცავს, არავინ წუხს, არავინ ზრუნავს ჩვენზე, არავის ვჭირდებით!.. ისე გულსატკენია.

ჩემი ბიძები - ერთი თურქეთში იყო (რომელთანაც მამაჩემი მიდიოდა ხოლმე), - ის უკვე მოკვდა, - მშვიდობით განისვენოს! - მას ვაჟიშვილი დარჩა, ისა, შარშანწინ მისი ფოტოსურათი გამომიგზავნეს. მეორე 8 მარტის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში მოკვდა.

ძმა რომ მოკვდა, ვერ ჩავედი მის დასაფლავებაზე, დედა მოკვდა - მე კი ის ვერა და ვერ ვინახულე... სამი ძმა დამრჩა და არც მათ შესახებ ვიცი რამე, ნეტავ, ცოცხლები თუ არიან? ისინი სირ-დარიაში არიან, აბა, როგორ უნდა ჩავაღწიო იქამდე. ძალიან ძნელია.

კ. ბ. შვილები როგორ გაზარდეთ?

ჰ. ო. ილიასს რომ გავყევი ცოლად, ის მევენახეობას მისდევდა, მერე მძღოლობა ისწავლა და მძღოლად მუშაობდა. აზერბაიჯანში რომ ჩამოვედით, მარტო ჯიანშა გვყავდა. მერე გაგვიმრავლდნენ. უკვე შვიდი შვილი გვყავდა. ერთი მოგვიკვდა, ექვსი კი, მადლობა ალაჰს, ცოცხალია.

შენ მეკითხები, როგორ გავზარდეთ ისინი?

ჯიანშა ჩვენი უფროსი ვაჟიშვილია. მე და ჩემი ქმარი მუხლჩაუხრელად ვმუშაობდით, მისთვის უმაღლესი განათლება რომ მიგვეცა. და დიდება ალაჰს! - ჩვენსას მივაღწიეთ. ის იურისტია, სვერდლოვსკში დაამთავრა უნივერსიტეტი.

ესმირა მკერავობის სასწავლებლად მივაბარე. მეჰრიბანმა გამყიდველობა ისწავლა - სასწავლო მეურნეობაში, აქვე ახლოს. გიულმირა მედდაა, ტელმანი - შემდუღებელი. ყველა შრომობს, ლუკმა პურს შოულობს. სიძნელეების მიუხედავად, ჩვენ მაინც შევძელით და შვილები ფეხზე დავაყენეთ. გზა ვუჩვენეთ მათ. ყოველ მათგანს ყველაფერი ვუყიდე, რაც საჭიროა, ისე რომ აღარაფერი მთხოვონ. არც ჩვენ ვართ მარადიულები. ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შევძელით.

კ. ბ. სამშობლო თუ გახსენდებათ ხოლმე?

ჰ. ო. რა აზრი აქვს მის გახსენებას? სულ ერთია, ჩვენ იქ არ გვიშვებენ.

კ. ბ. ის თუ გსმენიათ, რომ ჩვენები ამერიკაში მიჰყავთ?

ჰ. ო. მე არ წავალ. ვისაც უნდა, წავიდეს. მე აქ იმდენი მეგობარი, იმდენი ნაცნობი მყავს, არსადაც არ წავალ.

დ. ო. ზაფხულში წაგიყვან, თუ ალაჰი ინებებს...

ჰ. ო. სად?

დ. ო. ჩვენს ადგილებში, სამშობლოს სანახავად...

ჰ. ო. არა, არ მინდა!.. ჩემთვის სულის აფორიაქებას, ჯობია ჩემს ნათესავებთან წამიყვანო ხაჩმასში, დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს.

კ. ბ. *(კითხვა ილიას ომაროვს – ჰადიჯი ომაროვას ქმარს).* პირველად როდის დაინახეთ თქვენი მომავალი ცოლი?

ილიას ომაროვი. მაგათსა მივედი, ვისადილე მათთან, ჰოდა, ისიც გამოხტა ჩემ შესახვედრად.

ჰ. ო. ნუ იგონებ!..

ი. ო. წისქვილთან ახლოს ცხოვრობდნენ – სამარყანდის ოლქის ბულუნგურის რაიონში. ერთხელაც იყო, ხორბლის ტომარა ავიღე და წისქვილში წავედი. ჰოდა, სანამ ფქვავდნენ, მაგათსა წავედი. ვიფიქრე, ცოტა ხანს დავყოფმეთქი. დედამისი - ალაჰმა აცხონოს მისი სული! - პურმარილიანი ქალი იყო, უმალ გაშალა სუფრა და უცბად მისი ქალიშვილი გამომეცხადა –

ფუნთუშასავით თეთრი და ფუმფულა... კინაღამ ლუკმა გადამცდა – ისეთი ლამაზი იყო!.. მაშინვე ვიგრძენი, - შეიძლება ცოლად შევირთო-მეთქი.

ფქვილი წამოვიღე, იმათ კი თურმე ყველაფერი სპეციალურად მოუწყვიათ, მე რომ ეს მენახა. და სახლში მაშინვე ყველა ამიტყდა - ადექი და შეირთე, მორჩა და გათავდაო! მე ვითომ ვიყოყმანე მოსაჩვენებლად, მერე კი დავთანხმდი. ჰოდა, წავედით, ხელი ვთხოვეთ და შევუღლდით.

ჰ. ო. ნუ იგონებ, თითქოს მაშინვე შევუღლდით! ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც საჭირო იყო, - ვერცხლის ქამარი შემომარტყეს, მაჟარი ჩამომკიდეს *(«მაჟარი» - ასე ეძახდნენ მესხები XIX-XX საუკუნეებში მოჭრილ ოქროს მონეტას ავსტრია-უნგრეთის იმპერატორის ფრანც-იოსეფის გამოსახულებით. «მაჟარი» დღესაც მესხი პატარძლისთვის მისართმევ აუცილებელ საქორწილო საჩუქარს წარმოადგენს – **კ. ბ.**)*, მოგვიანებით კიდევ ერთი მაჩუქეს... ეს ყველაფერი საქორწილო კომპლექტში შედიოდა. «ნიშანიც» იყო, «ფარჩაც» იყო... შენ კიდევ ამბობ, მაშინვეო!..

და, დიდება ალაჰს! - 50 წელია მე და ჩემი ქმარი ერთადა ვართ. თუმცა, კი 60 წელი - უსამშობლოდ.

2004 წ. 8 მარტი
მასალა მოამზადა კლარა ბარათაშვილმა

ალმაზა ცაცანიძე: «გული სულ სამშობლოსკენ მიმიწევს...»

მე, ცაცანიძე ალმაზა ალიხანის ასული, ვცხოვრობ ოზურგეთის რაიონის სოფელ ნასაკირალში, ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, პატარა რომ ვიყავი... *(ცრემლები).*

კ. ბ. რომელ სოფელში დაიბადეთ?

ა. ც. ახალციხის რაიონის სოფელ გურკელში, 1942 წელს. მთელი ჩემი ოჯახი გაასახლეს... *(ცრემლები)* და მთელი ჩვენი სოფელი.

კ. ბ. დიდი ოჯახი გქონდათ?

ა. ც. დედა, მამა, ძმა, და.

კ. ბ. გადასახლებამდე როგორ ცხოვრობდით საქართველოში?

ა. ც. ჩვენები ძალიან კარგად ცხოვრობდნენ... კოლმეურნეები იყვნენ და შრომა-გარჯით შოულობდნენ ფულს. ყველაფერი საკმარისად ჰქონდათ. ძალიან. კმაყოფილები იყვნენ ცხოვრებით.

კ. ბ. მამათქვენი რას საქმიანობდა?

ა. ც. მამაჩემი მჭედელი იყო. საქონელი გვყავდა, ძროხები, ცხვრები. ორსართულიანი სახლი გვქონდა. კარგად ვცხოვრობდით. რისთვის გადაგვასახლეს 1944 წელს, რა თქმა უნდა, არ ვიცით. ერთ ღამეში გადაგვასახლეს, ფერგანის ველი – უზბეკეთის ქალაქი მარგილანი, სოფელი ტაშლაკი.

მაშინ მე სულ რაღაც ორი წლის ვიყავი. ცხადია, ეს არ მახსოვს. თუმცა მახსოვს უფროსების მონაყოლი, რომ თურმე მთელი თვე მივდიოდით მატარებლით, დიდი ტანჯვა-წვალებით... ჩემი და, სალიმა მიყვებოდა. მშივრები, გაყინულები ვიყავით, დიდი თოვლი იყო, მატარებელი კი ძალიან ცივიო. ბევრი ჩვენიანი ავად გახდა და მოკვდა. მათ გზაზე ყრიდნენ, პირდაპირ თოვლში, ვინ ჩაფლავდა, ვინ დამარხავდა მათ... ვერც ვერავინ, იმიტომ რომ მატარებელი მიდიოდა და მიდიოდა, არ ჩერდებოდაო...

კ. ბ. უცნაურია, - სულ რაღაც ორი წლის იყავით და ცოცხალი გადარჩით?

ა. ც. ესე იგი, ღმერთმა დამიფარა, ღმერთის წყალობა იყო, შეიძლება ითქვას. სოფელ ტაშლაკში რომ ჩაგვიყვანეს, იმ უზბეკების სახლებში დაგვარიგეს, რომლებსაც უფრო დიდი საცხოვრებელი ჰქონდათ. ჩვენი ოჯახი ერთ-ერთ ასეთ სახლში დასახლდა. თუმცა იქაურობას ასე ერქვა, თორემ სახურავიც კი არ ჰქონდა, ციოდა, და გამუდმებით თოვდა და წვიმდა.

თუმცა უნდა ითქვას, რომ უზბეკები კარგად მოგვექცნენ, თანაგვიგრძნობდნენ...

კ. ბ. მე კი გაგონილი მაქვს, რომ ჩვენს მესხებს «კაციჭამიებს» ეძახდნენ, ეშინოდათ ჩვენი. თქვენთან ასე არ იყო?

ა. ც. შეიძლება, სადმე მართლაც იყო, ჩვენთან კი არ ყოფილა. ჩვენი უფროსები, როგორც ყოველთვის, პატიოსნად მიუშაობდნენ. ჩვენებზე ცუდი არასდროს არავის უთქვამს.

როცა დედა და მამა გარდაიცვალნენ...

კ. ბ. ეს როდის მოხდა?

ა. ც. იმავე წელს, 44-ში. მე 1942-ში დავიბადე, 1945-ში კი ბავშვთა სახლში მოვხვდი.

დედა წყალმანკით მოკვდა. მამა - სისხლის გათეთრებით. ძარღვებში წითელი სისხლი არ ჰქონდა... *(ტირის).* ძალიან განიცდიდა... ასე

დავრჩით ობლებად *(ცრემლებს იწმენდს, ამოიოხრებს).*

მერე ასეთი ბრძანება იყო თუ რაღაცა – დადიოდნენ უზბეკთა სახლებში და ობოლი ბავშვები ბავშვთა სახლებში მიჰყავდათ. კარგად არ მახსოვს, - პატარა ვიყავი. ის კი კარგად მახსოვს, რომ ბევრი ბავშვი და უამრავი სხვადასხვა ადამიანი იყო.

კ. ბ. ბავშვთა სახლში გატარებული თქვენი ბავშვობა თუ გახსოვთ?

ა. ც. როგორ არ მახსოვს! ბავშვთა სახლში გატარებული ბავშვობა ჩემს სიცოცხლეში ყველაზე საუკეთესო დრო იყო. ისეთი მხიარული, დატვირთული ცხოვრება გვქონდა, პიონერთა ბანაკებში ჩავდიოდით - ყაზახეთში, ყირგიზეთში. მერე არის ასეთი, ჩუსმალა, იქ წაგვიყვანეს, ბანაკებში სულ დავყავდით. საერთოდ, ბავშვთა სახლში ძალიან კარგად ვიყავი. მადლობელი ვარ ჩემი სახელმწიფოსი, ასე რომ ზრუნავდნენ ჩვენზე, ასე კარგად გვივლიდნენ. კარგად აღგვზარდეს. კარგად იყო, თუ ცუდად გვასწავლეს, ჩვენ-ჩვენი გზა ვიპოვეთ ცხოვრებაში.

ბავშვთა სახლში ბევრი მეგობარი მყავდა. კი მინდა მათი ნახვა, მაგრამ ვერ მიხერხდება. შორს ვარ მათგან.

კ. ბ. მათი სახელები თუ გახსოვთ?

ა. ც. როგორ არა! აი, ფოტოსურათები ნახეთ - ნადია, მამურა, თამარა, ოლგა, ლუბა, ლუდა... სულ სხვადასხვებია - სახელები, ეროვნებები... უზბეკი ბავშვებიც იყვნენ, პოლონელებიც, ჩეხებიც, გერმანელებიც, კორეელებიც. კორეელი შინ ნივა ჩემი კარგი მეგობარი იყო. ყველანი ძალიან მეგობრულად ვცხოვრობდით.

საერთოდ, მე ჩემი ბავშვობისთვის ძალიან მადლობელი ვარ ჩემი სახელმწიფოსი.

კ. ბ. როგორი კვება გქონდათ? ხომ არ შიმშილობდით?

ა. ც. ძალიან კარგი კვება გვქონდა. შიმშილი საერთოდ არ ვიცოდით. ქალბატონებივით გვეძინა.

კ. ბ. რა გაქვთ მხედველობაში?

ა. ც. გახამებული ლოგინები, თივთიკის ბალიშები... ადამიანი შინ არ ცხოვრობდა ისე, როგორც ჩვენ ვცხოვრობდით. საღამოობით ყოველთვის ცეკვები გვქონდა, ფერხულს ვუვლიდით, ათასნაირ მასობრივ თამაშებს გვიტარებდნენ... მოკლედ, მჩქეფარე საზოგადოებრივი ცხოვრება გვქონდა.

ბავშვთა სახლში ვცხოვრობდით, სასწავლებლად კი ქალაქ ნამანგანის მე-6 სკოლაში დავდიოდით. სწავლება რუსულ ენაზე იყო. უცხო ენებიდან გერმანულს გვასწავლიდნენ. და როცა უცხოური დელეგაციები ჩამოდიოდნენ, ჩვენ თითქოსდა საჩვენებლად გამოგვიყვანდნენ ხოლმე - სუფთებს, გამოწყობილებს, მაძღრებს... და ჩვენ ამ შეხვედრებზე გერმანულ ენაზე ვკითხულობდით ლექსებს.

საერთოდ კი, ნორმალურად ვსწავლობდით.

მე ყველა საგანი მიყვარდა. ყველაფერი მაინტერესებდა.

მასწავლებლებიდან კარგად მახსოვს მარია იურის ასული, კიდევ - ვერა, ჟანა - ისინი სხვადასხვა ეროვნებისანი იყვნენ და ყველანი კარგები იყვნენ, ოლგა ნიკოლოზის ასული კი, უბრალოდ, შესანიშნავი იყო! ბევრი აღმზრდელი გვყავდა...

კ. ბ. მკაცრები იყვნენ?

ა. ც. დედებივით იყვნენ. დედებზე უკეთესებიც კი. მათგან ცუდი სიტყვა არასდროს გაგვიგია... და ყოველთვის თანასწორუფლებიანები ვიყავით. ყველანი გავიზარდეთ და არ ვიცოდით ვინ რა ეროვნებისა ვიყავით. რუსები, თათრები თუ უზბეკები - საერთოდ არ ვიცოდით. ყველანი ვმეგობრობდით.

კ. ბ. მოკლედ, ყველანი საბჭოთა ბავშვები იყავით?

ა. ც. დიახ, და ეს ძალიან კარგი იყო! ლაშქრობებიც გვქონდა ხოლმე, კინოშიც დავყავდით, ციხეშიც, ზოოპარკშიც, როცა ჩამოდიოდა - ყველგან-ყველგან დავყავდით ძალიან კარგად გვზრდიდნენ, კულტურას გვაჩვევდნენ. მე კითხვა ძალიან მიყვარდა. ისეთი დიდი ბიბლიოთეკა გვქონდა, ერთი წიგნი არ დამიტოვებია, ყველაფერს ვკითხულობდი...

კ. ბ. როგორ გაცმევდნენ ბავშვთა სახლში?

ა. ც. ძალიან კარგად. აბრეშუმისა და ხავერდის კაბები გვეცვა, პალტოებსაც ხავერდისას გვიკერავდნენ. ძალიან ლამაზად გვაცმევდნენ. ძალიან მდიდრულად. არავითარი გაქუცული ტანისამოსი. ყველა დღესასწაულზე ახალი ფეხსაცმელები გვქონდა, ახალი კაბები... ღამე გვძინავს, ვიღვიძებთ, საწოლების თავზე კი ჩვენი ახალი ტანსაცმელი ჰკიდია, გაუთოებული... საერთოდ, მშვენიერი იყო! ასეთი ცხოვრებით აღარასდროს მიცხოვრია, მე ჩემს შვილებს ასეთი ცხოვრება ვერ შევუქმენი. ძალიან კარგად ვცხოვრობდით.

კ. ბ. ანუ, ბავშვთა სახლი თბილად გახსენდებათ?

ა. ც. მშობლიური სახლივით იყო... მშოშბლიურ სახლზე უკეთესიც კი.

კ. ბ. ნათესავებთან თუ გქონდათ ურთიერთობა?

ა. ც. გამოჩნდა ჩვენი ზულფია ბებია - მამაჩემის დედა. ეს უკვე მაშინ, როცა ცოტა თავისუფლება მოგვცეს: ქალაქიდან ქალაქში წასვლის უფლებას იძლეოდნენ. მანამდე კი ჩვენი ხალხი კომენდანტის საათს ემორჩილებოდა.

ჩემი და, სალიმა ჩემზე უფროსი იყო, მას ახსოვდა ჩვენი ნათესავების სახელები, იმიტომ რომ ის 10 წლის იყო, როცა ჩვენ სამშობლოდან წამოგვიყვანეს, და ის ჩემგან შორს არასდროს წასულა.

კ. ბ. ესე იგი, ბავშვთა სახლში თქვენ, თქვენი და და ძმა იყავით?

ა. ც. თავიდან მე და ჩემი და ერთად ვიყავით. მაგრამ ვინაიდან სალიმამ უფრო ადრე დაამთავრა 7 კლასი, ის სამუშაოდ გაგზავნეს. მარგილანში, აბრეშუმის კომბინატში. თუმცა ის ყოველთვის მაკითხავდა, საჩუქრები მოჰქონდა ხოლმე...

ძმა კი უცხო ადამიანებთან ცხოვრობდა. მან საერთოდ არ იცოდა, ჩვენ სად ვიყავით. სალიმა მეუბნებოდა ხოლმე, ჩვენ ძმაც გვყავს, ბებიაცო... ვეცდები, როგორმე ვიპოვნო ისინიო.

კ. ბ. მაინც როდის ნახეთ ბებიათქვენი?

ა. ც. 1953 წელს სტალინი მოკვდა, ბებიამ კი 1956 წელს მიპოვნა. მთელი ეს ხანი ის, თურმე ანდიჟანში ცხოვრობდა, ყურგან-თეფეში. თავის მხრივ, ჩემი დაც ეძებდა მას, დადიოდა, კითხულობდა. კომბინატში ერთ ხნიერ ქალს უკითხავს მისთვის, საიდან ხარ, გოგონა, და ვის ეძებო? ჩემს დას უთქვამს. და თურმე ის ქალი ეუბნება, მე ვიცნობ ბებიაშენს, ის ანდიჟანში ცხოვრობს, მეც ჩავდივარ ხოლმე იქ, ჩემს შვილიშვილთან. და მისამართი მისცა. მერე, როცა ხანგრძლივი შრომითი შვებულება მისცეს (მაშინ ეს 15 დღიანი შვებულება იყო), სალიმა წავიდა, მოძებნა ბებია და მას შემდეგ ერთად დავიწყეთ ცხოვრება.

კ. ბ. თქვენ როგორ შეხვდით ბებიას?

ა. ც. ბებია ბავშვთა სახლში ჩამოვიდა ჩემთან. ფერგანაში ჩვენი ბავშვთა სახლი დაშალეს და ჩვენ ქალაქ კუვასაიში გადაგვიყვანეს... ბებიაც სწორედ იქ ჩამოვიდა.

საერთოდ, მე ვგრძნობდი, რომ მყავდა ვიღაც მშობლიური და როცა ის ჩამოვიდა მე... მე უბრალოდ ვქვითინებდი. ვერ წარმომედგინა, რომ აი ეს ხნიერი ქალი ბებიაჩემი იყო, და რომ ის მე მომძებნიდა *(ტირის).* ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი...

კ. ბ. ალბათ, ისიც ტიროდა?

ა. ც. ორივენი ძალიან ვტიროდით, ვეხვეოდით ერთმანეთს... *(ცრემლები).* მერე, მოგვიანებით, რომ წამოვიზარდე, კუვასაიში ჩემმა ძმამ, ქამალმაც მიპოვა. ბებიას მეშვეობით. როგორც კი ჩამოვიდა, მაშინვე წამომიყვანა ბავშვთა სახლიდან.

კ. ბ. როგორ გიცნოთ? მას ხომ პრაქტიკულად, ნანახიც კი არ ჰყავდით?

ა. ც. ფოტოსურათით. ჩემს დას ჰქონდა ფოტოსურათი - ბავშვთა სახლში გადავიღეთ. და

ეს სურათი რაღაცნაირად შემორჩა. მაშინ მე მე-2 კლასში ვიყავი. ჩვენი დირექტორი სომეხი იყო, გვარი აღარ მახსოვს. მაგრამ კარგი კაცი იყო, შესანიშნავი. ჯერ არ მიშვებდა, მერე კი, აბა, რა უნდა ექნა: ძმამ ჩამომაკითხა, ბებიაც მყავს, დაც... მერე გამომიშვა.

კ. ბ. გამოდის, რომ ბავშვთა სახლში მარტო თქვენ იზრდებოდით?

ა. ც. კი, მარტო მე ვიზრდებოდი. სალიმა უკვე მუშაობდა, ძმას ოჯახი ჰქონდა. მუშაობდა, დამოუკიდებელი იყო. აი ასე იყო, წამომიყვანა ჩემმა ძმამ და თავისას მიმიყვანა, სახლში. მერე ნახა, რომ საერთოდ რუსივით ვიყავი.

კ. ბ. რომელ ენაზე ელაპარაკებოდით ძმას?

ა. ც. ყოველთვის რუსულად.

კ. ბ. მათ თუ ესმოდათ?

ა. ც. ისე რა... ცოტა ხანს ვიცხოვრე მასთან, მერე კი ვთხოვე, ისევ ბავშვთა სახლში მივეყვანე.

კ. ბ. რატომ?

ა. ც. იცით, რა... მე სახლში ცხოვრებას არ ვიყავი მიჩვეული. ისინი სამუშაოდ მიდიოდნენ ხოლმე, მე კი მარტო ვრჩებოდი, მოწყენილი ვიყავი, ხმის გამცემი არავინ მყავდა... მე რუსულად ვლაპარაკობდი და ეს ენა მშობლიურად მიმაჩნდა, მათთან ურთიერთობა გამიჭირდა. ისინი ბინაში ცხოვრობდნენ, უზბეკურ სახლში. მოვიდოდნენ სამუშაოდან დაღლილები, მათ თავისი საქმეები ჰქონდათ, თავისი სალაპარაკო... ბავშვთა სახლში კი თავისი ცხოვრებაა, თანატოლები, მხიარულება. მე უკან დაბრუნება ვითხოვე და ძმამ ნამანგანის პირველ ბავშვთა სახლში ჩამაბარა.

მე მასთან დიდხანს არც მიცხოვრია, არა უმეტეს ორი თვისა - ზაფხულში.

გავიზარდე, შვიდი კლასი დავამთავრე და ყველანი მარგილანში გაგვამწესეს, აბრეშუმის კომბინატში. იმ დროს მარგელანი სსრკ-ს აბრეშუმის დედაქალაქად ითვლებოდა.

კ. ბ. ბავშვთა სახლის ყველა ბავშვს აგზავნიდნენ სამუშაოდ?

ა. ც. კი, ყველას, ვინც შვიდწლედს ამთავრებდა. იმიტომ რომ მუშახელი სჭირდებოდათ...

კ. ბ. არჩევანი თუ გქონდათ - სად წასულიყავით სამუშაოდ?

ა. ც. არა, არანაირი არჩევანი არ გვქონდა. მოვიდოდა ბავშვთა სახლში ბრძანება - აბრეშუმის კომბინატში სჭირდებათ მუშახელიო და იქ გვაგზავნიდნენ.

კ. ბ. ესე იგი, თქვენ მხოლოდ 7 კლასი დაამთავრეთ... რა, მაშინ ათწლედი არ არსებობდა?

ა. ც. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს სკოლაში არ იყო... თუმცა მერე იყო ე. წ. «ფზუ» - საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი. იქ მარტო მე კი არ ვიყავი, სხვა ბავშვთა სახლებიდანაც იყო ბევრი ბავშვი. მუშაობას გვასწავლიდნენ. აბრეშუმის სახვევ მუშაობას. აბრეშუმის პარკებს დაზგებზე ვახვევდით. საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით. საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში სულ 6 თვე ვსწავლობდით, მერე კი სამუშაოზე გაგვამწესეს, მარგილანში აბრეშუმის ფაბრიკაში. 10 წელი ვიმუშავე ამ ფაბრიკაში. აბრეშუმის პარკების ამოხვევაზე ვმუშაობდი. მდუღარე წყალში - ტუტე, საპონი და ვერცხლისწყალი. მე მერე მთელი ხელები დამეთუთქა, ექიმებმა საქსოვ საამქროში გადამიყვანეს და იქ ვმუშაობდი. ცხოვრებით კი სულ საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი. ოთახში შვიდნი ვიყავით. სხვადასხვა ასაკის გოგოები. ყველანი ბავშვთა სახლებიდან ვიყავით.

კ. ბ. ანუ, თქვენ უკვე ფულსაც შოულობდით შრომით...

ა. ც. დიახ, ვშოულობდი. ჩემს დასთან, ძმასთან სტუმრად რომ ჩავდიოდი, ყოველთვის საჩუქრები ჩამქონდა. ბავშვებს უხაროდათ ხოლმე... მეც კმაყოფილი ვიყავი, მიხაროდა, რომ ნათესავები მყავდა, რომ შემეძლო ვინმესთან სტუმრად მისვლა, რომ ვიღაც მელოდა...

ეს ყველაზე დიდი სიხარული იყო ჩემთვის.

ახლა კი სიძეც მოკვდა, ძმაც მოკვდა, რძალიც მოკვდა... და მდგომარეობაც ისეთია, რომ ჩემს ღვიძლ დასთან ვერ ჩავსულვარ სანახავად. არც მიწერ-მოწერა გვაქვს, არც არაფერი. ასეთი რატომ გახდა ჩვენი სახელმწიფო, არ ვიცი... *(კარგახანს დუმს).*

კ. ბ. ასე და ამრიგად, თქვენი და და ძმა ნამანგანში ცხოვრობდენ, თქვენ მარგილანში მუშაობთ... ბებია კი, ბებია სადაა?

ა. ც. ანდიჟანში, ყურგან-ტეფეში.

კ. ბ. მაინც რას ელოდით ცხოვრებისგან? გათხოვებას თუ აპირებდით?

ა. ც. საერთოდ, გათხოვება აზრად არ მომსვლია.

კ. ბ. რატომ?

ა. ც. ხალისიანი, მხიარული, კეთილი, ახალგაზრდული ცხოვრება მქონდა: ჩემი თავის პატრონი მე თვითონვე ვიყავი *(იცინის)*... ჰოდა, ვცხოვრობდი ასე - მხიარულად, სასიამოვნოდ. შრომით ვშოულობდი ფულს, ვიცოდი, რომ ვიყიდიდი ჩემთვის იმას, რაც მინდოდა... საერთოდ კარგად ვცხოვრობდი. ჩემი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ. ჩემმა ახალგაზრდობამ ძალიან კარგად ჩაიარა.

კ. ბ. და უცბად თქვენს ჰორიზონტზე ჩნდება...

ა. ც. *(იცინის)*... ჩემი სიძე ჰეირიადდინი (დის სალიმას ქმარი) და მათთან მივყავარ.

კ. ბ. სტუმრად?

ა. ც. არა. ფაბრიკაში ანგარიში გამასწორებინა და სამუდამოდ წამიყვანა. ჰოდა, ვცხოვრობდი მათთან ვიდრე არ გამათხოვეს.

კ. ბ. იმიტომ წამოგიყვანეს, რომ გაეთხოვებინეთ?

ა. ც. არა. სიძეს ძმა ჰყავდა, ადრე ის მათთან ცხოვრობდა, ქარხნის სახლები იყო, ოთახები - პატარა, პირობებიც არ იყო ისეთი, რომ მეც იქ მეცხოვრა. მაგრამ მერე მას ცოლი შერთეს, პატარა ოთახი გათავისუფლდა, ჰოდა, გადაწყვიტეს, რატომ უნდა მეცხოვრა მე, ახალგაზრდა გოგოს მარტოს მარგილანში. ადგნენ და თავისთან წამიყვანეს.

ზაქირ ცაცანიძე *(ალმაზა ცაცანიძის ქმარი).* ჩვენ ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით.

ა. ც. ჰოდა, ადგნენ და ზაქირს მიმათხოვეს.

კ. ბ. ერთმანეთი როგორ გაიცანით?

ა. ც. ის თვითონ მოდიოდა ხოლმე ჩვენთან, ფოტოებს მიღებდა (კარგი ფოტოგრაფი იყო). ერთმანეთი გავიცანით და შევუღლდით.

კ. ბ. მაშინვე მოგეწონათ ზაქირი?

ა. ც. ვერ ვიტყვი, რომ მომეწონა. უბრალოდ დრო მომივიდა. უკვე 25 წლის ვიყავი.

კ. ბ. სიყვარული გქონდათ? გრძნობები? თუ პატივისცემა?

ა. ც. პატივისცემა. მერე სამუშაო, ოჯახი, ცხოვრება. ეს ყველაფერი მთავარია სიცოცხლეში. მე ასე მესმის, ამიტომაც ვართ აქამდე ერთად.

კ. ბ. ქმარს როგორ ელაპარაკებოდით? თქვენ ხომ რუსულის გარდა, სხვა არცერთი ენა არ იცოდით.

ა. ც. რა ვიცი, ვისწავლე. საქართველოში რომ ჩამოვედით, ქართულის სწავლა დავიწყეთ.

კომკავშირული ქორწილი გვქონდა, მეგობრები იყვნენ, ნათესავები, კარგი სადღეგრძელოები. მუსიკა იყო, ცეკვები... საერთოდ, ქორწილმა გულიანად, კარგად ჩაიარა.

კ. ბ. მაგრამ ზაქირს უკვე ჰყავდა ქალიშვილი?

ა. ც. კი, პირველი ქორწინებიდან.

კ. ბ. და, ბავშვის დედა? ზაქირი გაყრილი იყო მასთან, თუ?..

ა. ც. არა, ის დიდხანს ავადმყოფობდა და გარდაიცვალა. კარგი ქალი იყო, ბამბაში მუშაობდა. იქ დაავადმყოფდა. ავად გახდა და მისი ბედიც ამით დამთავრდა. ბავშვმა რა დააშავა? მე ის შვილივით მივიღე. მე და ზაქირი რომ დავქორწინდით, ის პირველ კლასში შევიყვანეთ. მე კარგად მიმიღო, მაშინვე «დედა» დამიძახა. ისე ვუვლიდი და ისე ვზრდიდი, როგორც ბავშვთა სახლში მასწავლიდნენ... მას უკეთესად ვექცეოდი, ვიდრე ჩემს შვილებს. მშობელი დედასავით ვიყავი მისთვის. ახლაც კი, ჩვენ სანახავად რომ მოდის, ჩემს შვილებზე უკეთესად ვხვდები ხოლმე მას.

კ. ბ. ცხოვრებით, სად ცხოვრობდით?

ა. ც. ჩვენ საქართველოში, ჩვენს სამშობლოში ჩამოვედით. და ჩემი ოჯახი ახლა აქაა.

კ. ბ. ზაქირი ფოტოგრაფი იყო, ხოლო თქვენ?

ა. ც. მე ჩაის ფაბრიკაში ვმუშაობდი აქ, ნასაკირალში. ყველა ჩემი შვილი აქ დაიბადა. უფროსმა ვაჟიშვილმა როვშანმა სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, სამკურნალო ფაკულტეტი, ის თბილისში ცხოვრობს. შვილიშვილებიც მყავს. ჩემს ვაჟიშვილს ორი შვილი ჰყავს. ერთი ქალიშვილი, სურია სტავროპოლშია, მას ოთხი შვილი ჰყავს. აზერბაიჯანშია ჩვენი ქალიშვილი მუკარამი, მასაც ოთხი შვილი ჰყავს. ეს სწორედ ის გოგონაა, მე რომ გავზარდე. შემდეგი ზულეიხაა, ის თურქეთში გავათხოვეთ, მას სამი შვილი ჰყავს...

კიდევ ორი ქალიშვილი ჩემთანაა. ფირუზა, რომელმაც იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, და მაიგული, მან სკოლა ახლახან დაამთავრა.

კ. ბ. როგორ მიგაჩნიათ, თქვენ და თქვენს ქმარს აგეწყოთ ცხოვრება?

ა. ც. მე ძალიან კარგი ცხოვრება მაქვს, არ ვემდური...

თუმცა ახლა ცხოვრება გაჭირდა. დახმარება არავისგან, არსაიდან არ ჩანს. ვერსად წავსულვარ შვილებისა და შვილიშვილების სანახავად. ყველანი ჩემგან შორს არიან.

კ. ბ. თქვენ ბავშვთა სახლში იზრდებოდით, და, შეიძლება ითქვას, საბჭოურად ხართ აღზრდილი, აზროვნებითაც, თითქოს რუსულად აზროვნებთ.

და ყოველივე ამის მიუხედავად, საქართველოში ჩამოხვედით. რატომ? თქვენი ქართული გვარი როგორ იპოვეთ?

ზაქირ ცაცანიძე *(ალმაზა ცაცანიძის ქმარი).* ნება მომეცით, ჩაგერიოთ და გიამბოთ, საერთოდ როგორ აღმოვჩნდით ნასაკირალში. ჩემი ცოლი, ალმაზა ახალციხის რაიონის სოფელ გურკელიდანაა, მე კი წარმოშობით ადიგენის რაიონის სოფელ გაგვიდან ვარ. როცა გვასახლებდნენ, მამა ჩვენ გვერდით არ იყო, ისე რომ ჩვენ ის დავკარგეთ. ჩვენი გვარის უფროსი შაი-დედე *(«დედე» - «პაპა» - **კ. ბ.**),* ჩვენი პაპის პაპა ყოფილა. მას ორი ვაჟიშვილი ჰყოლია - თურან-დედე და რაჯაბ-დედე, გვარად ცაცანიძეები. ამ უკანასკნელის შვილიშვილი - ვასიფი მამაჩემს, ჯალალს ბიძაშვილად ერგებოდა. და მოხდა ისე, რომ ისინი

გადასახლებაში არ მოჰყვნენ. უბრალოდ ამ ამბავდე ბევრად ადრე ისინი დასავლეთ საქართველოში გადასახლდნენ, სოფელ ნასაკირალში და იგივე გვარს ატარებდნენ - ცაცანიძეს. საქართველოში რომ გადმოვსახლდით, ძია ვასიფის ოჯახი მოვძებნეთ. იმ დროისთვის ის უკვე გარდაცვლილი იყო - განისვენოს! - მაგრამ მის შვილებს და ჩვენ ძალიან გაგვეხარდა, რომ ერთმანეთი ვიპოვეთ. თანაც ჩვენი დაკარგული გვარიც აღვიდგინეთ - ცაცანიძე. იმხანად მე გვარად ჯალალოვი ვიყავი. ეს იმიტომ, რომ გადასახლებაში ასე გვწერდნენ - მამის სახელის მიხედვით. აქ კი ჩვენ მარტო სამშობლო კი არ ვიპოვეთ, არამედ ჩვენი დაკარგული ქართული გვარიც აღვიდგინეთ და ახლა სიამაყით ვატარებთ მას!

ა.ც. ახლა კი მე ვიტყვი. მიწა ეძახის ადამიანს, მიწა, რომელზეც ის დაიბადა, და რომელზეც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ და ამიტომაც მიუწევს მას ამ მიწისკენ გული. მეც ამიტომ მეწეოდა გული სამშობლოსკენ. ამიტომ ჩამოვედით ჩვენ საქართველოში ყველა სიძნელის მიუხედავად. ეს შენი სამშობლოა და სიძნელეებიც შენია, უნდა მოვითმინოთ და ვიცხოვროთ. ყველაფერი უნდა გადავიტანოთ და უნდა დავძლიოთ ხანგრძლივი სიცოცხლით უნდა ვიცოცხლოთ.

მე ძალიან მიხარია, რომ ჩემმა შვილებმა სკოლაც ქართული დაამთავრეს და ინსტიტუტშიც ქართულად სწავლობდნენ. და რომ ისინი საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან. არავითარი კითხვები არ არსებობს. ჩამოსულები არიანო, აქაურები არ არიანო... ასეთი არაფერია.

კ. ბ. ამბობენ, რომ თქვენ ეს სახლი საკუთარი ხელით ააშენეთ.

ა. ც. დიახ, ასეა. ზაქირი თვითონ დებდა აგურს აგურზე, თვითონ აშენებდა, მე კი ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ვმუშაობდი ორ ცვლაში - ჩემ მაგივრადაც, და ქმრის მაგივრადაც. მან კედლები ამოიყვანა, სახურავის მაგივრად მუშამბა გადავჭიმეთ, წვიმა შუაში გროვდებოდა ხოლმე... მე ვედროს ვუდგამდი და წყალი მუშამბიდან შიგ ჩამოდიოდა. მე აქ მარტოც დავრჩენილვარ, შვილები ჯერ ისევ იქ იყვნენ, გარაჟის რაიონში (სოფელ ნასაკირალის ერთ-ერთი განყოფილება)... ისეთი გაჭირვებით ვაშენებდით სახლს. თუმცა ჯერ არ დაგვიმთავრებია, მაგრამ, მადლობა ღმერთს, საკუთარი საცხოვრებელი გვაქვს. ხომ ნათქვამია სახლში კედლებიც კი ეხმარება ადამიანსო. ასე გადავიტანეთ და გადავლახეთ ყველა ეს სიძნელე.

კ. ბ. საერთოდ, რა სირთულეები გქონდათ?

ა. ც. საქართველოში რომ ჩამოვედით, ხანდახან გვესმოდა ხოლმე ჩვენი მისამართით ნათქვამს. თურქები ჩამოვიდნენ, ეგენი არანაირი ქართველები არ არიანო. ახლა ყველაფერი უკან დარჩა. ასეთი ლაპარაკი მაქვს მხედველობაში. ყველამ იცის, ვინ ვართ ჩვენ და რას წარმოვადგენთ...

90-იან წლებში გვიჭირდა ძალიან... ეკონომიურად. საბჭოთა ფული გაქრა, გაჩნდა კუპონები. ვერ გაგვეგო, რა იყო ეს კუპონები, როგორ უნდა გვეხმარა ისინი? კუპონები წავიდა, ახლა ლარებია. რა თქმა უნდა, ისე აღარ ჭირს, მაგრამ სულ ერთია, თავადაც იცით, პენსიას დროულად არ იძლევიან.

კ. ბ. რომელ პენსიას ღებულობთ?

ა. ც. თავიდან 14 ლარი გვქონდა, მერე დაგვიმატეს, როგორც რეპრესირებულებს, ახლა 45 ლარს ვიღებთ. ამ ფულით ერთი ტომარა ფქვილის, ზეთის და ერთი კილო შაქრის ყიდვა შეგვიძლია.

ფირუზას ვასწავლეთ, ჩვენ ქალიშვილს. ერთ პენსიას მას ვაძლევდით, ახალციხეში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალში. მეორე პენსიით კი თვითონ ვცხოვრობდით.

ჩაის საბჭოთა მეურნეობაში კარგი დირექტორი გვყავდა - ტაკიძე. ნაკვეთი გამოგვიყო, სახლი ავიშენეთ და ვცხოვრობთ ავად თუ კარგად, გვაქვს ბოსტანი, ბაღი. დაახლოებით ორი «სოტკა» მიწა გვაქვს. ცოტაა, მაგრამ გვყოფნის.

მანდარინი გვიდგას, ვაშლი, მსხალი, მარწყვს ვრგავთ ხოლმე. ზაფხულობით, ფული რომ შემოგვაკლდება, ჩვენი მოწეული პომიდორი, ბულგარული წიწაკა გაგვაქვს გასაყიდად. ამით ვცხოვრობთ. ჩვენი შრომით.

კ. ბ. ჩვენს დეპორტირებულ მესხებს მარტო ნასაკირალები და იანეთელები ხომ არ წარმოადგენენ. როგორი იქნება თქვენი აზრით ჩვენი ხალხის მომავალი?

ა. ც. მე ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი მომავალი გვექნება. ოღონდ მოთმინება გვმართებს. უნდა გავუძლოთ, მთავარია გადავრჩეთ.

კ. ბ. როგორ ფიქრობთ, უნდა დაბრუნდნენ ის ჩვენიანები, რომლებიც საქართველოს გარეთ ცხოვრობენ?

ა. ც. ძალიან კარგი იქნება, თუ ჩვენები დაბრუნდებიან. თუ, რა თქმა უნდა, საქართველო მიიღებს მათ. ჩვენი ხალხი ძალიან შრომისმოყვარეა, კეთილმოსურნეა. თუ მიიღებს, ღმერთმა ქნას! იცხოვრონ ადამიანებმა თავიანთ ადგილებზე. საქართველო დიდია. ნებისმიერ ადგილას შეიძლება ცხოვრება. აი ჩვენ სოფელ გურკელში ხომ არ დავბრუნდით, საიდანაც მე წარმოშობით

ვარ, არამედ ნასაკირალში. ჩვენ აქ კარგად ვცხოვრობთ, საყვედური არ გვეთქმის. კარგი ხალხია, გულისხმიერი.

მაგრამ ჩვენი ხალხი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს. ვინც მოისურვებს. დე, დაბრუნდნენ, რატომაც არ უნდა უზრუნველყონ ისინი? სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გამოსცეს კანონი. ეს ყველაფერი პოლიტიკა იყო. თუ მთავრობა ისეთ სამარცხვინო რამეებს სჩადის, როგორიც საკუთარი ხალხის გადასახლებაა, ადამიანები რა შუაში არიან?

ადამიანს გული ყოველთვის ეწევა სამშობლოსკენ. ადამიანი აუცილებლად დაბრუნდება იქ, სადაც დაიბადა, სადაც, რომ იტყვიან, ჭიპიდან სისხლის წვეთი დაეცემა მიწაზე.

ბებიაჩემს ყოველთვის უნდოდა სამშობლოში ჩამოსვლა, მაგრამ ბედმა სხვანაირად ინება. არ ეღირსა მას. ბებია 87 წლისა მოკვდა ისე, რომ მშობლიური მიწა ვერ ნახა. სამშობლო, სამშობლო, სამშობლოო - სულ გაიძახოდა. მაშინ მოკვდა, როცა უზბეკეთში ჩვენებს ისევ დაესხნენ თავს. ფერგანის ტრაგედიის დროს ისინი აზერბაიჯანში გადასახლდნენ და ბებია იქ მოკვდა, მერე კი მას მისი ქალიშვილიც მიჰყვა. იქაური ჰავა არ მოუხდათ, წყალიც ისეთი არ იყო.

მათ სულ უკვირდათ რატომ ვერ უნდა დავბრუნდეთო? ეს რა სახელმწიფოა, თუ სამშობლოსკენ მიმავალ გზას ვერ გვიხსნისო?

კ. ბ. ვიღაც-ვიღაცები ამბობენ, თითქოს გადასახლებამდე ჩვენები ქრისტიან ქართველებს, სომხებს წყენას აყენებდნენ...

ა. ც. ეს სულ პოლიტიკაა. იმ ადამიანებს, ვინც ასე ლაპარაკობს, ეშინიათ, რომ მათ ცოტა მიწას ჩამოართმევენ და ძირეულ მაცხოვრებელს, იმას მისცემენ, ვინც საუკუნოობით ცხოვრობდა ამ მიწაზე.

ჩვენს ხალხს ცუდი არასდროს არავისთვის გაუკეთებია. აი, მე ნასაკირალში ჩამოვედი, ღვთის მადლით, უკვე 20 წელია ვცხვორობ აქ და ერთი ცუდი სიტყვაც კი არავისგან გამიგონია. არ ეგების ასე ფიქრი იმ ადამიანებზე, რომლებიც ადრე თავის ადგილებში ცხოვრობდნენ. ისინი ყოველთვის ხნავდნენ, თესავდნენ, რგავდნენ. მათ ყოველთვის ჰქონდათ მიწა, საკუთარი სახლები.

ისინი მათი სახლების დაბრუნებას არ ითხოვენ, არაფერს არ ითხოვენ. მათ უბრალოდ თავიანთ მიწაზე უნდათ ცხოვრება. ნებისმიერ ქართულ ტერიტორიაზე.

ხომ ვცხოვრობ. და ხომ არაფერს ვითხოვ! არადა, როდესაც იქაურობას ვტოვებდით, ორსართულიანი სახლიც გვრჩებოდა, საქონელიც დაგვრჩა, ყველაფერი დაგვრჩა – ოქრო და ნივთები და ჩვენ არაფერს ვითხოვთ. ცხოვრობს იქ ადამიანი და იცხოვროს, ღმერთმა ქნას, ასი წელი იცხოვროს! რატომ უნდა მივადგეთ და მოვთხოვოთ: მომეცი ჩემი სახლი, მომეცი ეს, მომეცი ისო... არალოგიკურია, საერთოდ ასეთი რამეების ლაპარაკი, როგორ შეიძლება? ეს პოლიტიკა იყო.

აი, როცა მე გარაჟის რაიონში ვცხოვრობდი, გვერდით სომხებიც ცხოვრობდნენ, ქართველებიც. თქვან, როგორ ვცხოვრობდით ერთად? ახლა აქ ვცხოვრობ - აჭარლები არიან, ყველა ეროვნებისანი არიან და არც აქ გამიგია არავისგან არაფერი ცუდი. ჩემკენ თითს არავინ იშვერს. პირიქით, ამბობენ, აი, მშრომელი ადამიანიო!

ვთქვათ, ჩვენ მესხები ვართ, მე კი თავი უბრალოდ ქართველ ქალად მიმაჩნია, რატომ უნდა ვეჩხუბო ვინმეს, რატომ უნდა ვლანძღო ვინმე? რასაც მე ჩემი შრომით ვიშოვი, რაც ღმერთმა მოგვცა, დე, ყველას მისცეს. მე ნაკვეთი შევიძინე, სახლი ავიშენე, მადლობა ღმერთს! სხვისი არაფერი მინდა. იმით ვცხოვრობ, რაც ღმერთმა მომცა.

მაგრამ მინდა, რომ ჩემი ხალხი თავის მიწა-წყალზე დაბრუნდეს. აუცილებლად ახალციხე ნუ იქნება, სხვაგან იყოს, ოღონდ საქართველო იყოს...

კ. ბ. რაშია თქვენი აზრით ქალის ბედნიერება?

ა. ც. ქალის ბედნიერება პირველ რიგში ჯანმრთელობაა, შვილებია. როცა გვერდში ძლიერი მამაკაცი გყავს. კარგი, ნუ იქნება ძლიერი, რამენაირი მაინც იყოს, პატრონი რომ იყოს სახლ-კარში. კეთილი სული რომ ჰქონდეს. მეტი არაფერია საჭირო. ამაშია ქალის ბედნიერება და მე ის მაქვს.

მე შვილები მყავს, ცოცხლები არიან, ჯანმრთელები, ზრდილობიანები. მე მათ განათლება მივეცი, ყველაფერი მივეცი, რაც შემეძლო. მადლობელი ვარ ჩემი სახელმწიფოსი და, პირველ რიგში, ჩემი ღმერთისა, რომლისაც მწამს. დე, ჩემი ღმერთი ყოველთვის ჩემთან იყოს.

დე, ჩვენი სახელმწიფო ყოველთვის მდიდარი იყოს, მაშინ შეიძლება ის უფრო კეთილი იყოს ადამიანების მიმართ. და დე, ყველა, ვინც ჩვენს საქართველოში ცხოვრობს, თავის სამშობ-ლოდ მიიჩნევდეს მას და მისი აყვავებისთვის ირჯებოდეს.

სხვა მე მეტი არაფერი მინდა.

მასალა მოამზადა კლარა ბარათაშვილმა

#114, 1. 09. - 15. 09. 2004 წ.

ფეიაზ ომაროვი: «ჩვენი ქვეყნის სამსახურში ვიქნებოდით...»

ევლახის რაიონის ყოფილი საბჭოთა მეურნეობა შილიანი აზერბაიჯანში. აქ იმ დეპორტირებული მესხების მცირე დიასპორა ცხოვრობს, რომლებიც 80-იან წლებში ფერგანის დარბევებს გადაურჩნენ. იქ ისინი 90-იან წლებში ჩამოვიდნენ. აზერბაიჯანის მთავრობამ სახლებით, მიწებით უზრუნველყო ისინი, ყველა მსურველმა აზერბაიჯანის მოქალაქეობა მიიღო. მესხები ძირითადად მიწათმოქმედებას ეწევიან.

თავიდან ისინი მრავლად იყვნენ, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ ვინ თურქეთს მიაშურა, ვინ - რუსეთს. ათიოდ ოჯახი თუ დარჩა. ეკონომიური უზრუნველყოფილობის მიუხედავად, ჩვენ ისინი ერთგვარად დაბნეულები ვიხილეთ. ისინი თავ-თავიანთ კლანებად, დიდ დასახლებებად ცხოვრებას იყვნენ მიჩვეულები. მიუხედავად ამისა, დარჩენილებს ამ სხვისი მიწის ასეთივე, ასევე უცხო მიწაზე გადაცვლა არ უნდათ. ყველა მესხმა, ბავშვების ჩათვლით, ზეპირად იცის საკუთარი სოფლების სახელები და მათ მარტო საკუთარ სამშობლოში – საქართველოში უნდათ ცხოვრება.

ჩვენ მარტის ჭყაპიან ამინდში ჩავედით. რაც ხელს აძლევდა ჟურნალისტს - ტალახის გამო მინდორში მუშაობა შეუძლებელია. უმალ გავრცელდა ხმა: « საქართველოდან ჩამოვიდნენ, სამშობლოში უნდა წაგვიყვანონო!» დიასპორის უხუცესის - ფეიაზ ომაროვის სახლში თითქმის მთელმა დიასპორამ მოიყარა თავი. მთელ საუბარს პრაქტიკულად ის უძღვებოდა – ხანდაზმული, თუმცა კი საკმაოდ ენერგიული ადამიანი. ბავშვები ფეხებში გვედებოდნენ და მისი მონათხრობის მაგნიტოფონზე ჩაწერაში გვიშლიდნენ ხელს. ქალები წრეზე ჩამოსხდნენ და დარბაისლურად ეჭირათ თავი, ხმას არ იღებდნენ, მამაკაცები იშვიათად ურთავდნენ რეპლიკებს. თხრობა ძირითადად ფ. ომაროვის სახელით მიმდინარეობს.

- მე, ფეიაზ ომაროვი, დავიბადე 1930 წ. ადიგენის რაიონის სოფელ ყარათუბანში. მე საქართველოს ადამიანი ვარ. ანუ ქართველი ადამიანი ვარ. ჩვენი ადგილი მთიანი იყო. ჩვენი მამაპაპეული ადგილები იქ არის, მესხეთში. ქართველებთან ერთად ძმებივით ვცხოვრობდით. ჩემი ცოლი ფატიმა ჭილაშვილი წარმოშობით ადიგენის რაიონის სოფელ უდედანაა.

მამაჩემს ომარ დურსუნოვი ერქვა, დედას შიაქიარიათი, ალაჰმა აცხონოს მისი სული!

ყარათუბანში ჩვენი პაპისეული მიწები და ისეთი ბაღი გვქონდა, რომელშიც ათწლიანი და ოცწლიანი ხეები გვედგა. ყოველი ხიდან ერთ ტონაზე არანაკლებ მოსავალს ვიღებდით. დიახ-დიახ!.. ხელისუფლება ნორმალურად გვეკიდებოდა. ვხნავდით, ვთესავდით, კოლმეურნეობაში ვშრომობდით. ნორმას ვასრულებდით. დარჩენილ მოგებას კოლმეურნეებს შორის ანაწილებდნენ. მოგვყავდა კარტოფილი, სახელმწიფო გეგმას ვასრულებდით, ჩვენც გვრჩებოდა. მოკლედ მაძღრად ვცხოვრობდით.

კარგად მახსოვს ჩვენი საგვარეულო ბუდე, ასე ვთქვათ - პაპაჩემ მამედალის სახლი, იგივე მამაჩემის პაპისეული სახლი. ვფიქრობ, ის დღემდე დგას იქ. ჩვენ ჩვენი წყარო გვქონდა, წყალს იქ ვიღებდით.

მეჩეთი გვქონდა. ეკლესია კი არ გვქონია -

იმიტომ, რომ ჩვენს სოფელში მარტო ჩვენები - მესხი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. ამბობენ, რომ ჩვენს სოფელში 70 კომლი იყო.

მე სკოლაში დავდიოდი. ძირითადად აზერბაიჯანულ ენაზე ვსწავლობდით, მასწავ-ლებლები სპეციალურად ჩამოჰყავდათ ბაქოდან. დამწერ-ლობა კირილიცა კი არ გვქონდა, არამედ ლათინური ანბანი. დღემდე მახსოვს ეს ანბანი.

ქართული მაინცდამაინც კარგად არ ვიცოდი, რადგან ქართულის გაკვეთილები ცოტა გვქონდა.

დილიდან სკოლაში მივდიოდი ხოლმე, მერე საქონელს ვაძოვებდი. დაახლოებით 10 სული საქონელი გვყავდა, საღამოს ბოსელში, ჩვენებურად «ახორში» შევდენიდი ხოლმე. ბიჭებთან ერთად ტყეში დავდიოდი შეშაზე...

ჩვენ შორის უფროსი და იყო, შეჰრიათი, მერე - ძმა, ილიასი, ის ახლა ქალაქ მინგეჩევირში ცხოვრობს.

ჩვენი მიწები საკუთარი ხუთი თითივით ვიცი. უდე, ლელოვანი, ყარათუბანი... - ეს სულ ადიგენის რაიონია. ჩვენი ადგილები - ნამდვილი კურორტებია. ჯერ მარტო ჰაერი რად ღირს!.. სამწუხაროა, ამბობენ, მიწები უკაცურიაო. ეს ისეთი ადგილებია, რომ იქ ადამიანი უნდა ცხოვრობდეს, შრომობდეს და თავს ევლებოდეს ამ მიწას. ტყეები თავის ადგილებზეა, წყალი თვითონ ლაპარაკობს თავის თავზე...

ჩვენ ექიმები არცკი გვჭირდებოდა. საერთოდ არ გამეგონა, რომ ვინმეს ჩვენთან ექიმებისთვის მიემართოს. თავად ბუნება მკურნალობდა. ჩვენ იქ ჩაის არ ვსვამდით. წყაროზე ავავსებდით ვედროს და საჭმელს წყალს ვაყოლებდით, ასეთი მშვენიერი წყალი გვქონდა და ჩაი არ გვჭირდებოდა... თუმცა ჩვენ სამოვარიც გვქონდა.

როცა სტუმრები მოვიდოდნენ, ჩემი და დაანთებდა ხოლმე და სტუმრებს ჩაის მიართმევდა. სტუმრები ხშირად გვყავდა ხოლმე. თუ ქართველები ან სომხები იყვნენ - ყავას ვხარშავდით. ჩვენი შორეული ნათესავი სოფელ ნამნიაურიდან (ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო) სწორედ იმ ღამეს იყო ჩვენსა სტუმრად, როცა ჩვენ გამოგვყარეს. მამამისი კი ომში იყო. ფრონტიდან რომ დაბრუნდა, მან უზბეკეთში მოგვძებნა და თავისი შვილი წამოიყვანა.

ფეხზე ჩარუხები გვეცვა - ეს მოქნილი ტყავის თვითნაკეთი ქალამნებია. იამიანებიც გვქონდა – ეს უკვე სადღესასწაულო ფეხსაცმელი იყო. მახსოვს, ბიძაჩემს დიდებული ქრომის ჩექმები ჰქონდა.

ხანჯლებიც გვქონდა სახლში – ორლესული ხანჯლები... მახსოვს, პაპას გვერდზე ეკეთა ხოლმე. თუმცა საბჭოთა კავშირის დროს იარაღის ღიად ტარება ნებადართული არ იყო. მოხუცები ატარებდნენ, მაგრამ მალულად.

კიდევ მახსოვს, რომ შაშხანაც გვქონდა – კაჟის. სანადიროდ ხმარობდნენ. ბიძაჩვენი ნადირობდა, რომელიც სოფლის საბჭოში მუშაობდა.

შუა აზიაში ჩვენი ნებით არ მოვხვედრილვართ. ავტომატები მოგვიშვირეს. ერთ ღამეში 7 რაიონი დააცარიელეს სამხედროებმა, წაგვიყვანეს და საბარგო ვაგონებში ჩაგვსხეს. მთელი თვე მივდიოდით... გზაში მკვდრები გვყავდა, მოკვდნენ, გადარჩენილები ცოცხლები დარჩნენ. გაჩერებებზე ვაგონებს ამოწმებდნენ და მკვდრებს უბრალოდ ყრიდნენ.

გზაში ცხედრებს ყრიდნენ, ხალხს ხშირავდნენ (ჩვენთვის გაუგებარი მიზეზით სვამდნენ მატარებლიდან), მთელი ყაზახეთის გავლით ჩააღწიეს შემადგენლობებმა ბუხარამდე (ეს კი უკვე უზბეკეთია). კომენდანტის მეთვალყურეობა დაგვიწესეს... რაიონიდან რაიონში გადაადგილების უფლება არ გვქონდა. ბევრი რამ არის მოსაყოლი, თუ გულწრფელად მოყვება კაცი.

ჩვენ რომ გამოგვასახლეს, მთელი საქონელი ბოსლებში დარჩა. კამეჩები, ძროხები, თხები... ყველაფერი დარჩა, საკერავი მანქანა «ზინგერიც» კი.

ხმები. ყველაფერი დავტოვეთ და ისე წავედით - ჩვენი ნივთები, მთელი საქონელი. საბჭოთა მთავრობამ ვაგონებში ჩაგვტენა... ერთ ღამეში გადაგვასახლეს.

მე 14 წლის ვიყავი, მე-7 კლასში ვსწავლობდი. სოფელში არცერთი მამაკაცი არ იყო დარჩენილი, ყველა ფრონტზე იყო.

1944 წლის 14 ნოემბრის საღამოს, როცა სოფელში სამხედროები ჩამოვიდნენ, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ 10 ხარის ურმის შებმა გვიბრძანა. შევაბით. ჩვენი სოფლიდან, ყარათუბნიდან რომ გადიხარ, იქ ერთი ვიწრო ადგილია: ვერც იქით, ვერც აქეთ. დაიწყეს ამ ურმების სოფლიდან გაყვანა. როგორც კი ეს ვიწრო ადგილი გაიარეს, ხარების წყებას თავში ერთი სამხედრო ჩაუდგა, ბოლოში – მეორე. ჩვენ კი გვითხრეს - ახლა დაბრუნდითო. უცნაურია, რომ ეს ურმები ცარიელი იყო...

მოსვლით კი ისინი ღამით მოვიდნენ, მაგრამ უფრო დილისკენ, როცა პირველი მამლები ყივიან ხოლმე. ჩვენ უზარმაზარი სახლი გვქონდა, სიგრძეში ათი მეტრი იქნებოდა.

მეზობლებად ორი ძმა გვყავდა - ერთს ბინალი ერქვა, მეორე ფრონტზე იყო. უცბად გვესმის, ბინალი მთელი ხმით ღრიალებს: «მემედალი-დედე!...» რა მოხდა? გამოვედით და ვხედავთ, რომ ჩვენი ეზო სამხედროებითაა სავსე.

სახლში შემოდიან, ოთახი კი დიდია. გვიბრძანეს ყველანი ცალ მხარეს დავმდგარიყავით. სანახევროდ ჩაცმულები შევქუჩდით.

სახლში ბევრნი ვიყავით, 25 ადამიანი – ბიძები, პაპები, სტუმრები. სამხედროები თავისუფალ მხარეს გადავიდნენ და ჩხრეკა დაიწყეს. რას ეძებდნენ - იარაღს თუ? მერე მეორე მხარეს გადაგვრეკეს. ისევ დაიწყეს შემოწმება. ამის შემდეგ წავიდნენ და პაპა წაიყვანეს, თუმცა სახლში სამი ჯარისკაცი დატოვეს. ისინი რუსულად ლაპარაკობენ, ჩვენ კი მათი არაფერი გვეყურება... ჩვენ შორის ერთი ისეთი კაცი აღმოჩნდა, რომელიც ჯარში იყო ნამყოფი და ცოტა რუსული იცოდა, ჰოდა, ჯარისკაცებმაც მას უთხრეს: «ძია, თქვენ გასახლებენ, ისე რომ ნელ-ნელა შეაგროვეთ თქვენი ნივთები».

კი მაგრამ სად, რატომ და რისთვის? რას ამბობ! ამის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავთ!

დავიწყეთ კედლებიდან ფალასების ჩამოხსნა, ფეხზე გავიხადეთ, რაღაც-რაღაცები რომ გაგვემზადებინა და ხალიჩები დაგვეხვია. ამ ჯარისკაცებმა კედლებიდან ყველაფრის ჩამოგლეჯვა დაიწყეს, ჩვენს ნივთებს, ტანსაცმელს და ფეხსაცმელს მე-2 სართულის აივნიდან ყრიდნენ, არადა ბიძაჩემს კარგი ფეხსაცმელები ჰქონდა...

ფატიმა *(ფეიაზის ცოლი).* ერთ-ერთმა მათგანმა ყურანიც გადააგდო, გიაურმა!.. დღეს ამ ყურანს ჩვენთან ვინახავთ.

მოკლედ, შევაგროვეთ ნივთები, არ ვიცით, სად მივდივართ, რამდენი ხნით, ყველაფერი სახლის წინ დავაწყვეთ, უდედან და კახარეთიდან მიმავალ გზაზე. ვნახოთ და ის ცარიელი ურმები უკან მოაბრუნეს, მოგვიყვანეს და ჩვენ ჩვენი ნივთები დავაწყვეთ ზედ. სოფლის განაპირას წაიღეს და მინდორში გადმოყარეს გროვად. ასე ეყარა გროვა-გროვად ნივთები და ყოველ გროვასთან თავისი ოჯახი იდგა. მოვიდნენ სამხედროები, გადაგვთვალეს, გვიბრძანეს: «ფეხი არ მოიცვალოთო!»

სოფლიდან მოშორებით დაბლობი იყო, და უეცრად ვხედავთ, რომ იქ ამერიკული მანქანები დგას. თურმე საბჭოეთს ამერიკისთვის გამოურთმევია ისინი... დიდი და ღია მანქანები იყო. ნივთების შიგ ჩაყრა დაიწყეს. იქ კასრებით ყველი, კარაქი იყო, ტომრებში ფქვილი... ჯარისკაცები კი ჩექმებით წამდაუწუმ წიხლავდნენ ტომრებს.

რამდენიმე საათში რისი შეგროვება უნდა მოგვესწრო? ჩათვალეთ, რომ ყველაფერი იქ დაგვრჩა. ასე იყო ყოველ სოფელში. ძალით გვტენიდნენ, ჩატენიდნენ ძარაზე 3-4 ოჯახს და სამხედროები დაიყვირებდნენ: «მორჩა, ეყოფა! მიდი, წადი!» და რაც არ ჩაეტეოდა, ყველაფერი იქვე რჩებოდა.

ამასთან გზაში ამ ტოფიკას *(მის გვერდით მჯდომ ახალგაზრდა მამაკაცზე მიუთითებს)* ბიძის ფუთები დაიშალა და ნივთები მიმოიფანტა. მე ქამარი მოვიხსენი და რაღაცნაირად შევკარით ისინი.

ახალციხის სიახლოვეს ჩაგვიყვანეს - სადამდეც რკინიგზა იყო გაყვანილი. იქ კი უკვე გამზადებული სატვირთო ვაგონები იდგა. რამდენიმე შემადგენლობა.

ვაგონებში შეგვყარეს. ყველა სოფლიდან იყო ხალხი. მაგალითად, უდედან ჩამოვიდნენ, მაგრამ მხოლოდ ნაწილი *(დეპორტაცია მხოლოდ მაჰმადიან მესხებს შეეხო; სოფელ უდეში მაჰმადიანებთან ერთად კათოლიკე მესხებიც ცხოვრობდნენ, რომლებიც ათეისტურმა საბჭოთა რეჟიმმა არ გადაასახლა – **კ. ბ.**),* არეულად... ამიტომ ძალიან ბევრმა დაკარგა ნათესავები...

როგორც კი ვაგონები შეივსებოდა (შემადგენლობაში 45 თუ 50 ვაგონი იყო), მაშინვე ბრძანებას სცემდნენ - წინ! უკვე გადაასახლეს... მერე - მომდევნო შემადგენლობა...

ხალხი კი... როგორ ტიროდა... *(ამოიოხრებს).*

ჯერ კიდევ სოფელში დაიწყო ტირილი. ჩვენი აივნიდან მთელი სოფელი ჩანდა. ეს გნიასი რომ ატყდა, გავოგნდით - რა ხდება? რა «კულაკებად» გვაცხადებენ? ნუთუ გვასახლებენ? აივანზე გამოვედით და ვხედავთ... როგორც ფუტკრის სკები ზუზუნებს, ასეთი ტირილი დასტრიალებდა სოფელს თავზე. ვერცკი აგიწერთ, როგორ ტიროდა ხალხი. ვერ გადმოგცემთ...

ძროხები ცალ მხარეს ბღავიან, ცხვრები და თხები მეორე მხარეს ბღავიან და კიკინებენ, ძაღლები ყმუიან...

მოკლედ, შეგვტენეს ვაგონში... მე კი 14 წლის ვარ... საოცარია, რომ არ დავიკარგე... ახლა, რამდენი ბავშვი დაიკარგა... უფროსებიც. ერთი ჩვენი თანასოფლელი იყო, მოხუცებული – გაანათლოს მისი სული! - მას ქერემ-დედე ერქვა. თურმე ერთ სადგურზე ჩამოსულა, მატარებელი კი ამ დროს დაძრულა. მოხუცი კი დარჩა, არავინ იცის, რა მოუვიდა მას, რა შეემთხვა.

ვაგონში კი ცივა. რაღაცნაირად გააკეთეს ღუმელი... 25 დღე ვიყავით გზაში. სადგურებში შეშას ვიპარავდით, ხალხი ლოგინებიდან არ დგებოდა, ყველა დატილიანდა, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა.

საჭმლის საქმე კი ასე იყო. მას მაშინ გვაძლევდნენ, როცა მატარებელი სადგურებში ჩერდებოდა. თანაც ვაგონების ნომრების მიხედვით: პირველი, მეორე... ვაგონები კი

სხვადასხვანაირი იყო, თითოეულს თავისი ნორმები ჰქონდა. სადგურზე, ჩვეულებრივ, რომელიმე ჯარისკაცი დაიძახებდა: პროდუქტების მისაღებად ჩამოდით!

ერთხელ დიდ სადგურს მივადექით, სადღაც ყაზახეთში. მახსოვს, სადღაც ზევით მივდიოდით. ზევიდან გვიყვირიან: «რომელი ვაგონია?» ეუბნები ვაგონის ნომერს, და საიდანღაც მილში აგურა პურებს გვიყრიან თვლით. მერე სხვა ადგილზე მივდიოდით, იქ ფაფას იძლეოდნენ. პურები ტომარაში ჩავაწყე და წინიდან კისერზე ჩამოვიკიდე, ფაფა კი მხრებზე მოვიგდე. მივდივარ და პურის სუნი მაბრუებს. ჩემდაუნებურად დავიწყე პურის ციცქვნა. ვიცოდი, რომ არ შეიძლებოდა, მაგრამ შიმშილი მაიძულებდა.

ვეძებ ჩემს ვაგონს, მაგრამ ვერ ვპოულობ - ღამე იყო. ორთქლმავლის ქვაბის ხმას მივყევი, მესმის - ჩვენები ლაპარაკობენ. ვეკითხები ყარათუბნელები საით არიან-მეთქი, უკან წადიო, მიყვირიან პასუხად, შემადგენლობის კუდში არიანო. გამოვბრუნდი, ძლივს ვიპოვნე... ამასობაში მატარებელიც დაიძრა. ზევიდან ხელები რომ არ გამოეწოდებინათ, ნამდვილად დავრჩებოდი. კიდევ კარგი, რომ პროდუქტების ათრევაც მოვახერხეთ. სული მოვითქვი და საჭმლის განაწილება დავიწყეთ, თითო სულს ცალკე ჩამოურიგეთ. ჩვენი ვაგონისთვის 20 აგურა პურს იძლეოდნენ. ეს პური ისე იყინებოდა, რომ დანით ვერ ვჭრიდით და ცულით ვაპობდით. არადა, ჩვენს ვაგონში სადღაც სამოცი, ან იქნებ სულაც ასი სული ვიყავით. მოკლედ, ბევრნი ვიყავით.

ყაზახეთიდან დაწყებული, ხალხის გამოხშირვა დაიწყეს. ასე, ფანტვა-ფანტვით ჩაგვიყვანეს ტაშკენტამდე, ჯიზაყამდე და ჩაგვიყვანეს სამარყანდის ოლქში, ბულუნგურის რაიონში, სადგურ კრასნოგვარდეისკაიაში.

ზამთარია. თანაც ისეთი, რომ პირდაპირ არ ვიცი. ყინვაა... მანქანაზე გადაგვსხეს, აბანოში მივყავართ, დეზინფექციისთვის. გამოვდივართ აბანოდან და ისევ მანქანებში გვტენიან და მივყავართ, ვის სად გვარიგებენ, არავინ არაფერი იცის.

ჩვენ ბულუნგურის რაიონში მოვხვდით, აღთეპეში, უფრო სწორედ, ერთ სოფელში, კილდონთან ახლოს, ჩვენამდე იქვე ყირიმელი თათრები მიეყვანათ. ჩვენ უზბეკებისა არ გვესმის. ერთი ყირიმელი თათარი მოვიდა, გვითარგმნიდა. ყირიმელ თათრებს ესმოდათ ჩვენი ლაპარაკი. ისინი უკვე შეჩვეოდნენ იქაურობას და უზბეკურიც ესწავლათ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ საცხოვრებელ სახლებში მოგვათავსა. ჩვენთვის კი ყველაფერი უცხო იყო – დგას ოთახის შუაში რაღაც მაგიდა (მას «სანდალს» ეძახდნენ). ჩვენ მისი დანიშნულება არ ვიცით. კი ღუმელი არა გვაქვს. ვეუბნებით, მოდით, ეს მაგიდა შეშად დავაპოთ, რაც არ უნდა იყოს, ხისაა. დავამტვრიეთ ის მაგიდა, მოცვივდნენ პატრონები და ერთი ვაივიში და ყვირილი ატეხეს...

თურმე სპეციალური მოწყობილობა ყოფილა - უზბეკები ასე თბებოდნენ. მაგიდის ქვე,შ ორმო იყო ამოთხრილი, რომელშიც კოცონს ანთებდნენ, მერე კი ნაკვერჩხალი იფერფლებოდა. მთელი ოჯახი ჯდებოდა ამ მაგიდის გარშემო, ფეხები ამ ორმოში ჰქონდათ ჩაყოფილი, მაგიდას კი ერთი დიდი საბანი ჰქონდა გადაფარებული, რომელსაც ყველა იქ მჯდომი იფარებდა.

- აბა, ჩვენ ეს საიდან უნდა გვცოდნოდა?.. მოკლედ, იხმაურეს და დაწყნარდნენ.

ჩვენები იქ თხუთმეტნი ვიყავით. იყვნენ ბებია ესმერ-ნენე, პაპა მემედალი-დედე, განსვენებული მამა, ჩემი დები და კიდევ ის გოგონა, ჩვენსა რომ იყო სტუმრად.

აი ასე აღმოვჩნდით გადასახლებაში, ბევრი ჩვენიანი მოკვდა. საფლავების გამთხრელი არავინ იყო, ძალ-ღონე არავის ჰქონდა. ისე რომ საფლავების გათხრაში ფულს საბჭოთა მეურნეობა იხდიდა. ძალიან ცუდად ვცხოვრობდით. ისეთ ძონძებზე გვეძინა, რომ დილიდან სახურავებზე ვყრიდით ხოლმე ამ ძონძებს. ჰაერს რომ დაევლო, საღამოს კი ისევ ვიღებდით.

თუმცა, სურსათს გვაძლევდნენ – 8 კილოგრამს ყოველთვიურად და ერთ კილო ბრინჯს თითო სულზე.

საკოლმეურნეო სამუშაოებს ვასრულებდით – თალგამს ვიღებდით, ბამბას ვთესავდით და ვკრეფდით. ზამთარში ბამბა ჯერ არ იყო ხოლმე, მაგრამ იქ შაქრის ფაბრიკა იყო და იქ ვმუშაობდით. კომენდანტი ხელს გვაწერინებდა, არსად რომ არ წავსულიყავით. ნეტავ, სად უნდა წავსულიყავით?

მაგრამ იქ ძალიან ცოტახანს ვიცხოვრეთ. ვნახეთ, რომ თავი ვერ გაგვქონდა. გავიგეთ, რომ იმავე ბულუნგურის რაიონში, საბჭოთა მეურნეობაში «ცენტრალნი» ჩვენები ცხოვრობდნენ და გადავწყვიტეთ იქ გადავსულიყავით. ღამით მოვემზადეთ და გავიქეცით, მალულად... თხუთმეტივე ადამიანი. დავაწყვეთ ურმებზე მთელი ჩვენი ბარგი-ბარხანა და ღამით, ფეხით ჩავაღწიეთ იქამდე. კომენდანტს რომ გაეგო, რა თქმა უნდა, არ გაგვიშვებდა.

რა თქმა უნდა, ორგანოებმა გაიგეს, ძებნა დაგვიწყეს... კომენდანტმა ჩამოგვაკითხა,

აქეთური-იქითური...

მაგრამ, მერე ნება დაგვრთეს, აქ იცხოვრეთო. იქ სახელმწიფო სახლები იყო და იქ განვთავსდით. და დავიწყეთ ამ საბჭოთა მეურნეობაში მუშაობა. თუმცა კვლავაც კომენდანტის მეთვალყურეობით. ამ რაიონიდან სხვა რაიონში კომენდანტის ნებართვის გარეშე ვერ წავიდოდით (კომენდანტები რუსებიც იყვნენ ხოლმე და უზბეკებიც).

ერთხელ ექიმთან უნდა წავსულიყავი სამარყანდში და კომენდანტთან ცნობა ავიღე. ნებართვის გარეშე რომ დავეჭირე, სულ ცოტა 5 დღე-ღამეს მომისჯიდნენ. ჯერ არანაირ პასპორტებზე ლაპარაკიც კი არ იყო - ჩვენებს ხელზე არანაირი საბუთები არ ჰქონდათ.

იყო ერთი უზბეკი კომენდანტ-კარგი ადამიანი იყო. ერთხელ გამოგვიძახა (ეს უკვე 56 წელი იყო) და გვეუბნება ამ ქაღალდებს მოაწერეთ ხელიო. იმ ქაღალდში კი ეწერა, რომ ჩვენ სამშობლოში დაბრუნება არ გვინდოდა. იმ კაცს ტურაევი ერქვა, არ ვიცი, ცოცხალია თუ არა...

ზოგმა მოაწერა ხელი და პასპორტებიც მიიღო.

მე თავიდან არ მოვაწერე ხელი. ასე ვთქვი: თუ სამშობლოს მომცემენ, წავალ, თუ არადა - არა-მეთქი. არ მოვაწერე. მერე ის ტურაევი სპეციალურად მოვიდა ჩემთან, ჩემ დაყოლიებას ცდილობდა: ჯობს მოაწერო, - სულ ერთია, პასპორტი გჭირდება, ივლი, შვილებისთვის დახმარებას მიიღებო...

ასე იყო, თუ ისე, იძულებული გავხდი პასპორტი ამეღო.

პასპორტები მივიღეთ და ახლა უკვე შეგვეძლო, სადაც გვინდოდა, იქ წავსულიყავით... ოღონდ სამშობლოში არა.

ეს ხომ დანაშაულია! ამის შესახებ რაღაცნაირად უნდა შევატყობინოთ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ვკითხოთ: რისთვის? ვინ მისცა უდანაშაულო ადამიანების ჩვეული ადგილებიდან, წინაპრების მიწიდან აყრის უფლება? სადაც ჩვენ ჩვენს ძმებთან, ქართველებთან ერთად ვიყავით, ერთად ვხნავდით და ვთესავდით, გეგმას ვაბარებდით სახელმწიფოს.

მე კითხვა მებადება – რამდენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ბარდება ახლა სახელმწიფოს ჩვენი მიწებიდან? იმდენივე, რამდენსაც ჩვენ ვაბარებდით? არა მგონია! დარწმუნებული ვარ, რომ ახლა ჩვენს მხარეში ისეთი სიუხვე აღარ არის! და ეს ძალიან საწყენია, მამაზეციერმა სამოთხის სადარი ადგილები შექმნა ნაყოფიერებისთვის, არადა, ისინი დაცარიელებულია...

მე მიმაჩნია, რომ ახლა საქართველოს ჩვენ მისაღებად ეკონომიკური შესაძლებლობა არ გააჩნია. მაგრამ არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციები, პირდაპირ მათ უნდა მივმართოთ.

ჯერ-ერთი, აღიარებული უნდა იქნეს ჩვენი საკუთარ მიწაზე დაბრუნების უფლება. ცალსახად უნდა გამოცხადდეს: ჩვენ ამ მიწის ძირეული, მკვიდრი ხალხი ვართ. ეს ერთი.

მეორეც, მათ საქართველოს ეკონომიკური დახმარება უნდა გაუწიონ ჩვენი თანდათანობით დაბრუნებისთვის, ყოველი დაბრუნებული ოჯახის უკან საქართველოს კანონი უნდა იდგეს, რათა პირველ ხანებში კონფლიქტებს არ ჰქონდეს ადგილი. ჩვენ ხომ კონფლიქტებისთვის არ ვბრუნდებით! ჩვენ ჩვენი მიწის ასაღორძინებლად ვბრუნდებით! მაგრამ თუ შენ ისე დაბრუნდები, როგორც დაუპატიჟებელი სტუმარი, ეს არაფრად არ ივარგებს. ვთქვათ, ჩუმად ჩავალ მე ახალციხეში, ვიყიდი სახლს, გავიფორმებ, მერე კი ქვები მესროლონ... თუ ჩემი დაბრუნების უკან სახელმწიფო არ იდგება, თუ ჩემი ოჯახის წევრები ვერ იმუშავებენ სახელმწიფო სამსახურში და ხელფასს ვერ მიიღებენ, მაშინ ხალხი როგორ იცხოვრებს?

რა გამოსავალი არსებობს?

გამოსავალს მე ევროპის საბჭოს ძალაში ვხედავ. თუ საქართველო ევროპის საბჭოს კანონებს იცავს, მაშინ უნდა შეიქმნას პირობები ჩვენი დაბრუნებისთვის, ჩვენ კი სამშობლოში უნდა დავბრუნდეთ. თუკი საქართველოს უნდა ევროპული ქვეყანა იყოს.

ვისაც შესაძლებლობა აქვს (ჩემთვის ცნობილია, რომ საქართველოს კონსტიტუციით ნებისმიერ უცხოელს საქართველოში უძრავი ქონების ყიდვის უფლება აქვს), მას შეუძლია თავისი ოჯახისთვის სახლი იყიდოს, კანონით დარეგისტრირდეს, იშოვოს სამუშაო...

უნდა გამოიყოს მიწები. მე ძალით გამასახლეს, მე მივატოვე ჩემი წინაპრების მიწები...

აი, ახლა, მაგალითად, მე მაქვს იმის საბუთი, რომ აქ, საბჭოთა მეურნეობაში, საკუთარი მიწა მაქვს. დარჩეს ეს მიწა აქ. მე წავალ საქართველოში (სადაც მომინდება), ვიყიდი სახლს ჩვენიანების გვერდით, გავიფორმებ, ვნახავ: დგას თუ არა ჩემ ზურგს უკან სახელმწიფო? თუ დგას - ნორმალურია. ხოლო თუ ოჯახები საკუთარ სახლებს გაყიდიან, იქ იყიდიან და ფეხს ვერ მოიკიდებენ – ეს არ ივარგებს...

აქ მე თავი ვერ შევიკავე და ვთქვი: - აი, რას გეტყვით მე ამაზე. ყველა ჩვენიანი ახალციხეში მთლად დალხენილად არა, თუმცა კი მშვიდობიანად ცხოვრობს. ისინი ასე ამბობენ, მთელი

ჩვენი სიცოცხლე, გადასახლებაში ყოფნისას, საჭმელად რომ ვსხდებოდით, ვლოცულობდით, ღმერთო, მოგვეცი იმის შესაძლებლობა, რომ ეს პური სამშობლოში ვჭამოთ - ამისთვის ვლოცულობდით ყოველი პურის ჭამის დროს. მე ვკითხე მათ: ახლა რაღას ამბობთ-მეთქი? ახლაო, მითხრეს, ასე ვამბობთ: დიდება უფალს, ჩვენს პურს ჩვენს სამშობლოში ვჭამთ და ყოველდღე მადლობას ვუხდით ზეცას ამ ბედნიერებისთვისო.

- დიახ, რა თქმა უნდა, სამშობლოში ცხოვრება, მართლა ბედნიერებაა...

მე 1949 წელს ცოლად შევირთე ფატიმა ჭილაშვილი, ის შენი თანასოფლელია, ისიც უდედანაა. ისინი იქვე, ცენტრალურ საბჭოთა მეურნეობაში ცხოვრობდნენ, თქვენთან ახლოს.

რაც შეეხება ქორწილს... აბა, რა ქორწილი უნდა გვქონოდა... ორი ფუთი ქერის და ხორბლის პური გამოვაცხვეთ, ურემზე დავსხედით, წავედით და წამოვიყვანეთ პატარძალი. დიახ, დიახ, ურმით *(იცინის).* და კიდევ ერთი მამალი დავკალით. ისეთი შიმშილობა იყო, რომ თუ ვინმეს უბრალო პურით გაუმასპინძლდებოდი, ესეც დიდ გამასპინძლებად ითვლება... შეიძლებოდა პურისთვის ადამიანიც კი მოეკლათ.

მე ხუთი შვილი მყავს. ერთი ყაზახეთშია, ქალაქ ჯამბულში, სამნი სირდარიაში არიან. ერთიც, ვაჟიშვილი, გაზანფარი აქ არის, ჩემთან, - ასე, რომ ხუთი გამოდის. დიდება ალაჰს, სიძნელეები გადავიტანეთ და კეთილდღეობასაც მივაღწიეთ. მე ახლა 74 წლის ვარ.

საერთოდ კი როგორია იგი, ახალი პრეზიდენტი? ვხედავ, რომ: ახალგაზრდაა, ენერგიული, განათლებული. ჰოდა, რადგან საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს, მინდა პირდაპირ მას მივმართო და მინდა სანუკვარი რამ ვუთხრა. ჩემი სიტყვები ასეთია.

ჯერ-ერთი, ვულოცავ მას, რომ სათავეში ჩაუდგა საქართველოს. მეორეც, ვთხოვ და ვავალებ მტრებისგან დაიცვას ჩვენი საერთო მიწა.

და კიდევ ერთი თხოვნა მაქვს. კანონით, მშვიდად, წესის შესაბამისად დაგვიბრუნონ ჩვენი ოდინდელი მიწები, შეგვიქმნან ნორმალური ცხოვრებისთვის საჭირო პირობები. ჩვენ კი, ჩვენ ჯერზე, ნელ-ნელა, რიგ-რიგობით, ცოტა-ცოტანი გადმოვსახლდებოდით, მოვეწყობოდით და ძველებურად, ძმებივით ვიცხოვრებდით. ჩვენი ქვეყნისთვის გავირჯებოდით, მტრებისგან დავიცავდით ჩვენს მიწას.

ზურგს უკან დაგვიდექი, ჩვენ კი ჩვენს საერთო მტერს აღვუდგებით წინ. მეგობარს კი ასეთივე მეგობრობით ვუპასუხებთ. ჩვენ ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილები არასდროს ვყოფილვართ, როცა ერთად ვცხოვრობდით, ძმებივით ვიყავით, სტუმრად დავდიოდით ერთმანეთთან.

და რომ ახლაც ასევე იყოს.

და არა ისე, რომ ჩამოვიდეთ და ქვები დაგვიშინონ... თქვენ ეს უნდა აღკვეთოთ. ისეთი ბრძანებულება უნდა გამოსცეთ, რომ ეს ყველაფერი არ იყოს. ჩვენ ჩვენს ადგილებს დავუბრუნდებით. მსოფლიო თანამეგობრობაში ისე შევალთ, როგორც ნორმალური დემოკრატიული ქვეყანა, ისე, რომ ჩვენი სიტყვა ყველგან ყურად იღონ.

ამბობენ, ოდესღაც ვიღაც ვიღაცას კლავდაო, - ჩვენ ეს ამბები არ გვჭირდება. ეს სულ მონაგონია. უთხარი მათ, რომ ამგვარი ლაპარაკები ქვის ქვეშ ამოსდონ. ეს სულ წარსული ამბებია.

შენ, როგორც პრეზიდენტმა, მომავალზე იფიქრე. ერთად შეკრიბე საქართველოს ხალხი, ერთმანეთს შეაწებე ყველა, რათა ლამაზად და უდარდელად იცხოვრონ. რას იზამ, ისტორიამ ისე განკარგა, რომ ვინც ადრე ქრისტიანი იყო, მაჰმადიანი გახდა. ეს ისტორიაა. და საჭირო არ არის ამის ქექვა.

ერთ-ერთი დამსწრეთაგანი. აქ ჩვენ კარგად გვექცევიან. ხელისუფლება ადგილობრივებისგან არ გვანსხვავებს. აი, ეს სახლები სპეციალურად ჩვენთვის, უზბეკეთში რბევებს გამოქცეულებისთვის ააშენეს.

მოქალაქეობა გვაქვს. მიწა მოგვცეს. მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენ ჩვენი სამშობლო გვინდა.

- გადაეცი, რომ ჩვენი არ შეეშინდეთ. იმიტომ რომ თუ ჩვენ ჩამოვალთ, საქართველოსთვის დიდი სარგებელი იქნება. როგორი?

ჩვენ, როგორც ყოველთვის, კანონმორჩილები ვიქნებით. ჩვენი ვაჟიშვილებით შევავსებთ ჯარს.

სახელმწიფოს ეკონომიკა გაუმჯობესდება. როგორ?

დავრგავთ, დავთესავთ, მეცხოველეობას მოვკიდებთ ხელს, გაიზრდება სიუხვე, ეკონომიკა გაძლიერდება, ცხოვრების დონე ამაღლდება...

ყველას შევეთვისებით. ჩვენ დროსაც ხომ ცხოვრობდნენ იქ სომხები. ვმეგობრობდით ერთმანეთთან, ერთმანეთის ნათლიები ვიყავით.

- ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევით. უბრალო გლეხები ვართ, მარტო ვიმუშავებთ, საქართველოს სიუხვესა და ნაყოფიერებას ავამაღლებთ.

- პირადად მე შემიძლია ფეხი არცკი მოვიცვალო. აქ 5 ჰექტარი საკუთარი მიწა მაქვს. შეიძლება ითქვას, მიწათმფლობელი ვარ. თითქოს, არაფერიც არ მჭირდება.

მაგრამ, მაინც, ჩემი წინაპრების მიწა იქაა. თუ სახელმწიფო შესაძლებელს გახდის, წავალ და ჩემსას, სამშობლოში დავამუშავებ მიწას.

აქ თითოეულ ჩვენგანს მოქალაქეობაც მოგვცეს, მიწაც და ყოველგვარი შელახვის გარეშე ვცხოვრობთ. მაგრამ რატომ არ შეიძლება, რომ ასევე ვიცხოვროთ ჩვენს სამშობლოში? ჩვენ ხომ შეგვიძლია იქაც ასეთივე ძალისხმევით ვიმუშაოთ. ძლიერი მშრომელი ხელები ყოველ ოჯახშია. და რა არის ეს, თუ არა სახელმწიფოს დახმარება ეკონომიკის აღდგენაში?

ჯიანშა *(ფ. ომაროვის ძმისშვილი).* აზერბაიჯანის მთავრობამ ყველაფრით მოამარაგა ისინი, რაც კი სჭირდებოდათ. ყველას, ვინც კი აქ ზის, აქვს მიწა და ყველანი უზრუნველყოფილები არიან.

მაგრამ სულ ერთია, მიუხედავად ამისა, ყველანი ამბობენ: «სამშობლო!..»

მასალა მოამზადა კლარა ბარათაშვილმა

გიულიარ ხოსაძე: «სამშობლო ჩემთვის ბევრს ნიშნავს...»

მე გიულარ ხოსაძე ვარ. დავიბადე უზბეკეთში, სამარყანდის ოლქში, ხატირჩის რაიონი, ლენინის სახელობის კოლმეურნეობა.

დედას რამიზა ერქვა. ის წარმოშობით ასპინძის რაიონის ქვემო ოშორადან იყო. მათი ძველი გვარია ჭიკაძე. პაპაჩემს დედის მხრიდან გურიი ერქვა. ჩვენებურად კი მას გიული ერქვა. თუმცა საბუთებში ის ასეც იყო ჩაწერილი - ჭიკაძე გური. საერთოდ კი, ჩვენებს «ჭიკო-გილი» *(«გილი» - «მოდგმა» - **კ. ბ.**)* შეარქვეს.

ჩვენებს საქართველოში ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ როგორც სომხებთან, ისე ქართველებთან. მეგობრობდნენ, ურთიერთობდნენ... არასდროს მსმენია, რომ ვინმეს ეროვნების ან რელიგიის ნიადაგზე მოეკლა ვინმე. მარტო მეგობრობასა და კარგ ურთიერთობაზე მესმოდა. ჩვენები და სომხები სტუმრადაც დადიოდნენ ერთმანეთთან, «კირვები» *(მაჰმადიანებში - მამობილი წინადაცვეთის დროს – **კ. ბ.**)* იყვნენ, ქართველებთან ერთად ჭამდნენ და სვამდნენ, ბავშვობიდან მეგობრობდნენ. ყველაფერს ინაწილებდნენ. ჩვენებს საქართველოში ბევრი საქონელი ჰყავდათ. თუ მოხდებოდა და დაინახავდნენ, რომ მეზობლების ბავშვები შიმშილობდნენ ან თუ ოჯახს საქონელი არ ჰყავდა, საქონელს უწილადებდნენ, მეზობლის ბავშვები მშივრები რომ არ დარჩენილიყვნენ.

მამაჩემს, ხეირულას ხოკიშვილის გვარი ჰქონდა. წარმოშობით ის ზედა ოშორიდან იყო. საერთოდ კი, ისინი იქ ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრადან გადმოსახლებულან. 1935 წელს ის და დედაჩემი შეუღლებულან. ის ქვემო ოშარაში «უსტ ენიშტედ» *(ზედსიძე - **კ.ბ.**)* მისულა და ნახევარი წლის განმავლობაში ახალგაზრდებს დედას ოჯახში უცხოვრიათ.

ნახევარი წელი იყო, რაც დედა ორსულად იყო. მამა ახალციხეში პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ ქვემო ოშორაში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. იქ, სოფლის განაპირას მესაქონლეობის ფერმა იყო... თუმცა, იყო სილოსის ორმოც. მას მაშინ ხდიდნენ ხოლმე თავს, როცა თივა მთავრდებოდა. მაგრამ ორმოს თავის ასახდელად საჭირო იყო კომისიის გადაწყვეტილება, რომელიც აქტს ადგენდა. ეს კომისია კი არა და არ ჩამოდის რაიონიდან, არ ჩამოდის ერთი კვირა, მეორე... და საქონელი რომ არ დაცემულიყო, მან თვითონ შექმნა კომისია სოფსაბჭოს წევრების შემადგენლობით და მათ თავი ახადეს სილოსის ორმოს. ზევიდან საკვები ჩვეულებრივ, დამპალია ხოლმე. ისინი ამ სალაფავს მოწნულ კალათებში აგროვებენ, წონიან და ინახავენ. აჭმევდნენ საქონელს, და

შესაბამისად, საქონელი არ იღუპება. ამ დროს ჩამოგრიალდა რაიონული კომისია და გაირკვა, რომ სილოსი მისი ნებართვის გარეშე გამოიყენებოდა. აწონეს დამპალი ნარჩენები, შეადგინეს აქტი. ვიდრე შენახული იყო, ნარჩენები გამომშრალა, ბუნებრივია, სილოსი უფრო მსუბუქი გახდა - 158 კილოგრამით. დანაშაულიც სწორედ ამაში დაინახეს...

ღამით მამას 40 კაციანი რაღაც სია მოუტანეს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მამას არ უამბნია ჩემთვის... რომ წამოვიზარდე, დედას ჩავეკითხე, რატომ არის, რომ ჩემი ძმა 18 წლითაა ჩემზე უფროსი-მეთქი? ჰოდა, დედამ მიამბო, რომ მამა 36 წელს ამ საქმის გამო დააპატიმრეს, ამიტომაც დავბადებულვარ მე ბევრად გვიან.

მოუტანეს თურმე მამას ღამით რაღაც სია და მოსთხოვეს ხელი მოეწერა მასზე. მამა კი არ აწერს ხელს. მოდიან ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... მერე კი ეუბნებიან, იცოდე, ეს ძვირად დაგიჯდებაო, ან მოაწერე, ანო... მამა კი პასუხობს მათ, შინსახკომელებს, ძვირად დამიჯდება თუ არა, მე ამ ქაღალდს ხელს მაინც არ მოვაწერო. მე ყველა ამ ადამიანს კარგად ვიცნობ, მათთან ერთად ვმუშაობდი. სულელი კი არა ვარ, ადამიანები დასახვრეტად რომ გავიმეტოო. იმ სიაში კი ჩვენიანებიც იყვნენ, ქართველები, და სომხებიც... დედამ მიამბო ასე. მაშინ მამაჩემს და კიდევ ორს აპატიმრებენ - სილოსის ორმოს «უკანონო» გახსნისთვის – და ნორილსკში ასახლებენ, ის 18 წელი იჯდა ამ ჩრდილოურ ქალაქში! ჯერ ციხეში, მერე – ბანაკში.

1944 წელს ყველა ჩვენს მაჰმადიანს მესხეთიდან ასახლებენ. ჩვენი ოჯახიდან ესენი იყვნენ: ბებია (მამის მხრიდან) ჩახო ხოკიშვილი, ბიძაჩემი (მამაჩემის ძმა), მას ნასირი ერქვა, ჩემი ორი მამიდა – ჩინარი და თამარი. მე მაშინ ჯერ არ ვიყავი ამქვეყნად. ჩემს ძმას იმხანად 9 წელი შეუსრულდა.

დედა ყვებოდა, როცა ჩვენებს ასახლებდნენ, მეზობლებს ვეცოდებოდით და გვეუბნებოდნენ, არაფრისთვის გასახლებენო... არ იყო არავითარი ნიშნის მოგება... პირიქით, რა მიზეზითო, კითხულობდნენ. თქვენ ცუდი არავისთვის არაფერი გაგიკეთებიათო, ცხოვრობდით თქვენთვის როგორც ყველა... რის გამო გასახლებენო. თქვენი გამოსარჩლება გვინდა, მაგრამ როგორ შევუშალოთ ამას ხელი? რა შეგვიძლია? მარტო დახმარებაო. გასახლების ღამეს ჩვენებს კარნახობდნენ – წაიღეთ რაც კი ყველაზე ძვირფასი გაქვთ, იქ მშივრები რომ არ დაიხოცოთო... მეზობლები – სომხები, ქართველები ყველაფრით გვეხმარებიან, სახელდახელოდ ხარშავენ – წვავენ, საგზალს გვიმზადებენ, პროდუქტები მოაქვთ. ჩვენები კი თავიანთ ქონებას აძლევენ მათ, იმას, რასაც თან ვერ წაიღებდნენ. ეს წაიღეთ, ესეცო... - ეუბნებოდნენ... ჯობია, თქვენ დაგრჩეთ, მეზობლებს, ვიდრე ვინმემ სხვამ წაიღოსო, «ჰალალს» აკეთებენ *(ლოცავენ - კ. ბ.)* და აი ასე, კეთილმოსურნედ ემშვიდობებიან ერთმანეთს...

დედას ორი ძმა ჰყავდა - ჰალიდი და იბრაგიმი. ჰალიდი ფრონტზე დაიღუპა 1944 წელს, მეორე ძმას კი გზაში ციებ-ცხელება შეეყარა და რომ ჩამოვიდა, იქაური ჰავა ვერ აიტანა. გზაში გარდაცვლილებს სადგურებზე ყრიან, სადაც კვდებიან, იქვე ყრიან.

ჩვენებს სამარყანდის ოლქში ასახლებენ, კომსომოლსკის რაიონში, იქიდან კი ხატირჩის რაიონში გადაჰყავთ, სადაც ადგილობრივები არ ასვენებენ.

ცოტა ხანს ცხოვრობენ იქ და ლენინის სახელობის კოლმურნეობაში ჩადიან. კომენდანტმა ნახა, რომ ჩვენებმა არც რუსული იციან, არც უზბეკური. სახლში ისინი ძირითადად ჩვენებურად ლაპარაკობდნენ. ჩახო ბებია ქართულად ლაპარაკობდა. თუმცა მე არც ერთი ბებია მინახავს ცოცხალი, არც მეორე. დედაც ქართულად ლაპარაკობდა. ძმამ ცოტა ქართული იცოდა, ის მხოლოდ მე-2 კლასში იყო. მას ბაჰადირი ერქვა. დედამ იცოდა და კარგადაც ლაპარაკობდა. წერაც იცოდა და კითხვაც. სიცოცხლის ბოლომდე კითხულობდა ხოლმე ქართულ წიგნებს.

ჩვენები საკმაოდ შეჭირვებულად ცხოვრობდნენ. ადგილობრივი ხელისუფლება პირდაპირ გულს უწყალებდა მათ. ბამბაში ძალიან ბევრი სამუშაო იყო - თესვა, ხვნა, კრეფა, სარწყავი არხების გათხრა... და ყველაფერი ხელით იყო გასაკეთებელი...

მოურიდებლად შემოვარდებოდნენ სახლში – მათრახებით, უზბეკურად ყვიროდნენ - ადექით, ბამბაში გადითო! ჩვენებს კი მანამდე ბამბა არცკი ენახათ, არ იცოდნენ, როგორ უნდა დაეთესათ, როგორ უნდა მოეკრიფათ.

მაგრამ თანდათან ისწავლეს, გაერკვნენ ბამბაში და ისე დაიწყეს შრომა, რომ თავად მათაც კი ჯობნიდნენ ამ სამუშაოში.

ბებიაჩვენი ითმენდა – ერთხელ მოითმინა, მეორედ, მერე კი გაბრაზდა რამდენი უნდა ვითმინოთ ეს მათრახებიო და ერთხელაც ის იყო, ეზოში ორი ცხენოსანი გამოჩნდა და მათრახები მოიქნიეს... რომ ჩახო ბებიამ ჯერ ერთს გამოჰგლიჯა მათრახი, მერე მეორეს, ორივე ძირს გადმოითრია და ისე გადაუჭირა ერთსაც და მეორესაც მათივე მათრახები... ერთი სიტყვით, შავი დღე აყარა... *(იცინის)*. ერთი ისე მიბეგვაო,

ყვებოდა დედა, ის, რომელიც გამუდმებით სულს ართმევდა ხოლმე, რომ მთელი თვე საავადმყოფოში გაატარაო.

ჰოდა, იმან უჩივლა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მაშინ უზბეკი იყო, ადგილობრივი კი არა – ჩამოსული (მოგვიანებით ის მამასთან ერთად მუშაობდა). ჰოდა, მოიწვია თურმე ამ თავმჯდომარემ კოლმეურნეობის კრება და ამბობს: გავიგე, რომ თურმე თქვენ ამ ხალხს ჩხუბისთავებს, «კაციჭამიებს» ეძახით... ასეთ რამეს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. ისინიო, უთხრა, უდანაშაულოდ გადმოასახლეს და სახელმწიფომ ისინი გარკვეული დროით გადმოასახლაო. თქვენ ისინი ადამიანურად უნდა მიიღოთ, ისე, როგორც სტუმრებიო. როგორღაც უცნაური თავმჯდომარე იყო, თუმცა დაძაბულობა რაღაცნაირად გაანელა და მომჩივრებიც ადგილზე მოსვა. თუმცა ხალხმა დაიწყო: აბა, რა ადამიანები არიან ესენი - აგე, ქალმა ხელისუფლების წარმომადგენელი სცემაო. ეგენი სასტიკი ადამიანები არიან, მოჩხუბრები, თავგამეტებით ურტყამენ - კაცებიც, ქალებიც, ერთი სიტყვით ჩხუბისთავები არიანო. თავმჯდომარე კი ეუბნება მათ: თქვენ როგორღა იქცევითო? განა შეიძლება ბამბაში ქალების ქამჩით *(მათრახით – კ. ბ.)* გარეკვაო? მათ ენა არ იციან, თანაც მოხუცი თავს იცავდა, ჯობია დაეხმაროთ მათ, რომ ენა ისწავლონო.

ამ შემთხვევის შემდეგ ჩვენებს, გადასახლებულებს შოლტებით აღარ სცემდნენ, ეშინოდათ... ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ჩვენი ქალები ისეთები არიან, რომ თუ კაცი სახლში არ არის, შიგ არავის შეუშვებენო... ეს მართალია.

ჩახო ბებიამ გადასახლებაში თხუთმეტი ტომარა ხორბლისა და სიმინდის წაღება მოახერხა... იმ ხანებში ჩვენებს მიწას არ აძლევდნენ. უზბეკებმა კი გაიგეს, რომ ჩვენებს მარცვლეული ჰქონდათ, მოდიოდნენ და სთხოვდნენ, მოსავალს რომ ავიღებთ, ჩაგასესხებთ, ოღონდ დაგვათესინეთო. ბებიამ მეზობლებს ხუთი ტომარა სიმინდი და ამდენივე ხორბალი მისცა. ჩვენები აძლევენ, კოლმეურნეობა კი თესავს... ასე გავრცელდა იმ მხარეებში ეს სასოფლო-სამეურნეო კულტურები. ბებიას მოსავალს უბრუნებენ, როგორც შეთანხმდნენ, ისე – ორი ერთზე, და თვითონაც დარჩათ. აი ასე გაგვქონდა თავი პირველ წლებში ჩვენი, ქართული ხორბლისა და სიმინდის წყალობით.

მამას რომ ათავისუფლებენ (1952 წელს), ის სახლისკენ მოემართება. ირკუტსკამდე ჩამოაღწევს... დედამ კი არაფერი იცის... მას ოთხი წერილი ჰქონდა მიღებული, თქვენი მეუღლე მოკვდაო.

გზაში მამას ერთი ვიღაც ხვდება და ეუბნება: თქვენები დიდი ხანია გაასახლეს, საქართველოში აღარავინაა, შუა აზიაში ეძებე შენიანებიო. მოდის მამა იქიდან, მოდის, ყაზახეთამდე ჩამოაღწევს. იქ ბაზარში შემთხვევით ვიღაც უზბეკებს ხვდება, ქიშმიშის გამყიდველებს და გამოკითხვას დაუწყებს მათ. კიო, ეუბნებიან ისინი, ჩვენ გვყავს ეგეთი მეზობლებიო. როგორები არიან, როგორ გამოიყურებიანო? ასეთები და ასეთებიო, ერთი ვაჟკაცური ქალი ჰყავთ, ჩახო ჰქვიაო, შვილები ჰყავს და ესა და ეს სახელები ჰქვიათო... მამამ თავისიანები იცნო და ამ უზბეკთან ერთად ჩამოვიდა.

როცა ჩვენები უზბეკეთში ცხოვრობდნენ, მათ რამდენჯერმე მოუვიდათ წერილები, გვაცნობებდნენ, რომ მამა გარდაიცვალა. სამკუთხა წერილი იყო მთავრობის სახელით. ჩახო ბებია კი, ყოველთვის, როცა კი ასეთ წერილს მოუტანდნენ, ამბობდა, ეს მართალი არ არის, მე ვგრძნობ, რომ ჩემი შვილი ცოცხალიაო, ერთხელაც არ დაუჯერებია, რომ მამა მოკვდა.

ჰოდა, მან ასეთი აღთქმა დადო: ოღონდ ერთი საათით მაინც ენახა თავისი შვილი ცოცხალი, მერე კი თუნდაც მომკვდარიყო. თანახმა ვარ ამაზეო, - ამბობდა. ეს ერთი ჩემი სურვილია, მეორე კი - ამბობდა ის, - მინდა რომ საფლავზე მშობლიური მიწა დამაყარონო. პირველი ოცნება ბებიას აუსრულდა, მეორეს ასრულება კი არ ეღირსა.

და აი, როცა 1952 წელს მამა ცოცხალი და საღსალამათი გამოეცხადა ჩვენებს, ბებია გაოგნდა. ეს რა ხდებაო? - ფიქრობს – ჩემი შვილის სულია თუ თვითონ ის არის, ცოცხალიო? ერთ საათს დარჩა მამასთან, როგორც ზენაარს სთხოვა, მერე კი მოკვდა. როგორც აღუთქვა, ისე მოხდა. ყველა გაოგნებული იყო (განსაკუთრებით, მეზობლები), რომ ასეთი ჯანმრთელი, მაგარი ქალი ასე უცბად მოკვდა. ჩემი ძმა ამ დროს მეზობლის ბიჭებთან თამაშობდა და მას ეუბნებიან ჩქარა გაიქეცი, მამაშენი დაბრუნდაო... მან ჯერ არ დაიჯერა, თუმცა მერე მაინც გაიქცა სახლში და ხედავს, სახლში მისთვის უცნობი ადამიანია (მას ხომ არასდროს ენახა მამა). თავიდან იუცხოვა, თუმცა თანდათან შეეჩვია.

მე 1954 წლის 9 მაისს დავიბადე. ჩემი თავი 5-6 წლიდან მახსოვს. მახსოვს, როგორ დაიბადა 58 წელს ჩემი და, ხალია (მისი ქმარი გენერალია, ისინი ახლა ქალაქ ნავოიში ცხოვრობენ, უზბეკეთში). 62-ში კიდევ ერთი ძამიკო დაიბადა – ჰეირიადინი.

ყველანი ერთად ვცხოვრობდით, უზბეკურ სახლში, იქ «სანდალი» გვქონდა. ეს იყო პატარა ორმო, მას ზევიდან მრგვალი მაგიდა ადგა, რომელზეც ერთ დიდ საბანს ვაფარებდით. ყველას

ერთ ოთახში გვეძინა, ფეხები ამ ორმოში გვქონდა ჩაშვებული, რომელშიც ჯერ ცეცხლს ვანთებდით, მერე კი მთელი ღამე ნაღვერდალი ბჟუტავდა. ეს სახლი მაშინ მოგვცეს, როცა ამ კოლმეურნეობაში ჩამოგვიყვანეს, ის ჩვენ არ აგვიშენებია. მამას ჩამოსვლამდე ჩვენებს უჭირდათ. მამამ მუშაობა დაიწყო და თანდათან გავიმართეთ წელში. ნელ-ნელა შენებაც დავიწყეთ. 1968 წელს ახალ სახლში გადავედით.

უფროს ძმას ვუყვარდი და ყველანაირად მანებივრებდა. სულ რაღაც საჩუქრებს ყიდულობდა ჩემთვის. უმცროსებისთვისაც, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მეტს. მან უნივერსიტეტი დაამთავრა და ჩვენსავე სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგე გახდა. მისი სპეციალობა უზბეკური ენა და ლიტერატურა იყო.

რა თქმა უნდა, მე დედაც მიყვარდა, მამა კი - სხვანაირად. თუმცა ის საკმაოდ მკაცრი იყო. რაღაც სეირნობებზე არ მიშვებდა ხოლმე. ისეც მომხდარა, რომ დედას გავუშვივარ, მამას კი არა. იმიტომ რომ იქ ადგილობრივი, ჩამოსული უზბეკები, ტაჯიკები იყვნენ ხოლმე... ჩვენი წესჩვეულებები არ ემთხვეოდა. მეზობლებთან კი მიშვებდა ხოლმე, მათთან ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონდა.

საჭმელი ჩვენთან სახლში, ძირითადად ჩვენებური გვქონდა. უზბეკური კერძებიდან მარტო ფლავს ვამზადებდით ხოლმე. ისე კი ვაცხობდით ხოლმე მჭადს, ხაჭაპურს, «ქიათმიარს» *(ფენოვანი ცომის კვადრატული ფორმის ნამცხვარი, როგორც გულით, ისე უმისოდ - **კ. ბ.**),* ხინკალს, ლობიოს. ერთი სიტყვით, საჭმელი ქართული გვქონდა. მანთი (უიგურული კერძს) ჩვენს რაციონში მოგვიანებით გაჩნდა, ისევე როგორც დუნგანური ატრია. მეზობლებს არ უკვირდათ, რომ ჩვენ იმას არ ვჭამდით, რასაც ისინი. პირიქით. მათ მოსწონდათ კიდეც ჩვენი საჭმელები; ჩვენც მოვამზადებთ ხოლმე თქვენს კერძებსო, გვეუბნებოდნენ. და მართლაც ისწავლეს ჩვენი საჭმელების მზადება.

ჩემი პირველი მეგობრებიდან მეზობელი გოგონები მახსოვს. უზბეკები, თათრები... იყო ჟანა, იყვნენ აფია და ნასია-ტყუპები, როზა, ჩვენ ერთად გავიზარდეთ, ერთ სკოლაში ვსწავლობდით უზბეკურ ენაზე. იქ რუსული სექტორი საერთოდ არ ყოფილა, რადგან უზბეკებს შორის გავიზარდე, და ენაც ადვილად ვისწავლე. სახლში ორ ენაზე ვლაპარაკობდით: ჩვენს, მესხურ დიალექტზე და უზბეკურზე. ზოგჯერ მამა დედას ქართულ ენაზე ელაპარაკებოდა, ჩვენ კი მათი არ გვესმოდა.

მაგრამ სახლში ყოველთვის იყო ლაპარაკი სამშობლოზე. მამა ყოველთვის ამბობდა ჩვენ ქართველები ვართო. ის სიკვდილამდე (ის 1993 წელს მოკვდა), იმეორებდა ამას. 1995 წელს დედა მოკვდა. ჩვენ ორივესგან გვესმოდა ეს სიტყვები. ერთიც და მეორეც - მამაც და დედაც - გაანათლოს მათი სულები! - მაშინ გარდაიცვალნენ, 90 წელი რომ შეუსრულდათ. ჯერ მამა გარდაიცვალა. წლისთავი გადავიხადეთ, და დედამაც განისვენა.

ისინი სულ ამბობდნენ ჩვენ ქართველები ვართო. მამა ხოკიშვილი იყო, 1936 წელს ის ამავე გვარით დაიჭირეს. მე კი პასპორტში სხვა გვარი მეწერა. 1956 წელს, საკომენდანტო რეჟიმის გაუქმების შემდეგ ჩვენებისთვის პასპორტების დარიგება დაიწყეს. და აქ ჩნდება კითხვა: ამ კავკასიელებს რა ვუყოთო? შუა აზიაში ჩვენ სწორედ ასე გვეძახდნენ. მამას პასპორტი რომ მისცეს, შიგ გადაკეთებული გვარი ეწერა. ხოკიშვილის მაგივრად ხოკიევი ჩაუწერეს, ეროვნებად კი - «აზერბაიჯანელი». მეც, და ჩვენი ოჯახის ყველა ბავშვი ხოკიევებად ჩაგვწერეს. მაგრამ ჩვენ ყველანი, ისევე, როგორც მამას, თავი ხოკიშვილებად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია (მე ყველა ჩემს სასკოლო რვეულს ქართულ გვარს ვაწერდი!).

ის ადგილი, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, საკმაოდ ცივილიზებული იყო. იქ საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლიც იყო, კულტურის სახლიც, საავადმყოფოც. ამ დაბაში ჩვენ ერთადერთი მესხური ოჯახი ვიყავით. კოლმეურნეობაში უზბეკების სამასამდე ოჯახი ცხოვრობდა და მხოლოდ ორი თათრებისა. და მათ შორის ჩვენ ერთადერთები ვიყავით.

სკოლა ჩვენი დაბიდან ორ კილომეტრში იყო. ზამთრობით პატარა ფარნები გვქონდა ხოლმე თან, რადგანაც გაკვეთილები ადრე იწყებოდა, რვას ოცი წუთი რომ აკლდა, მაშინ. სკოლის გვერდით კი ასევე ჩვენიანები ცხოვრობდნენ. ისინი ჩემი მომავალი ქმრის ბიძები იყვნენ.

მამა დისპეჩერად მუშაობდა ავტობუსის ხაზზე, დედა დიასახლისი იყო.

მერვე კლასში რომ ვიყავი, ხელსაქმის კონკურსი გამოცხადდა. შედეგები ქალაქ ხორეზმში უნდა დაეჯამებინათ. გადავწყვიტე, კონკურსზე მძივებით ნაქარგი წარმომედგინა. ფარულად ვმუშაობდი, ვერავინ მხედავდა, დედაც კი. შოთა რუთაველის პორტრეტს რამდენიმე კილოგრამი ფერადი მძივი დასჭირდა. მწვანე ხავერდზე ვქარგავდი. ხავერდიც მძიმე ქსოვილია, ბიძაჩემს ჰქონდა ეს წიგნი - «ვეფხისტყაოსანი». მე პორტრეტი ცარცით გადავიტანე და კონტური მულინეს ძაფით შემოვაკერე. მერე კი ველის მძივებით შევსება დავიწყე. კონკურსისთვის რომ მომეს-

წრო, სამუშაო ორ კვირაში დავამთავრე. არავისთვის არ მიჩვენებია. ვიკეტებოდი ჩენს ოთახში, ვმუშაობდი, მერე ნამუშევარს ვმალავდი და გამოვდიოდი. სახლში ყველამ იცოდა, რომ ვქარგავდი, მაგრამ ხელს არ მიშლიდნენ. ჩემი მეგობრის მამამ ჩემი თხოვნით დიდებული ჩარჩო დაამზადა და მუყაო და შუშაც ჩასვა.

დადგა კონკურსის დრო და ჩვენც წავედით. ჩვენთან ერთად დირექტორი და სასწავლო ნაწილიც (ჩემი ძმა) იყვნენ. ხორეზმში კი 12 სკოლიდან მოიყარეს თავი კონკურსანტებმა. ბრძანება გასცეს და ყველამ გახსნა თავ-თავისი ნამუშევარი. კომისია გაოცებული დარჩა ჩემი ნაქარგით. კითხვები დამაყარეს - ეს ვინ არის და ეს რა არისო? მე ყოჩაღად ვპასუხობდი, ეს ჩვენი, კავკასიელი მწერალია-მეთქი, იმხანად სიტყვა «მესხი» არ იხმარებოდა, ყველა უბრალოდ «კავკასიელებს» გვეძახდა. მე ვთქვი, ის ჩვენებურია და ამიტომაც მოვქარგე-მეთქი. და ჩვენ მაშინ პირველი ადგილი დავიკავეთ! რომ იცოდეთ, რა სიხარული იყო!..

საერთოდ, ჩვენებს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ შოთა რუსთაველთან. უფროსი თაობიდან ბევრმა ზეპირად იცოდა მისი პოემა. ჩემმა ბიძაშვილმა (უზბეკეთში) თვითონ დაამზადა ნარდი და «ვეფხისტყაოსნის» სიუჟეტებით მოხატა ის. შოთა რუსთაველი მეც ძალიან მაინტერესებდა. ერთხელ ჩვენთან ერთი ქალი ჩამოვიდა, წარმოშობით სოფელ ჯაგისმანიდან იყო. მისთვის მზითევში შოთა რუსთაველის წიგნი გაუტანებიათ მისივე პორტრეტით. ეს უკვე საქართველოში იყო, 1988 წელს და მე ისევ გამიჩნდა ჩვენი სახელოვანი თანამემამულის პორტრეტის შექმნის სურვილი. ზამთარში ვქარგავდი. ვიფიქრე, რატომ უნდა ვიჯდე ზამთარში ასე უბრალოდ-მეთქი? მერე კი სოფელში რიგ-რიგობით ყველა მოდიოდა სანახავად. მოეწონათ ჩემი ნამუშევარი. მე კი მინდა, ეს პორტრეტი ახალციხეში არსებულ სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმს ვაჩუქო. როგორც ამბობენ, იქ უკვე არის მძივებით მოქარგული პორტრეტი, ოღონდ თამარ მეფის. ვფიქრობ, ეს საინტერესო იქნება. თამარ მეფე ერთმა მესხმა ქალმა მოქარგა, შოთა რუსთაველი კი - მეორემ. ოღონდ კარგი ჩარჩო უნდა გაკეთდეს.

1972 წელს მე მე-10 კლასი დავამთავრე და ბამბეულის სადგურში ლაბორანტად დავიწყე მუშაობა. იმავდროულად მდივან-მემანქანეობითაც ვშოულობდი ფულს.

ჩემი მომავალი ქმარი ასე გავიცანი. მისი ბიძები როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი სკოლის გვერდით ცხოვრობდნენ. ის კი ბავშვობაში ალმა-ატიდან ჩამოდიოდა ხოლმე მათთან სტუმრად. ჰოდა, მომეწონა.

18 წლისა დამნიშნეს. მისი დედა და მამა ბიძამისთან ჩამოვიდნენ. იქიდან კი ჩვენთან მოვიდნენ – ნურადინსა და ჩემზე სალაპარაკოდ, მოკლედ შეთანხმდნენ. მაგრამ მშობლებმა მითხრეს ძალას არ გატანთო. მე კი ვუპასუხე, მე მას გავყვები და მორჩა-მეთქი!.. არცკი ვიცი, რითი მომეწონა. მახსოვს, როცა ჩამოვიდოდა, მათთან მივრბოდით სათამაშოდ. ჩვენ - გოგოები, ისინი - ბიჭები... ისინი თავის თამაშებში არ გვიღებდნენ, წამოგვინიავებდნენ ხოლმე, გვაგდებდნენ... მე კი მახსოვს, ფეხი დავუბაკუნე და ჯიბრზე ვუთხარი ნურადინს: რამდენიც უნდა გამაგდო, ცოლად მაინც გამოგყვები-მეთქი! *(იცინის).* მაშინ 13-14 წლისა ვიქნებოდი. ამის შემდეგ მე ის საერთოდ არ მინახავს, უბრალოდ ვიცოდი, რომ არის ასეთი ბიჭი. მას ბიძაშვილი ჰყავდა, გოგონა, ის მას ჯარში წერდა ხოლმე, ჰოდა, ავდექი და მეც მივწერე. გარიგების შესახებ მან არაფერი იცოდა. მე შევატყობინე, თუ იცი, რომ მე და შენ დაგვნიშნეს-მეთქი! *(იცინის).* მე უზბეკურად ვწერდი, ის კი რუსულად. მერე, ჯარიდან რომ დაბრუნდა, ქორწილი გადავიხადეთ. ქორწილი უზბეკეთში იყო (ეს «პატარძლის ქორწილი» იყო), «ნეფის ქორწილი» კი - უკვე ყაზახეთში. საერთოდ პატარძლის ქორწილი ნეფის გარეშე ტარდება, მარტო ქალიშვილების ნადიმივითაა. ხალხი ბევრი იყო - უზბეკი მეზობლებიც იყვნენ, ჩვენებიც (სასიძოს მხრიდან), მისი ბიძები, ნათესავები...

ჩემ წასაყვანად ყაზახეთიდან მატარებლით ჩამოვიდა ყველა, ბექირ-გილი. ოცდახუთი ადამიანი იქნებოდა - კაცები, ქალები. ჩვენი ადათ-წესების შესაბამისად გამომაწყვეს - კათხა, პატარა ქუდი, როგორსაც გათხოვილი მესხი ქალები ატარებენ, გრძელი თეთრი თავსაბური - ლეჩაქი, და სახე დამიფარეს. ასეც მიმიყვანეს მატარებლამდე. მამისეული სახლიდან რომ გამოვყავდი, კიდეც მღეროდნენ და კიდეც ცეკვავდნენ, ტრადიციული ტირილიც იყო, - ყველაფერი ისე, როგორც წესია. ჩვენს ფოლკლორში ერთი ასეთი საქორწილო ლექსი - ტირილია «პატარძალი»:

«დედა-დედა, - ატირდება პატარძალი,
ადგილს ვერა პოულობს...
მის სანაცვლოდ ახლა დედამთილი მყავს.
მისამღერი: ნუ ტირი, ნუ ტირი, პატარძალო,
ნუ მოთქვამ, პატარძალო.
«მამა-მამა», - პატარძალი იტყვის
თავის ცრემლებს არავის აჩვენებს.
მამად ახლა მამამთილი გყავსო, ეტყვიან.
პატარძალი დას დაუძახებს თავისთან,

მწარე ცრემლებით დაისველებს კაბას.
პასუხად მას მული მიუახლოვდება.
«ჩემო კარგო ძმაო, - იტყვის პატარძალი -
სად ხარ, სად ხარ, ნეტავ ვინ მიამბობს?»
მას კი მაზლისკენ მიუთითებენ.
მისამღერი: ნუ ტირი, ნუ ტირი, პატარძალო,
კეთილი იყოს შენი მობრძანება, იენგე!...»
*(ქალი, რომელიც პატარძალს საქმრომდე მიაცილებს - **კ. ბ.**).*

მაგრამ დედაჩემი ძლიერი ქალი იყო, არ უტირია. პირიქით, დამარიგა: «მე 18 წელი ვშრომობდი, გზრდიდი, ჩემი ცრემლები რომ არ გენახა. ბედნიერი იყავი».

მატარებელთან რომ მივედით, კაცები გამოგვეყვნენ.

მატარებელში ქალებმა სახე გამომიჩინეს. ორი დღე-ღამე ვიმგზავრეთ ალმა-ატამდე პლაცკარტის ვაგონით. რომ მივუახლოვდით, ისევ მომრთეს. სადგურში უკვე გველოდებოდნენ, მათ შორის ჩემი საქმროც იყო - ნურადინი. ჩაგვსხეს მანქანებში და მათსა წავედით სახლში. ორსართულიანი სახლი ჰქონდათ, თვითონ აიშენეს ალმა-ატის ერთ-ერთი გარეუბნის საბჭოთა მეურნეობაში. ცხადია, ჩემი მზითვით ჩამოვედი: «სტენკა», დივანი, საწოლები, სავარძლები, მაგიდა სკამებით, ტელევიზორი, გაზის ქურაც კი ჩამოვიტანეთ. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც საჭიროა.

ასე და ამრიგად გათხოვილი ქალი გავხდი. ჩემი ცხოვრება შეიცვალა. ყველაფერი სხვანაირად იყო. მე უკვე თავდახურულს უნდა მევლო. თუმცა იმას ვერ ვიტყვი, რომ ქმრის ოჯახი რამეს მიკრძალავდა, ან საერთოდ შეფუთნულ-გახვეულს უნდა მევლო, არა, ასე არ ყოფილა. მაგრამ მე არაფერში ვეურჩებოდი მათ, ოჯახიც კარგი შემხვდა. სულ სიცილი, ხუმრობა, კეთილგანწყობა... მე მათ ყველას პატივს ვცემდი, და მათაც შემიყვარეს. დედამთილ-მამამთილი შესანიშნავი ადამიანები იყვნენ, და მე საკუთარი მშობლებივით შევიყვარე ისინი. მაზლები ძმებად მიმაჩნდა, ჩემი ორი მული კი – დებად. არასდროს ვამბობდი, ეს შენია, ეს ჩემი-მეთქი...

მაგრამ, თურმე, მე ბევრი რამ არ ვიცოდი. და ამ ყველაფერს ჩემი ქმარი, ნური მასწავლიდა. ეს «სკოლა» მთელი ღამე დილამდე გრძელდებოდა. ის ჩურჩულით მიხსნიდა, როგორები იყვნენ მოხუცები: თუ ასე და ასე მოიქცევი, მათ პატივისცემას დაიმსახურებსო. თუ შენ პატივს სცემ, ისინიც პატივს გცემენო. და მე მორჩილებით ვასრულებდი მის სიტყვებსა და რჩევებს.

ჩემი ხასიათის მიუხედავად, ხასიათი კი... უჯიათი ვიყავი, თავნება, მე ვიტყოდი, უხეშიც კი, ყოველთვის ჩემი გამქონდა. მოკლედ, უფრო ბიჭის ხასიათი მქონდა, ვიდრე გოგოსი (ამ ჩემს ხასიათს ჩემს უმცროს ქალიშვილს, გიულნაზის ვამჩნევ, ზუსტად ისეთივე თავნებაა), მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, მე ნელ-ნელა რბილ, დამჯერ ცოლად გადავიქეცი. ეს ჩემი ქმრის, ნურის წყალობით ხდებოდა *(იცინის)* ანუ ეს იყო ჩემი მისდამი სიყვარულის ძალა, მე ვიტყოდი მეუღლეობის ძალა.

შვილები მაშინვე არ გვეყოლა, მხოლოდ სამი წლის შემდეგ. მე, რა თქმა უნდა, ერთი მხრივ განვიცდიდი, მაგრამ მეორე მხრივ, ჩემს თავს ვეუბნებოდი: მოვიცადოთ-მეთქი. როცა ალაჰი მოგვცემს, მაშინ მოგვცემს-მეთქი. და როგორ გავიხარეთ, როდესაც გავიგეთ, რომ შვილი გვეყოლებოდა!.. ჩემზე მეტად მათ უხაროდათ. მით უმეტეს, რომ ბიჭი დაიბადა, რუსტამი, 1978 წელს.

ყველა გახარებული იყო, ყველაზე მეტად კი მე გავიხარე. ხასიათი შემეცვალა. გათხოვებამდე ხისტი, კატეგორიული ვიყავი, მაგრამ ნელ-ნელა ნორმალურ ქალად გადავიქეცი. რბილი, ნაზი, მზრუნველი, მომთმენი გავხდი... მერე გულნარა შეგვეძინა 81-ში.

როგორც უკვე ვთქვი, ალმა-ატაში ორსართულიან სახლში ვცხოვრობდით, სადაც ჩვენ ჩვენი ოთახი გვქონდა. ნური ამ დროს სწავლობდა (ალმა-ატის უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე) და მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანაში მუშაობდა.

არც მდიდრულად ვცხოვრობდით და არც ღარიბულად. საშუალოდ ვცხოვრობდით. რა თქმა უნდა, ოქროს სამკაულები მქონდა (ისინი ახლაც მაქვს). ქორწილში დედამთილმა მაჩუქა ოქროს ღრუ მძივები, ასეთივე საყურეები, ისეთები, ჩვენთან რომ ატარებენ, მაჟარები, მაჰმუდიები *(ოქროს მონეტები ავსტრიის იმპერატორის, ფრანც-იოსების და თურქეთის სულთნის, მაჰმუდის გამოსახულებიანი ოქროს მონეტები - მესხი ქალების ყელზე ჩამოსაკიდებელი სამკაული – **კ. ბ.**)*, ექვსი ოქროს ბეჭედი... და ტანსაცმელი, თავისთავად. ვერცხლის ქამარიც. მართალია, ეს ქალის ქამარი არ იყო და არც ჩემთვის იყო ნაყიდი, მათი პაპის ქამარი იყო. უბრალოდ, ქორწილში შემომარტყეს, ტრადიცია რომ დაეცვათ. მერე კი სხვა სარტყელით შეცვალეს, მოგვიანებით მიყიდეს.

ნური ქარხანაში მუშაობდა ინჟინრად. მე ათ წელზე მეტი ყვავილების საბჭოთა მეურნეობაში ვიმუშავე.

ამ დიდ სახლში ჩემი ორი მაზლი, ორი მული და დედამთილ-მამამთილი ცხოვრობდნენ... კი-

დევ ერთი ბებო ცხოვრობდა ჩვენთან - მამამთილის ძმის ცოლი, მისი ქმარი ფრონტიდან არ დაბრუნებულა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მას ორუჯი რქმევია. მისი ცოლი ორი შვილით დარჩა – ვაჟიშვილით და ქალიშვილით. მისი ათი წლის ბიჭი, აბუზარი გადასახლების პირველივე თვეებში მომკვდარა. მაშინ ბევრი ადამიანი დაიღუპა.

ჩემი მაზლები ჯერ პატარები იყვნენ, ასე რომ სახლში მე უფროსი რძალი ვიყავი.

ნური სკკპ-ს წევრი იყო, მაგრამ კონსპირაციულად ჩვენიანების სამშობლოში დაბრუნების საკითხით იყო დაკავებული. 1975-1981 წლებში ის მესხების არალეგალური ორგანიზაციის «დროებითი გამათავისუფლებელი კომიტეტი» (დგკ) ალმა-ატის ოლქის კასკელის რაიონის რაიონული განყოფილების ხელმძღვანელი იყო.

ხელისუფლება ემუქრებოდა მას, 1982 წელს პარტიიდანაც კი გარიცხეს. ოფიციალური მიზეზი კი ძალიან სასაცილო იყო: «მესხ თურქებში ემიგრაციული განწყობების გაჩაღებისთვის». მიუხედავად ამისა, ჩემს ქმარს ეს საქმე არ მიუტოვებია. ის პარტიაში აღადგინეს (1983 წელს) და სამშობლოში დასაბრუნებლად აგრძელებდა აქტიურ ბრძოლას. და 1986 წელს ჩვენ საქართველოში დავბრუნდით, ჩამოვედით ოზურგეთის რაიონის სოფელ ნასაკირალში.

მე გამიჭირდა იქაურობის დატოვება. განვიცდიდი რა და როგორ იქნება ახალ ადგილზე მაგრამ რას იზამ? სადაც ოჯახის უფროსია, შენც იქ უნდა იყო. შუა აზიაში დარჩენილ ჩემს ნათესავებთან კავშირს ვინარჩუნებდით, ისინი იყვნენ ჩვენთან ჩამოსულები - ერთნიც, მეორენიც, სტუმრობდნენ ჩვენთან, აღტაცებულები იყვნენ ბუნებით...

ჩინარი უკვე საქართველოში დაიბადა, 87-ში, ასევე გიულნაზიც, 91-ში. აქეთ რომ გადმოვდიოდით, მთლად კარგად ვერ ვიყავი. წნევა მაწუხებდა, გულიც. მაგრამ რომ ჩამოვედით, უმალ გამოვკეთდი. ალმა-ატაში სულ საავადმყოფოში ვიწექი ხოლმე, როცა ჩინარსა და გულნაზზე ვიყავი ფეხმძიმედ, ყოჩაღად ვიყავი, ის კი არა, რაიონშიც კი ფეხით ჩავდიოდი. აქაური ჰავა მომიხდა. გულნაზი პირდაპირ სახლში დაიბადა, ბებიაქალობა დილარამ გასწია, ჩვენი ოჯახის მეგობრის, რუსტამ ბექაძის ცოლმა.

1992 წლამდე ნური სოფელში ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა. მე კი ჩაის ვკრეფდი. თავისუფალ დროს ქმარი მეხმარებოდა ხოლმე. ძნელი იყო - სტაბილიზატორის თან თრევაც და ტომრისაც, თუმცა, მართალია, თოვლსა და წვიმაში არ გვამუშავებდნენ, არანაირი მათრახები არ ყოფილა *(იცინის)*, მაგრამ ვისაც ფული უნდოდა – თვითონ ავდარშიც გადიოდა ხოლმე სამუშაოდ. ჩაიზე კარგ ფულს ვშოულობდით – თვეში 500-600 მანეთს, თუმცა ამ ფულს იოლი შრომით როდი ვშოულობდით. ჩაის კრეფაზე რევმატიზმიც კი «გამოვიმუშავეთ». რა თქმა უნდა, ეს სინესტის ბრალი იყო - წვიმიან დღეებში ჩექმები წყლით გვევსებოდა.

ჩვენ რომ ჩამოვედით, აქ უკვე ცხოვრობდნენ ჩვენიანები და კარგად მიგვიღეს. ჩვენი ოჯახისადმი დამოკიდებულება მაშინაც კარგი იყო, და ახლაც კარგია.

ჩვენს სოფელში, ნასაკირალში საერთოდ ყველა მშვიდობიანად ვცხოვრობთ. ჩემი აზრით, იმიტომ რომ, უხეშობას ჩვენ შორის ადგილი არა აქვს. არ ვარჩევთ, ვინ რა ეროვნებისაა. ჩვენთვის ყველა ერთია – ყველა მეზობელია. ყველანი ალაჰის ქმნილებები ვართ.

მე ყველას მათ პატივს ვცემ. როგორც საკუთარ თავს, ისე მათ. ისინიც ხომ ადამიანები არიან, რატომ უნდა დავამციროთ? მე რომ ისინი დავამცირო, ამით ხომ საკუთარ თავსაც დავიმცირებ. ამიტომ პირადად მე ადამიანებს ეროვნების მიხედვით არ ვარჩევ - ეს ის არის, ეს კი სხვაა... ჩვენს ოჯახში ასეთი რამ მიღებული არ არის, განსაკუთრებით მიუღებელია ეს ჩემი ქმრისთვის, ნურისთვის. საერთოდ, ის ჰუმანისტია, ყველას სიყვარულით ეკიდება.

ჭორები არ მიყვარს, ტყუილ ლაქლაქს ვერ ვიტან. უყვართ ჩვენს სოფელში ჭორიკნებს უბანში გამოსვლა და ჭორაობა. ეს საჩემო საქმე არ არის. მირჩევნია ბოსტანში ან მინდორში ვიმუშაო, ჩემს ბოსტნეულს მოვუარო *(იცინის)*.

როგორც მე ვექცევი ადამიანებს, ისინიც ისე მექცევიან. მაგალითად, ჩვენს ქალიშვილთან, ჩინარასთან, მისი თანაკლასელები მოდიან ხოლმე (ის სოფლის ქართულ სკოლაში დადის) - სომხებიც, ქართველებიც, რუსებიც. მე ჩინარასაც ვუშვებ ხოლმე მათ შეხვედრებზე, დაბადების დღეებზე. რატომ უნდა განირჩეოდეს ის თავისი თანაკლასელებისგან. ისიც ისეთივეა, როგორც ყველა.

აქ რომ ჩამოვედით, ჩვენ მტკიცედ ვიცოდით, რომ ქართველები ვართ. და არასდროს გამიგონია, რომ ჩვენზე ეთქვათ, «თურქები» არიანო.

საქართველოში რომ გადმოვედით, ნურის ბაგიროვის გვარი ჰქონდა, მე კი ხოკიევა ვიყავი. 1989 წელს ჩვენ ჩვენი გვარები აღვიდგინეთ. ეს გურამ მამულიას დახმარებით მოხდა. მან ბევრი გააკეთა ჩვენთვის, რეპატრიანტებისთვის – მშვიდად განისვენოს!.. *(გურამ მამულია - ისტორიკოსი, დისიდენტი, უფლებადამცველი. მესხთა რეა-*

*ბილიტაციისა და დაბრუნებისთვის დაუცხრომელი მებრძოლი. 90-იან წლებში გ. მამულიას ინიციატივით შეიქმნა სახელმწიფო სტრუქტურა – რეპატრიაციის სამსახური, რომელსაც თავად ჩაუდგა სათავეში. 2001 წლის მარტში რეპატრიაციის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად (რომელთა შორის ამ სტრიქონების ავტორიც იყო) დეპორტირებული მესხების მიმართ საქართველოს მთავრობის პოლიტიკის მიმართ პროტესტის ნიშნად იგი გადადგა. გარდაიცვალა 2003 წ. - **კ. ბ.**).* მოვიდა ავტობუსი, წაგვიყვანეს და რაიონულ ცენტრში ჩაგვიყვანეს. კლუბში მივედით. საზეიმო შეკრება იყო და იქ ჩვენ, ყველა რეპატრიანტს, ახალი პასპორტები გადმოგვცეს ჩვენი აღდგენილი გვარებით. ნურიმ მიიღო პასპორტი თავისი ისტორიული გვარით - და ეს გვარია ხოსაძე. როგორ ვხარობდით... თითქოს ხელახლა დავიბადეთო... მერე მთელმა ოჯახმა გამოიცვალა საბუთები: პასპორტები და მეტრიკები. და მორჩა! ჩვენ ქართველები ვართ, მესხები, ადგილობრივი მაცხოვრებლები... რაზე შეიძლება ლაპარაკი?

1992-93 წლები მშიერი წლები იყო. მაგრამ ჩვენ ოჯახური დარაზმულობის წყალობით გადავრჩით. მუხლჩაუხრელად ვმუშაობდით - ბოსტანში, ბაღში, ერთ ზამთარს მარტო გოგრით გავიტანეთ თავი, მოუსავლიანობა იყო. გავუძელით, დიდება ალაჰს! ვაჟიშვილი დავაქორწინეთ, აქ უკვე შვილიშვილი გვეზრდება, გულს გვიხარებს.

რა არის ყველაზე ძნელი ქალისთვის? მან ახლობლებთან შეწყობა უნდა ისწავლოს. ამისთვის მარტო მოთმინებაა საჭირო. ყველაზე ძნელი მოთმინების სწავლაა, ქალის ბედნიერება კი ოჯახისთვის რჩევის კითხვა, საკუთარ შვილებთან და შვილიშვილებთან მშვიდობიანი და თანხმიერი ცხოვრებაა.

სამშობლო ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ეს ჩემი მშობლების, ჩემი წინაპრების მიწაა. დედა და მამა ბევრს ყვებოდნენ, როგორ მეგობრულად და თანხმიერად ცხოვრობდნენ ყველა მეზობელთან დეპორტაციამდე.

ჩვენ დღემდე შევინარჩუნეთ ჩვენი ტრადიციები, ჩვენი სამზარეულო - ხინკალი, ხაჭაპური, ლობიო, მჭადი... ჩემთვის ეს ძალიან ახლობელია. მიუხედავად იმისა, რომ უზბეკეთში დავიბადე და გავიზარდე, ჩემთვის უფრო ახლობელი საქართველოა - არ ვიცი, რატომ (იცინის)... მაგრამ ეს რაღაცნაირად შიგნიდან მოდის.

მე თავი ძალიან ბედნიერ ქალად მიმაჩნია.

2004 წ. 10 იანვარი.
ოზურგეთის რაიონის ს. ნასაკირალი.
მასალა მოამზადა კლარა ბარათაშვილმა

«საქართველო, მიიღე შენი ხალხი!»

მოკლე წინათქმა. მინგეჩევირში (აზერბაიჯანი) მცხოვრებ ჩემს დას ერთმა მესხმა ქალმა მიმართა და დახმარება სთხოვა.

მისი ნათესავები ევლახის რაიონის შილიანის ყოფილ საბჭოთა მეურნეობაში ცხოვრობენ, სადაც 90-იან წლებში ფერგანის დარბევებს გამოქცეული დეპორტირებული მესხები დასახლდნენ. აზერბაიჯანის მთავრობამ უზრუნველყო ისინი სახლებით, მიწით, ყველა მსურველმა აზერბაიჯანის მოქალაქეობა მიიღო. მაგრამ ბევრი დაიფანტა – ვინ თურქეთში გადავიდა, ვინ - რუსეთში და ალბათ მისი ნათესავებიც დაიძვრებიან. თუმცა ჯერ არ იციან – საით.

დარბევებს გამოქცეულებს გზაში უფროსი ბებიის საბუთები დაეკარგათ. არადა, საბუთების გარეშე როგორ იქნება? იქნებ, ჩემი და საქართველოს არქივიდან რაიმე ცნობის აღებაში დახმარებოდა?

დამ ყველა მისი მონაცემი ჩაიწერა და ჩვენ გადმოგვცა.

ცნობა ვიშოვეთ. მაგრამ მოხუცი ქალის დაბადების წელი რომ ვნახეთ, გავიფიქრე, რომ 96 წლის მესხი ქალის მოსმენა საინტერესო იქნებოდა. ეს ხომ ცოცხალი ისტორია იყო...

და აი ჩვენ იმ საბჭოთა მეურნეობაში გავემგზავრეთ. ადრე გაზაფხული იყო, წვიმდა. გზადაგზა ტალახში ვეფლობოდით, კითხვა-კითხვით, როგორც იქნა, მივადექით სახლს, სადაც ის მოხუცი ქალი ცხოვრობდა და თბილ სამყოფელში შევედით.

გიულდასტ ბებო იმ პოზაში დაგვხვდა, რომელშიც, ჩვეულებრივ, მოხუცები სხედან ხოლმე: ის მყუდროდ იჯდა ბალიშებშემოწყობილ ხის ტახტზე და რაღაცაზე ფიქრს მისცემოდა. თბილი კოფთის ზემოდან ნაქსოვი ჟილეტი ეცვა, ჭაღარა თავს ჭრელი შალი უფარავდა. მე მას ჩამოტანილი ცნობა ვუჩვენე, მაგრამ მან მხოლოდ გულგრილად შემოგვხედა. ქალებმა

სამადლობელი სიტყვებით და დიდი სიფრთხილით ჩამომართვეს საბუთი.

და მხოლოდ მას შემდეგ, რაც უფროსმა რძალმა ხმამაღლა თქვა: «საქართველოდან არიან, ბებია!» და მერე სიცილით დაამატა - სამშობლოში უნდა წაგიყვანონო, - მოხუცი რაღაცნაირად შეკრთა და მის ჩამქრალ თვალებში ცოცხალი მზერა გამოკრთა.

ვინ უწყის, რამდენი რამ იცის ამ ქალმა-მეთქი, - გავიფიქრე მისი ნაოჭებით დაღარული სახის რაღაცნაირად უკვე არაამქვეყნიური გამომეტყველების შემხედვარემ. დიქტოფონი და ფოტოაპარატი ამოვიღე, რომლებიც უმალ უამრავი ბავშვის მომეტებული ყურადღების საგნად იქცა.

ყველანაირად ვეცადე მოხუცი ამელაპარაკებინა. და აი, რა გამომივიდა...

«სახლი მშობლიური კერის, იმ სისხლხორცეულის სიმბოლოა, წინაპართა მიწასთან რომ გვაერთიანებს. მას რომ დაკარგავს, ადამიანი ბურბურას ემსგავსება და ის საკუთარ ფესვებსაც სწყდება».

რასულ გამზატოვი

მე, გიულდასტ ტაიროვა, დავიბადე 1908 წელს, საქართველოს ადიგენის რაიონის სოფელ ამხვერში. გამოდის, რომ 96 წლის ვარ. გათხოვილი არ ვოყფილვარ. დღემდე არც ერთ მამაკაცს არ დაუკარებია ჩემთვის ხელი.

მამაჩემს ტეიარი ერქვა, პაპას – ოსმანი. დედაჩემი სონა წარმოშობით ახალციხის რაიონის სოფელ ორფოლადან იყო. ეს დღეს არის, რომ დიდი მანძილები ჩვეულებრივი რამაა ჩვენთვის, მაშინ კი ითვლებოდა, რომ დედა შორს გაათხოვეს - ახალციხის რაიონიდან ადიგენის რაიონში.

ჩვენი სოფელი კარგი იყო, დიდება ალაჰს. ყველაფერი საკმარისად გვქონდა - რძის პროდუქტები, ხილი, ყველაფერი... მე თვითონ ფერმაში მწველავად ვმუშაობდი, კოლმეურნეობის ძროხებს ვწველიდი. ჩემი ძმა კი კოლმეურნეობის ცხვარს აძოვებდა.

ჩვენს სოფელში ქართველი ქრისტიანები საერთოდ არ იყვნენ, მარტო ჩვენ ვცხოვრობდით, მაჰმადიანები.

ქრისტიანი ქართველები უდეში, დერცელში, არალში, ვალეში ცხოვრობდნენ.

იმ დღეს კი, ვხედავთ, ქართველები გამოჩნდნენ. მოსაღამოვდა, ფერმის გამგე მოვიდა და მეუბნება: «წადი, კარაქი და ყველი ჩააბარეო». წავედი ბეღლისკენ, გავხსენი გასაღებით დიდი ბოქლომი, მოვაგროვე კარაქი (ჩვენ მას კალაპოტებად ვაფასოებდით), წავიღე, ვაჩვენე. მითხარი ერთი, რატომ უჩვენებ მათ ყველაფერს? რამე მაინც დაიტოვე შენთვის! იქ, ბეღელში სამი კასრი მედგა ყველით. არაფერი დავიტოვე, ყველაფერი გამგეს ჩავაბარე. მან გასაღებები გამომართვა, თვითონ ჩაკეტა და მითხრა, ახლა კი წადიო.

მოვედი სახლში და ვხედავ, რომ მამაჩვენი დაღონებული ზის. მარტო იყო სახლში. რძალი სადღაც იყო წასული, მაგრამ მალე დაბრუნდა, ძალზე შეწუხებული იყო. «რა მოხდა?» - ვეკითხები. მამამ მხოლოდ მხრები აიჩეჩა. წესიერად არავინ არაფერი იცოდა, მაგრამ იმ საღამოს ყველა რაღაცნაირად აფორიაქებული იყო.

შუაღამე იყო. უეცრად ვიღაცამ კარზე დაგვიკაკუნა. მამას ვუთხარი, შენ ნუ გამოხვალ, ჩვენ თვითონ ვნახავთ, ვინ გვივარდება ასეთ დროსმეთქი. არც ჩვენი ძმა იყო სახლში – ომში იყო. შუქრი ერქვა. ჩვენ ვიყავით, დები - უფროსი შიოჰრიათი, მერე მე, გიულდასტა და უმცროსი - ზულბია.

სანახავად წავედით, ვხედავთ, ჭიშკარს ხარებშებმული ურემი მოადგა. დავაკვირდით და მივხვდით, რომ ურემი კი არა, თავკავებზე შემოდგმული ზამთრის მარხილი იყო, ჩვენსას არ ჰგავდა. საერთოდ, ჩვენ არც ცხენი გვყავდა და არც ურემი გვქონდა. ასე გვითხრეს თქვენი ნივთები ამ მარხილზე დააწყეთო! რა უნდა დაგვეწყო? რისთვის? მე სკივრი გავწიე წინ, ის იქვე დარჩა... ორი სავსე სკივრი, ალაჰსა ვფიცავ! ორი ხელი ლოგინი წამოვიღე, იმხანად ჩვენი ბიძაშვილი ცხოვრობდა ჩვენთან. თვითონ ბიძა გარდაიცვალა, მას ორი ვაჟიშვილი დარჩა. ერთი ფრონტზე იყო, მეორე კი ჩვენთან ცხოვრობდა. ყველანი ვტირით. მისი რაღაცა ნივთებიც გამოვიტანეთ, რაღაცა ჩვენებიც, დავაწყვეთ. მაგრამ თითქმის ყველაფერი რჩებოდა. საკუჭნაოში შევედი, ავიღე რამდენიმე ბალიში (სტუმრებისთვის განკუთვნილი) და პატარა ლეიბები, ჩვენ მათ «ოთურქაჰ მინდარის» ვეძახით. მე ჯარისკაცებს ვეუბნები: «ჯარისკაცებო, ჩემო კარგებო, ნება მომეცით, ალაჰის გულისათვის, დედაჩემის საფლავზე მივირბინო, მიწა წამოვიღო. აქვე ახლოს არის დამარხული». ნება მომცეს. გავიქეცი, ავიღე მიწა, ცხვირსახოცში გამოვკარი. და მაშინ მათ შაშხანის კონდახები დაგვიშინეს და გარეკვა დაგვიწყეს: «მიდი! - გვეუბნებიან რუსულად, - გამოდით, გეყოფათ ქექვა-ზოზინიო».

ჰოდა, გამოვედით. ფეხით მივდივართ, მარხილს მივყვებით გვერდში.

ცოტა ქვევით ჩავინაცვლეთ - ვხედავთ, ხალხი თხებს, ცხვრებს მიერეკება, რაც ჰქონდათ, გზაში რომ ეჭამათ... სოფელ კახარეთამდე მივედით, პატარა მდინარე ქვაბლიანზე გადავედით.

ჩვენ ვიყავით - მე, ჩემი დები, ბიძაჩემის ცოლი (უკვე ბებერი), რძალი ბავშვით - იმ ძმის

ცოლი, ფრონტზე რომ იყო. გარდა ამისა, ღვიძლი ძმა და ბიძაშვილი. რძალმა დაინახა, რომ ადამიანებმა მოიფიქრეს და საქონელი წამოიყვანეს თან, ჰოდა, მეუბნება: «მოდი, სახლში მივბრუნდები და ორიოდ ცხვარს მაინც წამოვიყვან, სულ ერთია, რჩებიან». ცხვრები კი კარგა მოზრდილები გვყავდა, ნაკვებები. არ ვიცი-მეთქი, - ვეუბნები, - გაგიშვებენ კია? უცნაურია, მაგრამ გაუშვეს. ძმა და რძალი გაიქცნენ და მალე ცხვრებით დაბრუნდნენ. სოფელ კახარეთში დავკალით ისინი. ძლივძლივობით მოვხარშეთ კოცონზე – ნაწილი მოიხარშა, ნაწილი უმი დარჩა... ჭურჭელში გადავანაწილეთ.

საღამოს ნამაზის დრო იყო, როცა ეს საშინელი უზარმაზარი მანქანები მოვიდა. სწორედ ამ მანქანებით მიგვიყვანეს მატარებლებამდე, იქ კი ვაგონებში შეგვყარეს.

როგორც უკვე ვთქვი, თითქმის ვერაფრის წაღება ვერ მოვახერხეთ. ორი ხელი ლოგინი, ერთი ქილიმი (ფარდაგი) მქონდა სულ ახალი, იატაკზე ერთხელაც არ გაგვეფინა, სკივრზე იდო დაკეცილი. რაც შეეხება საჭმელს, არც ის გვქონდა, არც ყველი, არც პური... სახლში ფქვილიც კი არ გვქონდა. სწორედ წინადღით ძმამ ორი ტომარა ხორბალი წაიღო წისქვილში, წამოღება ვერ მოვასწარით.

და მაინც ალაჰი ულუკმაპუროდ არავის ტოვებს, შვილო... იმიტომ, რომ მომცემია...

კახარეთამდე მივედით, იქ კი მამიდაჩვენი ცხოვრობდა. მისი ვაჟიშვილი ჰამდი სოფსაბჭოში მუშაობდა. მამიდამ პირდაპირ მატარებელთან მოგვიტანა ერთი ტომარა ფქვილი. საღამოვდებოდა, მატარებლები რომ დაიძრა. რა ღრიალი ატყდა... ახლაც მახსოვს ეს საშინელება... ჩვენ თვითონაც დაჭრილებივით ვბღაოდით... წაგვიყვანეს ჩვენ უბედურები, სად მივყავდით, არ ვიცოდით...

ბაქოში რომ ჩავედით, გზა რაღაცნაირად გაიყო. მატარებელი ნალჩიკის მხარეს წავიდა, ბაქო განზე დაგვრჩა. მერე და მერე ვაგონებიდან რაღაც პატარ-პატარა ბორცვებს ვხედავთ, სასაფლაო ხომ არ არისო? ვიფიქრეთ. თურმე ვაზი იყო, ზამთრისთვის ჩაეფლოთ მიწაში. ჩვენ ხომ მთაში ვცხოვრობდით და ყურძენი მანამდე არ გვენახა.

ო-ო-ო..., რაღა არ გადაგვხდა გზაში. მოხუცი ქალი - ბიძაჩემის ცოლი, იქვე მოკვდა, ვაგონში. ეს ღამე მოხდა. კარები გრუხუნით გააღეს, გადმოათრიეს უბედური, სადღაც წაათრიეს... *(ტირის).* აბა, რა გიამბო, შვილო? ვიტირეთ, ბებია რომ წაიღეს. ძლივს დავიძინეთ.

მატარებელში ორმა რძალმა იმშობიარა – სურიამ (აწ განსვენებულმა) და ბატონმა. ისევ გააღეს კარები და გვიყვირიან: «რა არის, რა ხდება მანდ, თქვენთანო?» რა მოხდა და ბავშვი დაიბადა! ამაზე არაფერი უთქვამთ, გაგვეცალნენ.

ყველას ერთად გვძინავს *(ამოიოხრებს).* დილა გათენდა. თვალები გავახილე და ვხედავ, ჩემ გვერდით ერთი პაპა იწვა (სოფელ გომაროდან იყო) - ისიც მომკვდარიყო *(ტირის).*

მოვიდნენ ამ მოხუცის წასაღებად, მე კი არ ვატან მის ცხედარს. «თქვენ რად გინდათ? - ვეუბნები. - სადღაც გადააგდებთ-მეთქი». სწორედ გაჩერება იყო. «ჩემი ძმები პატარა საფლავს გათხრიან-მეთქი, აგერ იქ, მოფარებულში, იქ დავმარხავთ, სულ ერთია მატარებელი დგასმეთქი», - ვუთხარი ჯარისკაცებს. «ჩახო!» - გავძახე ჩემს ძმას. აგე, იქ დავმარხავ... ცოდვაა, მოხუცის ამ ავაზაკებისთვის მიცემა. ის ნამაზებსაც ასრულებდა, მარხულობდა კიდეც, მართალია, სასაფლაოზე არ დაიმარხება, მაგრამ უბრალოდ საფლავი მაინც ექნება-მეთქი - ვუთხარი მამაჩემს.

არ გამიშვეს!... არამზადა ჯარისკაცებმა არ გამიშვეს... არადა, მე უკვე ბიჭებიც გავაგზავნე (იქვე ახლოს რაღაც წყალსატევი იყო), იქ პატარა საფლავის გათხრა დავავალე. ისევ მოვიდნენ ის წყეული ჯარისკაცები. ხან ერთ გვერდში წამკრავენ კონდახებს, ხან მეორეში, ვაგონში

შემაგდეს... ტირილი ამიტყდა, ავქვითინდი... მამა კი მიბრაზდება: «რა გინდა, რა გესაქმება იმ ბებერთან, შეეშვი მაგ ამბავს...» მე კი ტირილით ვპასუხობ: «მეცოდება... ის ხომ მართლმორწმუნეა, ცოდვაა მიცვალებულის ასე დატოვება».

მაგრამ როგორც კი ჯარისკაცები ვაგონს მოშორდნენ, ჩვენ მაინც წავასვენეთ ის მოხუცი და სხვა ადგილზე დავკრძალეთ – სწრაფად ამოვთხარეთ სადგურის უკან, კუთხეში პატარა ორმო. ზემოდან ქვის დადებაც მოვასწარით. ის კი არა, სულის მოსახსენებელი ლოცვის წაკითხვაც მოვასწარით და ჩვენი ვაგონებისკენ გავიქეცით. ჩემი ძმისშვილი გომაროში იყო გათხოვილი, ჩემი დეიდაშვილები გომაროდან იყვნენ... ჩვენ იმ პაპას ვიცნობდით, იმიტომაც ვზრუნავდი მასზე ასე.

აი, ასეთი რამეც ვნახე, შვილო...

არც საჭმელი გვქონდა, არც სასმელი. არავის ვუსურვებ იმის ნახვას, რაც ჩვენ ვნახეთ... *(ტირის).*

ჩვენმა რძალმა გზაში იმშობიარა. ძმა კი ფრონტზე იყო, რომ მიდიოდა, ერთი ბიჭი ჰყავდა. გოგო დაიბადა. რძალი წევს, ფეხზე ვერ დგება. მე ვამშობიარე, ახალშობილი ხელში ავიყვანე (მიულქია დავარქვით), ჩავიხუტე და ბიჭიც მომეხუტა. ვზივართ ასე ჩაფიქრებულები, მატარებელი კი ტაკ-ტაკ, ტაკ-ტაკ - მირბის ბორბლების რახრახით.

ვაიმე-ვაიმე, შვილო, რაღა არ ვნახეთ...

ვზივარ ამ ბავშვებით, ვირხევი მატარებლის მოძრაობის ტაქტში და ვამბობ: «აი, ნურიჯან, როგორი ბედი გვაქვს»-მეთქი.

გზაში ულუფებს გვაძლევდნენ. ვედროებით მოჰქონდათ საჭმელი, რაღაც უცნაურ სახელს ეძახდნენ ამ საჭმელს - «კოჩას», თუ რაღაცას...

- ალბათ «კაშას»...

- შეიძლება. მოგვიტანეს ეს «კოჩა», ბავშვებს ვაჭამე. პურს კი არ გვაძლევდნენ.

ვხედავ, ჯარისკაცები ისევ მოდიან. ტრიალებს, პარაზიტი, ჩვენ სიახლოვეს, ამოწმებს ავადმყოფები ხომ არ იყვნენ, რომ მატარებლიდან ჩამოესვათ.

- და, რა, ექიმები არ იყვნენ იქ?

- რა ექიმები, რას ამბობ? იტრიალა, ნახე, რომ მწოლიარე არავინ იყო (რძლის გარდა), ყველა ფეხზე იყო. წავიდა. მერე დაბრუნდა და მეკითხება – ხელში რაღა გიჭირავსო? მე გავშალე ძონძების შეკვრა და ცხვირ-პირში ვჩრი, - შეხედე, ბავშვია-მეთქი. და მეტი არაფერი... არაფერი ეთქმოდა. გაბრუნდა და წავიდა.

გათენდა. სადღაც ჩავედით. კატა-კურგანი იყო. გამოგვიშვეს. გვითხრეს, ახლა აბანოში გაგიშვებთო. რა აბანოზე იყო ლაპარაკი ასეთ ყინვაში? გვაიძულეს ტანზე გაგვეხადა. მთლიანად! არადა, ქალებიც იყვნენ, გოგონებიც, მამაკაცებიც - და ყველანი ერთად ვიყავით. ქალე-ბი ვღრიალებთ, ვყვირით, არ ვიხდით... ჯარისკაცები კი კონდახებით ხან ზურგში გვიბიძგებენ, ხან გვერდში, ხან იქით, ხან აქეთ... ბოლოს მაინც გაგვახდევინეს, შეგვყარეს შიგნით, იქ კი საშინლად ცივა! ის მყრალი წყალიც ყინულო-ვანია. დეკემბერი იყო... მოკლედ, რაღაცნაირად ვიბანავეთ. გამოვედით და ჩვენი ნივთები აღარ დაგვხვდა. ავყვირდით: «ვაი-ვაი!.. მოგვპარეს!..» შიშველი ქალიშვილები, ქალები, ერთი სიტყვით, საშინელება იყო! არც კაბები, არც თავშლები, არც საცვლები... მე რაღაც წინსაფარი აღმომაჩნდა და წინიდან ის ავიფარე, უკან კი მიხედვისაც მეშინია **(იცინის)**, შიშველი მაქვს. თურმე ჩვენი ნივთები წაიღეს (ჩვენ ხომ გზაში დავტილიანდით, მთელ ტანსაცმელში მწერები ფუთფუთებდნენ) და ისინიც იმ მყრალ სითხეში გაატარეს. ბოლოს მოგვიტანეს სველ-სველი, რაღაცნაირად ჩავიცვით. და აი ბოლოს ამ გათოშილი ტანსაცმლით წაგვიყვანეს ყველანი სადღაც – რაღაც ყაზარმებ-ში. ზოგის ტანსაცმელი კი ვერ მოიძებნა. ვხედავთ, წინ ახალგაზრდა ქალიშვილია, მკერდი მოღეღილი აქვს, თავი კი ჩაუქინდრავს, საბრალოს, - რცხვენია. მაშინ მე ეს წინსაფარი მოვიხსენი და მას მივეცი, წასაფარებლად. რა მადლიერი თვალები შემომანათა... და სასწრაფოდ მოიხურა.

მარტო ის არ აღმოჩნდა ასეთ დღეში. სხვებმაც ვერ იპოვეს ტანსაცმელი. არადა, მათ კაბებში, იღლიებში ოქროს მონეტები - «მაჟარები» ჰქონდათ ჩაკერებული, ჰოდა, ვიღაცას თვალი დარჩა მათზე. მე მამაკაცებთან მივედი და ვეუბნები - ხალხო, როგორ არა გრცხვენიათ? არ შეიძლება ქალების ასე დატოვება! უნდა ჩავაცვათ!.. ვუყვირი მათ, ვლანძღავ... მაგრამ რა ვქნა, ვხედავ, რომ გონიერი არავინ არის. მოკლედ, ერთს ერთი წავართვი, სხვას - მეორე, დავრბივარ აქეთ-იქით, ვხედავ - ხან ერთსა აქვს უკანალი შიშველი, ხან - მეორეს... მოკლედ რაღაცნაირად ჩავაცვით ქალებს.

წავედით ჩვენ ნივთებთან. იქ კი - ღმერთო! ვისთვის ყველი მოეპარათ, ვისთვის – კარაქი...

მე ვთქვი, ასე არ შეიძლება, ყველაფერი მოაგროვეთ და წავიდეთ-მეთქი. მოვაგროვეთ და წავედით... რაღაც ბნელ ადგილზე მიგვიყვანეს. აი, აქ ვისხდეთ-მეთქი, - ვეუბნები, იქნებ ვინმემ მოგვაკითხოს-მეთქი, ვზივართ, ველოდებით... ვხედავთ, ვიღაცები მოდიან.

- ჯარისკაცები?

- არ ვიცი, ჯარისკაცები იყვნენ ისინი თუ

სოფლელები... ვაი-ვაი, მე კანკალმა ამიტანა... ასე ვისხედით საღამომდე. მოვიდა სიადი-ენიშთე - ჩემი ბიძაშვილის ქმარი, თავი მოგვიყარა და ერთი მოხუცი უზბეკი ქალის ეზოში წაგვიყვანა. მერე უთხრა იმ ქალს: ბებო, რამე საჭმელი მოუხარშეო. და ის ბებოც ადგა და ყაურმა მოგვიმზადა. ხორცი შეწვა, მდუღარეში ჩაუშვა (ჩვენ ნერწყვიც კი მოგვადგა – მშივრები ვიყავით!), მოხარშა და წინ დაგვიდგა: ჭამეთ, შვილებოო... ვჭამეთ, ვსვით... ვნახოთ, კუტიკარს ოთხთვალა მოადგა. მოდითო, გვეუბნებიან, ჩააწყვეთ თქვენი ნივთებიო. ჩავაწყვეთ. დავსხედით ურემზე და ვიღაც სხვა მოხუცს მივადექით სახლში. მოკლედ, იმ მოხუცმა დაიწყო ჩვენზე ზრუნვა. ცოტას თუ ვინმეს ტოვებდნენ ერთად, ნათესავები მყავს მხედველობაში. ზოგი ერთგან გაგზავნეს, სხვები - სხვაგან... დედა სად იყო, სად იყო მამა, სად იყვნენ ნათესავები?.. კარგა გვიან თუ იპოვეს ერთმანეთი ადამიანებმა. მე მითხრეს, შენი და ვინ იცის, სად არისო... ის მატარებლიდან ჩამოუსვამთ. ჩემი და შიოჰრათი ერთ მხარეს მოხვდა, - ბულუნგურის რაიონში. ჩვენ კი - მეორე მხარეს, იშტიხანში, უზბეკეთში. აი ასე იყო.

გავიგეთ, რომ სადღაც მახლობლად შავი ფქვილი იყიდებოდა. მოგვიანებით გამოირკვა, რომ ეს ფქვილი კი არა, ქატო იყო. ამოვიღე ერთი კალაპოტი კარაქი (მასში ხუთი კილო იყო) და მამას ვუთხარი: «წადით შენ და ძმა, ფქვილზე გადაცვალეთ, რაღაც საჭმელი მაინც გვექნებამეთქი». კარაქი იქიდან, საქართველოდან ჩამოვიტანეთ. აიღო მამამ ეს კარაქი და წავიდა. ციოდა, მამა გზაში გაიყინა და გადაწყვიტა მოეწია. ქარს ზურგი აქცია, მოუკიდა, მობრუნდა, კარაქი კი აღარსად იყო! მოპარეს!.. თანაც ისე მოხერხებულად, რომ ვერავინ დაინახა. დაბრუნდა მამა - არც კარაქი და არც ფქვილი. ჩვენ რომ დაგვინახა, ატირდა - ხელცარიელი მოვედი, ცუდ მდგომარეობაში ჩაგაგდეთო... მე ცოტა ვიბუზღუნე: რა იყო, არ შეიძლებოდა ერთი საათი თამბაქოზე უარი გეთქვა-მეთქი? «ციოდა, შვილო, - დამნაშავესავით გვეუბნება მამა, - თავი ვერ შევიკავე, ვიფიქრე, მოვწევ და გავთბებიმეთქი»... თვითონ კი უნუგეშოდ ტირის. ისე იდარდა, რომ ლოგინად ჩაწვა. ოცი დღე იწვა. უჩუმრად დარდობდა, ცრემლებს ყლაპავდა. უსაშველობის გამო ტიროდა, იმის გამო, რომ თავისი ოჯახი ვერ დაიცვა. ასეც მოკვდა. დავრჩით მარტოები, მთლად ობლები. ბევრი ბავშვი გვყავდა. ჯერაც ძალიან ახალგაზრდა რძალი (რომლის ქმარიც ფრონტზე იყო) ორი შვილით... და, ორი ბიჭი... უფ! ფქვილიც დავკარგეთ, კარაქიც, არაფერი გვაქვს, ვერაფერს ვაჭმევთ. მადლობა იმ მოხუცებულ ქალს, - დე, ალაჰმა თავის სარწმუნოებას არ დააშოროს იგი!.. - ბებია, - ვუთხარი მე მას, - ასე და ასეა-მეთქი, - მამა გავუშვით კარაქით ხელში, საქმე კი ასე შემოგვიტრიალდა-მეთქი. მოხუცი მაინცდამაინც ენაწყლიანი არ იყო, მისი ქალიშვილები კი უკმაყოფილოები იყვნენ, სულ ბუზღუნებდნენ და ბუზღუნებდნენ... ვნახოთ და, მოხუცმა «იუჰუ» *(თხელი ხმიადი, ლავაში - **კ. ბ.**)* გამოაცხო და მოგვიტანა. აი, ვახშმად რამე მაინც ჭამეთო. შევჭამეთ ეს ხმიადი. დილა გათენდა და დილით მოხუცი მეძახის: «შვილო!» მე კი პასუხად: რა იყო ჩემო კარგო-მეთქი. ეს უზბეკი ქალი ჩვენთვის მართლაც დედასავით გახდა. დიდი ქვაბი მოგვიტანა, შიგ კი ქათამია ცხელ ბულიონში! მეუბნება: «ყველა თქვენიანს დაუძახე, ჭამონ... რძალსაც დაუძახე, მეცოდება. ბავშვი ჰყავს, უბედურს, პატარა...» ვჭამეთ, რძალმაც ჭამა. მაგრამ ვერ უშველა იმ ცხელმა ბულიონმა, მალევე მოკვდა, და მე ხელზე ახლა ორი ობოლი ბავშვიც დამრჩა. დედა რომ მოკვდა, უმცროსი ძმა მხოლოდ ნახევარი წლის იყო. რძალს ორ-ორი შვილი ჰყავდა... რომელ გათხოვებაზე შეიძლებოდა ფიქრი? ჩათვალე, რომ ბავშვებისთვის მოვკვდებოდი კიდეც. ჰოდა, დავრჩი გაუთხოვარი. თუმცა, კარგი შესახედავი ვიყავი, ჯანიანი, მშრომელი. მაგრამ ოჯახის შექმნა არ მეღირსა. ესე იგი ასეთი იყო ალაჰის ნება...

ჰოდა, ვზრდიდი ამ პატარებს. ეზო-ეზო დავდიოდი, პურს ვაგროვებდი, რაღაც ნარჩენებს მაძლევდნენ ხოლმე, - მომქონდა და ბავშვები ჭამდნენ. შემთხვევით გავიგე, რომ არსებობს რაღაც ადგილი, სადაც ბავშვებს უვლიან - დილიდან საღამომდე, სახელმწიფოს ხარჯზე. ბაგის თუ საბავშვო ბაღის მსგავსი რაღაც. წავიყვანე ეს ორი პატარა და გამგეს ვუთხარი: «აპა-ჯან *(«აპა» - «და» უზბეკურად - **კ. ბ.**)*, წაიყვანე შენთან ეს საცოდავი ობლები!.. რასაც ყველას აჭმევ, ამათაც იგივე მიეცი, სასიკვდილოდ ნუ გაიმეტებ, გაფიცებ ალაჰს! იქნებ დაბრუნდეს ფრონტიდან ამათი მამა, მადლობას გადაგიხდის იმისთვის, რომ მის შვილებს სიცოცხლე შეუნარჩუნე...» *(ტირის)*. წაიყვანა მან ისინი - მადლობა მას! სამი წელი დარჩნენ ისინი იქ. დილით მიმყავდა, საღამოთი მომყავდა... ჩემი და სამუშაოდ აიყვანეს, ჩავედით თუ არა, მაშინვე წაიყვანეს სამუშაოდ. ყველა ჩვენიანი წაიყვანეს... უფ!.. დავიღალე მოგონებით...

- კარგი თუ გახსოვთ რამე?

- სად უნდა მენახა კარგი ცხოვრება, შვილო. კავკასიაში დედა მოკვდა: ხელზე პატარა ბავშვები დამრჩნენ. მე თვითონ კი თხუთმეტი წლის

ვიყავი. როცა გვასახლებდნენ, უკვე დიდი ვიყავი, 36 წლის. არ გავთხოვილვარ - მთელი ზრუნვა ოჯახზე და ჩემს უმცროსებზე მე დამაწვა მხრებზე. მე ხომ უფროსი ვიყავი, მთელი საოჯახო საქმეები მე მაწვა კისერზე. ან კი როგორ მივატოვებდი მათ და როგორ გავთხოვდებოდი? ჰოდა, ყველას ვზრდიდი - ჯერ ჩემს და-ძმებს, მერე ძმისშვილებს, მერე შვილიშვილებს... ასე ჩაიარა მთელმა სიცოცხლემ. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ცხოვრებით არცკი მიცხოვრია.

- გახსოვთ, როგორი სახლები გქონდათ?

- კარგი სახლები გვქონდა, სათამაშოებივით, ორი ფანჯრით ერთ კედელზე. ოთხი სახლი. ერთს «ფურუნ ევი» ერქვა *(«სათავსო ფურუნისთვის», «ფურუნი» - საგანგებოდ აგებული ღუმელია, რომელშიც მესხები პურს აცხობენ - **კ. ბ.**)*, იქ პურს ვაცხობდით. სოფელში ორი სახლი გვქონდა, ერთში რძალი ცხოვრობდა ბავშვებითურთ, მეორეში ჩვენ ვცხოვრობდით, მეოთხეში მამას ეძინა. მიწაში ამოთხრილი ერთსართულიანი სახლი იყო. იქ ზაფხულობით გრილოდა, ზამთარში კი თბილოდა. ჩვენს ნათესავებს კიდევ ერთი დიდი აივნებიანი სახლი ჰქონდათ, ის სოფლის სიღრმეში იდგა. ძმები ხუთნი იყვნენ და როცა გაიყარნენ, ეს სახლი უმცროსს ერგო.

- დიდი იყო თქვენი სოფელი?

- არა, სოფელში სულ ოცდაათი კომლი იყო. ჩვენი გვარი ამრულაჰიდან მოდის. ეს არის ჩვენი ფესვი და ძირი. ასე ერქვა პაპაჩემს (*იცინის*). ხედავ შენ!.. მეგონა, რომ ვერ გავიხსენებდი, მაგრამ, ხედავ, გავიხსენე... მის ძმას სულო ერქვა. მას შთამომავლები არ ჰყოლია, სამაგიეროდ ძალიან მდიდარი იყო. ჩვენიანები კი მრავლად იყვნენ...

- წყალი და ჰაერი როგორი გქონდათ?

- ძალიან კარგი წყალი გვქონდა (*სიამაყით*), ჰაერიც. ყველაფერი საკმარისად გვქონდა. კარაქიც განსაკუთრებული გვქონდა, თითებს ჩაიკვნეტდი... საკუთარი ბაღებიც გვქონდა. მამამ სოფლის ცენტრში ისეთი ბაღი გააშენა... კარგი სახლი ააშენა იქ... და ზაფხულობით იქ უფროსი ბიძის ცოლი ცხოვრობდა ხოლმე (ეს ის საცოდავი ქალი იყო, პირველ დღეებში მატარებელში რომ მოკვდა, ოჰ, ოჰ...). ბევრი ქლიავი იყო იმ ბაღში, ვაშლები, მსხლები... ოჰ, მათი სურნელი და გემო რომ მახსენდება! ეს ბიცოლა (ჩვენ მას უფროს «აბლას» ვეძახდით) აკეთებდა ტკლაფი, ქლიავის ჩირს, ვაშლს ამზადებდა «კახისთვის» *(ზამთრისთვის დამზადებული გაფცქვნილი ხილის ჩირი - **კ. ბ.**)*, გრძელ ძაფებზე აგებდნენ. ამ ყველაფერს ისე ჩინებულად აკეთებდნენ. ის წარმოშობით სოფელ კახარეთიდან იყო. კახარეთი ხილით იყო ცნობილი. ხოლო კახარეთულ ჯემებს თუ ჩირებს არაფერი შეედრებოდა. ყველაფერი გემრიე-ლიც იყო და ლამაზიც. გარდა ამისა, მას იქ თავისი საქსოვი დაზგაც მიჰქონდა ხოლმე, რომელზეც შალის ქსოვილს ქსოვდა.

მთელ ამ მარაგებს ჩვენი დიდი ოჯახისთვის ის ამ ბაღში ამზადებდა. მისი ქმარი (ბიძაჩვენი) ჩვეულებრივ, თავისთან ცხოვრობდა, სახლში. მაგრამ ზაფხულში საღამოობით მიდიოდა და მასთან ბაღში რჩებოდა ხოლმე. ის მოლა იყო და მას რაჯაბი ერქვა. ჩვენს ხელმარჯვე აბლას კი - მაჰბუბა ერქვა.

რაღას არ ამზადებდა იგი ხილისგან... ყველაფერს! მაგალითად, «აჩმას!» ქლიავს შუაზე ხლეჩდნენ და ახმობდნენ. ზამთარში მას მდუღარე წყალში ჩაყრიდნენ, ერბოს მოასხამდნენ და ჭამდნენ. გემრიელი საჭმელი იყო... ბევრ რამეს ამზადებდა ჩვენი აბლა, აკი ვთქვი, კახარეთის შვილი იყო - ეს ხილიანი ადგილი იყო...

საქონელიც გვყავდა. პირუტყვით სავსე სამი ბოსელი გვქონდა. პირუტყვი კი იმდენი გვყავდა, რომ ერთში ცხვრები იყვნენ, მეორეში - კამეჩები, მესამეში – ძროხები.

კავკასიაში ყველაფერი უხვად გვქონდა, სიუხვე იყო... მოსავლიანობა და ნაყოფიერება... მაგრამ მუშაობაც ბევრი გვიწევდა.

დღესასწაულებზე კახარეთში ჩავდიოდით ხოლმე, ყურანს ვკითხულობდით. სოფელ სამყურაში მოლად ალი-ეფენდი იყო, მან სტამბოლში ისწავლა. კახარეთშიც იყო ორი-სამი მოლა. მინარეთზე რომ ავიდოდნენ და აზანს რომ იმღერებდნენ *(მორწმუნეთა სალოცავად ხმობა – **კ. ბ.**)* - სმენად ვიქცეოდით...

მაისის ბოლოს მთაში ავდიოდით, იალუზე. საქონელს ვწველიდით. ჩვენსას, ნათესავებისას და იმ უფროსი აბლასას, ბაღში ჩირებსა და მურაბებს რომ ამზადებდა. მოგვიანებით მაღლა მთაში ფერმა ავაშენეთ. ფერმერების ძროხებს და ცხვრებს იქ ვწველიდით. ყველა სამეურნეო საქმეს იქ ვაკეთებდით. ვცხოვრობდით ჩვენთვის, არა ვნაღვლობდით...

მერე კი უცბად! - გაგვასახლეს და წაგვიყვანეს - სად, რისთვის, თვითონაც არ ვიცით. ჩვენს სოფელში, ამხვერში მარტო მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. როგორც კახარეთში, იჯარეთსა და სამყურში არ იყვნენ ქრისტიანი ქართველები, ისე ჩვენთან.

ჩვენი პაპები თურქეთიდან ჩამოვიდნენ, აიშენეს სახლები. ესენი ამრულაჰი და სულო იყვნენ. არტაანიდან ჩამოვიდნენ და აქ კახარეთელ ქალიშვილებზე დაქორწინდნენ.

- არტაანიც მესხეთია, უბრალოდ, 20-იან

წლებში ლენინმა მათი ეს მიწები თურქეთს მისცა. ჩვენს ფოლკლორში «მიანი» (ოთხტაეპიანი ლექსი) კი არის, რომელშიც არტაანია ნახსენები:

არტაანში ჩიტია ერთი,
ზედ უთვალავი ვერცხლი აქვს.
ჩემი გულის სწორი საქმეზე წავიდა,
სად უნდა ვეძებო, ვინ იცის, ნეტავ!..

(ბებია იცინის)

- ბებო, ჩვენს სამშობლოზე რას ფიქრობთ?

- რას უნდა ვფიქრობდე?.. მე ხომ დაბრუნებას ვერ მოვასწრებ - უკვე 96 წლისა ვარ. ალაჰმა გაუხსნას ჩვენიანებს სამშობლოში დასაბრუნებელი გზა! ოცნება მაქვს - მინდა, რომ ჩემი ოჯახი და საერთოდ ყველა ჩვენიანი ჩვენს სამშობლოში, საქართველოში დამკვიდრდეს. მე კი იქ დასაბრუნებლად აღარ ვვარგივარ. მე ყავლი გამივიდა... თუმცა რა ვიცი, იქნებ მაინც მოვასწრო, როგორ ფიქრობ, შვილო?..

- ყველაფერი ზენაარის ნებაა...

- დიდხანს ვიცოცხლე, შვილო... ხედავ, რამდენი წლის ვარ? რიგიანად ვეღარც-კი ვლაპარაკობ.

- რას ბრძანებთ! ყველაფერი შესანიშნავად მოყევით...

- აი, ასეთი რამ გადავიტანეთ, შვილო. ჯერ იქ ვიყავით, მერე იქიდან აქ გადმოგვასახლეს, ფერგანის შემდეგ. მაშინ ძმამ თქვა, - მე არ წამოვალ, უზბეკეთში დავრჩებიო. უფროსმა კი უთხრა მას: ჩახო, მე შენ მხრებით ვეღარ გატარებ, როგორც ადრეო. პატივს სცემდნენ ჩემს ძმას. ჰოდა, მოვიდა და გვითხრა: უფროსი არ მაგდებს, მაგრამ მეუბნება თვითონ გადაწყვიტეო. და გვითხრა: «თუ ჩვენები ყველანი წავლენ, ჩვენ რა, მარტოები ხომ არ დავრჩებით აქ? არც ნათესავები, არც ჩვენიანები...» ეს იყო უზბეკეთის იშტახანის რაიონის კოლმეურნეობა «ოქტომბერი».

ჰოდა, უზბეკეთიდან აზერბაიჯანში ჩამოვედით, საათლის რაიონში წაგვიყვანეს. იქ ჩვენი ნათესავები აღმოჩნდნენ. ცოტახანს, სამიოდ თვე ვიცხოვრეთ მათთან. არც სახლი გვქონდა და არც კარი. რამდენს ვმუშაობდით მათთან - ძროხებს ვწველიდით, მეურნეობას ვუვლიდით, - მხოლოდ და მხოლოდ ლუკმა პურისთვის. მერე ყოფილი აბანოს შენობა გამოგვიყვეს, ხუთი თვე ვიცხოვრეთ იქ, მერე კი აი აქ ჩამოვედით. ვიცოდით, რომ ჩვენები ცხოვრობდნენ აქ და თავის გატანაც გაგვიადვილდებოდა. აქეთ შორეულმა მეზობლებმა გვიხმეს. თვითონ კი ადგნენ და თურქეთში წავიდნენ. საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ჩვენიანი იყო, მესხი. მანაც თურქეთს მიაშურა, თითქმის აღარავინ დარჩა. გვიჭირს მარტოებს. კიდევ კარგი, ვიღაცები მაინც არიან ჩვენიანებიდან. ჰოდა, ვცხოვრობთ აქ.

და არ ვიცით, როგორი «ყისმათი» *(ბედი - **კ.ბ.**)* გვაქვს. მოგვცემენ სამშობლოს – წავალთ, არ მოგვცემენ, და... სადაც უმრავლესობა წავა, ჩვენც იქ წავალთ.

ერთხელ რადიოთი მოვისმინე საერთაშორისო ორგანიზაციები მოითხოვენ: საქართველო, წაიყვანე შენი ხალხიო! თუ წაიყვან - მათ დაბინავებაში დაგეხმარებით, ქარხნებს, ფაბრიკებს აგიშენებთო. საკუთარი ყურით მოვისმინე: «მიიღე შენი ხალხი. ისინი შრომისმოყვარე ადამიანები არიან, შევუქმნათ მათ ყველა პირობა და შენთვის, საქართველოვ, ეს სასარგებლო იქნება».

მაგრამ არ გვღებულობს საქართველო...

2004 წ. 14 მარტი
მასალა მოამზადა კლარა ბარათაშვილმა

«ფეხლივან ქირმან, ხალიჩაზე!..»

(როლები განსხვავებულია, ბედი იგივეა)

«...შვილებისთვის სამშობლოს სიყვარულის ჩანერგვის საუკეთესო საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ ეს სიყვარული მამებს ჰქონდეთ».
შარლ მონტესკიე

მე, ნათელა ახმედლი, დავიბადე 1955 წ. ქალაქ მინგეჩაურში.

მე ყოველთვის მაღელვებდა ერთი კითხვა: ვინ ვარ მე? ქართული სიმღერები, ხმები რომ მესმოდა, ქართულ სახეებს რომ ვხედავდი, ეს ყოველთვის მაღელვებდა და მიზიდავდა. დიდხანს ვერ გამეგო, რის გამო. ქართული სისხლი თუ ლაპარაკობდა ჩემში... და მამამაც ნათელა დამარქვა, ესეც ქართული სახელია. ქართული აქცენტით დამიძახებდა ხოლმე: «ნათელა, შვილოო»... წელში გამართულ ოჯახში ვცხოვრობდი, შეძლებულად. მამა მხოლოდ ოჯახზე, მის კეთილდღეობაზე, შვილების აღზრდაზე ზრუნავდა და

კიდევაც გამოსდიოდა ეს.

ვინ არის მამაჩემი? მას ქირმანი ერქვა. ის 1922 წელს დაიბადა საქართველოს ადიგენის რაიონის სოფელ ლელვანში, შაბან-აღა ცენტრაძის ოჯახში, მდიდარი ოჯახი იყო, პრივილეგირებული. დიდი ადგილ-მამულები ჰქონდათ, საძოვრები, ბევრი საქონელი ჰყავდათ, წისქვილებიც ჰქონდათ. სამხერხაო ქარხანაც კი. პაპაჩემი, შაბან-აღა სოფელ ლელვანის ბოქაული იყო. ის ყველა თავის თანასოფლელზე ზრუნავდა, როგორც მაჰმადიანებზე, ისე ქრისტიან ქართველებზე. ერთხელ სოფელს თურქები დაესხნენ თავს. ეს სადღაც 18 წელს იყო. და პაპაჩვენი თავის სარდაფში მალავდა ქრისტიან ქართველებს.

ჩვენი გვარი იმითაც იყო განთქმული, რომ მამა ცნობილი მოჭიდავე-ფალავანი იყო. ის ბავშვობიდანვე ფიზიკურად განვითარებული, ღონიერი ყოფილა. მთელ არემარეზე ყველაზე ძლიერი იყო, ვერავინ ერეოდა.

როცა 37-ში მისი მესამე ძმა, ანვარი, დაიჭირეს, მამა რაიონულ ცენტრში ჩავიდა. იქ კი მაშინვე გაიგეს, ცნობილი ლელვანელი ქირმან-ფალავანი ჩამოვიდაო. მოამზადეს მოედანი და დაუძახეს: «ქირმან ფალავანო, ხალიჩაზე!..» ის თავიდან უარობდა – რა დროს ჭიდაობაა, როცა სახლში ასეთი საფიქრალი გვაქვსო? მის ძმას კი, თურმე უთქვამს, იჭიდავე და დაამტკიცე, რომ ჩვენ, ცენტრაძეები, დაუმარცხებლები ვართ! ჰოდაო, ამბობს, მივდიოდი და სულ უკან-უკან ვიყურებოდიო. ანვარი სულ ხელს მიქნევდა: წადი, ქირმანჯან, წადიო! და ისიც სიხარულით წავიდა რადგან ძმამ ორთაბრძოლისთვის დალოცა. მაშინ მან ის ფალავანი დაამარცხა!.. და მამას ხელში აყვანილს დაატარებდნენ - ასეთი პატივი ეკუთვნოდა ჭიდაობაში გამარჯვებულს.

კიდევ მახსენდება, როცა მამამ გაიგო, რომ მისი ნათესაობა აზერბაიჯანში, ხუდადის რაიონში დასახლდა, ჩვენ მათ სანახავად წავედით. ვსხედვართ ნათესავებთან და უცბად გვესმის, - ქუჩაში ხმაურია. შეგვეშინდა კიდეც - რა მოხდა? თურმე ხალხი შეკრებილა და მოჭიდავე ქირმანს ეძახის. «ქირმან ფალავანო, ხალიჩაზე!.. გამოდი და შენი ძალა გვაჩვენეო!» მამა მაშინ უკვე ასაკში იყო და იუარა. ბიძამისი ჯაფარ დედე კი - ალაჰმა განუსვენოს მისი სული! - ეუბნება: «ოლან (ბიჭო), ქირმანჯან, შენიკს (ხალხს) შენი ნახვა უნდა. გადი, ეჩვენე!» მაშინ მამა გავიდა. ზურნა უკრავს, დავული (დოლი) ბრაგუნობს. და აი ამ მუსიკაზე მან ფალავანის ცეკვა დაიწყო. ეს სიხარულის ცეკვაა. წრე დაარტყეს, მერე კი დაეჭიდნენ ერთმანეთს. და მამამ კვლავ გაიმარჯვა! და ხალხმა კვლავ ხელში აიყვანა მამა, დაიწყეს წრეზე სირბილი, აღტაცებული შეძახილები, მამას ესალმებოდნენ... მამა კი ისეთი გახარებული იყო... ეს ძალიან დამამახსოვრდა. მაშინ რვა წელზე მეტის არ ვიქნებოდი.

როგორც უკვე ვთქვი, მამა ცენტრაძეების შემლებულ ოჯახში დაიბადა. სოფელში მათ «ჯოლოლარს» ეძახდნენ, რაც მოჩხუბრებს ნიშნავს. მართლაც ყველას ეშინოდა მათი, თუმცა პატივსაც სცემდნენ. შაბან-აღას ჰყავდა ვაჟიშვილები – ფარამუზი, ისკენდერი, ანვარი, ორი ქალიშვილი - შიქიარი და ნიუფიური, და ყველაზე უმცროსი მამაჩემი - ქირმანი იყო. უფროს ძმას - ფარამუზ-ამის (ბიძა) სახლში უფროსებიც კი პატივს სცემდნენ. მხოლოდ მას ჰქონდა უფლება მამასთან ერთად მჯდარიყო მაგიდასთან. დანარჩენები ვერ ბედავდნენ... მამა ამბობდა ხოლმე, მამასთან ერთად ჩვენ არასდროს ვსხდებოდით მაგიდასთან. ეს იყო პატივისცემა, მამას მხოლოდ ფეხზე მდგომები ელაპარაკებოდნენ, იმ ოთახში შესვლაც კი ეშინოდათ, სადაც მამა იჯდა.

37 წელს უბედურება დაგვატყდა თავს. პაპას მთელი ქონება ჩამოართვეს. ოჯახის საკუთრება ოთხჯერ გაიტანეს საჯარო ვაჭრობაზე. იყიდებოდა ყველაფერი. სახლი, წისქვილი, სამხერხაო... პაპას საყვარელი ცხენიც კი. ალაგიოზი (ჭრელთვალება) ერქვა ამ შავ, საოცრად ლამაზ ცხენს. პაპას გარდა, მასთან მიახლოებას ვერავინ ბედავდა. მხოლოდ მას ჰქონდა მისი შეკაზმვისა და ზედ შეჯდომის უფლება. და აი, ერთხელაც ამ ცხენს ბაზარში ყიდიდნენ, უკვე ხელისუფლების მხრიდან. ერთ-ერთმა გლეხმა მეზობელი სოფლიდან იცნო ეს ცხენი და იყიდა ის, თვითონ არ შემჯდარა, ისე ჩამოუყვანა პაპას, ეზოში შეიყვანა და უთხრა: «აღა, ეს თქვენ გეკუთვნით, წაიყვანეთ». პაპამ შეხედა და ცხენს თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. თურმე პაპა შებრუნდა და უფროს შვილს უბრძანა: «მდინარესთან ჩაიყვანე და ესროლე». იმიტომ რომ იმ დროს ცხენი, მამაკაცის ფაფახი და ცოლი ღირსების ელემენტად ითვლებოდა. ეს «ნამუსი» იყო. არ შეიძლებოდა, რომ ეს კიდევ ვინმეს კუთვნილება ყოფილიყო. თუ ამას წაგართმე-

ვდნენ, ეს მამაკაცური ღირსების შელახვად ითვლებოდა. ფარამუზ-ამიმ ცხენი ბახჩის განაპირას, მდინარისკენ წაიყვანა და მამას ბრძანება შეასრულა. აი, ასე ესმოდათ ღირსება. თუმცა ამ ცხენმა პაპა სიკვდილს გადაარჩინა. ეს ამბავი ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე მოხდა. მდიდარ აღალარებს შორის გარჩევები იყო და პაპა ალყაში მოხვედრილა, მისთვის უსვრიათ და ფეხში დაუჭრიათ. ჰოდა, ალაგიოზს კბილებით გადაუთრევია პაპა მოფარებულ ადგილზე, მერე კი სახლშიც მიუთრევია. ეს ძალიან ერთგული და თავდადებული ცხენი იყო.

...ჰოდა, 37 წელს მოულოდნელად პაპა და მისი ორი უფროსი შვილი ფარამუზი და ისკანდერი (თუმცა უკანასკნელი მუყაითად მუშაობდა კოლმეურნეობაში მოანგარიშედ) დააპატიმრეს და «ხალხის მტრებად» გამოაცხადეს. რა მოუვიდათ მათ, სად გაამწესეს ისინი და რა ბედი ეწიათ მერე, მამამ ვერ გაიგო. ხან ამბობდნენ, «კალაში» ანუ ციხესიმაგრეში დახვრიტესო, ხან კიდევ - ციმბირში გადაასახლესო. უცნობია. მერე მესამე ძმაც დაიჭირეს, ანვარი. ის საერთოდ მათემატიკის მასწავლებელი იყო სკოლაში, მას რაღას ერჩოდნენ? ინტელიგენტური, ლამაზი, განათლებული კაცი იყო. და ძალიან საინტერესო. საერთოდ მამას გვარში ყველა მაღალი, ლამაზი, მოხდენილი იყო. მამა, მაგალითად, 54 ზომის, მე-4 სიმაღლის ტანსაცმელს ატარებდა. მოსკოვში მისი ზომის ტანსაცმელს ვერ ვშოულობდი.

აი, ასეთი მამა მყავდა - მაღალი, ლამაზი, ღონიერი... ნამდვილი მამაკაცი... საბუთებით ის «გერმანი» იყო, ქალები კი, როგორც ამბობენ «დემონს» ეძახდნენ. ნამდვილი დემონი იყო!.. *(იცინის).*

მაშ ასე, 37 წელია. სახლში ღელავენ, რამდენჯერმე ჩხრეკა ჩაატარეს, - იარაღს ეძებდნენ. ჩვენებს გაუთავებლად იბარებდნენ დაკითხვებზე, თუმცა მამაკაცებიდან აღარავინ იყო დარჩენილი. მარტო მამა, ისიც 14 წლის თუ იქნებოდა.

იარაღი კი გვქონდა. «აინალი ტიუფიანქი» - რაც «სარკიან თოფს» ნიშნავს. კონდახზე, იქ, სადაც ჩახმახია, პატარა სარკე ჰქონდა, რომელშიც იმის დანახვა შეიძლებოდა, რაც მსროლელის უკან ხდებოდა. გვქონდა აგრეთვე «ტიაქ ლიულია» (ერთლულიანი თოფი), «ქოშა ლიულია» (ორლულიანი) თოფები, ხანჯლები. ყველაფერი საკმარისი გვქონდა, როგორც ყოველ კავკასიურ ოჯახში.

მაგრამ ბებიაჩემმა, ჰიურიუზიათმა, თუთის ხის ქვეშ უზარმაზარი ორმო ამოთხარა, ხელი მოუსვა მთელ ამ იარაღს და ჩაფლა. ღამღამობით კი ბებია თოფით ხელში სახლს გარს უვლიდა, იცავდა.

ბებია უბრალო გვარის ქალი არ ყოფილა. ლორთქიფანიძე იყო, სოფელ ყარათუბნიდან. ძალიან მაგარი ხასიათის, ამაყი ქალი იყო. სახლი სავსე იყო მოსამსახურეებით, რომლებიც მისი ფხიზელი მეთვალყურეობით უვლიდნენ დიდ მეურნეობას. მას ყველა მხოლოდ «ჰიურიუზიათ ხანუმს» ეძახდა. მას ყოველთვის ოქროს სამკაულები ეკეთა.

საერთოდ ახალციხელი ქალებისთვის დამახასიათებელი იყო უხვად მორთვა-მოკაზმვა და ჩასაცმელ-დასახურით თავის მოწონება. ხავერდი, აბრეშუმი ბებიის საყვარელი ქსოვილები იყო. მუდამ თავმოვლილი დადიოდა და ამბობენ, ძალიან ლამაზი ქალი იყოო. მისი სილამაზე შვილებს გამოჰყვა. მოხდენილობა, ტანადობა – პაპასაგან მოსდევდათ, გარეგნული მიმზიდველობა კი – ბებიასგან.

1937 წელია, ზამთარი, გარეთ თოვს, საშინლად ცივა, მამა კი სკოლაშია, - მე მგონი მაშინ მერვე კლასში სწავლობდა (აზერბაიჯანულ ენაზე), კარგი სწავლისთვის ყველანი ფეხსაცმელებით დააჯილდოვეს. ვის პიჯაკი, ვის - შარვალი, მას კი ყელიანი ფეხსაცმელები ერგო. ის სიამაყით ატარებდა ამ ფეხსაცმელებს.

და აი, ერთხელაცო, - ამბობს ის, გაკვეთილზე კარი იღება და დირექტორი და მასწავლებლები შემოდიან, და უცბად დირექტორი დაიღრიალებს: «ქირმან ცენტრაძე, დაფასთან!..» მამა გვიყვებოდა: «შემეშინდა, ვფიქრობ, რა დავაშავე, ასე მრისხანედ რომ მიძახებენ-მეთქი? ავდექი, გავედი. ის კი მეუბნება: «ფეხსაცმელები გაიხადე!..» მეო, ამბობს, სოფლელი ბიჭივით იატაკზე დავჯექი, ფეხზე გავიხადე და ფეხშიშველი ვდგავარ იატაკზე. დირექტორმა წამართვა ის ყელიანი ფეხსაცმელები და მეუბნება: «აქედან წაეთრიე, შენ საბჭოთა სკოლაში სწავლის უფლება არა გაქვს. შენ ხალხის მტრის შვილი ხარ». მე ფეხს ვინაცვლებ, მცივა, სულში კი ისეთი წყენა, ისეთი ტკივილი დამიგუბდა... ცრემლები მახრჩობს. ფეხშიშველი გავვარდი ქუჩაში, არ ვიცი, როგორ ვიარო თოვლში, ფეხები ამეწვაო. სკოლა კი შორს იყო ჩვენი სოფლიდან, ლელვანიდან, ის ადიგენში სწავლობდა და ყოველდღე ფეხით დადიოდა სკოლაში, ეს კი დაახლოებით ათი კილომეტრი იქნებოდა. ჰოდა, ის იმ ყინვაში ასე ფეხშიშველი მორბოდა თოვლში. მოვარდა სახლში და - აღრიალდა... რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ის სკოლაში აღარ წასულა, მისთვის ის დაიხურა.

საერთოდ, რა თქმა უნდა, ეს სისასტიკე იყო

მათ მიმართ. სოფელში ხალხს მათი მისალმებისაც კი ეშინოდა. ნათესავები აღარ მოდიოდნენ. იძულებულები გახდნენ, ყველანი კოლმეურნეობაში შესულიყვნენ. და მამაც წავიდა სამუშაოდ. იძულებული იყო, - ყველაფერი წაართვეს, არაფერი დაუტოვეს სახლში.

39 წლის დამლევს კი მამა ჯარში გაიწვიეს. თუმცა ის «ხალხის მტრის» შვილი იყო. სკოლიდან გარიცხეს, ჯარში კი წაიყვანეს. 41-ში პირდაპირ ფრონტზე მოხვდა. მთელი ომი გამოიარა – პირველიდან ბოლო დღემდე.

გზაში, სატვირთო ვაგონით მიდიოდა ფრონტზე და ფიქრობდა: რა მელის მე, ხალხის მტრის შვილს? როგორ უნდა ვიცხოვრო ცენტრაძის გვარითო. ხელისუფლების შიში ყველანაირად თრგუნავდა მას. მერე ადგა, დახია თავისი საბუთები და ფანჯარაში გადაყარა. ქაღალდის ნაგლეჯები ორთქლმავლის კვამლთან ერთად გაჰყვა ქარს. ხოლო დანიშნულების ადგილზე რომ ჩავიდა, განაცხადა, ქაღალდები დავკარგეო. ალიევად გაეცნო (ასე ერქვა მის პაპას), დაბადების წელიც შეიცვალა (1916 წ. 22-ის ნაცვლად), თუმცა დაბადების ადგილი ძველი დაიტოვა. სახელი კი – გერმანი ჩაწერა. ასე გახდა მამა ქირმან ცენტრაძის ნაცვლად გერმან ალიევი. ის არტილერიაში გაამწესეს. ის თვითონ ამბობდა ჩემი საბრძოლო გზისა არა მრცხვენია, ნამდვილი საბჭოთა ჯარისკაცი ვიყავიო! რამდენჯერმე დაიჭრა. ომში დამსახურებულ მის ჯილდოებს თვლა არა აქვს. იბრძოდა ბელორუსიის ფრონტზე, სტალინგრადისთვის, ბელორუსიისთვის, ომობდა პოლონეთში, უნგრეთში. იბრძოდა დნეპრისთვის. ყველაზე მძიმე ბრძოლები 44 წელს გადახდა, დნეპრის ფორსირებისას. დნეპრი უნდა გადაელახათ, ფაშისტები კი არ უშვებდნენ. არტილერია ურტყამს, საჰაერო თავდასხმები გრძელდება, ზარბაზნები ისვრის, - გარღვევა შეუძლებელია. მაშინ ადგნენ და ჯარისკაცებს მიმართეს: ვინ არის თანახმა, თავისი ნებით გადალახოს მდინარე და გამართოს პონტონების ხიდი, რომელზეც სამხედრო ძალა და ტექნიკა გადავაო? ვიდექი მწყობრში და ვფიქრობდი, - ამბობს – ნეტავ, რისთვის ვცხოვრობო? აღარავინ დამრჩა. მამა და ძმები დამიპატიმრეს. დავბრუნდები და დამაპატიმრებენ. და პირველმა წარვდგი ნაბიჯი წინ. მივდივარ-მეთქი! ჩემ უკან კი ხანშიშესული ადამიანი იდგა, ზაქათალის რაიონიდან იყო, აზერბაიჯანელი. მხარში ჩამავლო ხელი და უკან დამწია. «მწყობრში დაბრუნდი, შვილო, - მეუბნება, - ჯერ ნორჩი ხარ. მთელი ცხოვრება წინა გაქვს. შენ მაგივრად მე წავალო!» არ გამიშვა. ჩემ მაგივრად წავიდა. დავალება შესრულდა და ჩვენ წარმატებით გადავლახეთ დნეპრი.

მამამ მითელი ევროპა გამოიარა. ბერლინში შესვლა ვეღარ მოასწრო. ომი დამთავრდა.

და აი, მამა, ჯილდოებით დახუნძლული ბრუნდება შინ, სამშობლოში. და ბორჯომშივე იგებს, რომ მესხეთში მარტო მისი ოჯახი კი არა, ჩვენიანიც - თურქი მესხიც კი აღარავინ არის. აწყურის იქით კი საერთოდ არ გაატარეს. და მაშინ ფაშიზმის დამმარცხებელი, მაგარი არტილერისტი, ხუთი წელი ევროპაში რომ დააბიჯებდა, დაჯდა და მწარედ ატირდა *(დიდხანს დუმს).*

მერე კი გადაწყვიტა, რადგან ალიევად ჩავეწერე, საბუთებით აზერბაიჯანელი ვარ, ავდგები და აზერბაიჯანში წავალო. სწორედ ამ დროს მინგეჩაურის ჰესის მშენებლობა იწყებოდა. იმავდროულად ახალი ქალაქიც შენდებოდა და მამა იქით გაეშურა.

მძღოლობა დაიწყო. ყველაფრის მიუხედავად, ახალგაზრდობამ თავისი ქნა. მალე მან მეგობრები გაიჩინა, მათ შორის, ერთი მძღოლიც, სახელად შაჰვერდი, რომელიც წარმოშობით მშენებარე ქალაქის მახლობელ სოფელ გავარლიდან იყო, ეს იყო ჩემი მომავალი ბიძა, დედაჩემის ძმა.

დედა მან ძალიან საინტერესოდ გაიცნო. მოულოდნელად მშენებლობის მტვერსა და ტალახში გამოჩნდა პატარა, ფუმფულა ქალიშვილი და მორიდებით იკითხა: «მაპატიეთ, გეთაყვა...» მამამ კი, ასე მაღალმა, ზევიდან დასძახა: «აჯან!» - ანუ, რა გინდა, ძვირფასო? ასეთი გამოთქმა ჩვენში, მესხებში, ზრდილობიან პასუხად ითვლება, ისეთად, როგორიცაა ქართული «გენაცვალე» ან აზერბაიჯანული «ღადანალიმ». ქალიშვილი ისე შეაშინა მგრგვინავმა ხმამ, სიმაღლემ და გაურკვეველმა რეაქციამ, რომ მუხლები მოეკვეთა. თურმე ის თავის ძმას, შაჰვერდის ეძებდა. მამას ის მაშინვე მოსწონებია და გაარშიყებია. დედას კი, როგორც ამბობს, თურმე თავიდან ძალიან ეშინოდა მისი. მაგრამ მისი მომხიბვლელობის, ხელგაშლილობის და სიკეთის წინაშე ყველა უძლური იყო. მამას თავისი მეგობრის დახმარება დაუწყია – ხან შეშას მიუტანდა, ხან ტომარა ფქვილს, ხან კიდევ რას. არადა, ოჯახი მთლად შეძლებული ვერ იყო, ღარიბი რომ აღარ ითქვას. ასე იქცა ის ნელ-ნელა მის ოჯახში თავისიანად და ერთხელაც ადგა და უთხრა ქალიშვილის მამას: «ისე მოხდა, რომ ახლობელი არავინ მყავს. ნება მომეცით, მე, ეულმა ადამიანმა, თქვენს ქალიშვილთან, სანუბართან ერთად თქვენი ხის ტოტზე მოვაწყო

ბუდე». აი, როგორი დახვეწილი სახით ითხოვა მან დედას ხელი! საერთოდ, პაპას კი მოსწონდა ის, მაგრამ ეჭვობდა, ნამდვილად მაჰმადიანი იყო თუ არა მამა. რაღაც უცნაური მეტყველება გაქვს, მთლად აზერბაიჯანული არაო. რა თქმა უნდა, აზერბაიჯანული მეტყველება არ ექნებოდა! მამა ხომ დაბადებით ცენტრაძე იყო საქართველოდან, აზერბაიჯანულ ენას კი მხოლოდ სკოლაში სწავლობდა, საიდანაც გამოაგდეს. მაშინ მამამ გადაწყვიტა, ყველანაირად დაეთავისებინა საცოლე. და მან, როგორც ჭეშმარიტმა მებრძოლმა, გამოწვევა გაუგზავნა: «აბა, დაჯექი, პატივცემულო, სამლოცველო ხალიჩაზეო». და თვითონაც დაჯდა. «აბა, თქვი ნებისმიერი სურა ყურანიდანო!» პაპა გაოგნებულა, მაგრამ მერე კითხვა დაუწყია, თურმე მამას უმალვე აუწყვია მისთვის მხარი და აგრძელებდა. ასე ეპაექრებოდნენ თურმე ერთანეთს სიტყვიერ ორთაბრძოლაში მანამ, ვიდრე პაპა არ ამდგარა, არ გადახვევია მას და არ უთქვამს: «მაპატიე, შვილო, შეცდომა. შენ ჭეშმარიტი მაჰმადიანი ხარ და მე სიამოვნებით გამოგაყოლებ ჩემს საკუთარ ქალიშვილსო». ასე და ამრიგად, გადაიხადეს ქორწილი...

დაიბადა ჩემი უფროსი ძმა ნარიმანი, მერე - მე, ჩვენი ძმა ალიკა და და, ელმირა. როგორც უკვე ვთქვი, მამა ძალიან ცდილობდა ბედნიერი ოჯახი შეექმნა და მას ეს გამოუვიდა. დედას და მამას მზე ამოსდიოდათ ერთმანეთზე, ჩვენ კი, მათი შვილები, უზრუნველად ვცხოვრობდით. მამამ ხელახლა დაიწყო სკოლაში სწავლა, ისწავლა, მერე კი სტალინგრადის ავტოსაგზაო ტექნიკუმში დაუსწრებელი განათლება მიიღო და 1953 წლიდან მინგეჩაურის ტერიტორიული სატრანსპორტო კანტორის გარაჟის გამგედ დაიწყო მუშაობა. კარგი სპეციალისტი იყო, მთელ ქალაქში პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. და ყველანაირად ცდილობდა ახლობელი, თავისიანი ადამიანები შემოეკრიბა გარშემო.

მამას შესახებ უზბეკეთშიც გაიგეს (ცოცხალი იყო მამას ბიძაშვილი ზულბია ბიბი და მისი უფროსი რეპრესირებული ძმის, ფარამუზის ცოლი). ის თავის ვაჟიშვილთან, მეჰრალისთან ერთად ჩამოვიდა «ქირმან-ჯანის» საძებნელად. ერთმანეთს რომ შეხვდნენ, იმდენი სიხარული, იმდენი ცრემლი და მოთქმა იყო, რომ მოზღვავებული გრძნობებისგან კინაღამ გული წაუვიდათ... მამა თავზე ევლებოდა მათ. მერე ნათესავების ძებნას შეუდგა. ხუდადის რაიონში ჩავიდა, იქ კი უზბეკეთიდან ჩამოსული ნათესავების მთელი რაზმი დახვდა. მისი უფროსი ძმა, ანვარიც კი!.. საოცარი შეხვედრა იყო. ამდენი ხნის შემდეგ ახლობლებმა ერთმანეთი იპოვნეს და ყველა ტიროდა.

გაირკვა ბევრი რამ იმის შესახებ, თუ როგორ გადარჩა ანვარ-ამი. თურმე ადიგენის ციხიდან გაქცევა მოუწყვეს. მაინც გამოჩნდნენ წესიერი ადამიანები – პაპას ნაცნობ-მეგობრები, სწორედ ისინი დაეხმარნენ ბიძაჩემს გაქცევაში. «ცენტრაძის გვარიდან ვინმე მაინც გადარჩებაო, - ამბობდნენ ისინი, - ამ წყეულ ხელისუფლებას კი მთელი თქვენი მოდგმის მოსპობა უნდაო»... ცენტრაძის გვარით გაიქცა. თუმცა მერე მიხვდა, რომ ამ გვარით შორს ვერსად გაიქცეოდა და ალიევად ჩაეწერა, ისევე, როგორც მამა. და ამის წყალობით გადარჩა. მოგვიანებით მამამ ანვარ-ამი მინგეჩაურში გადაიყვანა, ცხოვრება აუწყო და ბოლო დღეებამდე ეხმარებოდა მის ოჯახს. შეიძლება ითქვას, რომ ყველანი ერთი ოჯახივით ვცხოვრობდით. ისევე, როგორც ზულბია ბიბისთან ერთად, რომელიც უნარიანად უძღვებოდა ოჯახის საქმეებს სახლში, ერთგულად უყვარდა «ქირმან-ჯანი» და პირდაპირი გაგებით, ყველა მისი შვილი გაზარდა. მანვე ასწავლა დედას ჩვენი კერძების – ხინკლის, ლობიოს, მჭადის, ყველის, «ჩეჩილის» კეთება... მამას ყველა მხრიდან ჩამოჰყავდა ნათესავები. ჩვენიანები ძირითადად სოფლელები იყვნენ და მამა მათ აქვე, გვერდით, საბჭოთა მეურნეობაში აწყობდა. იქ ჩვენიანების ოცდაათამდე ოჯახი დასახლდა, მერე და მერე კი ისინი ჩამოდიოდნენ და ჩამოდიოდნენ. ყველანი პირდაპირ ლოცულობდნენ მამაზე. იმიტომ რომ მამა წარმოუდგენლად გულუხვი და სულგრძელი ადამიანი იყო. მისი სიკეთე და სტუმართმოყვარეობა საოცარი, მე ვიტყოდი, წმინდა ქართული იყო. ჩვენსას ყოველთვის გვყავდა სტუმრები. ისინი ჩვენთან ჭამდნენ, სვამდნენ, ჩვენთან ცხოვრობდნენ. მამა წყვეტდა მათ პრობლემებს, აწყობდა მათ და ბედნიერი იყო, რომ ჰყავდა ნათესავები, და რომ მას მათი რაღაცით დახმარება შეეძლო. სასტუმრო ოთახში ექვსი მეტრის სიგრძის მაგიდა გვქონდა, და ამ მაგიდასთან ყოველთვის თხუთმეტამდე ადამიანი იჯდა ხოლმე... და მამა ყოველთვის მხიარული, გახარებული იყო. ის სიცოცხლის დღესასწაულის ერთგვარი მატარებელი იყო... და ყველას ჩუქნიდა ამ დღესასწაულს. ეს წმინდა ქართული ხასიათი იყო...

ამიტომაც დაამახსოვრდა დედას ერთი იშვიათი შემთხვევა, როცა მამა მტრულად შეხვდა ერთ სტუმარს, ისიც ჩვენიანი იყო, შუა აზიიდან ჩამოვიდა. მთელი ღამე ისინი რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ. სტუმარს, თურმე, ყურანზე ხელი დაუდია და რაღაცისთვის პატიებას სთხოვდა

მამას. მამა კი სულ ეწეოდა და ეწეოდა და რაღაცას მკვახედ ეუბნებოდა იმ ადამიანს. იმ ღამეს ანვარ-ამიც ჩვენთან იყო. ლაპარაკი გარდასულ ამბებზე, 37 წელზე იყო. როგორც ჩანს, სტუმარს რაღაც შეხება ჰქონდა ამ საქმესთან *(ჩაფიქრდება და დუმს).*

სხვათა შორის, მამაჩემი შეხვედრია მამათ-ქვენს, ლატიფშაჰ ბარათაშვილს, თანაც მუღანში. ის დიდ პატივს სცემდა მას, ასე ამბობდა, ჩვენს წინაპრებს შორის რაღაც ნათესაობა არსებობსო და მინგეჩაურში გადმოსვლა შესთავაზა მას. მამათქვენმა მიიღო მამას დახმარება, რომელმაც გარაჟიდან ორი სატვირთო მანქანა გაგზავნა, ამ მანქანებით ჩამოვიდა თქვენი ოჯახი *(ამ დროისათვის ჩვენს გამათავისუფლებელ მოძრა-ობაში განხეთქილება მოხდა. ხელისუფლების მიერ დაყვავებულმა ბევრმა ლიდერმა, ისეთებმა, როგორიც მავლუდ ბაირახტაროვია, უარი თქვა სამშობლოში დაბრუნებისთვის ბრძოლაზე, საკუთარი ცხოვრების გასაუმჯობესებლად თავი მთებიდან ველად მუღანის სტეპში ჩამოსულ «აზერბაიჯანელებად» გამოაცხადეს, როგორც ეს «მეცნიერი ისტორიკოსების» მიერ იმ წლებში გამოშვებულ ერთ-ერთ პროპაგანდისტულ წიგნ-ში იყო ნათქვამი. მამაჩვენი ლ. ბარათაშვილი ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვან მესხთაგან, ვინც თავს კვლავაც ქართველად, აზერბაიჯანში ჩვენს დასახლებას კი მხოლოდ სამშობლოსთვის შემდგომი ბრძოლის პლაცდარმად მიიჩნევდა. ამასთან, ჩვენ, მისი შვილები, რუსულ სკოლაში ვსწავლობდით, მუღანში კი რუსული სექტორის მხოლოდ ერთი «კომპლექტური» კლასი იყო, პირველიდან მეოთხემდე, რომელშიც ჩვენ ყველას პედაგოგი დედაჩვენი გვასწავლიდა და რომელში სწავლაც ჩვენ უკვე დამთავრებული გვქონდა. ბავშვების სწავლასთან დაკავშირებით რაღაც უნდა გადაგვეწყვიტა. ასე რომ მუღანის სტეპიდან ჩვენი გადმოსახლების საკითხი გადაწყვეტილი იყო. მამამ ძია ქირმანის დახმარება მიიღო და 1958 წელს ჩვენ მინგეჩა-ურში გადმოვსახლდით, სადაც გრძელდებოდა მამას არალეგალური საქმიანობა და ჩვენი ოჯახების მეგობრობა - **ჯ. ბ.**).*

თუმცა მამა, როგორც ახლა იტყვიან, სამართალდაცვით საქმიანობას არ ეწეოდა, მაგრამ ის ბედის მიერ მიმოფანტულ ჩვენიანებს აგროვებდა. რაზმავდა მათ, ეხმარებოდა და ესეც დიდი საქმე იყო.

ცხოვრება ყოველთვის ხალიჩაზე იწვევდა ხოლმე მას. «მტრის შვილის» ლაქა მთელ არსებას უწამლავდა. ძალიან განიცდიდა, რომ მისი ხალხი ისე გადაასახლეს, რომ უკან დაბრუნების უფლება ჩამოართვეს. სახელმწიფოს და მისი ყოვლისშემძლე ხელისუფლების ეს შიში მას ყოველთვის ჰქონდა. მაგრამ ის ტყუილად როდი იყო ფეჰლევანი, - ვაჟკაცურად ებრძოდა ამ შიშს. თავგამოდებით ცდილობდა თავი დაეღწია მატერიალური სიღატაკისთვის და კეთილდღეო-ბისა და სიმდიდრისთვის მიეღწია. ობლობიდან და მარტოობიდან - მზრუნველ, სიყვარულით გარემოცულ ოჯახურ წრეში. მას გულზე ხელები არ დაუკრეფია და მწარე ბედს არ დამორჩილებია. ის იბრძოდა! და გაიმარჯვა! და მე ამაში მამაჩემის ცხოვრებისეულ გმირობას ვხედავ.

შორეული ნათესავები თავად თბილისშიც გამოგვიჩნდნენ – ზათი ვაჩნაძის ოჯახი. ისინი ხშირად ჩამოდიოდნენ ჩვენთან სტუმრად. მისი ერთ-ერთი ქალიშვილი, ფიქრია, ჯავახეთელი დუხობორის, ვინმე მიშა ბლუდოვის ცოლი იყო, ეს ბლუდოვი დიდხანს მუშაობდა შინსახკომსა და სუკში. მან იცოდა, რომ მამაჩვენი ახლოს იყო მამათქვენთან, ლატიფშაჰ ბარათაშვილთან და გამუდმებით «აწვებოდა» მამას, რათა მას რამე-ნაირად გაენეიტრალებინა ჩვენი ლიდერის საქმიანობა. მამა არ თანხმდებოდა, რაც სიძის მის ნათესავებთან მუდმივი დაპირისპირების საბაბი იყო. მოგვიანებით გავიგეთ, რომ მამა მუდმივად იმყოფებოდა სუკის აღრიცხვაზე. 1967 წლამდე ის ამ დაწყევლილ ორგანოებში იმისთვის მიდიოდა ხოლმე, რომ აღნიშნულიყო.

ბოლო ხანებში მამა ხშირად ლაპარაკობდა სამშობლოზე, გვიყვებოდა ბევრ საინტერესო ამბავს წარსულიდან, და მშობლიური ადგილები-სადმი მისი ასეთი სათუთი დამოკიდებულება ჩვენც გადმოგვეცემოდა. როცა უმცროსი ძმა, ალიკა ახალციხეში მსახურობდა, მამა მის სანახავად ჩავიდა, მაგრამ იმით დათრგუნული დაბრუნდა იქიდან, რომ ჩვენი სამშობლო კვლავინდებურად მიუწვდომელი იყო.

მამა 1985 წელს გარდაიცვალა, რაც დიდი ტკივილი იყო ჩვენთვის. მის დაკრძალვაზე ისე ბევრი ადამიანი მოვიდა, რომ ჩვენ, მისმა შვილებმა, კუბოსთან მიახლოება ვერ შევძელით. ესენი იყვნენ მთელი ქალაქის მძღოლები, ნათესავები, მეგობრები, ჩვენთვის უცნობი ადამიანები. თუმცა მგლოვიარედ ვიყავით, გული სიამაყით გვევსებოდა. იმ ქალაქის ყველა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებსაც მამამ სიცოცხლის მრავალი წელი შესწირა, მის კუბოს ერთმანეთს გადასცემდნენ და დიდხანს ხელით მიასვენებდნენ მას. დასაფლავების შემდეგ მე დიდხანს მტანჯავდა იმაზე ფიქრი, რომ შვილის ვალი ვერ მოვიხადე. მერე შენ ჩამოხვედი საქართველოდან, კლარა, და ჭეშმარიტად

ძვირფასი რამეები ჩამოგვიტანე: ლელვანის მიწა მამას საფლავისთვის და განთქმული ლელვანური ვაშლი. მშობლიური მიწა მამას საფლავს მოვაყარეთ და მე ამოვისუნთქე – მამას სურვილი შესრულდა. ვაშლი კი სასოებით დავჭერით და ნაჭერ-ნაჭერ დავურიგეთ ყველა ნათესავს, რომლებიც ცრემლმორეულები შეექცეოდნენ ამ ვაშლს, როგორც რაღაც სანუკვარსა და ძვირფას განძს.

მე ისტორიის მასწავლებლად ვმუშაობ მე-3 სკოლაში, რომლის დირექტორიც თამარა ბარათაშვილია, ლატიფშაჰ ბარათაშვილის უფროსი ქალიშვილი. ჩვენ მამისეულ ტრადიციებს ვუფრთფხილდებით და ძველებურად ვმეგობრობთ ოჯახებით. მეც მშვენიერი ოჯახი მაქვს, დიდი შვილები მყავს. მაგრამ ჩვენი დაჩაგრული ხალხის გამო გული მტკივა. ერთი ოცნება მაქვს - ნეტავ, ყველა ჩვენიანმა ჩვენთან, სამშობლოში მოიყაროს თავი - როგორც ეს მამაჩემს, მესხ ქირმან ცენტრაძეს უნდოდა.

2004 წ. 7 დეკემბერრი
ქ. მინგეჩევირი, აზერბაიჯანი.
მასალა მოამზადა კლარა ბარათაშვილმა

აზო ბერიძე: «ჩემი სოფელი, ჩემი ქვეყანა...»

«...იმის გამო, რომ გადაგვასახლეს, ჩვენ ჩვენი ადამიანური ღირსება არ დაგვიკარგავს. აი, თქვენ კი, ვთქვი მე, ის დაკარგეთ - თქვენი ძმები ვერ დაიცავით. მათ აღიარეს - კი ჩვენ დამნაშავეები ვართ თქვენ წინაშეო».

ა.ბერიძის საუბრიდან ქართველი ინტელიგენციასთან, 90-იან წლები.

მე აზიზ ბერიძე ვარ. ბევრი დღემდე აზო-დედეს მეძახის. ამქვეყნად ახალციხის რაიონის სოფელ მუგარეთში გავჩნდი 1910 წელს. მამას ბილალი ერქვა. დედაჩემი ფაქიზა ქრისტიანი ქართველი იყო. მყავდა ძმები - მუსტაფა, კარა, ჰუსეინი და მე, უმცროსი ვაჟიშვილი. დებიც მყავდა – მავი, მელექი, მარალი. დიდი სახლი გვქონდა. საერთოდ სამი სახლი გვქონდა. ძირითადად გლეხკაცის შრომას ვეწეოდით. სოფელი მუგარეთი დიდი არ იყო, სულ 20 ოჯახი ცხოვრობდა, მთელი სოფელი მაჰმადიანური იყო.

ეს მიწები, რომლებზეც ჩვენი ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ, საქართველოს მიწებია. ის სამთავროებად იყო დაყოფილი, სამცხეში ოთხი რაიონი იყო - ახალციხის, ასპინძის, ადიგენის და ახალქალაქის და ისინი ერთი მთავრის, ათაბეგის ხელთ იყო. ამიტომაც ერქვა ძველად ჩვენს მხარეს სამცხე-საათაბაგო. ჩვენი წინაპრები ყოველთვის აქ ცხოვრობდნენ. ჩვენ ქართული გვარები გვაქვს. ჩვენი წინაპრები ძველად ქრისტიანი ქართველები იყვნენ. მხოლოდ ოსმალური უღლის ქვეშ (მე-18 საუკუნეში) გახდა მესხეთი მაჰმადიანური. ჩვენ მესხი ქართველები ვართ, ჩვენი ისტორია მესხეთში დაიწერა. ახლაა, «თურქ მესხებს» რომ გვეძახიან. ეს სწორი არ არის. ჩვენი პაპები და პაპის პაპები, ბებიები და დიდი ბებიები - ყველანი ქართველები იყვნენ. უფრო ზუსტად კი, ჩვენ ვართ «გურჯიდან დონმია» *(«ქართველთაგან მოქცეულები» - ასე ეძახიან მესხები საკუთარ თავს, რადგან «ქართველობა» «ქრისტიანობად» მიაჩნიათ - **კ. ბ.**).*

იმ დროს ჩვენთან სკოლები არ იყო. სოფელში წერა-კითხვის მცოდნე ერთი ადამიანიც კი არ იყო. შეიძლება, კი იყო თითო-ოროლა ისეთი ადამიანი, ნიკოლოზის დროს რომ ესწავლათ, საერთოდ კი – მთელი მოსახლეობა უწიგნური იყო.

ჩვენს რეგიონში მაჰმადიანი მოსახლეობა უფრო მეტი იყო, ვიდრე ქართველები და სომხები. 30-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენს რაიონებში აზერბაიჯანული ენა შემოიღო. მთელი სწავლება ამ ენაზე მიმდინარეობდა. იმიტომ რომ ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს, ჯერ «თურქები» დაგვარქვეს, მერე გადაწყვიტეს, არავითარი თურქები არ არსებობენ, არიან მხოლოდ აზერბაიჯანელებიო. ყველა სკოლა, სადაც კი ჩვენიანები სწავლობდნენ, აზერბაიჯანულ ენაზე გადაიყვანეს, დამწერლობა კი ლათინური შემოიღეს. ჩვენი მასწავლებლები აზერბაიჯანელები იყვნენ, მახსოვს - აბასი, ნაზიმი, ფაშა. ახალციხის მთელი ხელისუფლება იმ წლებში აზერბაიჯანელებისგან შედგებოდა. ჩვენ, ვიმეორებ, აზერბაიჯანულ ენაზე ვსწავლობდით.

ქრისტიანი ქართველები ქართულად სწავლობდნენ, სომხები - სომხურად. გაზეთი ახალციხეში სამ ენაზე გამოდიოდა: ქართველებისთვის – ქართულ ენაზე, სომხებისთვის - სომხურზე, «აზერბაიჯანელებისთვის» (რომლებსაც ჩვენ მიგვაკუთვნეს) – აზერბაიჯანულზე.

ახალციხის პარტიის რაიკომის მდივანიც აზერბაიჯანელი იყო - ვინმე აღასულთანოვი.

აზიზ ბერიძე თავის შვილიშვილთან, თემურთან ერთად
ახალციხის რაიონის ს. მუგარეთი, 2004 წ.

როცა რაიკომების მდივნების დაპატიმრება დაიწყეს, მათ შორის, ისიც დააპატიმრეს, სანაცვლოდ კიდევ ერთი აზერბაიჯანელი გამოგზავნეს. ეს 37 წელს იყო. ახალციხის პარტიის რაიკომის მეორე მდივანი კირვალიძე პირველი მდივანი გახდა. აგაევი - მეორე. მათ ადგილები შეუცვალეს, იმიტომ რომ 37-ში, როცა «წმენდა» ჩატარდა, ბევრს აღარ ენდობოდნენ. იმათ, ვინც «ხალხის მტრებად» მიიჩნიეს - რაიკომის მდივნებს, «მიწგანის» მუშაკებს, ყველა იმ ფინანსურ ხელმძღვანელებს... ყველას დიდი «წმენდა» ჩაუტარეს და წაიყვანეს. სად - არავინ იცის. 37-ში ბევრი გაჟლიტეს.

მე იმ დროს ტექნიკუმში ვსწავლობდი ახალციხეში. საბჭოთა ხელისუფლება სრულიად უსასყიდლოდ გვასწავლიდა, გვაჭმევდა და ტანსაცმელსაც გვაძლევდა.

სკოლები არც ახალქალაქისა და ასპინძის რაიონებში იყო, ამიტომაც ყველა ახალციხეში სწავლობდა. სახელმწიფო, როგორც უკვე ვთქვი, ინახავდა მოსწავლეებს და ყველას სწავლას აიძულებდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ადამიანებად გვაქცია, ეს უნდა ვაღიაროთ.

უქმე დღეებში სახლში ჩამოვდიოდით, მერე ერთი კვირით ისევ სწავლას ვუბრუნდებოდით. ტექნიკუმებში ათწლიან განათლებასაც იძლეოდნენ, ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულებს სოფლებში აგზავნიდნენ მასწავლებლებად, ვინაიდან სოფლებში წიგნიერი მოსახლეობა საერთოდ არ იყო.

მე ტექნიკუმი დავამთავრე, მერე მოანგარიშეთა ერთწლიან კურსებზე ვსწავლობდი, მერე კი კოლმეურნეობაში გაგვამწესეს. დაიწყო კოლექტივიზაცია. მე უკვე კომკავშირელი ვიყავი. ოთხი წელი კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად ვიმუშავე. 1937 წელს პარტიის კანდიდატად მიმიღეს. იმავე წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დამნიშნეს. მანამდე თავმჯდომარე ჩემი ძმა ყარა იყო. ის დააწინაურეს, ახალციხეში გადაიყვანეს «მიწგანყოფილებაში». მე კი ასეთი მაღალი ნდობა გამომიცხადეს. ჩვენს კოლმეურნეობას ერქვა *(ღმერთმანი, რომ მოინდომო, ასეთ რამეს ვერ მოიგონებ! - **კ. ბ.**)* «მესამე გადამწყვეტი წელი» (აზერბაიჯანულად ეს ასე ჟღერდა: «უჩიუნჯი ხიალედილიჯი ილ»).

მე ენერგიულად შევუდექი მუშაობას. ჩვენ ხორბალს, სიმინდს, ქერს, კარტოფილს, სხვა კულტურებს ვთესავდით, მივდევდით მებაღეო-

ბას. აღებული მოსავლიდან ჯერ სახელმწიფოს ვაბარებდით რაც დადგენილი იყო, დანარჩენს კი კოლმეურნეებს ვუნაწილებდით... უნდა ითქვას, რომ იმ წლებში ჩვენთან შიმშილობა არ ყოფილა, მატერიალურად ძალიან კარგად ვცხოვრობდით, ყველაფერი საკმარისად გვქონდა და ხვალინდელ დღეშიც დარწმუნებულები ვიყავით.

1939 წლამდე პარტიის კანდიდატი ვიყავი. 1940 წელს კანდიდატები თბილისში, ცკ-ში გამოგვიძახეს პარტბილეთების გადმოსაცემად. ისინი პარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა გოგი კირვალიძემ გადმოგვცა. იმ დროს არც ჩემი ძმა, კარა იყო პატარა კაცი, მაშინ ის და კირვალიძე საქართველოს უმაღლესი საბჭოს ახალციხის რაიონის დეპუტატები იყვნენ.

პარტიაში შესვლა ძალიან მიხაროდა. პარტიაში ნებისმიერ ადამიანს ხომ არ მიიღებენ-მეთქი, ვფიქრობდი. კომუნისტურ პარტიაში მხოლოდ იმას იღებდნენ, ვინც კრისტალურად სუფთა საბჭოთა მოქალაქე იყო. ვინც ერთგულად ემსახურებოდა სახელმწიფოს, პატივს სცემდა სახელმწიფო წყობილებას.

საერთოდ, 1940 წელი ბედნიერი იყო ჩემთვის. პარტიაში შევედი, ჩემი კოლმეურნეობა კარგ ანგარიშზე იყო, ცოლად საყვარელი ქალიშვილი შევირთე - მასწავლებელი საშიკო დიასამიძე, რომელიც სოფელ ვალედან გამოგ-ვიგზავნეს. კარგი ქალიშვილი იყო, ლამაზი, თვალს ვერ ვაშორებდი ხოლმე და თუმცა მისი მშობლები თავიდან წინააღმდეგები იყვნენ (ის ქრისტიანი ქართველი იყო), მე მაინც მოვახერხე და დავითანხმე ისინი. მით უმეტეს, რომ დედაჩემი ქრისტიანი ქართველი იყო. მმაჩის ბიუროში დავრეგისტრირდით და აგერ უკვე 64-ე წელია ერთად ვართ...

37 წლის შემდეგ მალევე მუგარეთში სკოლები რატომღაც ქართულ ენაზე გადაიყვანეს. თუმცა ჩვენი ბავშვები ძალიან კარგად სწავ-ლობდნენ. ჩვენს სოფელში ძირითადად ქართუ-ლი ენა იყო, სხვა ენები ნაკლებად ვიცოდით. ქართული კი სკოლიდან კი არ ვიცოდით, არამედ ჩვენი მშობლებისგან.

41-ში ომი დაიწყო და მე პირველივე მობი-ლიზაციით წავედი ფრონტზე. დავტოვე ოჯახი, დედა, ცოლი... სამი წელი დავყავი ფრონტზე, ბრიანსკში, პოლონეთის საზღვარზე ვიბრძოდი. მარცხენა ხელში დავიჭერი. ფრონტიდან დავბ-რუნდი, ჩამომწერეს და ისევ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დამნიშნეს. ამჯერად მხოლოდ ერთი წელი ვიმუშავე - ჩვენს დეპორტაციამდე ცოტა დროღა იყო დარჩენილი.

ყველაფერი, რასაც კი ომიანობის წლებში ვაწარმოებდით, ფრონტისა და გამარჯვებისთვის იგზავნებოდა. პირადად მე ფრონტს 30 ათასი მანეთი გადავურიცხე. ყოველთვე თითოეულ კოლმეურნეობაში იმდენს ვაგროვებდით, რამდე-ნიც შეგვეძლო. ფრონტს დიდ დახმარებას უწევდნენ - ყველა ადამიანი, ყველა კოლმეურნე-ობა, ყველა რაიონი. განზე არავინ დარჩენილა.

იმ წლებში ბორჯომიდან ახალციხემდე რკინიგზა არ არსებობდა. დაიწყო რკინიგზის მშენებლობა. გამოცხადდა საყოველთაო მობი-ლიზაცია. ხანდაზმულმა ქალებმა, ახალგაზრდა ქალიშვილებმა, მოხუცებმა - მთელი ეს გზა ჩვენ გავიყვანეთ - თითოეულმა ჩვენ-ჩვენს ტერიტო-რიაზე. რკინიგზის ეს წყეული ხაზი ჩვენმა ხალხმა გაიყვანა და ამავე წყეული რკინიგზით, პირველი რეისით ჩვენვე გაგვამწესეს ვერაგულად.

წარმოიდგინეთ, ომია, ხალხი ფრონტზეა, 18 და 45 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცი მობილიზებულია. სახლში მხოლოდ მოხუცები რჩებიან და უეცრად სოფელში საეჭვო ადამი-ანები ჩნდებიან. ეზო-ეზო დადიან, ითვლიან საქონელს, ადამიანებს სულადობის მიხედვით. ვეკითხებით, რა ხდება, აღრიცხვაზე რატომ აგყევართ? ამას რისთვის აკეთებთ? ისინი კი ღრმააზროვნად გვპასუხობენ: საქმისთვისო. აქ ჯარისკაცები ჩამოვლენო! რისთვის? ეს კი უკვე დიდი საიდუმლო იყო. მარტო ის გვითხრეს, ფრონტიდან გამოქცეულები არიან და იმათ ვეძებთო. არ გვეუბნებოდნენ, თუ გასახლებას გვიპირებდნენ.

ყოველ სოფელში ჯარი ჩააყენეს. ირგვლივ სულ სამხედროები იყვნენ, თანაც რომელი საჯა-რისო ნაწილებისა? შინაგანი! ბერიას ხალხი, ამაში ყო საქმე!.. ეს ადამიანები უბრალო ამოცანისთვის არ იყვნენ ჩვენ მხარეში გამწესებულები. ყველას ერთი მიზანი ჰქონდა – ჩვენი ხალხის აყრა.

საერთოდ, ყველგან დაიწყეს მაჰმადიანი მოსახლეობის გამოსახლება. ჯერ ყირიმელი თათრების. ნეტავ, რა ბრალი მიუძღოდათ? არანა-ირი! ყირიმელი თათრები გადაასახლეს, მერე – ჩეჩნები და ინგუშები. მთელი ჩრდილო კავკასია გადაასახლეს, თითქოსდა იმის გამო, რომ ჯარისკაცებს არ აგზავნიდნენ ომში. მერე ჩვენ დაგვერივნენ. ამბობენ, ამ საქმეში მთავარი ბერია იყოო. ხალხების გადასახლება ხომ მის გამგებლობაში იყო.

ახლა ჩვენი ამბავი ავიღოთ. რა ბრალი მიუძღოდა ჩვენს ხალხს, რომლის 18-დან 50 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცი ფრონტზე იყო მობილიზებული? ჩვენი სოფლიდან 125 კაცი წავიდა სამშობლოს დასაცავად! მათგან არავინ

დაბრუნებულა. მარტო მე გამიღიმა ბედმა.

სოფელში ბევრი გრძნობდა, რომ რაღაც საშინელება გვემუქრებოდა. საფრთხე პირდაპირ ჰაერში ტრიალებდა. ჯერ-ერთი, ხალხის აღწერა დაიწყეს, მეორეც, ადიგენის, ახალციხის და ასპინძის რაიონების მიმართულებით უსასრულო ნაკადებად მოძრაობდა ამერიკული სატვირთო მანქანები. ჩვენ სიახლოვეს რკინიგზის ლიანდაგებზე გამზადებული ვაგონები იდგა.

საერთოდ, გადასახლების საკითხზე როცა ვსაუბრობთ, სიმართლე რომ ითქვას, ეს წმინდა წყლის ნაციონალიზმია. აქ ეროვნების, უფრო სწორედ, რელიგიის საკითხია. ასე გვითხრეს, თუ ქართველი ხარ, აქ რჩები, თუ ქართველი არა ხარ, არაო, თუ საერთოდ მაჰმადიანი ხარ, გადასახლებული იქნებიო. და ეს ხდება საბჭოთა ხელისუფლების დროს, რომელიც ათეიზმსა და ყველა ეროვნების თანასწორობას ქადაგებდა. ამას როგორ უნდა შევრიგებოდით?

და აი, რა ხდებოდა გადასახლების ღამეს.

ჩვენი სახლი იმხანად ზევით იყო. ეს მუგარეთი, სადაც ჩვენ ახლა ვცხოვრობთ, ადრე დაუსახლებელი იყო. აქ საძოვრები იყო, სახნავ-სათესი მიწები, საცხოვრებელი სახლები უფრო ზევით გვედგა.

შტაბი ჩვენს სოფელში იყო, მის გამგებლობაში რამდენიმე ახლომდებარე სოფელი შედიოდა: შურდო, გიორგიწმინდა, ჩოხთა, ცოხტევი. შტაბში ყველა რუსი იყო. შტაბი ჩვენთან ახლოს იყო, ყველა მეთაური იქ იკრიბებოდა ხოლმე.

ღამის 3 საათი იქნებოდა, ყველას გვეძინა. კარი აბრახუნდა. ყველა გაგვაღვიძეს. მოდიო, მითხრეს, შტაბში გეძახიანო. წავედი, სამხედრო უკან მომყვება. შევედით. დაჯექიო, მეუბნებიან. დავჯექი. ერთ-ერთი მეთაური მეუბნება – აი, ბრძანება მოგივიდაო. თვითონ წაიკითხავ, თუ წაგიკითხოო. რუსულად ეწერა. წამიკითხეთ-მეთქი ვეუბნები. მან მითხრა: სტალინის ბრძანებაა ასეთი: საცხოვრებელ ადგილს გიცვლით. ექვსი წლითო. ვკითხე, მაინც რა მიზეზით-მეთქი? თქვენო, მპასუხობს, «თიურქები» კი არა, «თურქები» გიწოდეს და იმიტომო. ჩვენ ისე გულმოდგინედ უნდა ჩავატაროთ ოპერაცია, რომ თქვენიანი აქ არავინ დარჩესო (ამას ეძახდა ის «გულმოდგინედო!»). და შენ, როგორც კომუნისტმა და კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სტალინის ბრძანება უნდა შეასრულოო.

რა უნდა მეთქვა პასუხად? ხმა არ ამომიღია.

მეთაური კი განაგრძობს: აცნობებ ხალხს, რომ გასამგზავრებლად გაემზადონ. სამხედროებს მოგცემთ თანმხლებებად.

მაშინ მე ვუთხარი - ჩვენ შევასრულეთ ამ წლის სახელმწიფო გეგმა, მოსავალი ავიღეთ, საწყობშია... მაგრამ კოლმეურნეობისთვის ჯერ არაფერი დაგვირიგებია. თუ ადამიანები ვერაფერს ვერ მიიღებენ, უბრალოდ შიმშილით მოკვდებიან.

სამხედროები უხმოდ ადგნენ და ჩემთან ერთად წამოვიდნენ საწყობებში, გასაღებები მათ ჰქონდათ. გამოვართვი ის გასაღებები, გავხსენი კლიტეები, გავაღე ჭიშკარი.

სოფელში კი უკვე პანიკა იყო დაწყებული, აფორიაქებული ადამიანები ყვირიან, საქონელი ბღავის...

სოფელი ცოხტევი (ის ჩვენზე ცოტათი მაღლა იყო) კი უკვე ფეხზე იდგა. ვხედავ - ყველა მათი ურემი, ხარები, ყველაფერი უპატრონოდ არის მიტოვებული. ხალხი მატარებლისკენ გარეკეს, რომლებიც ქვევით დაბლობში იდგა.

მუგარეთიც ადგა. განსვენებული დედაჩემი ცრემლებად იღვრება, მერე რა, რა აზრი ჰქონდა ამას? შვილო, საქონელი მეცოდება, დაიღუპებაო. მე ვეუბნები, - დედა საქონელს რას მისტირი, ჩვენ თვითონ დავიღუპეთ-მეთქი...

თვითონ კი ამ დროს ვფიქრობ, მოსავალს რა ვუყოთ-მეთქი. როგორც ვთქვი, ცოხტეველების ყველა ურემი სოფელში იდგა. ყოჩაღი ბიჭები საწყობში გავამწესე. სამხედროებს გამოვუცხადე, აბა, გადით აქედან, აქ ჩვენი შრომის ნაყოფია-მეთქი. იმათ მიპასუხეს: კი, ბატონო, კი ბატონოო... და მაშინ ჩვენ საწყობის დაცლას შევუდექით, ვისაც როგორი ტომარა ჰქონდა, ყველაფერი შევაგროვეთ, დავიწყეთ მარცვლეულის ტომრებში, ფუთებში ჩაყრა. ბიჭებს ვუთხარი – დაურიგეთ ყველას ყველგან, სადაც კი ჩვენები არიან-მეთქი... თუნდაც ოჯახზე თითო ტომარა, სულ ერთია მატარებლები ჯერ ისევ დგას (ისინი დაახლოებით ორი დღე-ღამე იდგა). წაიღეთ ტომრები, ვისაც რამდენი შეგიძლიათ, ყველაფერი წაიღეთ! არადა, როგორი სიმინდი მოვიდა იმ წელიწადს! მსხვილი... და თანაც რამდენი... მოკლედ, ჩვენი თანასოფლელები (და ცოხტეველებიც), უნდა გითხრათ, მშივრები არ გამგზავრებულან. საკვების წაღება მოვახერხეთ. მეც ორორი ურემი მარცვლეული წავიღე, ძმებს გადავუნაწილე, მოკლედ, მოვახერხეთ ჩვენი ოჯახის უზრუნველყოფა...

თითქოსდა უცნაური იყო, რომ სურსათის წაღების უფლება მოგვცეს... მაგრამ იყო აქ ერთი განსაკუთრებული რამ. სამხედრო შტაბი ჩვენს მუგარეთში იყო და მთელი უფროსობა ჩვენთან იყო დაბინავებული. ახლოვდებოდა 7 ნოემბრის დღესასწაული, უფროსობამ გამომიძახა. დღესასწაული კარს მოგვადგა და რა ვქნათო? მთხოვეს,

რაღაც მომეწყო მათთვის. მე, ჯერ-ერთი ხილი მივართვი. ჩვენ 9 ჰექტარი საუცხოო ბაღები გვქონდა. ხოლო ბაღებში – ისეთი მოსავალი იყო, იმდენი ხილი მოგვივიდა იმ წელს... აუჰ! ისეთი ვაშლი იყო, ისეთი... ჰოდა, მე თითოეულ ამ სამხედროს საუკეთესო ვაშლების ამანათი გავუმზადე, სახლში რომ გაეგზავნათ. ორი ცხვარი გამოვუყავი მწვადებისთვის, ჭაჭაც ვიშოვე, დიდ კომპანიას მოვუყარე თავი... მოკლედ, კარგად იქეიფეს, გულიანად. მერე კი მითხრეს, შენ ასეთი დღესასწაული მოგვიწყე, ჩვენც სიკეთით გადაგიხდითო. და როდესაც შემთხვევა მოგვეცა, ჩვენი მოსავლის წაღება არ აგვიკრძალეს, მადლობა მათ ამისთვის! თუმცა თავისუფლად შეეძლოთ ეთქვათ არ შეიძლებაო! მაგრამ არა! გვითხრეს, წაიღეთ საწყობებიდან რამდენსაც შეძლებთ, ყველაფერი, პირწმინდადო! ამიტომაც შეძლეს ჩვენებმა პროდუქტები მოემარაგებინათ გზისთვის. თუმცა სახლებში გვრჩებოდა ყველაფერი: ნივთებიც და ოცდაათი სული საქონელიც... წინ კი გრძელი და ტკივილიანი გზა გვედო.

იქვე, მუგარეთის ველზე ჩაგვსხეს ცალ-ცალკე მატარებელში. და გაგვრეკეს. ხალხი ტიროდა. როგორ არ უნდა ეტირათ? უმრავლესობას ხომ ახლობლები ჯერ კიდევ ფრონტზე ჰყავდა. ზოგი, ვინც ცოცხალი გადარჩა, მერე პირდაპირ სამხედრო ფორმით ჩამოდიოდა უზბეკეთში.

1944 წლის 16 ნოემბერს მატარებელი დაიძრა (ზეაწეული ტონით. დუმს). დავიძარით... ადამიანები იტანჯებიან, კვდებიან. ძირითადად სიცივისგან, დიდი ზამთარი იყო იმ წელიწადს, გავიარეთ სარატოვი ვოლგაზე, და ისე ციოდა, ისე ყინავდა... ჩვენი პატარა ქალიშვილი კი მხოლოდ ორი წლის იყო. ვერ გაუძლო ყინვას ჩვენმა პატარა ქალიშვილმა, გაიყინა. უბრალოდ ყინულად იქცა ცოლის მკლავებში ...დიახ... და რომელი დასაფლავება?.. მატარებელი ერთი წუთითაც კი არ ჩერდებოდა, ბავშვი გამოგვგლიჯეს და უბრალოდ გადააგდეს... ჰო... ჰმ... *(დუმს).*

ვაგონში 70 სული ვიყავით. ზევით ტახტივით რაღაც იყო გაკეთებული, იქ გვეძინა. საერთოდ საშინლად გაქუცული ვაგონები იყო. და ეს ყინვები, არანაირი გათბობა, არანაირი შეშა... გარდაცვლილი ბევრი იყო, ზედმეტი ლაპარაკის გარეშე მიჰქონდათ ისინი და რას უშვრებოდნენ - არავინ იცოდა. რომელიღაც გაჩერებაზე ჩემი ცოლი საშიკო და ჩემი ძმა ბაქანზე დარჩნენ და სასწაულებრივად დაგვეწივნენ მორიგ სადგურში.

სიცივე, შიმშილი! თითქმის ერთი თვე ვიმგზავრეთ ასეთ პირობებში. ოცდაათი დღე მიგვაქროლებდნენ სხვადასხვა ლიანდაგებზე, უკვე თვალები გვიჭრელდებოდა. ნამანგანის ოლქში ჩამოგვსვეს, ტაშკენტს იქით.სადგურ ქუვაიში, უჩკურგანის რაიონში. ღამით გადმოვედით მატარებლიდან, გარეთ კი ორმოცგრადუსიანი ყინვა იყო! ჩვენ კი ტანზე ჩასაცმელი არაფერი გვქონდა.

ბამბის საბჭოთა მეურნეობებში განაწილება დაგვიწყეს. ეს მეურნეობები უკვე მზად იყვნენ. ურმებითა და ოთხთვალებით მოგვადგნენ. გვაიძულეს თითო-თითოდ გადმოგვეტანა ჩვენი ნივთები და ნარინის საბჭოთა მეურნეობაში წაგვიყვანეს.

არადა, გვშია, გვცივა, ტანსაცმელი შემოფლეთილი გვაქვს. და ტილები დაგვესია ყველას – ამას ვერც აგიწერთ და ვერც მოგიყვებით! იქ საბჭოთა მეურნეობის სახლები იყო, სწორედ ამ სახლებში გაგვამწესეს. თუმცა, სახლები არც ეთქმოდა – თიხისა და ნამჯის რაღაც ქოხები იყო: მე კი ნაღველმორეული ვფიქრობ ნეტავ სადმე მაინც შეგვაფარებინა თავი, ჩამოვსხდებოდეთ, დავისვენებდეთ!

საბჭოთა მეურნეობის პირველ განყოფილებაში ჩაგვწერეს. იმ საბჭოთა მეურნეობას შვიდი განყოფილება ჰქონდა. უზბეკები გაეფრთხილებინათ, რომ ჩვენ თავზე ხელაღებულები, ავაზაკები, მოკლედ თავაწყვეტილები ვიყავით. მათ ჩვენი ძალიან ეშინოდათ და უბრალოდ ასე გვეძახდნენ - «კაპკაზ». საერთოდ კი, იქ უამრავი სხვადასხვა გადასახლებული ხალხი იყო - ყირიმელი თათრები, გერმანელები, «კულაკ» ოსებსაც კი შეხვდებოდით.

ჩვენიანებში მე ძველებურადვე ხელმძღვანელად ვითვლებოდი და ვცდილობდი რამენაირად დამეცვა ჩემიანები ხელისუფალთა თარეშისაგან - ცხადია, შეძლებისდაგვარად. სამუშაოდ გამყავდა ისინი, მაგრამ რისი კეთება ვიცოდით ჩვენ? ბამბა უცხო იყო ჩვენთვის, თავიდან მხოლოდ კეტმენით თუ ვმუშაობდით. ძლივს შევეჩვიეთ. შიმშილობა იყო. ადამიანებს თითო-თითო ცხვარი დაურიგეს, ამისთვისაც მადლობლები ვიყავით!

არანაირი მოძრაობა - ერთი რაიონიდან მეორეში - საკომენდანტო ზედამხედველობა!

ჩვენ, კომუნისტები, როგორც საქართველოში, ისე გადასახლებაში, ძველებურადვე შევდიოდით პარტუჯრედში, დავდიოდით პარტიულ კრებებზე. კომუნისტები ჩვენიანებში საკმარისად იყვნენ. ჩვენს პარტიულ ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა, კრებებზე ძველებურადვე

ერთხმად ვიწონებდით სტალინურ პოლიტიკას. თუმცა ჩემი აზრი სტალინზე, რაღა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში იცვლებოდა.

ძნელად ვეგუებოდით ზნე-ჩვეულებებს, ბამბას, ენას, იქაურ ჰაერს. რაღაცნაირად შევუდექით ცხოვრებას. შვილები გაგვიჩნდა - ზურაბი, ლადო, ქალიშვილი სონა.

სტალინი მოკვდა. მაშინვე შეიქმნა მუშა კომიტეტი, ყველგან დაიწყო სამგლოვიარო მიტინგების ჩატარება. ჩვენ საბჭოთა მეურნეობის მე-3 განყოფილებაში, სკოლაში შევიკრიბეთ, იქ ერთმა სიტყვით გამოსვლა დაიწყო, ჩვენი დიდი ბელადი სტალინი მოკვდაო, ამბობს და თან მშრალ თვალებს იწმენდს... ამ დროს ყირიმელმა თათრებმა ტაშის დაკვრა დაიწყეს! მათ ჩვენებიც აჰყვნენ და თვითონაც დაიწყეს ტაშის დაკვრა. ის კაცი კი - მუშათა კომიტეტიდან, ერთიანად გაფითრდა და იყვირა: «აჰა, მაშ ასე! მაშასადამე, თქვენ მართლაც ხალხის მტრები ხართ! თქვე ასეთებო და ისეთებოო...» ძალიან საინტერესო იყო. სტალინის სიკვდილით გახარებულმა თათრებმა ქეიფების მოწყობა დაიწყეს - ერთი მეორის მიყოლებით და კომენდანტმა ვერაფერი გააწყო. ისე გაიძურწა მიტინგიდან, რომ ვერავინ შეამჩნია. ხალხს კი უხაროდა (ეს ძირითადად გადასახლებულები იყვნენ) და რაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ.

56 წელს კი საკომენდატო ზედამხედველობაც მოგვიხსნეს. 1957 წელს ჩვენ იქაურობა დავტოვეთ. მართალია, უზბეკებს ჩვენი გამოშვება არ უნდოდათ, - ბამბას ვინღა დაკრიფავსო? ურაველელი მარტო მე ვიყავი, 3-4 კომუნისტი ვიყავით. საბჭოთა მეურნეობაში გაფიცვა მოვაწყეთ, გამოვაცხადეთ, მივდივართო. არ გვიშვებდნენ, მაგრამ ჩვენ ჩვენი გავიტანეთ, გავყიდეთ საქონელი, ყველაფერი, რაც გაგვაჩნდა: მივდივართ და მორჩა! - გამოვაცხადეთ ჩვენ. ჰოდა, გამოვემგზავრეთ. თურქმენეთამდე მატარებლით, იქიდან - ბაქოში. არც იქ შევყოვნებულვართ - პირდაპირ საქართველოში. თუმცა საქართველოში ჩამოსვლის ნებართვა არ გვქონია, მაინც წამოვედით. ალალბედზე. ჩვენები იყვნენ იქ ჩასულები, არაერთგზის გამოყარეს. თბილისიდან მახარაძის ჩაის საბჭოთა მეურნეობისკენ გავეშურეთ. იოლი სამუშაო არ იყო, მაგრამ ჩვენი ოჯახი ჩაის კრეფის სამმაგ ნორმას ასრულებდა.

ზუგდიდშიც ვცხოვრობდით, იქაც ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. მეგრელებმა კარგად მიგვიღეს, ძალიან პატივსაცემი ხალხია. მესხეთში ჩასვლა ძველებურადვე არ შეიძლებოდა და ჩვენ აზერბაიჯანში, კიროვაბადში წავედით.

ძნელ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდება ადამიანი, ყველაფერზე წამსვლელია. ავდექი და ხრუშჩოვს წერილი მივწერე. აღშფოთებას გამოვთქვამდი ჩვენი უკანონო გასახლების გამო, სამშობლოს ვითხოვდი. პასუხი მომივიდა, თბილისში მიბარებდნენ შსს-ში. ჩავედი, პოლკოვნიკმა ნებიერიძემ მიმიღო: «აბაო, - მეუბნება – რომელ ენაზე ვილაპარაკოთო?» «რომელზეც გინდა-მეთქი», - ვუპასუხე. დაიწყო ლაპარაკი, რომლის დროსაც გავცხარდი. ის მეუბნება, ვხედავ, ძალიან უწყენინებიხარ, მაგრამ არც შენ ხარ მართალი: სტალინი ისეთი სასტიკი ადამიანი არ ყოფილა, როგორიც შენ დაწერეო. მე ვუთხარი, მე მარტო იმის შესახებ დავწერე, რაც მან გააკეთა-მეთქი. ნებიერიძე მეუბნება - კარგი, მომეცი შენი საბუთები, მალე გამოგიძახებ და შენ ოჯახთან ერთად ჩამოხვალ საქართველოშიო. მასთან კაბინეტში ცნობილი ისტორიკოსი შოთა ლომსაძეც იყო (ისიც მესხია, ოღონდ ქრისტიანი). მან თავისთან სამუშაოზე მიმიწვია, იქ კი, თურმე, ცნობილი ადამიანები შეკრებილიყვნენ, მთელი ინტელიგენცია. მთხოვეს გამოვსულიყავი. და მე ვთქვი ყველაფერი, რაც სულში მქონდა დაგუბებული, თუმცა, მკაცრად ვილაპარაკე, აუდიტორია თანაგრძნობით მოეკიდა ჩემს სიტყვებს. თქვენ რომ გასახლებდნენ, მითხრეს მათ, ჩვენ გვინდოდა, რომ ვაგონები უკან მოებრუნებინათო. მე კი მივუგე მათ - თქვენ ამას ახლა ამბობთ, ბერიამ კი თავისი საქმე გააკეთა და დავამატე: იმით, რომ გაგვასახლეს, ჩვენ ჩვენი ადამიანური ღირსება არ დაგვიკარგავს. აი, თქვენ კი ის დაკარგეთ - საკუთარი ძმები ვერ დაიცავით. მათ აღიარეს - მართალია, ჩვენ დამნაშავეები ვართ თქვენ წინაშეო.

1988 წელს საქართველოს კპ ცკ-ს პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი იყო, მაშინ საერთო მოძრაობა დაიწყო, შრომის სახელმწიფო კომიტეტი აგროვებდა იმ მესხების განცხადებებს, რომლებსაც მესხეთში უნდოდათ გადასვლა. ამასთან ჩემი ცოლის, საშიკოს ძმა რაიაღმასკომში მუშაობდა და დაგვპირდა დაფუძნებაშ დაგეხმარებითო. და აი, 1988 წელს ჩვენ, პირველი მერცხლები, მესხეთში დავსახლდით. ჩვენი, ბერიძეების ოჯახი (ჩვენ მშობლიურ სოფელ მუგარეთში ვიყიდეთ სახლი), მარატ ბარათაშვილისა და აბუზარ საფაროვის ოჯახები ახალციხეში დავსახლდით. მერე ჩვენები ვალეშიც ჩამოვიდნენ. თუმცა დიდხანს ვერ გაჩერდნენ. ბრაზობდნენ, ჩვენს სახლებში არ ვცხოვრობთო... მერე რა? ჩემს სახლშიც სხვები ცხოვრობენ. მთავარია, რომ ჩემს მიწაზე ვართ.

1988 წელს რომ ჩამოვედით, ხელისუფლება

მტკიცედ გვიჭერდა მხარს. და მე ასე ვამბობდი: სოფელი ჩემია, რაიონი ჩემია, ქვეყანა ჩემია.ახლა ცხადია, ასე არ არის. ჩვენს ხალხს დღემდე არ აქვს დაბრუნების ნებართვა. ჩვენს სოფელში, მუგარეთში - მარტო ჩვენ ვართ მკვიდრი მაცხოვრებლები, დანარჩენები ჩამოსულები არიან, ჩვენს დაცლილ სოფელში ისინი 1944 წლის შემდეგ შემოვიდნენ. პირადად მე წინააღმდეგი არა ვარ, იცხოვრონ. მაგრამ იმათაც უნდა შეძლონ ჩამოსვლა, ვინც 60 წლის წინათ გამოყარეს საკუთარი სახლებიდან. ეს ხომ მათი სამშობლოა, რაც არ უნდა თქვან...

აი, ასე ვცხოვრობთ მშობლიურ მუგარეთში. მეზობლებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ჩემთან ცხოვრობს ვაჟიშვილი ლადო, მეორე ვაჟიშვილი ზურაბი განჯაშია, ქალიშვილი სონაც აზერბაიჯანშია. ვოცნებობთ ჩვენი ოჯახების გაერთიანებაზე.

...კარგი იქნებოდა მთელ ჩვენს ხალხსაც, რომელიც 60 წელია სამშობლოსგან შორს წვალობს, მიეცეს იმის საშუალება, რომ თქვას: «ჩემი სოფელი, ჩემი ქვეყანა...»

მასალა მოამზადა კლარა ბარათაშვილმა
2004 წ. 13 ივნისი
ახალციხის რაიონის
ს. მუგარეთი

საშიკო დიასამიძე: «რატომ არის სახელმწიფო ასე ულმობელი ჩვენ მიმართ?..»

«ადამიანის სრული ბედნიერებისთვის აუცილებელია, მას დიდებული სამშობლო ჰქონდეს».

სიმონიდე კეოსელი,
ძველი ბერძენი პოეტი,
ძვ.წ. აღ-ით 500 წ.

მე საშიკო დიასამიძე მქვია. დავიბადე ახალციხის რაიონის სოფელ ვალეში, 1923 წელს.

მამას ევგენი ერქვა. დედას მარო ერქვა. ძმებიც მყავდა და დებიც. დებს მაშიკო და მაყვალი ერქვათ, და მე - საშიკო.

მე ქართულ ენაზე ვსწავლობდი, თუმცა მაჰმადიანურიც კარგად ვიცოდი. თითქმის ყველა ჩვენი მეზობელი მაჰმადიანი იყო, მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა: სტუმრად დავდიოდით ერთმანეთთან, მეგობრულად ვურთიერთობდით. ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. ავრცელებენ ხმებს, თითქოს ქართველებსა და მაჰმადიანებს შორის რაღაც გაუგებრობები, შეხლა-შემოხლა თუ მტრობა იყო. ტყუილია ეს ყველაფერი!.. სიცრუე. ყველანი მეგობრულად ვმუშაობდით კოლმეურნეობაში. სხვათა შორის, 9 წელი რომ შემისრულდა, მე მაშინ დავიწყე კოლმეურნეობაში მუშაობა. ყველა ჩვენი მეზობელი მაჰმადიანი იყო და ჩვენ ყველასთან ვმეგობრობდით.

მუგარეთში მე მასწავლებლად ჩამოვედი. ეს 1940 წელს იყო.

მასწავლებელი როგორ გავხდი? სკოლა 1939 წელს დავამთავრე, მაშინ ფინეთის ომი მიმდინარეობდა. მასწავლებლები ფრონტზე მიჰყავდათ. ამიტომაც, როგორც კი 10 კლასი დავამთავრე, ახალციხეში მიმართვა მომცეს და მუგარეთში გამიშვეს. მითხრეს, იქ სკოლაში იმუშავებო. ასე გავხდი ქართული ენის მასწავლებელი სოფელ მუგარეთში. სკოლა ქართულენოვანი იყო. აქ ერთი წლის მუშაობის შემდეგ გავთხოვდი.

ჩემი მომავალი ქმარი, აზიზ ბერიძე, იმ დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. ჰოდა, მეც თვალში საცემი ვიყავი. სულ მის თვალწინ ვტრიალებდი. ჰოდა, ჩემი ცოლად შერთვა გადაწყვიტა! თავიდან ჩემს მშობლებს ეს ქორწინება არ უნდოდათ... მაგრამ მერე დაინახეს, რომ აზიზი არ მეშვებოდა, მთელი გულით ვუყვარდი და რომ მას სერიოზული განზრახვა ჰქონდა. მარტო მაშინ დამთანხმდნენ: გაჰყევიო!.. მერე რა, რომ ის მაჰმადიანია, შენ კი ქრისტიანი ხარო? მაჰმადიანი, ქართველი, რუსი - ყველა ერთია, მითხრეს მშობლებმა. ყველანი ღმერთის ქმნილებები ვართო. ამასთან, გაირკვა, რომ ჩემი მომავალი დედამთილი ქართველი იყო, ანუ აზიზის დედა ქრისტიანი ქართველი იყო. აი, ასე გავთხოვდი...

მართალია, ქორწილი არ გადაგვიხდია, რაღაცნაირად მიღებული არ იყო მაშინ. მე კომკავშირელი ვიყავი, აზიზიც, ის მოწინავე კოლმეურნეობას ხელმძღვანელობდა. მმაჩში მოვაწერეთ ხელი, როგორც წესია. მე ჩემი გვარი დავიტოვე – დიასამიძე. დღემდე ამ გვარს ვატარებ.

მოკლედ, დავქორწინდით, და მე შვილი მეყოლა.

როცა გვასახლებდნენ, ჩვენი ქალიშვილი ორი წლის იყო. ყველაფერი დავტოვეთ: სახლიც, ნივთებიც, ოცდაათი სული საქონელიც... თან არაფრის წაღების უფლება არ მოგვცეს. ამასთან მთელი ჩემი ნათესაობა ვალეში რჩებოდა.

აქ კი, მუგარეთის ველზე, მატარებელში ჩაგვსხეს - აქედან ახლოს რკინიგზა გადიოდა. ჩაგვსხეს და გაგვრეკეს... არც საჭმელი გვქონდა, არც სასმელი. მშივრები, გაყინულები დავადექით შორ გზას, თან ვერაფრის წაღება ვერ მოვასწარით. ოც წუთში რა უნდა მოგვესწრო? დილაადრიან შეგვატყობინეს, დილის ათი საათისათვის კი ყველანი მატარებელთან მიგვრეკეს და მოგვძახოდნენ: «გაეთრიეთ აქედანო!» მატარებლამდე ფეხით მივედით - ბოხჩებითა და ფუთებით. მაშინვე ჩავსხედით და მატარებელი უმალ დაიძრა. ვუყურებდი სამშობლოს, თანდათან რომ ეფარებოდა თვალს და ვტიროდი. დარჩნენ მამა, დედა, ძმები და დები. მათთან გამოსამშვიდობებლადაც კი არ გამიშვეს. სამხედროებმა მითხრეს: ჩვენ ბრძანება გვაქვს - გავასახლოთ უკლებლივ ყველა.

სადგურ ბალაჯარამდე მივაღწიეთ (ეს უკვე აზერბაიჯანი იყო). აქ მატარებელმა გაუხვია და რუსეთისკენ წავიდა...

მატარებელში ისე ციოდა, რომ ყინვა ნემსებივით გვესობოდა... თოვლი ერთი მეტრის სიმაღლეზე იდო. ისე, რომ მატარებელი დროდადრო ჩერდებოდა. ჩვენ ჩავდიოდით და თვითონვე ვწმინდავდით გზას. ვაგონში კი ისე ყინავდა, რომ ყველგან ყინულის ლოლუები ეკიდა... არც საჭმელი გვქონდა, არც სასმელი... ჩემი ორი წლის შვილი... გზაში... გაიყინა. დიახ, წარმოიდგინე, მოკვდა... უბრალოდ, ყინულის ნატეხად გადაიქცა. ორი დღე ჩახუტებული მყავდა, ვცდილობდი ჩემი სუნთქვით გამეთბო. ანიკო ერქვა, ისეთი მშვენიერი გოგო იყო *(ტირის)*... ჩემი პირველი შვილი...

ექიმები მოვიდნენ, შემომხედეს, მე კი ის გულში მყავს ჩახუტებული... მიყურეს, მიყურეს და... ბავშვი ხელიდან გამომგლიჯეს! მე კრინტის დაძვრაც კი ვერ მოვასწარი... და მაშინვე ლიანდაგზე გადააგდეს!

არც გადარჩენა ეწერა ჩემს გოგონას და არც დამარხვა. მიწა არ ეწერა *(ტირის)*.

- ასეთი რა ექიმები იყვნენ?

- აი ასეთები, ცხედრებს მატარებლებიდან რომ ყრიდნენ. ქვითინით გავვარდი ვაგონის გასასვლელთან და ვხედავ: რკინიგზის ვაკისის გასწვრივ წყებად ყრია ცხედრები. თვალები ტირილით დავივსე, ჩემი პირმშო, ჩემი ქალიშვილი მიწას რომ ვერ მივაბარეთ **(დიდხანს დუმს).**

ბევრი მოკვდა და მიყოლებით ყველას ყრიდნენ. მთელი გზა გვამებით იყო მოფენილი. მე სხვის ნათქვამს კი არ ვიმეორებ, მარტო იმას ვამბობ, რაც საკუთარი თვალით ვნახე.

სადღაც ასტრახანთან, ჯერ კიდევ გზაში, ერთი ამბავი გადაგვხდა, მახსოვს, რომ ეს უკვე რუსეთი იყო.

მივდიოდით, ვაგონებს მივუყვებოდით (თოთხმეტი ეს ხაზი და შემადგენლობა დავითვალე მაშინ). უეცრად ერთი ვაგონიდან (ეს ჩვენი შემადგენლობა არ იყო) ვიღაცა მამაკაცი გამოხტა ბავშვით ხელში და ყვირილი დაიწყო: «ჯარისკაცებო, წყეულებო!.. რა არის, სინდისი არა გაქვთ, თუ?! ქართული არ ესმით, პარაზიტებს... მოწყალება გამოიჩინეთ - ლუკმა პური მიეცით ბავშვს, შიმშილით კვდება!..» ამ სიტყვების გაგონებაზე ჩემმა მაზლმა (მუგარეთში ისინი ყველანი ქართულად ლაპარაკობდნენ, ვერასდროს იფიქრებდით, რომ მაჰმადიანები იყვნენ, სოფელში სკოლაც ქართული იყო. ამასთან ჩემი დედამთილიც ქართველი იყო, მამამთილი კი მაჰმადიანი. აი ასე იყო ყველაფერი არეული) მითხრა: «საშიკო, ცოდოა ბავშვი, პური მივცეთ...»

ეს, თურმე, ქართველებს ასახლებდნენ, - ფრონტიდან გამოქცეულების, ასე ვთქვათ, დეზერტირების ნათესავებს. რატომ გამოიქცა თქვენი შვილი, ომში რატომ არ არისო? აი ასეთები შეკრიბეს და ისინიც ტაშკენტში გაასახლეს. საქართველოდან აყრილი ასეთი ადამიანების მთელი შემადგენლობა იყო.

ჩვენ მაშინვე ამოვიღეთ პური და ბავშვს გავუწოდეთ... ბიჭმა პურის ნატეხი რომ დაინახა, ჩვენკენ გამოიწია... და იქვე, ჩვენ თვალწინ სული ღმერთს მიაბარა! ჩვენ ბავშვის მამაზე ნაკლებად როდი ვიყავით შეძრულები. მან კი თავში ხელები წაიშინა და მოსთქვამდა: «ვაიმე, ვაიმე!..» ღმერთო, რაღა არ ვნახეთ, რაღა არ გადავიტანეთ!.. ბავშვის მოსულიერება ვცადეთ, მაგრამ დავინახეთ, რომ ამაო იყო - ის უკვე მკვდარი იყო. ვიდრე ჩვენ ბავშვს დავტრიალებდით, ჩვენი მატარებელი დაიძრა. გავცვივდით, გავეკიდეთ და დიდხანს მივდევდით შემადგენლობას. მაგრამ ვერ დავეწიეთ - მუხლამდე თოვლი იყო, მე კი მსუბუქი ფეხსაცმელი მეცვა. ვიდრე მივრბოდით, ვიდრე უკან ვბრუნდებოდით, ფეხების მოყინვა მოვასწარი.

დავბრუნდით სადგურში, ძლივს ვიპოვეთ ჩვენიანები, სხვა შემადგენლობიდან. ჩავსხედით პირველივე ჩამომდგარ მატარებელში და კითხვა-კითხვით ძლივს მივაგენით ჩვენს სატვირთო შემადგენლობას. ჩვენ თვითონ, საინტერესოა, რომ აზრადაც არ მოგვსვლია სადმე გავქცეულიყავით. სად გავიქცეოდი? სადაც ქმარია, შენც იქ უნდა იყო.

თითქმის თვე ვიმგზავრეთ ასე - უსმელ-უჭმელებმა. ოცდაათი დღე დაგვათრევდნენ სხვადასხვა გზებზე. თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ამ უბედურ გზას დავადექით... ნამანგანის ოლქში გადმოგვსხეს - ეს ტაშკენტის იქით იყო. ღმერთო, ვფიქრობ, მთელი თვეა დავხეტიალობთ, სადმე მაინც ჩამოვსხდებოდეთ, დავისვენებდეთ და ადამიანურად დავიძინებდეთ-მეთქი...

გადმოსხდომით კი გადმოვსხედით, მაგრამ რა გინდა რომ ქნა - ცივა, არა საცხოვრებელი, არა საჭმელი.

ერთი სიტყვით, სადღაც პატარა ადგილზე გადმოგვყარეს - რა უნდა ჭამო, რა უნდა სვა, რა გაგაჩნია?

- და რა, სახელმწიფო არანაირ საკვებს არ იძლეოდა?

- სახელმწიფო 200 გრამ თიხასავით შავ პურს იძლეოდა. მეტს არაფერს... ომი იყო, არანაირი საჭმელი. საერთოდ არაფერი იყო... ჩასაცმელიც არაფერი გვქონდა – გარეთ ყინავს, ორმოცი გრადუსია, ჩვენ კი ასე ვწვალობთ და ვიტანჯებით. აი, რისი ნახვა და გადატანა მოგვიხდა.

ჩვენ უჩ-ყურგანის რაიონში მოვხვდით. რაღაც ქოხში შეგვყარეს – არც იატაკი, არც ჭერი, საცხოვრებლად ყოვლად უვარგისი ადგილი იყო, არამცთუ ადამიანისთვის, იქ საქონელიც კი ვერ გაჩერდებოდა.

თავიდან არავინ არსად მუშაობდა. ვხედავთ, ხალხი უბრალოდ შიმშილით კვდება. ისე იღუპებიან, ისე იხოცებიან - თვლა არა აქვთ... არ იცი, ცოცხალი როგორ გადარჩე...

მერე ბამბაში ძალით გარეკვა დაგვიწყეს. არადა, ჩვენ ეს ბამბა თვალითაც არ გვენახა - არც არასდროს დაგვითესავს და არც არასდროს დაგვიკრეფავს, არ ვიცით, რა უნდა ვუყოთ... ძალდატანებით ვისწავლეთ ბამბის სამუშაო. უზბეკეთში სხვანაირი მიწაა, ისეთი არაა, როგორიც საქართველოშია - ისეთი არაფერი მოდის, რასაც ჩვენ ვიყავით მიჩვეულები. სანამ შევეწყობოდით, ძალიან ვწვალობდით. ისეთი შიმშილობა იყო, რომ ხალხი ძაღლებსაც ჭამდა, კატებსაც, რაღა აღარ ვნახეთ და ღმერთმა ნუ ქნას კვლავ ვნახოთ ეს!.. *(თვალცრემლიანი).*

არაფერი გვქონდა. მარტო საქართველოდან წამოღებული სიმინდი. მე ოთხნახევარი კილოს გადანარჩუნება მოვახერხე. ჰოდა, გადმოვყრიდი ხოლმე ხელისგულით, წავიღებდი წისქვილში, დავფქვავდი... სახლში მოვიტანდი, შეჭამანდს მოვხარშავდი - თითო სულზე დღეში ორ-ორი კოვზი. და მეტი არაფერი.

სიმინდი რომ გამოგველია, ცოცხების მარცვლები მიგვქონდა ხოლმე წისქვილში. იმ ფქვილისას მჭადისმაგვარ რაღაცას ვაცხობდი.

ვჭამდით... აბა, რა უნდა გვექნა? შიმშილი, წყურვილი, სიღატაკე. აუტანელი სიცხე, წყალი არ არის, ჩვენთან რომ არის – მდინარე ან რაიმე ნაკადული მაინც... არაფერი მსგავსი.

და აი ასეთ პირობებში მეორე შვილი გამიჩნდა, ისიც გოგო და ისიც მოკვდა.

მოკლედ, შავ დღეში აღმოვჩნდით... ასეთი ბედი გვერგო.

მოგვიანებით ნელ-ნელა შევეგუეთ მათ ჰავას.

კომენდანტი გვყავდა, უზბეკი. მასთან ხელს ვაწერდით ხოლმე რაღაც ქაღალდზე, რომელიც თავისუფლად გადაადგილებას გვიკრძალავდა. უფლება არ გვქონდა თავისუფლად წავსულიყავით ერთი რაიონიდან მეორეში. პატიმრებივით ვიყავით (იმათ ციხეში აჭმევენ მაინც, შენ კი, როგორც გინდა, ისე გაიტანე თავი).

მერე კი, როგორც კი გვითხრეს გათავისუფლებენო და უფლება მოგვცეს (ჩემი ქმარი იმ დროისთვის პარტიული იყო), ჩვენ თბილისში ჩამოვედით. ზუსტად აღარ მახსოვს, რომელი წელი იყო, მაგრამ ნამდვილად 56-ის შემდეგ. მახსოვს, რომ სტალინი უკვე მკვდარი იყო.

თუმცა ჩვენებს საქართველოში ჩასვლის უფლებას არ აძლევდნენ, ჩვენ მაინც წამოვედით, ალალბედზე. ჩვენები იყვნენ იქ ჩასულები, არაერთგზის გამოყარეს. თბილისიდან მახარაძისკენ ავიღეთ გეზი. მართალია, მესხეთი არ არის, მაგრამ მაინც საქართველოა. ჩვენიანი იქ ჯერ არავინ იყო. ჩვენი დეპორტირებულებიდან ჩვენ ერთადერთი ოჯახი ვიყავით. ჩავედით და მუხლჩაუხრელად ვმუშაობდით, ოღონდ კი ბრიგადირი და აგრონომი კმაყოფილები ყოფილიყვნენ. ეს ადვილი არ იყო. ასეთი შრომისგან, წელში ძლივს ვსწორდებოდი...

შვილების დარდი მქონდა. სულ თვალებში შევციცინებდი, მეშინოდა ავად არ გამხდარიყვნენ და წინა ბავშვებივით არ მომკვდომოდნენ. იმ დროისთვის ოთხნი მყავდნენ: ორი გოგო და ორი ბიჭი. მოგვიანებით ერთი ქალიშვილი მაინც მომიკვდა. გათხოვდა და მოკვდა. სამი შვილი დარჩა, ჩემი შვილიშვილები, ისინიც მე თვითონ გავზარდე. ქალიშვილი და ორი ვაჟიშვილი ჩემთან მყავდნენ. ჩემს ბიჭებს ზურაბი და ლადო ჰქვიათ, ქალიშვილს – სონა. მახარაძეში ფული შევაგროვეთ და განჯაში გადავსახლდით (მაშინ ამ ქალაქს კიროვაბადი ერქვა). სახლი ვიყიდეთ, ცოტახანს ვიცხოვრეთ იქ, მერე სახლი გავყიდეთ და 1988 წელს, როგორც იქნა, ჩამოვედით აქ, ჩვენს მშობლიურ სოფელში, მუგარეთში. ზურაბი კი იქ დარჩა, კიროვაბადში.

ლადო თავისი ოჯახით ახლა ჩემთან არის. დანარჩენი შვილები აზერბაიჯანში ცხოვრობენ: ზურაბი - განჯაში, სონა - ქალაქ მინგეჩევირის სიახლოვეს.

ჩემს ქალიშვილს ძალიან უნდა, რომ მთელმა ჩვენმა ოჯახმა აქ, თავის სამშობლოში მოიყაროს თავი.

როგორც ქალიშვილს, ისე ვაჟიშვილს ჩვენთან, მუგარეთში, უნდათ გადმოსახლება. თქვენ იტყვით, ხელს რა უშლითო? ადგილობრივი მოსახლეობაა წინააღმდეგი! წარმოიდგინეთ, რომ არ გვიშვებენ!.. ამბობენ, მაჰმადიანებს არ მოვუშვებთო. არადა, მათ დაავიწყდათ, რომ 1944 წლამდე მუგარეთის ყველა მცხოვრები მაჰმადიანი ქართველი იყო. და ისინი ამ სოფლის მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ! ისინი კი, ვინც აქ ჩამოიყვანეს (ასევე ძალდატანებით, სხვათა შორის!) და ვისაც 60 წელი შეასმენდნენ, რომ აქედან «ხალხის მტრები» გაასახლეს, დღემდე გონებაში ამ პროპაგანდით ცხოვრობენ.

მე და ლადო ჩამოვედით აქ. კარგი შვილიშვილები მყავს. უმცროსი აქ, თსუ-ს ახალციხის ფილიალში სწავლობს, გოგონა სამედიცინო-ეკოლოგიურ ინსტიტუტში სწავლობს, ბათუმში... ჩემი ვაჟიშვილითაც კმაყოფილი ვარ. რძალიც კარგი მყავს.

ჩემი ქალიშვილი, სონა უბრალოდ კვდებოდა, მასაც ისე უნდოდა ჩამოსვლა, ჩვენ გვერდით, მშობლების გვერდით ცხოვრება. მაგრამ ადგილობრივებმა არ ჩამოუშვეს. შეიკრიბნენ და გამოაცხადეს, თუ იყიდით, სახლს დაგიწვავთო. აი ასე არ ჩამოუშვეს აქ ჩემი ქალიშვილი. ეს შარშან იყო. დიახ, ასეთი რამეც ვნახეთ... ჩვენ ახლა სოფლელებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ სხვებს არ უშვებენ, და ეს დემოკრატიული მისწრაფებების მქონე ქვეყანაში ხდება...

ჩვენი დეპორტირებული მამუკაშვილების ოჯახი ავიღოთ – ისინიც მუგარეთელები არიან. ოჯახის უფროსი არაერთხელ ჩამოვიდა თავის მშობლიურ სოფელში სახლის საყიდლად და დასასახლებლად. ამ დღეებშიც იყო ჩამოსული, სახლის ყიდვა უნდოდა. და სოფლელები ისევ დაემუქრნენ – თუ აქ იყიდის სახლს, დავუწვავთო და აი ასეა დღევანდელ დღემდე. დღემდე არ აძლევენ უფლებას, რომ ქალიშვილი ჩამოვიდეს და მშობლების სიახლოვეს იცხოვროს. ესეც შენი ცხოვრება! მოდი და იცხოვრე ასე!

მათთან შეთანხმებაც ვერ ხერხდება. არ გვინდაო, ამბობენ! თქვენიანი არავინ ჩამოვიდესო. თქვენ იცხოვრეთ, სხვებს კი არ მოვუშვებთო. ახლა უკვე ვფიქრობ, ახალციხეში მაინც ჩამოვიდეს ჩემი ქალიშვილი, იქ ათამდე (იქნებ მეტიც) ჩვენი ოჯახი ცხოვრობს, იქ იყიდონ სახლი და იცხოვრონ. შორს მაინც არ იქნებიან, აქ

მაინც იქნებიან, სამშობლოში.

აი, შვილო, ეს არის ჩემი ისტორია.

ნორმალური ცხოვრება დღევანდლამდე არ მენახა. ახლა აქ ვარ, ჩემს სამშობლოში – თითქოს ყველაფერი კარგია - ჰაერიც, წყალიც, ჰავაც... ყველაფერს ჩვენ თვითონ ვრგავთ, ყველაფერი ჩვენ თვითონ მოგვყავს. ჩვენი შრომით ვჭამთ, მადლობა ღმერთს! ყველაფერი კარგადაა! მაგრამ სხვებს მათ მშობლიურ სოფელში არ უშვებენ. მეუბნებიან ნურც თქვენი ვაჟიშვილი ჩამოვა და ნურც თქვენი ქალიშვილიო. რა უნდა ვქნა?

1988 წელს რომ ვბრუნდებოდით, არც ჩვენ გვიშვებდნენ, მაგრამ მაშინ ჩვენ მტკიცედ ვიდექით, და მე განვაცხადე არსადაც არ ვაპირებ წასვლას-მეთქი! ჩემი სამშობლო აქ არის და მე აქ მოვკვდები-მეთქი. მაშინ საქართველოს ინტელი-გენციამ ძალიან დაგვიჭირა მხარი, კრებებზე ხალხთან ერთად ჩამოდიოდნენ, არწმუნებდნენ, უხსნიდნენ, მადლობა მათ...

ახლა მე 82-ე წელიწადში ვარ გადამდგარი. მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ შემიძლია შრომა.

მოდიან ხოლმე მეზობლები და მთხოვენ წიწილები გვასესხეო. ხან ერთს მთხოვენ, ხან მეორეს. უარს არავის ვეუბნებით, ყველას ვეხმარებით, რითიც შეგვიძლია. ისინი კი ასე გვპასუხობენ.

არცკი ვიცი, რატომ. ჩვენ უკვე ვფიქრობთ, ახალციხეში დავსახლდეთ. ვიდრე აქ ვიჩხუბოთ და მარტოობაში ვიცხოვროთ, უმჯობესია ახალციხეში გადავსახლდეთ და ჩვენიანებში ვიცხოვროთ იქ.

თუმცა ალალად ვიტყვი. კარგი ცხოვრება არ მინახავს. მარტო ჩვენს მუგარეთში რომ ჩამოვედი, მარტო აქ დავინახე, რომ მზე ამოდის და ადამიანი ცხოვრობს. თითქოს თვალები ხელახლა ამეხილაო. ისე კი 60 წელი ასეთი ტანჯვა-წვალებით ცხოვრობდა ჩვენი ხალხი. აქ კი - მადლობა ღმერთს! თუმცა მეორე ვაჟიშვილი და ქალიშვილი გვერდში არ მყვანან, რა ვქნა? როგორ მოვიქცე?

ადგილობრივი ხელისუფლებაც ათასნაირ დაბრკოლებას გვიქმნის. ვაჟიშვილს პენსია ეკუთვნის, როგორც საქართველოს რეპრესირე-ბულ მოქალაქეს. ხან იქით აგზავნიან, ხან აქეთ... ხან თბილისის სასამართლოში, ხან აქ. რატომ იგდებენ ასე აბუჩად ამ ხალხს? რამდენი ვიტანჯეთ! მიეცი მას საშუალება ნორმალურად, ადამიანურად იცხოვროს, მიეცი კუთვნილი ლუკმა პური და ყლუპი წყალი. რატომ არის სახელმწიფო ასეთი უმოწყალო მათ მიმართ? ბოლოს და ბოლოს საკმარისია!.. რამდენი უნდა ანადგურონ ხალხი? ამ მღვრიე წყლებმა, 60 გრადუსიანმა სიცხემ მოსპეს და დახოცეს ჩვენიანები. მთელი ერია განადგურებული! დამსაფლავებელი აღარავინ იყო. სახლები დაკეტილი რჩებოდა. ყურადღებას არავინ გვაქცევდა. რა ცხოვრება უნდა იყოს, როცა 200 გრამი პური გაქვს? დიახ, სწორედ ასე იყო *(დიდხანს დუმს).*

გიკვირს, მაჰმადიანურად, ანუ თურქულად კარგად რომ ვლაპარაკობ? ეს ენა მე მაშინვე ვიცოდი, როცა მშობლიურ ვალეში ვცხოვრობდი. ყველა ჩვენი მეზობელი მაჰმადიანი იყო, იქ მარტო მაჰმადიანურად ლაპარაკობდნენ.

საკვირველია, რომ ვალეში ასე არ იყო. შენ ქართველი ხარ, შენ მაჰმადიანიო, ან სხვა რაიმენაირი დაყოფა. მე ასეთი რამ არ მინახავს. 20 წლის ვიყავი, როცა იქიდან წამოვედი. იქ ისეთი თბილი მეზობლობა გვქონდა... ისე ხშირად დავდიოდით ერთმანეთთან სტუმრად. ქორწი-ლებსაც, დასაფლავებასაც - ყველაფერს ერთად ვატარებდით. არავინ არავის ეხებოდა. სულ ტყუილებია, რომ ამბობენ ვიღაცა ვიღაცას აწყენინებდაო... ვალე ხომ პატარა სოფელი არ იყო. ორი ათასი ოჯახი ცხოვრობდა იქ. ფრანკებიც *(ქართველი კათოლიკეები - კ.ბ.)* ცხოვრობდნენ, ქართველებიც *(ანუ მართლმადიდებელი ქართველები – კ. ბ.),* და მაჰ-მადიანებიც. ქრისტიანი ქართველები სულ 20 ოჯახი იყვნენ. ფრანკებიც იყვნენ. არანაირი კონფლიქტები, არანაირი გაუგებრობები არა გვქონია. ყველაფერს ერთად ვიყოფდით. ჭირსაც და ლხინსაც.

- შესაძლებლობა რომ გქონოდათ, დარჩებოდით აქ?

- რისთვის? ჯერ ერთი, ნება არ მომცეს, მეორეც, არაფრის გულისთვის არ დავრჩებოდი. როგორ, ქმარს უნდა დავშორებოდი? სადაც ჩემი ქმარი მოკვდება, მეც იქ უნდა მოვკვდე!

ახლა კი, მადლობა ღმერთს, ჩვენსას ვართ. აქ ყველაზე უკეთესია. იმიტომ რომ სამშობლოა. წყალი კარგია, პირობები – ნორმალური. იმუშავებ და თავს გაიტან, იცოცხლებ. არადა, შიმშილით მოკვდები. ყველაფერი შენს შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული. ჩვენ კი შრომისმოყვარეობა არ გვაკლია...

ჰოდა, ვმუშაობთ ყველანი, მეც და ჩემი ქმარიც, ჩვენი ასაკის მიუხედავად.

13 ივნისი, 2004 წ.
ახალციხის რაიონი, ს. მუგარეთი

P.S. *2004 წ. 4 ოქტომბერს საშიკო დიასამიძე უეცრად გარდაიცვალა ახალციხის რაიონის სოფელ მუგარეთში. დაკრძალვაზე მისი შვილები, შვილიშვილები და ნათესავები ჩამოვიდნენ. ამჯერად თანასოფლელებს მათი ჩამოსვლა არ გაუპროტესტებიათ. მათ ნება დართეს უკანასკნელ გზაზე გაეცილებინათ ერთგული ცოლი, მრავალტანჯული დედა და მზრუნველი ბებია - საშიკო დიასამიძე.*

მასალა მოამზადა
კლარა ბარათაშვილმა

იქით და უკან

ეს უკვე «კავკაზსკი აკცენტის» მიერ გამოქვეყნებული ჩემი მეათე სტატიაა დეპორტირებული მესხების ცხოვრების შესახებ. ეს ნამდვილი ამბებია და არა გამოგონილი და მათში ბევრი რამ ემთხვევა, რადგან ყველა მათი გმირი დევნილია. როგორც წესი, ესენი «ხერხემლიანი» ადამიანები არიან. ყველაფრის მიუხედავად, ისინი ცოცხლები გადარჩნენ, მათ ადამიანური ღირსებაც შეინარჩუნეს და მათ უყვართ საკუთარი სამშობლო - საქართველო.

მაგრამ გაზეთის რედაქციაში გაჩნდა აზრი, თითქოს ეს ამბები «არაწაკითხვადია», მკითხველისთვის მოსაწყენია და ამჯერად მთხოვეს «რამე ისეთი» დამეწერა, რაც შიგ გულში მოხვდებოდა იმ მოხელეებს, რომლებსაც მესხური პრობლემის გადაჭრა არ უნდათ. მაპატიეთ, ბატონებო, მაგრამ ეს შეუძლებელია!

მოხელეებს ეს «შიგ გული» არ გააჩნიათ.

ესეც არ იყოს, მე მოხელეები იმდენად არ მაღელვებენ (ბოლოს და ბოლოს მათ ამ ინდიფერენტულობისთვის უხდიან ფულს!), როგორც ჩვენი საზოგადოების ემოციური სიჩლუნგე (საზოგადოებისა, რომელსაც თავისი ტოლერანტობით მოაქვს თავი) და სამარცხვინო გულგრილობა ათასობით რეპრესირებული თანამოძმისადმი.

როცა ჩვენი სოციუმის ზოგიერთი მეტისმეტად «მაგარი» წარმომადგენელიც კი საქვეყნოდ ირწმუნება მესხების პრობლემა «თითიდან არის გამოწოვილიო», უბრალო ობივატელზე რაღა ითქმის, ქსენოფობიითა და შეუწყნარებლობით რომ არის გამსჭვალული? მისთვის თავისთავად ცხადია: დეპორტირებულებს უკან დასაბრუნებელი გზა უნდა მოეჭრათ.

შესანიშნავმა გერმანელმა მწერალმა ერიჰ მარია რემარკმა ერთხელ თქვა: «მათ, ვისაც ყველა ადგილიდან დევნიან, ერთი სახლი, ერთი ნავსაყუდელი აქვთ - სხვა ადამიანის მღელვარე გული». სამწუხაროდ, ეს გამოთქმა მესხების ტრაგედიას არ მიესადაგება! რადგანაც ქართველი საზოგადოებისთვის ეს ტრაგედია კი არ არის, არამედ «ეროვნული ინტერესების დაცვა». ვინაიდან რეპრესირებულები სხვები არიან, რაზეც აგებს თავის იდეოლოგიას ნაციონალიზმი. და არავითარი «ლურსმნები», ანუ არავითარი მესხები, პარდონ, «თურქი მესხები» ქართულ მიწაზე!.. და მით უმეტეს, არავითარი ტკივილიანი ამბების თხრობა მათი გასახლების შესახებ. დიახ, სწორადაც მოიქცნენ, რომ გაასახლესო!.. ის კი არა, უნდა ყველა დაეხვრიტათ კიდეც, რომ უკან აღარავის მოეთხოვა დაბრუნებაო... აი მაშინ კი ნამდვილად ასე იქნება – არ არის ხალხი, არ არის არც პრობლემა.

და საზოგადოებისადმი მიმართული ყველა მოწოდება, დაეგმოთ სახელმწიფოს სისასტიკე, რომელსაც მესხების საკითხის გადაჭრა არ სურს, - ფუჭია, რამეთუ საზოგადოება სწორედ ისეთ ხელისუფლებას წარმოაჩენს, როგორც მას სჭირდება.

სამწუხაროდ, ეს თანამედროვე საქართველოს რეალიებია.

ძვირფასო მკითხველო! შეგიძლია გამოტოვო და არ წაიკითხო ეს მასალა, მე არ მეწყინება. რადგანაც, როგორც ლენინგრადის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტში ფილოსოფიის ლექტორი გვეუბნებოდა: «როცა გასაგებია, მაშინ საწყენი აღარ არის».

საოცრად ლამაზი გოგონა დაიბადა! ცისფერთვალება, ჯანმრთელი. თუმცა კადიმი ბიჭს ელოდება, მაინც გახარებული იყო - დედის დამხმარე გაიზრდებაო: ცოლის, ფატის სუსტი ჯანმრთელობა ადარდებდა. ეს 1933 წელს იყო, საქართველოს სსრ-ს ადიგენის რაიონის სოფელ ჩიხელში. ახლა ეს სოფელი მხოლოდ დეპორტირებული მესხების მეხსიერებაშიღა არსებობს.

ახალგაზრდა დედას მართლაცდა დიდხანს არ გაუხარია გოგონას დაბადებით. მხოლოდ ოთხი დღე. მერე კი ჩუმად ამოიოხრა და მისი სული ზეცას ამაღლდა.

სახლში, მშობიარობასთან დაკავშირებით, კადიმის უფროსი და, ისმინაზი იყო სტუმრად.

იმავე ადიგენის რაიონის სოფელ ზანავიდან ჩამოვიდა, სადაც იყო გათხოვილი და დიდი ოჯახიც ჰქონდა, განსვენებულიც ზანაველი იყო წარმოშობით.

კადიმი ძალიან განიცდიდა. ის ლამა-ზმან ცოლთან ერთად კარგი ოჯახის შექმნაზე ოცნებობდა, მან კი ასე ადრე მიატოვა, ასე ადრე... იჯდა დაქვრივებული, თავი დიდ ხელებში ჩაერგო და უხმოდ ჩასჩერებოდა ფეხებშუა იატაკს.

ისმინაზმა თანაგრძნობით უთხრა: «ჩემო ძმაო, ყველაფერი ალაჰის ნებაა! ასე ძალიან ნუ დარდობ... გოგონას დარდი კი ნუ გექნება, - ჩემი საკუთარი შვილივით გავზრდი». და ზანავში პატარა ფერადი ბოხჩა თან გაიყოლა. გამოხსნა სახლში ჩვრები, და გამოჩნდა თვალდაჭყეტილი ჩვილი - ნამდვილი «ჩახალ გიოზი» («ცისფერთვალა»)! ჩახალი ერქვასო, გადაწყვიტა ისმინაზმა, მოფერებით კი ჩახოო (ოჰ, ეს ჩვენი სახელები! რასაც და სადაც უნდა არქმევდნენ ბავშვს, მესხები სახელს აუცილებლად ამატებენ დაბოლოებას - «ო» - აი, ასე, თუმცა კი ქართული ენა არ იციან, ისინი ქვეცნობიერად მიმართავენ წოდებით ბრუნვას, რომელსაც სხვა ენებში ანალოგი არა აქვს).

ჰოდა, გაიზარდა გოგონა სოფელ ზანავში. როგორ ევლებოდა მამიდა თავს, თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა! არავის ანდობდა პატარას. რაც არ უნდა იყოს, ძმის სახსოვარი იყო. ქვრივი კადიმი ჯარში წაიყვანეს, იქ კი ის უბრალოდ გაქრა. არავინ იცოდა, რა იქნა. იმ წლებში ადამიანები სულ ადვილად იკარგებოდნენ. დარჩა ჩახო დედითაც და მამითაც ობოლი. მაგრამ უზრუნველად ცხოვრობდა. რადგანაც «... ზანავი ისეთი სოფელი იყო, დედამიწის ზურგზე რომ არ მოიპოვება! უი-უი-უი! - მოსთქვამს ჩახო ბებო, თავისი ცხოვრების ისტორიას რომ მიყვება - ჰაერი, წყალი... მაღლა მთები, დაბლა ბაღები. ჩვენი საკუთარი, კოლმეურნეობის ბაღების ჩაუთვლელად». მამიდის კალთას ჩაბღაუჭებული ადიოდა ციცაბო ტერასებზე, პატარა თითებით კრეფდა განთქმულ ვაშლსა და მსხალს - სინაფს, ხეჭეჭურს, გიუგიუმარმუდის, ყაბახარმუდის...

ზაფხულობით კი მთელი მეურნეობა მთებში, იალაღებზე ინაცვლებდა. საქონელს მივერეკებოდით. «...საქონელი მრავლად გვყავდა, - განაგრძო ჩახო-ნენემ, და სოფელ ნასაკირალში საკუთარ ბაღში მოწეული ქაცვით სავსე ჯამი მომიწია. - მთელი ახორი, ანუ ბოსელი. ძროხებიც, ხარებიც, ცხვრებიც - ქვეყნისა გვყავდა». გოგონა არასდროს იღლებოდა, როგორ მაღლაც არ უნდა ავსულიყავით მთაში. შემოდგომაზე კი ყველითა დაკარაქით დატვირთულები, სიხარულით ვბრუნდებოდით სახლში.

კარგად ვცხოვრობდით. მამიდა ისმინაზის ქმარი, დურსუნი მრავალი წელი მუშაობდა სოფლის მაღაზიაში. აბრეშუმი და ხავერდი ბარდანებად ეწყო სკივრებში, აქეთ-იქით ოქროს მონეტები და სამკაულები იყო ჩატანებული.

მამიდას ორი ვაჟიშვილი ჰყავდა, ჩახოს

მამიდაშვილები - მილიაზი და ალიაზი, უფროსს ცოლად ყოჩაღი ქალი ჰყავდა – სიალმინაზი. მარჯვე, მარდი, მომჭირნე, საქმეში ცეცხლივით იყო. ჩახო თავის ძმისშვილებს ეთამაშებოდა, მისი კი ეშინოდა. და არცთუ ტყუილად! რადგანაც მან გოგონა აითვალწუნა და მისი მოშორება უნდოდა. ვიდრე სახლში პატრონი იყო, კიდევ ითმენდა, მამიდის ქმარი მალე მოკვდა. ხოლო, როგორც კი ომი დაიწყო, ორივე ძმა ფრონტზე წავიდა – წავიდნენ და დაიკარგნენ. თვითონ ისმნაზი კი ფრონტზე დაკარგულ შვილებს დასტიროდა (უმცროსი ხომ სულ 16 წლის იყო) და ჩახოს დარდი ჰქონდა. რადგანაც რძალმა ობოლი გოგონას ბავშვთა სახლში მიბარება გადაწყვიტა, - ეს კი გაუგონარი რამ იყო ცოცხალი ნათესავების ხელში!

ჩახო დადიოდა სკოლაში (სადაც მაჰმადიან მესხებს აზერბაიჯანულ ენაზე ასწავლიდნენ - ასეთ იყო ხელისუფალთა გაურკვეველი ნება), მამიდასთან ერთად დაცუნცულებდა ბაზარში ეგრეთ წოდებულ რაბათში. ეს სოფლის ზემო ნაწილია, სადაც «ქართველები» ცხოვრობდნენ (ისინი კი «მისლიმანები» იყვნენ). ჩახოს არ ახსოვს, ისინი მტრულად რომ მოჰქცეოდნენ. ყველანი უაღრესად კეთილმოსურნეები იყვნენ, როგორც კარგ მეზობლებს ეკადრებოდათ.

ასე და ამრიგად, იღრუბლებოდა. მაგრამ როგორც ჩახო ბებია ამბობს: «ბედმა გაუღიმა, ალაჰმა შეიბრალა». ბავშვთა სახლზე ლაპარაკის შემდეგ მალევე უარესი უბედურება დატრიალდა. იმხანად გოგონა სულ რაღაც ცხრა წლის იყო.

თუმცა ძნელია «ბედის გაღიმება» ეწოდოს დეპორტაციის საშინელებებს. 1944 წლის 14 ნოემბერს მესხეთის 220 სოფელში ერთი და იგივე სურათი იყო. აბღავლებული საქონელი, «სტუდებეკერები», შაშხანებიანი ჯარისკაცები, სახელდახელოდ შეკრული ფუთები, ადამიანების მოთქმა, რომელიც ძაღლების ყმუილს უერთდებოდა... მართალია, ჯარისკაცები გულმოწყალეები შეხვდნენ: «ჩვენებურად ლაპარაკობდნენ, არ უხეშობდნენ, პირიქით, გვირჩევდნენ: ფქვილი წამოიღეთ, ჭურჭელიო, ცული არ დაგავიწყდეთო, გვეუბნებოდნენ,- გამოგადგებათო...» აწყურამდე – საშინელი ამერიკული მანქანებით, იქ კი, უკვე ღამით, შავ გაყინულ ვაგონებში შეგვყარეს. რაც არ ეტეოდა, მაშინვე ყრიდნენ. «ბოლო არ უჩანდა ჩვენს ხალხს!» ურდულების ღრჭიალი, რკინიგზის ბორბლების ჭრიალი, ორთქლმავლის საზარელი საყვირი და... გაღოღდნენ მატარებლების საზარელი მუხლუხოები, მიღოღავდნენ და ხახიდან კვამლსა და ცეცხლს ანთხევდნენ. მშვიდობით, სამშობლოვ!..

მთელი თვე გზაში. შიმშილი, ტილები, ავადმყოფები, რომლებსაც მატარებლიდან სვამდნენ და ვითომ საავადმყოფოებში აგზავნიდნენ (ვინაობას არავის ეკითხებოდნენ), მატარებელს ჩამორჩენილები და გაუჩინარებულები გაყინული სლიპინა გვამები, ჯარისკაცები მათ ციგებივით ჩაასრიალებდნენ და ისინი მდოვრედ ჩასრიალებულები რკინიგზის ვაკისის თოვლის ნამქერებში ეფლობოდნენ, ზეცისკენ ამაოდ აღპყრობილი გაყინული ხელებით... მათ თვლა არა აქვთ, მარადიული იყოს იმ უცოდველთა ხსოვნა!..

ბოლო გაჩერება ყაზახეთია, ყიზილ ორდის რაიონი, სოფელი ტიუმიან ერიკი - მოხუცს დღემდე ახსოვს ეს ადგილი და ეს წყეული სახელი!

ვცხოვრობდით ისე, როგორც ყველა გადასახლებული - რამდენიმე ოჯახი ერთ სახლში. – ასე ახლო-ახლო მჭიდროდ, ოღონდ ქუჩაში არ ვყოფილიყავით.

გადასახლებულები კი ყაზახეთში საკმარისად იყვნენ. თავად ისინი, ვისაც ყველა «კავკასიელებს» ეძახდა, 41-ში გადასახლებული გერმანელები ვოლგისპირეთიდან, ჩეჩნები, რომლებიც ერთი წლით ადრე გამოჩნდნენ აქ და კორეელები. ეს უკანასკნელები ჯერ კიდევ საბჭოეთამდე ცხოვრობდნენ იქ და ამიტომაც იყო, რომ ბრიგადირებიც, ბუღალტრებიც და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებიც კი იმათთაგანები იყვნენ.

ჩახო ადამიანების, ენების, ზნე-ჩვეულებების მრავალფეროვან სამყაროში აღმოჩნდა... მაგრამ ყველას ერთი რამ აერთიანებდა – გულითადი დამოკიდებულება «კავკასიელებისადმი». ჩახო ბებოს დღემდე ახსოვს, როგორ გულისხმიერად ეხმარებოდნენ მათ მეზობლები – გერმანელები, ყაზახები, ჩეჩნები და კორეელები. ხშირად მიჰყავდათ ხოლმე გოგონა თავისთან, აჭმევდნენ ობოლს, აცმევდნენ, გრძელი თმებიდან ტილებს ჩამოვარცხნიდნენ.

მამიდა ისმინაზმა ვერ გაუძლო ყველა ამ უბედურებას. ძმა დაიკარგა, ვაჟიშვილები დაიღუპნენ, არავინ იცის რისთვის გამოასახლეს მშობლიური სახლიდან, შვილიშვილი გადასახლებაში მოკვდა... სამი წელი იტანჯა უბედურმა. თუმცა ჩახოსთან ერთად ბოლომდე დადიოდა სამუშაოზე კოლმეურნეობაში, შრომადღეებს გამოიმუშავებდა, ოღონდ კი გოგონა ოჯახში მუქთამჭამელად არ ჩაეთვალათ. რაღაც არხებს თხრიდნენ ბრინჯისთვის, თუმცა მშიერ ბავშვს რა დახმარება უნდა გაეწია – კეტმენი ძლივს უჩერდებოდა სუსტ ხელებში. «ჩემი მშობლიური ბიჭები...» - ამ სიტყვებით დალია სული. ჩახოს ხელი ხელში ჩაეკიდნა მისთვის და უაზროდ

უყურებდა, როგორ ქრებოდა მშობლიური მოხუცებული ადამიანის თვალებში სიცოცხლე.

მამიდა ისმინაზი მეზობელმა ჩეჩნებმა დამარხეს. ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც ეგების – დაბანეს კიდეც და საფლავიც გაუთხარეს. სულის მოსახსენიებელი ლოცვაც მათივე მოლამ, აბუ-ბექარმა წაიკითხა.

ამის შემდეგ რძალი მეორედ გათხოვდა და გოგონა მიატოვა. ჰოდა, დახეტიალობდა ობოლი, ხან ვისთან იყო, ხან ვისთან, ნამჯაზე ეძინა, ძონძები ეფარა. მაგრამ საბედნიეროდ, ერთ ადამიანს თვალში მოუვიდა. აზერბაიჯანელი იყო, ისიც ობოლი, სახელად მაჰმუდი. ადგა და მოიტაცა. «ჩემი მეურვეები წინააღმდეგები არ ყოფილან, - ფილოსოფიურად მსჯელობს ბებია – ასე თუ ისე დაბინავებული ვიქნებოდი. სიძე შესარიგებლად მოვიდა, შეთანხმდნენ და ასე გავხდი გათხოვილი ქალი». ჩემი ქმრით კმაყოფილი იყო, შვიდი შვილი გააჩინა - ოთხი ვაჟიშვილი და სამი ქალიშვილი.

50-იანი წლების მიწურულს გადასახლებულებისთვის სპეცდასახლების რეჟიმი გააუქმეს, «აზატობის სიგელი» ყველას მისცეს, ჩვენს «კავკასიელებს» - კი ძალიან პირობითად: ყველგან შეგიძლიათ წახვიდეთ, სადაც გნებავთ, ოღონდ იქ - არა, საიდანაც გადმოგასახლესო. ესეც თქვენი «თავისუფლება!» ჰოდა, ამ დროს აზერბაიჯანმა ამ ტანჯულების მიღების სურვილი გამოთქვა (რადგანაც მესხები «აზერბაიჯანელებად» იყვნენ ჩაწერილები, თუმცა გასახლებით, ისე გაასახლეს, როგორც «თურქები». ამ ხელისუფლებისას ვერაფერს გაიგებ) – მადლობა მას, იქ მესხები «ხალხის მტრების» ლაქას მაინც არ გრძნობდნენ, ჰოდა, ბევრ ჩვენიანთან ერთად მიაშურეს აზერბაიჯანს. ქმარი 1976 წელს განეშორა წუთისოფელს და დარჩა ჩახო დიდი ოჯახის სათავეში. არ გატეხილა. ვაჟიშვილები დააქორწინა, ქალიშვილები გაათხოვა.

მაგრამ დაკარგულ სამშობლოზე ფიქრი არ ასვენებდა. და აი 1982 წელს რამდენიმე მესხური ოჯახი (მათ შორის ჩემი მონათხრობის გმირი) ოზურგეთის რაიონის სოფელ ნასაკირალში დასახლდა. თავს ჩაის კრეფით ინახავდნენ. ძნელად მოსაპოვებელი იყო ეს პური, მაგრამ შრომისმოყვარეობისა და თანადგომის წყალობით ოჯახი გადარჩა. ისინი ნორმაზე ორჯერ მეტ ჩაის კრეფდნენ. მათი პორტრეტები წარმოების მოწინავეთა დაფაზე ეკიდა.

საქართველოში ჩამოსულმა ჩახო ბებიამ გაკვირვებულმა აღმოაჩინა, რომ ბევრი ქართული სიტყვა, როგორც თვითონ ამბობდა, «ჩვენი» ენიდანაო. «ჭანჭური», «თავშალი », «შაქარი», «ბრინჯი»... ეს, მისი თქმით, «...პირდაპირ მიუთითებს ჩვენს ქართულ წარმომავლობაზე». 1989 წელს ამ დიდმა ოჯახმა აღიდგინა თავისი ისტორიული გვარი. სოფელ ზანავის სახსოვრად მან დედის გვარი მიიღო. ახლა ოჯახის ყველა წევრი ლაზიშვილია.

ახლა ეს სავსებით ინტეგრირებული ოჯახია. შვილები და ახლა უკვე შვილიშვილებიც ქართულ ენაზე სწავლობენ. უმცროსმა ვაჟიშვილმა, ისკანდერმა განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, მისი შვილი, ჯემალი ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლეა სოფლის სკოლაში, წარმატებებისთვის არა ერთხელ დაჯილდოვდა ქართველ რეპატრიანტთა კავშირის მიერ, გასული წლის დეკემბერში კი ისეთი თხზულება დაწერა, - «მშვიდობისათვის ძალადობის გარეშე», რომ კონკურსში გაიმარჯვა! თბილისში მიიწვიეს, სადაც ობოლი ჩახოს შვილიშვილი ჯემალ ლაზიშვილი დიდებულ ოტელში «შერატონ მეტეხი პალასში» დააჯილდოვეს! ამას რომ მიყვება, ჩახო სიამაყის ცრემლებს იწმენდს.

მაგრამ ბებოს სწორედ თავის მშობლიურ სოფელ ზანავში დასახლებაზე ფიქრი არ ეშვება. «როგორც კი სამშობლოს მოგვცემენ, - ნატრობს ის, ცისფერთვალება მზერა კი სადღაც, შორს მიუპყრია, - ორ ვაჟიშვილს მაშინვე ზანავში წავიყვან. სამშობლოს ჰაერით მაინც ვისუნთქებ».

ჰო-ო... ჩვიენ ნასაკირალელი მესხები (სოფელში ოცდაათზე მეტი მათი ოჯახია) - რამდენი წელია აქ ვართ, დასავლეთ საქართველოში, მაგრამ სულ რაღაცას ამოწმებენ, ამოწმებენ... ქართველები ვართ, შეგვეშვით, ქართველები... მაგრამ მესხები!.. ამიტომაც გვინდა ჩვენს სამშობლოში – მესხეთში ვცხოვრობდეთ. როგორც გურული ცხოვრობს გურიაში, კახელი - კახეთში, ისე ჩვენც, მესხებსაც გვინდა მესხეთში ვცხოვრობდეთ. და უცნაური ამაში არაფერია!.. ძნელია არ დაეთანხმო ამას.

კლარა ბარათაშვილი
2005 წ. იანვარი

«კავკაზსკი აკცენტ»,
№124, 01.02-15. 02.2005 წ.

მინაიათ კულაევა (არევაძე): «ჩემში გენეტიკურმა მეხსიერებამ გაიღვიძა...»

ჩვენი გვარის ფესვია ზუბალაშვილი. მე ეს დიდი ხანია ვიცოდი, ჯერ კიდევ ბებია მიამბობდა, რომ თავადიშვილური გვარი გვქონდა. ამბობს, ძალიან მდიდრები ვიყავითო; რა თქმა უნდა, ბევრი რამ არ ვიცი, ერთადერთი, რაც ვიცი, ის არის, რომ თავადიშვილური გვარის ჩამომავლები ვართ.

პაპაჩემს ისკანდერი ერქვა. მის მამას -სულეიმანი, ხოლო მის მამას - კადირი. კადირის მამას უბრალოდ «დედეს» ეძახდნენ *(«პაპა» თურქულად. - კ. ბ.),* როცა ჩავეკითხებოდი, რატომ არ ამბობთ, სინამდვილეში რა ერქვა-მეთქი? - ბებია მპასუხობდა – მისი სახელის დასახელება არ შეიძლება, ის «კაფირი» *(ურწმუნო», «სხვა რწმენის», ანუ ქრისტიანი იყო - კ. ბ.)* იყოო. ამიტომაც უბრალოდ «პაპას» ეძახდნენ.

ძალიან ცნობისმოყვარე ვიყავი, ყველაფერი მაინტერესებდა, ბებია კი მიჯავრდებოდა - რად გინდა, რომ ყველაფერი იცოდეო? ის ხომ იცი, რაც მე შენთვის მომიყოლია? ჰოდა, ეს ის არის, რაც შენ უნდა იცოდეო. მე კი არ ვეშვებოდი: «ბებია, იქნებ შენ მაინც იცი, მითხარი». ის კი მპასუხობდა: «არაარა, მისი სახელის ხსენება არ შეიძლებაო».

წარმოშობით ჩვენ ასპინძიდან ვართ. მამაჩვენი კი ბორჯომში სწავლობდა, ქართულ სკოლაში - ეს 30-იან წლებში იყო. ასპინძაში აზერბაიჯანული სკოლა ჰქონდათ, მაგრამ პაპაჩემს არ უნდოდა, რომ მამას აზერბაიჯანულ სკოლაში ესწავლა. იმიტომ რომ აზერბაიჯანული სკოლის შემდეგ სწავლის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა - ეს იმას ნიშნავდა, რომ საერთოდ არ მიგეღო განათლება. ამიტომაც გაგზავნეს ის სასწავლებლად ბორჯომში, თუმცა კი ასპინძაში ცხოვრობდნენ. ბორჯომში მამა ნაცნობებთან ცხოვრობდა და კვირაში ერთხელ ჩადიოდა სახლში.

ერთხელ - ის მაშინ სულ 8 წლის იყო – მამა მთელი თვე არ ყოფილიყო სახლში. მერე კი ვეღარ გაძლო და ბორჯომიდან ფეხით გაიქცა ასპინძაში. ბინდდებოდა, როცა სახლამდე მიაღწია. ქუჩაში უფროსი ძმა შეხვდა და როცა გაიგო, რომ მამა სკოლიდან გამოქცეულიყო, გაუჯავრდა და უთხრა: «ახლავე დაბრუნდი უკან!» მერე კი, თურმე ჩუმად შეუთვალა თავის ბიძას, ასე და ასე, გამოვაგდე და მიხედეთო. და ძია ვითომ შემთხვევით შეხვდა მამას, თავისთან წაიყვანა. მთელი ღამე დაიტოვა და მეორე დღესღა თვითონვე წაიყვანა უკან. ამის შემდეგ მამა აღარ გაქცეულა.

სკოლის შემდეგ უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა – თბილისში, ქიმიის ფაკულტეტზე სწავლობდა და უკვე მე-4 კურსზე იყო, როცა ომი დაიწყო და ფრონტზე წაიყვანეს.

სტალინგრადის ბრძოლაში მამამ ორი ჭრილობა მიიღო და დემობილიზებული იქნა. მაგრამ როცა ფრონტიდან შინ დაბრუნდა, ჩვენიანები იქ აღარ დახვდნენ – ისინი გადაასახლეს. და დაჭრილი - ჭრილობა დაჩირქებული ჰქონდა, დადიოდა და ჩვენიანებს ეძებდა. რამდენჯერმე ჩაუარა იმ ადგილს, სადაც ჩვენები იყვნენ და სამი თვის შემდეგღა, როგორც იქნა, იპოვნა ისინი.

პარტბილეთი მამას ზუბანოვის გვარზე ჰქონდა (ასე გადაიკეთა მან ჩვენი ქართული გვარი ზუბალაშვილი), ხოლო როცა ყაზახეთში ჩამოვიდა, მისცეს პასპორტი, რომელშიც უკვე ისკანდეროვად იყო ჩაწერილი, იმიტომ რომ ყაზახეთში გვარს მამის სახელის მიხედვით წერდნენ. და ჩვენც, მისი შვილებიც ისკანდეროვებად ჩაგვწერეს.

მამამ მშვენივრად იცოდა ქართული ენა, ყაზახეთში ყოფნისას მას ასპინძის რაიონული გაზეთი ჰქონდა გამოწერილი, გარდა «კომუნისტისა» და «ზარია ვოსტოკას» გარდა. ერთხელ რაიონულ გაზეთში ასპინძის აბანოს ფოტოსურათი იყო. მამამ ამოჭრა ის და სულ თან ჰქონდა, ჯიბეში.

მძიმედ ავად რომ იყო, სიკვდილის წინ, მთხოვა მისი პასპორტი ჯიბიდან ამომეღო და მიმეტანა. იქიდან ეს ფოტო ამოიღო და მითხრა: «მორჩა, ახლა კი წადი...» მე გამოვედი და სადღაც ხუთი წუთის შემდეგ ის გარდაიცვალა. მკერდზე კი ის გაცრეცილი სურათი ედო. ეტყობა, გრძნობდა, რომ წუთები დათვლილი ჰქონდა და თავისი ასპინძისთვის თვალის უკანასკნელად შევლება მოუნდა. ეს იყო 1972 წელს, ყაზახეთში.

მაგრამ აქ, საქართველოში, ის 1962 წელს ჩამოვიდა მალულად, ასპინძის ნახვა უნდოდა, ბორჯომამდე ჩავიდა, იქ ავტობუსში ჩაჯდა, მაგრამ ჩამოსვეს. მერე ფეხით სცადა ჩასვლა, მან ხომ ქართული ენა იცოდა, მაგრამ დაასმინეს და ისევ დააბრუნეს. მეორედ ის 1966 წელს ჩამოვიდა - ჩემი ბიძაშვილი ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა და პრაქტიკას თბილისში, წისქვილ-კომბინატში გადიოდა, მამა ძმის სანახავად ჩამოვიდა და უნდოდა, თუ მოხერხდებოდა, მასთან ერთად ფეხით ჩასულიყო ასპინძაში, მაგრამ ისინი ისევ დააბრუნეს, ასე რომ მამამ ვერა და ვერ

ჩააღწია სამშობლომდე.

ის გამუდმებით მიმეორებდა, აუცილებლად ისწავლე, მინდა, რომ თბილისში ისწავლოო. სულ მიყვებოდა სხვადასხვა საინტერესო ამბებს საქართველოს შესახებ. «ვეფხისტყაოსანი» კი ზეპირად იცოდა. და ჩვენც გვიყვებოდა – ჩვენს ენაზე. იმ ნაწყვეტებს, კი სადაც ლამაზი აღწერები იყო, ქართულად გვიკითხავდა. და ასე გვეუბნებოდა, ეს ისეა დაწერილი, რომ სხვა ენაზე გადმოცემა შეუძლებელიაო. გვიყვებოდა შოთა რუსთაველის შესახებ და გვეუბნებოდა, ის ჩვენი დიდი წინაპარი იყოო.

მე ადრეული ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ ჩვენ ვართ «გიურჯიდან დიონმე» *(«ქართველობიდან მოქცეულები» - ასე ეძახიან მესხები თავიანთ თავს, რადგან «ქართველობა» «ქრისტიანობად» მიაჩნიათ. - **კ. ბ.**)*. ამის შესახებ ყველამ ვიცოდით. ჩვენ ბიძაჩვენსაც კი, რომელიც ყაზახეთში ჩვენთან ახლოს ცხოვრობდა, ყველანი «გიურჯის» ვეძახდით, იმიტომ რომ ის ყველას ქართულად ელაპარაკებოდა, ჰოდა, ეს სახელი შერჩა. როცა ის და მამა ერთად დასხდებოდნენ, ყოველთვის ქართულად ლაპარაკობდნენ.

მე განათლება ყაზახეთში მივიღე, სპეციალობით – რუსული ენის მასწავლებელი. აქ, ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხაში 1986 წელს ჩამოვედით. და მაშინვე, ქართული ენის უცოდინარს ქართულ სკოლაში მომიწია მუშაობა. პირველ ხანებში, რა თქმა უნდა, გამიძნელდა, მაგრამ ჩემი მოსწავლეები მეხმარებოდნენ - მე-9 მე-10 კლასები. იქ იყვნენ ისეთი ბავშვები, რომლებმაც კარგად იცოდნენ რუსული ენა. მე მათ რუსულად ვეუბნებოდი, ისინი კი კლასს ქართულად უთარგმნიდნენ. ასე მე ქართულს ვსწავლობდი, ბავშვები კი - რუსულს. კიდევ უფრო უკეთესი - ქართულად წერა და კითხვა ოთხ დღეში ვისწავლე, იმიტომ რომ ელემენტალურად ჟურნალში ბავშვების სიას ვერ ვკითხულობდი.

თავიდან მეგონა, რომ ჩემს სიცოცხლეში ვერ ვისწავლიდი ენას - იმდენად ძნელი მეჩვენებოდა... თუმცა სახლში ჩვენი მოხუცები, როცა ჯერ ისევ ყაზახეთში ვცხოვრობდით, ქართულად ლაპარაკობდნენ, თანაც, როცა ერთმანეთისთვის ფარულად რაღაცის გაზიარება უნდოდათ, ქართულად ლაპარაკობდნენ.

მაგრამ მე ძალიან დამეხმარა ცოცხალი ურთიერთობა, კონტაქტი ბავშვებთან. თანაც, უბრალოდ, მე ასეთი ბუნების ვარ, თუ ვინმემ იცის, მე რატომ არ უნდა ვიცოდე-მეთქი... როცა გარშემო ქართულად ლაპარაკობდნენ, მწყინდა – რატომ არ მესმის, რაზე ლაპარაკობენ-მეთქი. სანამ ენა არ ვიცოდი, თავს მეორეხარისხოვან ადამიანად ვგრძნობდი. ხოლო ენა რომ ავითვისე, უკვე ყველგან თავისიანი ვარ. მარტო ცხრამუხაში შეიძლება თქვან, რომ მე «თათარი» ვარ, თორემ როცა სოფლიდან სხვაგან მივდივარ, არავინ იტყვის ჩემზე, რომ ქართველი არა ვარ. მე თავს ყველგან თავისუფლად ვგრძნობ.

და მე იმასაც ვფიქრობ, რომ ჩემში გენეტიკურმა მეხსიერებამ გაიღვიძა. ჩვენს სკოლაში 12 წელი იმუშავა ერთმა ბაშკირმა ქალმა, მაგრამ მას ქართული გამოთქმა არ ჰქონდა. ჩემი მუშაობის მეორე წელსვე კი ყველა ეუბნებოდა მას - ნახე, მინა შენზე გვიან მოვიდა სკოლაში, მაგრამ როგორ ლაპარაკობსო... ის კი პასუხობდა: «რა თქმა უნდა, ის ქართველია, მას ეს სისხლში აქვს...»

უკვე მეოთხე წელია სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილედ ვმუშაობ.

როცა ჩვენი სასწავლო ნაწილის გამგე წავიდა, სკოლის დირექტორმა მზია ღონღაძემ მისი ადგილის დაკავება შემომთავაზა. მე უარი ვუთხარი - დიდი ოჯახი მაქვს, რომელიც ჩემს ყურადღებას მოითხოვს-მეთქი. მერე კი სკოლაში ჩამოდის განათლების რაიგანყოფილების გამგე ოთარ ხაჩიძე და პედსაბჭოზე აცხადებს, ახალი სასწავლო ნაწილის გამგე გყავთო. და მე დამასახელა. ყველამ ტაში დაუკრა. ისე გამიკვირდა ჩემი კოლეგების კარგი დამოკიდებულება ჩემდამი, ბევრი მათგანი უკვე ახლობელი ადამიანია ჩემთვის.

მინდა მშობლიური მიწის იმ შეგრძნების შესახებ გიამბოთ, რომელიც მაშინ გამიჩნდა, როცა პირველად ვიხილე ის. მე ჩემს კლასთან ერთად ვარძიაში მივდიოდი, ჩემი საკუთარი შვილებიც თან მიმყავდა. აწყურს რომ გავცდით, ისე ავღელდი, რომ კანკალმა ამიტანა. ხოლო როცა საგზაო ნიშანზე «ასპინძა» წავიკითხე, ვეღარ გავუძელი – ცრემლები წამსკდა და ხმასაც ვერ ვიღებდი. გვერდით დირექტორი მეჯდა და მან მძღოლს უთხრა: «გეთაყვა, ასპინძაში გაუჩერეო». მძღოლმა გააჩერა, მე და ჩემი შვილები ავტობუსიდან ჩამოვედით, უბრალოდ, არ შემეძლო... ერთიანად ვცახცახებდი. მიწაზე დავეცი და კოცნა დავუწყე მას... ავტობუსიდან ჩემი საქციელით გაოცებულები მიყურებდნენ. ნახევარი საათი ვიდექი ასე რაღაცნაირად გაოგნებული. ვუყურებდი ამ ბაღებს, სივრცეებს, ბორცვებს – მე ხომ ბევრი რამ ვიცოდი, მამა ხომ სულ მიყვებოდა - რა სად იყო და რას რა ერქვა, ის ყვებოდა - სად გარბოდნენ ხოლმე, როგორ თამაშობდნენ, სად რომელი ბაღი იყო, სად რომელი ქუჩა... ვუყურებდი ამ ყველაფერს და ვცდილობდი რაღაც მშობლიური დამენახა იქაურობაში. მერე გონს მოვეგე და ავტობუსში ავედი. და ყველა, ვინც კი ავტობუსში იყო - ბავშ-

ვებიც და მათი მშობლებიც - თვალცრემლიანი იჯდა. ავტობუსი უკვე ნახევარი საათი იყო, მიდიოდა, მაგრამ სრული სიჩუმე სუფევდა.

შემთხვევითი ადამიანი დაგვემგზავრა, ქალი, ახლობელი სოფლიდან. მან ასპინძის ისტორიული ბრძოლის შესახებ გვიამბო. და მე ყოველი სოფლის სახელი მეცნობოდა მამას მონაყოლიდან, თუმცა მანამდე არაფერი ეს არ მენახა. სამაგიეროდ ბევრჯერ მქონდა მოსმენილი. ბევრი მქონდა გაგონილი ასპინძურ პურზეც, იმიტომ რომ ჩვენი მოხუცები სუფრასთან რომ დაჯდებოდნენ, სულ იმეორებდნენ: «ეჰ, ჩვენი ასპინძური პური!..» და ჩვენ სიამოვნებით გავუსინჯეთ ამ პურს გემო, როცა წავიხემსეთ და მე სახლშიც წამოვიღე ასპინძური პური.

აი, ასეთი იყო ჩემი პირველი შეხვედრა სამშობლოსთან. ცხადია, ბევრისთვის ეს გაუგებარი იყო. მერე უკვე, უკან რომ ვბრუნდებოდით, გაოცებას გამოთქვამდნენ, ჩვენ ასეთ რამეს ვერასდროს შევიგრძნობდითო. მე კი მათ ვუთხარი - უბრალოდ, თქვენ სამშობლოს მიღმა არასდროს ყოფილხართ, სამშობლოს გემო არ იცით-მეთქი.

სოფელში ჩვენ ძალიან კარგად გვეკიდებიან. რამდენიმე წლის წინ ერთი ქალი მოვიდა ჩემთან და თავისი ვაჟიშვილის მონათლვა მთხოვა, მე ვუთხარი, ალბათ არ შეიძლება, რომ მე, მაჰმადიანმა, ბავშვი მოვნათლო-მეთქი. მაგრამ ქალი მღვდელთან მივიდა და მან უთხრა, თუ ნათლიას ღმერთი სწამს, ეს საკმარისიაო. ასე გავხდი ნიკა ლაცაბიძის ნათლია – ბიჭი მალე სკოლაში წავა.

სანამ საქართველოში არ ვცხოვრობდი, ის ჩემთვის რაღაც ზღაპრული ქვეყანა იყო, რაღაც გაურკვეველი, მაგრამ ისეთი ნათელი... ახლა კი, როცა მე უკვე ვიცნობ საქართველოს, მე ის უფრო მეტად მიყვარს. და არსად, საქართველოს გარდა, არ ვინდომებდი ცხოვრებას. თუ ვითარება არ მაიძულებს მის დატოვებას, მე მას არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებ. სადაც არ უნდა ვიყო, ყაზახეთში ჩავდივარ ხოლმე, ჩემიანებთან, თითქოს იქ გავიზარდე, თითქოს ნათესავებიც მყავს იქ, მაგრამ სულ ერთია, ძალიან მალევე ვგრძნობ, რომ საქართველო მენატრება. და როცა თბილისს აახლოვდები - თვითმფრინავი ეშვება – ისეთი მშობლიური რამ მომიზღვავდება... ენით აუწერელია. მე ძალიან, ძალიან მიყვარს საქართველო. ჩემთვის ეს სამშობლოა.

მასალა მოამზადა კ. ბარათაშვილმა
1998 წ. 15 იანვარი, ხაშურის რაიონის ს. ცხრამუხა

გამოქვეყნებულია ბიულეტენის
«ჩვენ მესხები» №3-ში (1998 წ. იანვარი)

P.S. სამწუხაროდ, ამ გულშიჩამწვდომ ისტორიას ნაღვლიანი ბოლოსიტყვაობა აქვს. თითქოს წყალში იხედებოდაო მინა, როცა ამბობდა თუ ვითარება არ მაიძულებს საქართველოს დატოვებასო. ასეც მოხდა. კულაევების (არევაძეების) ოჯახი მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. ამჟამად მინაიათი ქმართან და სამ შვილთან ერთად თურქეთში ცხოვრობს. მათ მიერვე აშენებული დიდი ორსართულიანი სახლი ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხაში, უკვე მრავალი წელია ცარიელი დგას.

რატომ? რატომ არ მოიძებნა საქართველოში ძალები (და ხელისუფლება), რეპატრიანტთა ოჯახის დასაცავად, იმ ადამიანთა დასაცავად, რომლებმაც ისედაც ბევრი იტანჯეს დეპორტაციის მრავალი წლის მანძილზე? ეს არავინ იცის.

2005 წ. მაისი

ფატიმა ჭილაშვილი: «ჩვენ არაფერი გვიშლის ხელს, რომ ახლაც ასევე მშვიდობიანად ვიცხოვროთ»

- მე, ფატიმა ჭილაშვილი, დავიბადე ადიგენის რაიონის სოფელ უდეში 1929 წელს. უდეში ჩვენ ქართველ ქრისტიანებთან ერთად ვცხოვრობდით და არცერთ ჩვენგანს მათი მხრიდან ცუდი არაფერი გვინახავს. პირიქით, ისინი ძალიან პატივს გვცემდნენ, განსაკუთრებით, მამაჩემს. მათი ქალები მამაჩემს, ხამზუს «ბატონოთი» მიმართავდნენ და გუნდგუნდად დაჰყვებოდნენ უკან.

- დედაშენი საიდან იყო წარმოშობით?

- თურქეთიდან, სოფელ შუაწყალიდან *(1921 წელს საქართველოსა და თურქეთს შორის საზღვრის დემარკაციის შემდეგ, რომელმაც ნათესავები გაჰყო, მესხეთის ნაწილი თურქეთში აღმოჩნდა. ერთ სახელმწიფოში მცხოვრები ნათესავები დემარკაციის გამო საზღვრის*

*სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ - **კ. ბ.**).* ჩემი ძმები მოკვდნენ. ოთხი და ვიყავით, ერთი - სხვა დედისგან.

- როგორ ცხოვრობდით, დიდი სახლები გქონდათ?

- კარგად ვიყავით. სახლებიც კარგი გვქონდა, და საქმეებიც. ისეთი დიდი ბაღები გვქონდა, რომ ჩვენი ვაშლის გასაყიდად მამა სადღაც მიდიოდა, რუსეთში. გაყიდიდა, ჩამოვიდოდა და ის ფული მარტო მთელი ზამთარი კი არა, ახალ მოსავლამდე გვყოფნიდა. ისე რომ, ის ამავე ფულით მიდიოდა ხოლმე ახალი მოსავლის გასაყიდად.

სახლი ასეთი გვქონდა. დაბლა – სამეურნეო ნაგებობები, ზევით კი - საცხოვრებელი ნაწილი. დაბლა საქონელი გვყავდა, ზევით კი ვცხოვრობდით, ლამაზი აივნები გვქონდა.

უდეს ჰაერი - ოჰ!.. *(ყველა მოწონებით იცინის).* კარგი ჰაერი იყო, წყალზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს – ისეთი ბროლის წყალი იყო. თბილისიდან კაცი რომ ჩამოვიდოდა ჩვენს კოლმეურნეობაში, ისეთი გამხდარი ჩამოდიოდა ხოლმე... რამდენჯერ გამიგონია ბიძაჩემისგან, უდეს წყალი ადამიანს ასუქებსო. ჰოდა, ეს კაცი სხვანაირი ჩამოვიდოდა ჩვენთან, წასვლით კი სულ სხვანაირი მიდიოდა ჩვენგან – ჯანმრთელი, გასუქებული.

დედა ხშირად გვიყვებოდა ხოლმე, რომ ჩვეულებრივ, გაზაფხულობით ფაეტონით აბასთუმანში მივდიოდით წყლებზე. იქ სამკურნალო ცხელ წყაროებში ვბანაობდით და გამოცოცხლებულები ვბრუნდებოდით. როგორ ფიქრობ, ის სამკურნალო წყაროები შემორჩენილია?

- შემორჩენილია, შემორჩენილია.

- და ხალხი იქ დღემდე ბანაობს?

- რა თქმა უნდა, ახლა იქ აბანო ცალკეა, აუზი - ცალკე.

- აი, ალაჰ, როგორ მინდა, ისევ ვნახო იქაურობა...

ჯიანშა *(ფატიმას ქმრის ძმისშვილი)*: მერე და რა არის აქ ძნელი! შეგიძლია ბინა იყიდო იქ და იდგას თავისთვის. ჩადი ზაფხულობით, ისუნთქე ჰაერი, სვი წყალი, გადაივლე წყალი...

ფეიაზი *(ფატიმას ქმარი)*: - ჯიანშა, მოდი, ორმა ერთი ბინა ვიყიდოთ.

- შენ უფროსი და იყავი, თუ უმცროსი?

- მე უმცროსი ვიყავი. დედა კოლმეურნეობაში მუშაობდა.ახლა 75 წლის ვარ.

- უდეში მეჩეთი იყო?

- კი, კარგი მეჩეთი იყო. და ის ჩემმა წინაპარმა ააგო. მაგრამ მე იმ დროს არ მოვსწრებივარ, მეჩეთი რომ მოქმედებდა – საბჭოთა დრო იყო! კიდევ ძალიან დიდი ეკლესიაც იყო, ისეთი დიდი (*1895-1907 წ. წ. მღვდელ იოსებ ჭილაშვილის ინიციატივით სოფელ უდეში რომაული სტილის კათოლიკური ეკლესია აიგო. მაჰმადიანების სულიერმა მოძღვარმა, მოლა ეიუბ ჭილაშვილმა მეჩეთის აგება მოაწყო - **კ. ბ.**).*

- ის ახლაც დგას.

- სკოლაში რომ მივდიოდით ხოლმე, ზოგჯერ ვხედავდით, როგორ შეასვენებდნენ ამ ეკლესიაში ადამიანს, როცა მოკვდებოდა. ჩვენც შევყვებოდით ხოლმე, ბავშვებს გვაინტერესებდა. ვერ ვხედავდით, რას აკეთებდა მღვდელი იქ, შიგნით, მერე ვხედავთ, ისევ გამოასვენებენ იქიდან.

მერე როცა იქ პატარძალი მიჰყავდათ ხოლმე, ჩვენ, ბავშვები ისევ ავედევნებოდით ხოლმე, ეკლესიაში შევდიოდით, და იქ ერთი ადამიანი რაღაცას აკეთებდა, რაღაც ქმედებებს ასრულებდა, რაღაცას კითხულობდა, მერე ხელს ჰკიდებდა და გამოჰყავდა.

- სკოლაში დადიოდით?

- კი, და მას «ისკოლას» ვეძახდით.

- რა ენაზე იყო სწავლა?

- აზერბაიჯანულზე – ლათინური ასოებით. იქ მამიდაშენი, ფატიმა გვასწავლიდა *(ფატიმა ბარათაშვილი - ლატიფშაჰ ბარათაშვილის და - **კ. ბ.**).*

- ქართული ენა თუ იცოდით?

- არა, ქართული სახლები ჩვენგან შორს იყო. იქვე წყაროები იყო, თანაც როგორი... სხვათა შორის, თქვენი სახლის გვერდით იყო წყარო. ცოტა ზევით, მაღაზიების თავზე საავადმყოფო იყო, იქ ავადმყოფები მოჰყავდათ ხოლმე.

ჩვენთან ბევრი სტუმარი მოდიოდა ხოლმე. ერთი და სოფელ ზაზალოში გავათხოვეთ, ახალი ნათესავები მოდიოდნენ ხოლმე ჩვენთან. მეორე და კახარეთში გავათხოვეთ, სტუმრები იქიდანაც ჩამოდიოდნენ ხოლმე.

ქორწილები მაშინ განსაკუთრებულად ტარდებოდა. პატარძალს ფაეტონში სვამდნენ, ვინც უფრო ღარიბი იყო - უბრალოდ ცხენზე. პატარძლის ფეხებთან აუცილებლად კლავდნენ სამსხვერპლო ცხვარს. პატარძალს ოქროს სრულ კომპლექტს აძლევდნენ - ოქროს მძივებს *(ღრუ ბურთულები - **კ. ბ.**),* მაჟარს *(«მაჟარი» - ასე ეძახიან მესხები ოქროს მონეტას (XIX-XX სს. მოჭრილს) ავსტრია-უნგრეთის იმპერატორის, ფრანც-იოსების გამოსახულებით («მაჟარი» დღესაც მესხი პატარძლისთვის მირთმეულ*

*აუცილებელ საჩუქარს წარმოადგენს. - **კ. ბ.**),* დაღესტნური ნამუშევარი ვერცხლის ქამარი, კათხა, ლეჩაქი, სამკერდე სამკაულები...

- რა საჭმელს ჭამდით?

- ფლავს, ხინკალს. უბრალო მჭადს და კარაქიანს, ყველს, ტყლაპს. მამა ტყლაპის გასაყიდად მიდიოდა ხოლმე, ტყლაპს დედა აკეთებდა, მერე ყუთებში აწყობდა და მამა გასაყიდად მიდიოდა. ხილი ბევრი გვქონდა.

- ხილიდან რა ჯიშები გახსოვს?

- «სინჯირლის», «ნამაზირის», «ყაბახის», «სასელას» ჯიშების მსხალი, ვაშლებიდან - «ფაშა ალმასი», «აპორტი», «შაქარ ალმასი», «ყარანფილ ალმასი» (მიხაკის), ის მოგრძო ფორმის იყო და მართლა მიხაკის სუნი ჰქონდა. სამოთხის ვაშლები. ქლიავები, თანაც ისეთები... რომ! ძირითადად ტყლაპს ვაკეთებდით, მაშინ მურაბა ჯერ არ იყო გავრცელებული.

ქლიავს ვხარშავდით, მერე ვხეხავდით, მერე ისევ ვხარშავდით, ასე ვღებულობდით «პოვიდლოს». მერე მას ლასტებზე ბრტყელ ფენად წავუსვამდით და ვაშრობდით, ასე ვღებულობდით ტყლაპს. მერე «ყაბახ არმუდს» და «ნენე არმუდს» ჯიშის მსხლის ბექმეზს ვამზადებდით. ქოთნებში ვასხამდით და ზამთარში ვჭამდით. ლობიო გვქონდა, სიმინდი, ხორბალი... თუმცა ხორბალს ჩვენ ბევრს არ ვთესავდით. კოლმეურნეობიდან მოგვქონდა ხორბალიც და სიმინდიც. დედა ისეთ გემრიელ მჭადს აცხობდა დიდი ღუმელი გვქონდა - «ფურუნს» ვეძახდით. ის აბასდედეს, პაპაჩემის ძმის ნახელავი იყო. ისეთი ღუმელი იყო, რომ ერთ ჯერზე მჭადის გამოსაცხობი 20 კარსანი ეტეოდა *(«კარსანი» - ცომის მოსაზელი ხის ჭურჭელი – **კ. ბ.**).*

ჩვენ რომ გვასახლებდნენ, დედა მათთან წავიდა (ჩვენ ჯერ ისევ გვეძინა), ჩვენთვის მჭადი რომ გამოეცხო და უეცრად ვაი-ვაშით დაბრუნდა: «ვუ-ი! ჯაფარ-ემის ოჯახს ასახლებენ!» მისი ცოლი წარმოშობით თურქეთიდან იყო და მას ყველა «თურქ ფატიმა-აბლას» ეძახდა. დედამ იფიქრა, რომ ჯაფარ-ემის ოჯახს იმიტომ ასახლებდნენ, რომ მისი ცოლი თურქეთიდან იყო და მოთქმა გააგრძელა: «ვუი-ვუი! მეც ხომ თურქეთიდან ვარ და მაშასადამე, ჩვენც გადაგვასახლებენ...» ხელებს მუხლებში იცემდა და ტიროდა.

მამა ეუბნება: «რა იყო, ცოლო, შეიშალე? რა მოხდა?» დედა კი მოსთქვამს: «აბა, დაბლა გადაიხედეთ (ჩვენ მაღლა ვცხოვრობდით), ხალხი აყარეს».

ამ დროს ჩვენთან ჯარისკაცები შემოვიდნენ. ხელში ავტომატები აქვთ.

ფეიაზი: - შენ ის მოყევი, განსვენებულ ბინალის როგორ ასახლებდნენ. რომ ცოლი მას ქრისტიანი ჰყავდა.

- მაგის შესახებ მაშინ მოვყვები, როცა გზის შესახებ დავიწყებ მოყოლას. მართლა, საინტერესოა, ის მარგო მოკვდა? ტაშკენტში იყო.

ფეიაზი: - ეგ მოყევი. ის რაიონში მუშაობდა დიდ თანამდებობაზე.

- დიახ. ბინალი-ემი, მარდალის ძმაა. ცოლს რომ გაეყარა, მარგო შეირთო, ქრისტიანი. თურმე ერთად მუშაობდნენ, ჰოდა, შეირთო. ის სამსახურიდან გაათავისუფლეს და თავმჯდომარედ გაამწესეს. ბინალი გარე ბიძად მეკუთვნის, ის უკვე მოკვდა.

ჰოდა, მთელი ხალხი გროვდება, მანქანები დგას. და ეს მარგოც ემზადება. და ამ დროს მისი ნათესავები მოდიან. რაღაცების ჩალაგება-მომზადებაში დაეხმარნენ, ეს ღამით იყო. ჰოდა, დედა ეუბნება, ქმარს ხომ ყველაფერი გაუმზადე, ახლა კი ჩვენსა წავიდეთ სახლშიო. ქალიშვილი ეუბნება, მე არ წამოვალო. ერთი საწოლი ნივთებისგან გაათავისუფლა. დედა ეუბნება, - წამოდიო, ის კი ეუბნება - არაო. ნათესავებმა ხელი ჩაავლეს და ეწევიან. მარგო დასაძინებლად დაწვა და ამბობს: «მე ვიძინებ, როცა წასაყვანად მომაკითხავენ, დასამშვიდობებლად მოდით. მე არ წამიყვანოთ, არ წამოვალ».

იქ მახლობლად დიდი სკოლები იყო, გზის ქვემოთ ასეთი სკოლებია და აი მოიყვანეს, ამ საკლასო ოთახებში დააბინავეს ჯარისკაცები. ეს მარდალი-თადა კი ის-ის იყო ფრონტიდან დაბრუნდა დაჭრილი. როცა უკვე გასახლების მომენტი დადგა, მარგოს ნათესავები მოვიდნენ და ლამის ზედ ჩამოეკიდნენ: «ისინი დასაკლავად მიჰყავდათ და შენც დაგკლავენო», ის კი ეუბნება: «თუ ბინალის დაკლავენ, დე, მეც დამკლანო». ესენი ეწევიან, ექაჩებიან, წამოდიო. მარდალი-თალა სკოლაში წავიდა ჯარისკაცების მოსაყვანად. ბინალი-ემი კი - ახლაც თვალწინ მიდგას - «ბობრიკის» პალტო აცვია, - განზე გადგა, ხელები ჩამოუშვა და ეუბნება: «ქალიშვილი თქვენიანია, წაიყვანთ და წაიყვანეთო»... ქალიშვილი არ მისდევს, ისინი კი ექაჩებიან. ის ამბობს: «მე ეს ადამიანი მიყვარს და მასთან ერთად ვიქნები, - ცოცხალთანაც და მკვდართანაც, არ მოვდივარ». დიახ, ეს ქართველი ქალიშვილია...

მოვიდნენ ჯარისკაცები, მის ნათესავებს ეცნენ, თქვენ უფლება არა გაქვთ განკარგოთ - ვინ მიდის და ვინ რჩება. ეს ქალი მისი ცოლია?

თქვა მოვდივარო და მაშასადამე მოდის. ვერა და ვერ დაიტოვეს ეს ქალი. ამ მარგომ ასე გამოაცხადა - თუ ქმარი მოკვდება – მეც მოვკვდები, თუ ცოცხალი გადარჩება, მეც ვიცოცხლებო.

მერე ფეხზე რომ დადგა, ბინალი ამ ნათესავებს ტაშკენტიდან ბრინჯს უგზავნიდა ხოლმე, ისეთ პატივს ცემდა მათ. სამწუხაროდ, ის ცოცხალი აღარ არის, მოკვდა.

- ეს ძალიან საინტერესო ფაქტია, ძალიან საგულისხმო.

- ჩვენც მოვემზადეთ. ქათმები გვყავდა დარჩენილი, ღამით ყველა დავკალით და სახელდახელოდ მოვხარშეთ. გვინდოდა ცხვარიც დაგვეკლა, მაგრამ ვერ მოვასწარით და მთელი ჩვენი საქონელი ბოსლებში დარჩა. ეს ცხვარი ჩემს დას ჰყავდა. ჩვენ მარტო ხილი შევაგროვეთ; იაილიდან კარაქი, ყველი გამოგვიგზავნეს (კამეჩისაც კი იყო) და ერთი კატის კნუტიც გამოგვიგზავნეს. ის იყო, საღამოს ეს ყველაფერი მივიღეთ, რომ დილით თავზე დაგვადგნენ, ადექით, ადექით, წინ გასწითო! ყველაფერი დავტოვეთ, რაც კი გაგვაჩნდა: ვაგონებში ახალციხეში ჩაგვსვეს. ჩვენ ოთხი სული ვიყავით, დედა და მამა ცოცხლები იყვნენ, და ჩვენ, ორი და. კიდევ ორი და უკვე გათხოვილი იყო.

ფეიაზი: - მისი ბიძები კი აქეთ მხარეს მოხვდნენ, სირ-დარიაში, მატარებელში ერთად არ ჩამსხდარან. გაქცევა გვინდოდა, მაგრამ სად გაიქცევი? ისეთი არეულობა იყო, ისეთი ჭყლეტა და გაურკვევლობა...

- ვაგონებში ვიყავით... ალბათ თვე იქნებოდა. და ბულუნგურში მოვხვდით. ბიძაჩემი ბინალი ტაშკენტში მოხვდა. ცალ-ცალკე მოვხვდით. ჩვენიანების მარტო ერთი ოჯახი მოხვდა ბულუნგურში.

ყველა ჩემი და მოკვდა.

ერთი და სირ-დარიაში, კოლმეურნეობა «ლენინგრადში» გავათხოვეთ, იქ მამიდაშენი ბილორი *(ლატიფშაჰ ბარათაშვილის და – **კ. ბ.**)* ცხოვრობდა.

რომ ჩავედით, დედამ კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა.

ფეიაზი: - მე 1949 წელს დავქორწინდი ფატიმა ჭილაშვილზე, ის შენი თანასოფლელია, ისიც უდედანაა, ისინი იქვე, ბულუნგურში ცხოვრობდნენ, თქვენ სიახლოვეს.

რაც შეეხება ქორწილს... რა ქორწილი უნდა გვქონოდა. 2 ფუთი ქერისა და ხორბლის პური გამოვაცხვეთ, დავსხედით ურემზე, წავედით და წამოვიყვანეთ პატარძალი. კი-კი, ურმით (*იცინის*). ერთი მამალიც დავკალით. ისეთი შიმშილობა იყო, რომ უბრალო პურითაც თუ გაუმასპინძლდებოდით ვინმეს, ესეც დიდ რამედ ითვლებოდა. შეიძლებოდა პურის გულისთვის ადამიანიც კი მოეკლათ.

- მე ხუთი შვილი მყავს. ერთი ყაზახეთშია, ქალაქ ჯამბულში, სამი - სირდარიაშია. ჩემთან აქ ერთი ვაჟიშვილია გაზანფარი - ჰოდა, ხუთი გამოდის.

მადლობა ალაჰს, სიძნელეებს გავუმკ-ლავდით და კეთილდღეობასაც მოვესწარით. ახლა მე 74 წლის ვარ.

უზბეკეთიდან გამოვიქეცით. 1990 წელს აქ ჩამოვედით, ევლახის რაიონის შილიანის საბჭოთა მეურნეობაში. 14 წელია აქ ვართ. ვთესავთ, ვრგავთ, ბოსტანიც გვაქვს. ვაჟიშვილი და შვილიშვილები მეხმარებიან.

ეს სახლები, რომლებშიც ახლა ვცხოვრობთ, სპეციალურად იმათთვის ააშენეს, ვინც უზბეკეთიდან ჩამოვიდა.

ჩვენ აქ კარგად გვეკიდებიან. აქაური ხელისუფლება ადგილობრივებისგან არ გვანსხვავებს. აზერბაიჯანის მოქალაქეობა გვაქვს, გვაქვს მიწა, თუ შეძლებ, იცხოვრებ.

თუმცა მიუხედავად ამისა, ჩვენ ჩვენს სამშობლოს ვითხოვთ.

მინდა დავამატო - ადრე, როცა ჩვენი მამა-პაპა ცხოვრობდა, იქ ქართველებიც ცხოვრობ-დნენ და სომხებიც. წყნარად, მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. ჩვენ არაფერი გვიშლის ხელს, რომ ახლაც ასევე მშვიდობიანად ვიცხოვროთ.

2004 წ. 14 მარტი
საბჭოთა მეურნეობა შილიანი,
ევლახის რაიონი, აზერბაიჯანი.
მასალა მოამზადა კლარა ბარათაშვილმა.